ISSN 2587-4713 2-3 2018

ECONOMICS

ეკონომიკა

1918

მეცნიერება, პრაქტიკა, გამოცდილება

ეკონომიკა

ყოველთვიური საერთაშორისო რეცენზირებადი და
რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი

„ЭКОНОМИКА“ - Ежемесячный международный
рецензируемый и реферируемый научный журнал

“ECONOMICS ” - Monthly International reviewed
and refereed scientific journal

2-3, 2018

ჟურნალი გამოდის 1918 წლიდან
Journal published since 1918

რ. შენგელია (მთ. რედაქტორი)

ი. არჩვაძე; ა. აბრალავა; ნ. აბესაძე; თ. ბაბუნაშვილი; ნ. ბაკაშვილი; ე. ბარათაშვილი; რ. გოგოხია; ვ. დათაშვილი; მ. კაკულია; დ. კარბონი (**იტალია**); პ. კოღუაშვილი; ა. კურატაშვილი; ზ. ლიპარტია; გ. მალაშხია; ე. მექვაბიშვილი; ქ. მარშავა; ს. პავლიაშვილი; ვ. პაპავა; მ. როკეტლიშვილი (**აშშ**); უ. სამადაშვილი; ა. სილაგაძე; ა. სიჭინავა; ო. სოლდატენკო (**უკრაინა**); ა. სხირტლაძე; ტ. ფედოროვა (**რუსეთი**); დ. ქავთარაძე (**რუსეთი**); ა. ქუთათელაძე; რ. ქუთათელაძე; კ. ღურწკაია; გ. ღავთაძე; გ. ყუფუნია; ნ. შენგელია; გ. შუბლაძე; თ. შენგელია; ნ. ჩიხლაძე; ჟ. წიკლაური; ნ. ჭითანავა; მ. ჯიბუტი. გ. ჯოლია

ШЕНГЕЛИЯ Р. (ГЛ. РЕДАКТОР)

Арчвадзе И., Абралава А., Абесадзе Н., Бабунашвили Т., Бараташвили Е., Бакашвили Н., Гавтадзе Г., Гогохия Р., Гурцкая К., Даташвили В., Джибути М., Джолия Г., Кавтарадзе Д. (**Россия**), Какулия М., Карбон Д. (**Италия**), Когуашвили П., Купуния Г., Кураташвили А,. Кутателадзе А., Кутателадзе Р., Липартия З., Малашхиа Г. Меквабишвили Э., Маршава К., Папава В., Павлиашвили С., Рокетлишвили М. (**США**), Силагадзе А., Сичинава А., Сольдатенко О. (**Украина**), Схиртладзе А., Самадашвили У., Федорова Т. (**Россия**), Читанава Н., Чихладзе Н., Шенгелия Н., Шенгелия Т., Шубладзе Г., Циклаури Ж.

REVAZ SHENGELIA (EDITOR IN CHIEF)

I. ARCHVADZE; A. ABRALAVA; N. ABESADZE; T. BABUNASHVILI E. BARATASHVILI; N. BAKASHVILI; N. CHIKHLADZE; G. GHAVTADZE; R. GOGOKHIA; V. DATASHVILI; M. KAKULIA; D. KARBON (**ITALY**); P. KOGHUASHVILI; A. KURATASHVILI; Z. LIPARTIA; G. MALASHKHIA; E. MEKVABISHVILI; K. MARSHAVA; S. PAVLIASHVILI; V.PAPAVA; M. ROKETLISHVILI (**USA**); U. SAMADASHVILI; N. SHENGELIA; A. SILAGADZE; A. SICHINAVA; O. SOLDATENKO (**UKRAINE**); A. SKHIRTLADZE; T. FEDOROVA (**RUSSIA**); D. QAVTARADZE (**RUSSIA**); A. QUTATELADZE; R. QUTATELADZE; K. GHURTSKAIA; G. KUPUNIA; G. SHUBLADZE; T. SHENGELIA; ZH. TSIKLAURI; N. CHITANAVA; M. JIBUTI; G. JOLIA.

თბილისი - 2018

შინაარსი

ეკონომიკური რეფორმა: ანალიზი, პრობლემები და პერსპექტივები

ნიკოლოზ ბაკაშვილი - სახელმწიფო ფისკალური პოლიტიკა-ქვეყნის საინვესტიციო მიმზიდველობის ერთ-ერთი რეალური განმსაზღვრელი ---------- 6

გიორგი გაფრინდაშვილი, შორენა ფარჯიანი - საერთაშორისო რეიტინგებში ასახული საქართველო და ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები ---------- 17

მაია გიორგაძე, ნათია ფერაძე - სამთავრობო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“: არსი და მნიშვნელობა საქართველოსთვის ------- 38

ინგა გიგაური, მირანდა ფაცაცია, მაია ბიწაძე - სოციალურ-ეკონომიკური ფონი საქართველოში და მიმდინარე გამოწვევები --- 47

სალომე გოშაძე, ნანა ნაჭყებია - ეკონომიკური რეფორმები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ---------- 55

ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები

რუსუდან პაპასკირი - ინფლაციის გავლენა ფულის რეალურ ღირებულებაზე ---------- 62

ნატა ქირია, მარიამ მუქერია - მაროკოს ეკონომიკის განვითარების ზოგიერთი ასპექტი ---------- 68

ფინანსები, ბანკები, ბირჟები

ნატო ქათამაძე, მაია გრძელიძე - საბიუჯეტო სახსრების მართვა მუნიციპალიტეტებში ---------- 75

საბაზრო ეკონომიკის სამართლებრივი უზრუნველყოფა

ალექსანდრე თოდუა, გიორგი ბეროშვილი - სპარსეთის ყურის ომი: მისი სამართლებრივი და ეკონომიკური მნიშვნელობა --------- 85

დარგობრივი ეკონომიკა

ზაზა გოიშვილი - სოფლის მეურნეობის აღწარმოების სახელმწიფო მხარდაჭერის ეკონომიკური მექანიზმი ---------- 94

თინა ლუხუტაშვილი, ელისო ფურელიანი - ტურიზმის სატელიტური აღრიცხვის სისტემა (TSA) და მისი როლი საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში ---------- 104

ციალა ლომაია, ნინო ომანაძე - ადამიანური რესურსების სტიმულირების ფუნქციონალური სისტემა კომპანია „ფრესკოს“ მაგალითზე ---------- 110

ბიზნესი, მარკეტინგი, მენეჯმენტი

Nato Samnidze - Purchasing Market Study **(შესყიდვების ბაზრის კვლევა)** ---------- 120
ლია ჯორჯიაშვილი - კორპორაციული მართვის ქცევითი ასპექტები ---------- 127
მიხეილ ბაღდავაძე - ელექტრონული შესყიდვების ადგილი საქართველოს სახელმწიფო შესყიდვებში ---------- 135
ინგა გიგაური - რისკების მართვის თავისებურებები ბიზნეს-გარემოში ---------- 148
ლია ჯორჯიაშვილი - სტრატეგიული დაგეგმვის თანამედროვე ინტერპრეტაციები ---------- 157
ნინო სებისკვერაძე - ხარისხის მენეჯმენტის კვლევის მეთოდოლოგია ---------- 168
ციალა ლომაია, ნიკოლოზ გოგოლაძე - მართვის თეორია ადამიანის როლის შესახებ და პერსონალის შერჩევის ზოგიერთი საკითხი ---------- 183

მსოფლიო ეკონომიკა

ლიკა ილურიძე - საერთაშორისო სისტემის ცვლილების გავლენა მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოებზე: გეოეკონომიკა გეოპოლიტიკის წინააღმდეგ ---------- 191
მარი ბაბაკიშვილი, ანნა ცქიტიშვილი - მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი - ისტორია და მომავალი გამოწვევები ---------- 198
ნინო ცხოვრებაშვილი - ლიდერის როლი ორგანიზაციული ცვლილებების განხორციელებისას და ინოვაციური პოლიტიკა ფრანგულ საწარმოებში ---------- 207
მიმოზა ტიელიძე , სალომე ღაჭავა - უკრაინის კრიზისის გავლენა რუსეთ-ევროკავშირის სავაჭრო ურთიერთობებზე ---------- 216
ნანა ღარიბაშვილი, შალვა თურქაძე - რუსეთ-უკრაინის ურთიერთობები „ევრომაიდნის“ შემდეგ ---------- 229

სამეცნიერო სტატიის წარმოდგენის და გამოქვეყნების წესი ---------- 238

CONTENTS

ECONOMIC REFORMS: ANALYSIS, PROBLEMS AND PERSPECTIVES

Nikoloz Bakashvili - State Fiscal Policy – The Real Determinant of the Investment Attractiveness of a Country ---------- 6

Giorgi Gaprindashvili, Shorena Pharjiani - georgia in international rankings and the main directions of the economic policy ---------- 17

Maia Giorgadze, Natia Peradze - The Governmental Program - "Enterprise in Georgia": Its Essence and Importance for Georgia ------ 38

Inga Gigauri, Miranda Patsatsia, Maia Bitsadze - the Socio-Economic circumstance in Georgia and Current Challenges ---------- 47

Salome Goshadze, Nana Nachkebia - Economic Reforms in the Democratic Republic of Georgia ---------- 55

MODERN PROBLEMS OF ECONOMICS

Rusudan Papaskiri - The Influence of Inflation on the Real Cost of Money ---------- 62

Nata Qiria , Mariam Muqeria - Some Development Aspects of of the Economy of Morroco ---------- 68

FINANCES, BANKS AND EXCHANGE MARKETS

Nato Qatamadze, Maia Grdzelidze - Management of Budgetary Funds in Municipalities ---------- 75

LEGAL PROVISION OF MARKET ECONOMY

Aleksandre Todua, Giorgi Beroshvili - The Persian Gulf War: Its Legal and Economic Importance ---------- 85

SECTORAL ECONOMY

Zaza Goishvili - Economic Mechanism of the State Support for Agriculture ---------- 94

Tina Lukhutashvili; Eliso Fureliani - The Tourism Satellite Account (tsa) and its Role in the Development of Georgian Economy ----------104

Tsiala Lomaia, Nino Omanadze - The Functional System of Human Resources Stimulation on the Example of "Fresco"----------110

BUSINESS, MANAGEMENT, MARKETING

Nato Samnidze - Purchasing Market Study ----------120
Lia Jorjiashvili - Behavioral Aspects of Corporate Governance -------127
Mikheil bagdavadze - the place of electronic
purchase in georgian state purchasing----------135
Inga Gigauri - Risk management features in business environment -- 148
Lia Jorjiashvili - Contemporary Interpretations
of Strategic Planning ----------157
Nino sebiskveradze - The Research Methodology
of Quality Management----------168
Tsiala Lomaia, **Nikoloz Gogoladze -** Management Theory
About the Human Role and Some Issues of Personnel Selection------183

WORLD ECONOMY

Lika Iluridze - The Influence of Changing International Systems
on the Leading World Countries: Geoeconomics vs Geopolitics -------191
Mari Babakishvili, Anna Cqitishvili - The Highland-Karabakh
Conflict - History and Future Challenges----------198
Nino Tskhovrebashvili - Leader's Role in Organizational
Changes and The Innovative Policy in French Enterprises----------207
Mimoza Tielidze, Salome Ghachava - The Impact
of the Ukrainian Crisis on Russia-eu Trade Relations ----------216
Nana Garibashvili, Shalva Turkadze - Russia-Ukraine
Relations after the "Euromaidan" ----------229

The Publication Requirements ----------238

სახელმწიფო ფისკალური პოლიტიკა – ქვეყნის საინვესტიციო მიმზიდველობის ერთ-ერთი რეალური განმსაზღვრელი

ნიკოლოზ ბაკაშვილი,
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი, შპს აუდიტორული ფირმა
„ბაკაშვილი და კომპანიის“ დირექტორი

რეზიუმე

სტატიაში ყურადღება გამახვილებულია საქართველოს ეკონომიკის განვითარების სადღეისოდ უაღრესად აქტუალურ პრობლემაზე - საზღვარგარეთის ქვეყნებიდან ინვესტიციების მოზიდვაზე. ამ მიზნით განხილულია ინვესტიციათა სახეობები და ინვესტიციამიმზიდველი ფაქტორები, ასევე ფისკალური პოლიტიკის ლიბერალიზაცია საქართველოში და მისი მნიშვნელოვანი შედეგები, როგორიცაა: პირდაპირი, პორტფელური, რეალური, არასაფინანსო და ინტელექტუალური ინვესტიციების ზრდა, როგორც მოკლევადიან ასევე, საშუალოვადიან და გრძელვადიან კაპიტალურ დაბანდებებში. ამასთან სტატიაში ხაზგასმულია, რომ რახან არსებითად გადასახადის გადამხდელის კისერზეა ქვეყნის ინსტიტუციური მოწყობის სიმძიმე, კვლავაც აქტუალურია გადასახადის გადამხდელისათვის შეიქმნას „სასათბურე პირობები“, რათა მისგან მიღებულმა შედეგებმა მოგვცეს სოციალურ ეკონომიკურად ძლიერი სახელმწიფოს შექმნის შესაძლებლობა.

საკვანძო სიტყვები: ფისკალური პოლიტიკა; ინვესტიციამიმზიდველობა; ინვესტიციის სახეობები; საინვესტიციო გარემო; საგადასახადო ტვირთების შემცირება.

შესავალი

ნებისმიერი ქვეყნისათვის განვითარების სასურველი პარამეტრების უზრუნველყოფის, არსებული ეროვნული, სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მოგვარების საქმეში ინვესტიციებს, მიმზიდველ საინვესტიციო გარემოს და შესაბამისად, ინვესტიციურ აქტიურობას მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია. უცხოური კაპიტალი გვევლინება ეკონომიკის განვითარების სტრატეგიულ ამოცანად. საქართველო, რომელიც ცდილობს საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებას საერთაშორისო თანამეგობრობასთან და უცხოური ინვესტიციების მოზიდვას, გლობალური პროცესებიდან გამონაკლისი და იზოლირებული ვერ იქნება.

ჯანსაღი, საუკეთესო, რაციონალური საინვესტიციო გარემო იწვევს ინვესტიციების მოზიდვას და შესაბამისად, ეროვნული ბიზნესის აღორძინება-განვითარებას მსოფლიოს მაღალ განვითარებული ქვეყნების პროგრესული ტექნოლოგიების, მენეჯმენტისა და მარკეტინგის თანამედროვე მეთოდების დანერგვის, ექსპორტის ზრდის, ახალი სამუშაო ადგილების შექმნის, საერთაშორისო სამეწარმეო ქსელში და ძირითად ბაზრებში ჩართვის, კონკურენტუნარიანობის ამაღლების და სხვა გზით.

ინვესტიციები მხოლოდ მაშინ შეასრულებს ეკონომიკის, სამამულო ბიზნესის განმავითარებელ დადებით როლს, როდესაც ქვეყნის მასშტაბით დამყარდება ოპტიმალური თანაფარდობა უცხოურ და ადგილობრივ ინვესტიციებს შორის (ადგილობრივი ინვესტიციების სასარგებლოდ, თუნდაც ზოგიერთ იმ სექტორში, სადაც ადგილობრივ ბიზნესს თავად შესწევს უნარი ეფექტიანად იფუნქციონიროს) და ქვეყანა ძირითადად არ იქნება დამოკიდებული უცხოურ კაპიტალზე. წინამდებარე სტატიაში სწორედ აღნიშნულ და ზოგიერთ სხვა აქტუალურ პრობლემაზეა ყურადღება გამახვილებული.

ძირითადი ნაწილი

ინვესტიციათა სახეობები და ინვესტიცია მიმზიდველი ფაქტორები

უცხოური ინვესტიციების მნიშვნელობა წარმოჩინდება იმ მოტივებით, რომ ის წარმოადგენს დამატებით ინექცირების საშუალებას ქვეყნის მაკროეკონომიკური პარამეტრების გაჯანსაღებისათვის.

ინვესტიციების სახეობის მიუხედავად - იქნება ის პირდაპირი, პორტფელური, რეალური, არაფინანსური, ინტელექტუალური თუ არამატერიალური, და მიუხედავად იმისა, თუ რა იქნება ინვესტირების ობიექტი: რეალური კაპიტალის სხვადასხვა სახით პირდაპირი ყიდვა (რეალური ინვესტიციები) მატერიალური აქტივების ფორმით (ძირითადი ფონდები, მიწა), მშენებლობის ან რეკონსტრუქციების ანაზღაურება, ძირითადი ფონდების მოდერნიზაცია-კაპიტალური რემონტი, არამატერიალურ აქტივებში (პატენტებში, ლიცენზიებში, სარგებლობისა და საავტორო უფლებებში, სავაჭრო ნიშნებში, ნოუ-ჰაუში, ადამიანურ კაპიტალში) დაბანდებები, ფასიან ქაღალდებში, მათ შორის წილობრივ საინვესტიციო ფონდებში დაბანდებები, ფინანსური ინვესტიციები (კაპიტალის არაპირდაპირი ყიდვა ფინანსური აქტივების საშუალებით) თუ სპეკულაციური ინვესტიციები (აქტივების ყიდვა-გაყიდვა მხოლოდ ფასის შესაძლო ცვლილების გამო) და ა.შ., ყველა შემთხვევაში ინვესტორის მიერ ფასდება საინვესტიციო გარემო, რომელიც სწრაფცვალებად კონკურეტულ სამყაროში ინვესტიციურ აქტიურობასა და ეკონომიკურ ზრდა-განვითარებას შორის მჭიდრო დიალექტური კავშირურთიერთობის შედეგად ყალიბდება.

საინვესტიციო გარემოსა და ინვესტიციამიმზიდველობის განმსაზღვრელ უამრავი ფაქტორიდან, უმნიშვნელოვანესია ქვეყნის პოლიტიკური მდგომარება და ეკოლოგიური სიჯანსაღე, კრიმინალური მდგომარეობა, ნედლეულ-რესურსული და შრომითი, საწარმოო და ინოვაციური, ინსტიტუციური, ინფრასტრუქტურული და სამომხმარებლო პოტენციალი, მაგრამ ქვეყნის ინ-

ვესტიციამიმზიდველობის რეალური განმსაზღვრელი მაინც არის სახელმწიფო ფისკალური პოლიტიკა, საგადასახადო ტვირთი და რეგიონის საწარმოების მომგებიანობა.

სტაბილური ეკონომიკური ზრდის მიღწევის წინაპირობას პირდაპირი უცხოური ინვესტიციები წარმოადგენს (პუი), საქართველოსთვის, როგორც განვითარებადი ქვეყნისთვის, ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. პუი საერთაშორისო საინვესტიციო საქმიანობის კატეგორიაა, რომელიც გულისხმობს ერთი ქვეყნის რეზიდენტის მიერ სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოში წილის ფლობას და ამ საწარმოსთან დაკავშირებული ეკონომიკური ხასიათის სხვადასხვა ოპერაციის წარმოებას. სტატისტიკური მეთოდოლოგიით, პირდაპირი ინვესტორი საწარმოს აქციების არანაკლებ 10%-ს უნდა ფლობდეს [1].

მსოფლიო ბანკის კვლევამ ცხადყო, რომ ყველა ინდიკატორის მიხედვით, საქართველო უცხოური კაპიტალის მიმართ სრულიად ღიაა და უცხოური კომპანიის მიმართ არანაირი შეზღუდვა არ არსებობს. მსოფლიო ბანკის Doing Business 2018 წლის ანგარიშის მიხედვით საქართველო ბიზნესის კეთების სიმარტივით 190 ქვეყანას შორის მეცხრე ადგილზეა [2]. წინა წელთან შედარებით საქართველოს ქულა გაუმჯობესდა 6 ინდიკატორში, ხოლო 4 ინდიკატორში დარჩა უცვლელი. საქართველომ 2004 წლიდან მოყოლებული რეიტინგის ათივე ინდიკატორში 47 რეფორმა განახორციელა, რითაც წინა წლებთან შედარებით მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია და საერთაშორისო თანამეგობრობის არაერთ ქვეყანას გაუსწრო. აღნიშნულმა ფაქტმა ხელი უნდა შეუწყოს საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობის გაზრდას. ახალი ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ გამოქვეყნებული პოზიტიური ფისკალური შეფასება. ასევე დადებითად ფასდება საქართველოს ფინანსური მდგრადობის დონე საერთაშორისო სარეიტინგო კომპანია Moody's-ის მიერ. Moody's-ის შეფასებით საქართველოს საკრედიტო რეიტინგი Ba3-დან Ba2-მდე გაუმჯობესდა, რაც მათი მოსაზრებით მთავრობის მიერ განხორციელებულმა ეკონომიკურმა რეფორმებმა განაპი-

რობა.

საქართველოს კანონმდებლობაში უმნიშვნელოვანესია კანონი „ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“. ამ კანონის მიზანია ინვესტიციების განხორციელების ხელშეწყობა ინვესტიციების დაბანდებისა და სამეწარმეო საქმიანობისთვის აუცილებელი პროცედურების გაუმჯობესებითა და დამატებითი სამართლებრივი რეჟიმის შექმნით [3]. ეს ვრცელდება ნებისმიერ უცხოურ და ადგილობრივ ინვესტიციაზე, რომელსაც დააბანდებენ და გამოიყენებენ საქართველოს ტერიტორიაზე. ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერას უზრუნველყოფს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ „აწარმოე საქართველოში“, რომელიც სახელმწიფოს წარმომადგენელია ინვესტორებთან ურთიერთობაში. სსიპ „აწარმოე საქართველოში“- ეწევა საქმიანობას: საინვესტიციო, ვაჭრობისა და „აწარმოე საქართველოში“ მიმართულებით.

საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2017 წლის II კვარტალში 346.6 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2016 წლის II კვარტალის დაზუსტებულ მონაცემებზე 14.3 პროცენტით ნაკლებია. მიმდინარე წლის პირველ ნახევარში განხორციელებულმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა 751.0 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამისი პერიოდის დაზუსტებულ მაჩვენებელზე 5.5 პროცენტით ნაკლებია. 2017 წლის II კვარტალში უმსხვილესი პირდაპირი ინვესტორი ქვეყნების პროცენტულ სტრუქტურას გვიჩვენებს სექტორული დიაგრამა №1, რომლის მიხედვით პირველ ადგილზე აზერბაიჯანი იმყოფება 36.6 პროცენტით, მეორე ადგილზე - ნიდერლანდები 12.4 პროცენტით, ხოლო მესამე ადგილზე თურქეთი - 11.3 პროცენტით. სამი უმსხვილესი სექტორის წილმა (განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით) 2017 წლის II კვარტალში 66.3 პროცენტი შეადგინა. ყველაზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სექტორში განხორციელდა და 130.4 მლნ. აშშ დოლარს მიაღწია, რაც მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 37.6 პროცენტია. მეორე ადგილზე იმყოფება მშენებლობის სექტორი

70.0 მლნ. აშშ დოლარით, ხოლო მესამეზე - სასტუმროების და რესტორნების სექტორი 29.3 მლნ. აშშ დოლარით [4].

ინვესტიციური გარემო კომპლექსური ცნებაა და გულისხმობს ინვესტიციების განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნას. კერძოდ, იგულისხმება თუ რამდენად ხელსაყრელია კაპიტალდაბანდება როგორც იდეოლოგიური, ასევე პოლიტიკური და, რაც მთავარია, ეკონომიკური თვალსაზრისით. ამისათვის საჭიროა გაანალიზდეს: ფინანსური ბაზრის მდგომარეობა ქვეყანაში, მოზიდულ და სამამულო ინვესტიციებს შორის თანაფარდობა, ინვესტიციების ეფექტიანობის ყველა ფაქტორი და განისაზღვროს საინვესტიციო პროექტების განხორციელების რისკი. აქედან გამომდინარე, ინვესტიციების იმპორტიორი ქვეყნისათვის, ინვესტიციური გარემოს მდგომარეობა არ წარმოადგენს აბსტრაქტულ ცნებას. ის აისახება მოზიდული ინვესტიციების რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებში.



დიაგრამა 1 უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნების წილი 2017 წლის II კვარტალში (%) [4].

ვინაიდან უცხოური კაპიტალის მოძრაობა ხელს უწყობს ხანგრძლივი ეკონომიკური კრიზისის შერბილებას, ცხოვრების დონის დაცემისა და უმუშევრობის ზრდის შენელებას და საშუალებას იძლევა სახელმწიფო საგარეო ვალის გადიდების გარეშე ქვეყანაში შემოტანილ იქნას ახალი მოწყობილობები და ტექნოლოგიები, გაიზარდოს დასაქმებულთა რაოდენობა და საბიუჯეტო შემოსავლები, უპრიანია სახელმწიფო ზრუნვის საგანი გახდეს საინვესტიციო გარემოს გაჯანსაღება. საქართველოს ეკონომიკური განვითარების თანამედროვე მდგომარეობის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ქვეყნის საინვესტიციო გარემო ბოლო წლებში მიმზიდველია როგორც უცხოელი, ასევე ადგილობრივი ინვესტორებისათვის [5. გვ 4.].

მსოფლიო გამოცდილება ადასტურებს, რომ საინვესტიციო გარემოს გაჯანსაღებას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ისეთი ეკონომიკური და ორგანიზაციული საკითხების მიზანმიმართული და კომპლექსური გადაჭრა, როგორიცაა: მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწევა; ცივილიზებული სამართლებრივი სივრცის შექმნა, რომელიც განმტკიცებული იქნება საბაზრო ეკონომიკის კანონებით; სახელმწიფო ფისკალურ პოლიტიკაში მასტიმულირებული როლის წინა პლანზე წამოწევა და ა.შ. მსოფლიო ინვესტიციების, საინვესტიციო საქმიანობის შესწავლის მეტად მდიდარი გამოცდილება არსებობს. ინვესტირებისა და მის ეკონომიკურ ზრდაზე გავლენის პრობლემები ამა თუ იმ კუთხით განხილულია ა. სმითის, დ. რიკარდოს, ა. მარშალის, კ. მარქსის, ჯ. კეინზის და სხვა ცნობილ მეცნიერთა ფუნდამენტურ ნაშრომებში [5. გვ 11.].

ფისკალური პოლიტიკის ლიბერალიზაცია საქართველოში

რადგანაც სახელმწიფოს ფისკალურ პოლიტიკაში მასტიმულირებული როლის წინა პლანზე წამოწევა საინვესტიციო გარემოს გაჯანსაღებისა და მიმზიდველუნარიანობის მნიშვნელოვანი ფაქტორია, საქართველოს ხელისუფლების მხრიდან მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ამ მიმართულებით, განსაკუთრებით 2017 წლის 1 იანვრიდან მოყოლებული.

თუნდაც, უაღრესად მნიშვნელოვანი და ყურადსაღებია საქართველოს „საგადასახადო კოდექსში“ შეტანილი ცვლილებები და დამატებები, რაც ამოქმედდა 2017 წლის 1 იანვრიდან, ე.წ. „ესტონურ მოდელზე“ გადასვლასთან დაკავშირებით.

უმნიშვნელოვანესს ამ კომპლექსურ ღონისძიებათაგან წარმოადგენს ის გარემოება, რომ: საწარმო არ იხდის მოგების გადასახადს, თუ არ მოხდება ამ მოგების დივიდენდის სახით გატანა და რეინვესტირება.

აღნიშნული საგადასახადო ტვირთის მოხსნა (მოგების გადასახადი შეადგენს დასაბეგრი მოგების მოცულობის 15%-ს) უდავოდ მასტიმულირებელი ფაქტორია საწარმოს გაფართოებული კვლავწარმოებისათვის, რისი თანამდევი შედეგებიცაა საწარმოო სიმძლავრეების გაზრდა, ახალი ტექნოლოგიებისა და მეცნიერებაში მიღწეული თანამედროვე გამოწვევების პრაქტიკაში დანერგვა, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, ეკოლოგიური და სოციალური პრობლემების გადაჭრის ახლებური გზების დასახვა და ა.შ., რასაც, უდავოდ მოსდევს კვლავ მყისიერი დადებითი ფისკალური შედეგი სახელმწიფო საბიუჯეტო გადასახადების ზრდის სახით.

ნობელის პრემიის ლაურეატის ლეონტიევის ცნობილი გამონათქვამია: „ბიუჯეტის გაღატაკების იმაზე საუკეთესო გზა არ არსებობს, ვინემ გაზრდილი საგადასახადო განაკვეთებიო!“ აღნიშნულის გამოძახილი იყო XX საუკუნის 30-40-იანი წლების მსოფლიოში უდიდესი ეკონომიკური კრიზისის ჟამს აშშ-ის ხელისუფლების მიერ გატარებული სამი უმნიშვნელოვანესი ღონისძიება, რომლის დროსაც ჯამური საგადასახადო ტვირთი შემცირდა 10%-მდე, ყოველგვარი გადასახადისაგან განთავისუფლდა რეინვესტირების მოცულობა და ყველა ტიპის მაკონტროლებელს აეკრძალა ბიზნესისთვის ნებისმიერი ფორმით ხელის შეშლა.

თუ ცნობილ გამონათქვამს გავიმეორებთ, სოციალურ-ეკონომიკური სისტემებიც მსგავსია, თუნდაც ფიზიოლოგიური სისტემებისა, თუნდაც მგრძნობელობის თვალსაზრისით, შესაბამისი რეფლექსების გამოვლენით და ზუსტადაც ამ თვისებების გამო,

მეტი მგრძნობელობაა და შესაბამისად უაღრესად სენსიტიურია საგადასახადო ტვირთისადმი ბიზნესის დამოკიდებულება.

2017 წელს საქართველოში განხორციელებულმა ფისკალური პოლიტიკის ლიბერალიზაციამ განაპირობა პირდაპირი, პორტ-ფელური, რეალური, არასაფინანსო და ინტელექტუალური ინ-ვესტიციების მოცულობების ზრდა როგორც მოკლევადიან (1 წლამდე), ასევე საშუალოვადიან (1-3 წელი) და გრძელვადიან (3-5 წელზე მეტი) კაპიტალურ დაბანდებებში.

საინვესტიციო გარემოს, როგორც ქვეყნის კონკურენტუნარი-ანობის ამაღლების უმთავრესი პირობის, ანალიზისას მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ სწრაფცვალებად კონკურენტულ სამყაროში საინვესტიციო გარემოს, ინვესტიციურ აქტიურობასა და ეკო-ნომიკურ ზრდას-განვითარებას შორის მჭიდრო დიალექტიკური კავშირურთიერთობა არსებობს. ყოველივე ეს კი ხელს უწყობს ქვეყნის კონკურენტუნარიანობის და საბოლოო ანგარიშით, მო-სახლეობის ცხოვრების დონის, საერთაშორისო ურთიერთობებში ქვეყნის ავტორიტეტის ამაღლებას.

სწორედაც, რომ ამ მოტივით იქნა დახვეწილი სახელმწი-ფოსა და გადასახადის გადამხდელებს შორის ურთიერთობა, რაც გამოიხატება შესაბამისად შემოსავლების სამსახურთან ფიზიკური კონტაქტის გარეშე (მიუსვლელად) საგადასახადო დეკლარაციების, მიმოწერისა თუ საქმიანი დოკუმენტბრუნვის ელექტრონული ფორმით წარმოებაში. საგადასახადო დეკლარა-ციის ფორმებს, მისი შევსებისა და ელექტრონული დეკლარირების წესს განსაზღვრავს საქართველოს ფინანსთა მინისტრი. [6].

ყურადსაღებია ის გარემოებაც, რომ ზოგადად საგადასახადო ტვირთის ლიბერალიზაციას არ ნიშნავს საგადასახადო განაკვეთების შემცირება, რადგან უმთავრესს, გარდა საგადასახადო განაკვეთების მოცულობისა, წარმოადგენს დასაბეგრი ბაზის არეალი.

მაშასადამე, როდესაც საგადასახადო ტვირთის ლიბერალ-იზაციაზე ვმსჯელობთ, აქ აუცილებელია ორივე მიმართულებით იქნეს გადადგმული ნაბიჯი ქვეყნის ხელისუფლების მხრიდან, როგორც საგადასახადო განაკვეთების ოდენობის შემცირების, ასევე დასაბეგრი ბაზის არეალის შემცირებისკენ.

დასასრულს დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მართალია, ადმინისტრაციული წნეხის ლიბერალიზაცია საქართველოში, განხორციელდა მაგრამ როგორც წესი კვლავაც გადასახადის გადამხდელის კისერზეა ქვეყნის ინსტიტუციონალური მოწყობის სიმძიმე, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ გადასახადის გადამხდელისათვის უნდა შეიქმნას სწორედაც "სასათბურე პირობები", რათა მისგან მიღებულმა შედეგებმა მოგვცეს ეკონომიკურად ძლიერი სახელმწიფოს შექმნის საშუალება.

ლიტერატურა:

1. თ.დადიანი, საქართველო — ყველაზე გახსნილი ქვეყანა პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისათვის. https://www.gfsis.org/media/download/EJSEF/Tamar_Dadiani.pdf

2. Doing Business 2018 Reforming to Create Jobs.

http://www.doingbusiness.org/~/media/WBG/DoingBusiness/Documents/Annual-Reports/English/DB2018-Full-Report.pdf

3. საქართველოს კანონი „ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ". https://matsne.gov.ge/ka/document/view/24076

4. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში II კვარტალი (წინასწარი). http://geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/bop/FDI_2017Q2-GEO-with%20cover.pdf

5. ე. ბარათაშვილი, დ. მაგრაქველიძე, საქართველოში საინვესტიციო გარემოს სრულყოფის პრინციპები; თბ. 2009. http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/6006/1/Sainvesticio%20_Garemo.pdf

6. "საქართველოს საგადასახადო კოდექსი" 67-ე მუხლი. http://taxinfo.ge/images/stories/kodeqsi/kodificirebuli/kodeqsi28.12.2017.pdf

REFERENCES:

1. T. Dadiani, Georgia - The most open country for Foreign Direct Investment. https://www.gfsis.org/media/download/EJSEF/Tamar_Dadiani.pdf

2. Doing Business 2018 Reforming to Create Jobs.

http://www.doingbusiness.org/~/media/WBG/DoingBusiness/Documents/Annual-Reports/English/DB2018-Full-Report.pdf

3. The law of Georgia "on State Support for Investments". https://matsne.gov.ge/ka/document/view/24076

4. Foreign Direct Investment in Georgia II Quarter (preliminary). http://geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/bop/FDI_2017Q2-GEO-with%20cover.pdf

5. E. Baratishvili, D. Magraqvelidze, Principles of investment environment in Georgia; Tbilisi. 2009. http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/6006/1/Sainvesticio%20_Garemo.pdf

6. "Tax Code of Georgia" Article 67. http://taxinfo.ge/images/stories/kodeqsi/kodificirebuli/kodeqsi28.12.2017.pdf

STATE FISCAL POLICY – THE REAL DETERMINANT OF THE INVESTMENT ATTRACTIVENESS OF A COUNTRY

Nikoloz Bakashvili,
Doctor of Economic Sciences,
Professor ; LLC Audit Firm
"Bakashvili and Company", Director

RESUME

The article focuses on the most pressing problem of Georgia's economic development - attracting investment from overseas countries. For this purpose, the types of investments and investment attracting factors, as well as the liberalization of fiscal policy in Georgia and its important consequences are discussed, such as:

The increase of direct, portfolio, real, non-financial and intellectual investments in both short-term and long-term capital investments. In addition, the article emphasizes that the burden of the institutional arrangement is on the country's taxpayer, it is still important to create "greenhouse terms" for the taxpayer, the results of which will give us the opportunity to create a socially, economically strong state.

Key words: Fiscal policy; Investment; Attractiveness; Investment Types; Investment Environment; Reduction of Tax Burden.

საერთაშორისო რეიტინგებში ასახული საქართველო და ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები

გიორგი გაფრინდაშვილი
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, თსუ
შორენა ფარჯიანი
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი

რეზიუმე

განხილულია საქართველოს უახლესი მაჩვენებლები ისეთი საერთაშორისო კვლევებისა და რეიტინგების მიხედვით, როგორიცაა: სამი უმსხვილესი საკრედიტო კომპანიის რეიტინგები, ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი, ბიზნესის კეთების სიმარტივის და გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსები. საქართველომ, როგორც განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყანამ, ბოლო ათწლეულებში მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა ეკონომიკური თუ პოლიტიკური მიმართულებით. ქვეყნის წარმატებას ასახავს სხვადასხვა საერთაშორისო რეიტინგებში ქვეყნის წამყვანი პოზიციები, თუმცა, კვლავ რჩება პრობლემური მიმართულებები, რომლებიც მოითხოვს მკვეთრი და ეფექტური რეფორმების გატარებას.

სტატიაში ასევე განხილულია სტრატეგია „საქართველო 2020“-ის და 2016-2020 წლების სამოქმედო გეგმის - „თავისუფლება, სწრაფი განვითარება, კეთილდღეობა“-ს მიხედვით დეკლარირებული სამთავრობო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები.

საკვანძო სიტყვები: საქართველო; საერთაშორისო რეიტინგები; ეკონომიკური პოლიტიკა;

შესავალი

ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ პერიოდულად ფასდება სხვადასხვა ქვეყანაში არსებული ეკო-

ნომიკური თუ პოლიტიკური გარემო. მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო რეიტინგები ხშირად ხდება პოლიტიკური სპეკულაციის თემა, რეგულარული კვლევებისა და რეიტინგების ანალიზი ეხმარება მთავრობის, ბიზნესისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს პრობლემური საკითხების გამოვლენაში და შემდგომი მოქმედებების განსაზღვრაში.

საერთაშორისო კვლევებში ასახულია საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე პერიოდში არაერთი მიმართულებით მიღწეული პროგრესი, თუმცა, რჩება ისეთი პრობლემური მიმართულებები, რომლებიც ძირითადად დაკავშირებულია სასამართლოს ეფექტიანობის, კვალიფიციური სამუშაო ძალის სიმცირის, ინოვაციური ტექნოლოგიების განვითარების და მათი პრაქტიკაში დანერგვის საკითხებთან. ქვეყნის ხელისუფლების მთავარ გამოწვევად კვლავ რჩება უმუშევრობის და სიღარიბის რეალური დონე, რაც მოითხოვს ეფექტიანი ეკონომიკური პოლიტიკის გატარებას.

საქართველოს ხელისუფლებას დეკლარირებული აქვს პოლიტიკა, რომელიც ეფუძნება ქვეყნის დემოკრატიული განვითარების, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემის, კანონის უზენაესობისა და ეფექტიანი მმართველობის პრინციპების აღიარებას.

აღნიშნულ სტატიაში განხილულია როგორც წამყვან საერთაშორისო რეიტინგებში ასახული საქართველოს მაჩვენებლები მიმდინარე პერიოდში, ასევე სახელმწიფოს მიერ დეკლარირებული სამთავრობო სამოქმედო გეგმით და სტრატეგიით გათვალისწინებული ძირითადი მიმართულებები.

ძირითადი ნაწილი

სტრატეგია „საქართველო 2020„-ის და „4-პუნქტიანი გეგმის„ მიხედვით გათვალისწინებული ძირითადი მიმართულებები

„სტარატეგია 2020“-ის მიხედვით [1] საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა სამ უმთავრეს პრინციპს ემყარე-

ბა, ესენია:

1. ეკონომიკის რეალური სექტორის განვითარებაზე ორიენტირებული სწრაფი და ეფექტიანი ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა, რამაც უნდა განაპირობოს ქვეყანაში არსებული ეკონომიკური პრობლემის გადაჭრა, სამუშაო ადგილების შექმნა და სიღარიბის დაძლევა;

2. ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობი ეკონომიკური პოლიტიკის გატარება, რაც გულისხმობს მოსახლეობის საყოველთაო ჩართულობას ეკონომიკური განვითარების პროცესში, ეკონომიკური ზრდის შედეგად საზოგადოების თითოეული წევრის კეთილდღეობას, მათ სოციალურ თანასწორობასა და მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას;

3. ეკონომიკური განვითარების პროცესში ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება, ეკოლოგიური უსაფრთხოებისა და მდგრადობის უზრუნველყოფა და ბუნებრივი კატაკლიზმების რისკების თავიდან აცილება.

საქართველოს მთავრობის „4-პუნქტიანი გეგმა“ (2016-2020 წ.წ.) [2], რომელიც ძალაშია 2016 წლიდან, ითვალისწინებს მთავრობის მიერ ქვეყნის სწრაფი განვითარებისთვის განსახორციელებელი რეფორმების ჩამონათვალს შემდეგ ოთხ ძირითად პუნქტად:

- ეკონომიკური რეფორმა;
- განათლების რეფორმა;
- სივრცითი მოწყობის გეგმა;
- საჯარო მმართველობის რეფორმა.

გეგმით გათვალისწინებული ეკონომიკური რეფორმა, მთავრობის მიერ გაცხადებული მიზნებით, ორიენტირებული უნდა იყოს კერძო სექტორის მაქსიმალურ წახალისებასა და მის გაძლიერებაზე. ამ მიმართულებით გაწერილია მნიშვნელოვანი საგადასახადო სტიმულები - ბიზნესი აღარ დაიბეგრება მოგების გადასახადით მოგების რეინვესტირების შემთხვევაში. აღნიშნული რეფორმით ბიზნესში დარჩება ასეულობით მილიონი ლარი, რაც წაახალისებს ინვესტიციებს, დააჩქარებს ეკონომიკურ ზრდას და შექმნის ათიათასობით სამუშაო ადგილს.

საგადასახადო გარემო ბიზნესის მიმართ იქნება კიდევ უფრო მეგობრული და მაქსიმალურად წაახალისებს ინვესტიციებს. გაგრძელდება და გაფართოვდება მეწარმეობის, დამწყები ბიზნესისა და ინოვაციების ხელშემწყობი პროგრამები, რაც უზრუნველყოფს დამატებით სამუშაო ადგილების შექმნას კერძო სექტორში [2].

განათლების რეფორმა ითვალისწინებს ადამიანური კაპიტალის განვითარებას და მის მაქსიმალურ, ეფექტიან ჩართვას ქვეყნის განვითარებაში. რეფორმის ფარგლებში პროფესიული განათლების სისტემაში დაინერგება დუალური ანუ სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მიდგომა საჯარო-კერძო პარტნიორობის გზით. ამ მიდგომით, კვალიფიციური კადრების მოსამზადებლად უმაღლესი სასწავლებელი და დამსაქმებელი ურთიერთშეთანხმებულად განახორციელებენ სასწავლო პროგრამებს, რაც მორგებული იქნება შრომის ბაზრის მოთხოვნებს და სტუდენტებს მისცემს იმ კომპეტენციებს, რაც მათ დაეხმარებათ დასაქმებაში. შრომის ბაზრის ანალიზის საფუძველზე, განისაზღვრება და დაფინანსდება უმაღლესი განათლების პრიორიტეტული მიმართულებები. ამასთან, გათვალისწინებული იქნება ქვეყნის სოციალურ-კულტურული თუ სახელმწიფოებრივი განვითარებისათვის აუცილებელი სხვა მიმართულებების სპეციფიკა და საჭიროებები. შედეგად, გაიზრდება სტუდენტებისა და მომავალი დასაქმებულების კონკურენტუნარიანობა და შრომის ბაზრისათვის მზაობის ხარისხი [2];

„4-პუნქტიანი გეგმის“ მიხედვით, სივრცითი მოწყობის გეგმა იქნება ქვეყნის განვითარების მთავარი ჩარჩო. სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვა არის ქვეყნის მდგრადი განვითარებისა და ცხოვრების ხარისხის ამაღლების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი. სივრცითი მოწყობის რეფორმის ფარგლებში მომზადდება ქალაქებისა და სოფლების განაშენიანების რეგულირების გეგმები. სწორი სივრცითი მოწყობით საქართველო გახდება ოთხი სეზონის ტურისტული ქვეყანა, რაც უზრუნველყოფს ტურიზმიდან ახალი შემოსავლების მიღებისა და წლის განმავლობაში მათი სტაბილური განაწილების საშუალებას. მთელი საქართვე-

ლოს მასშტაბით დაპროექტდება და დაიგება რეგიონების დამაკავშირებელი სატრანსპორტო ქსელი, რომელიც ყველა რეგიონს მჭიდროდ დააკავშირებს ერთმანეთთან. გეოგრაფიული მდებარეობა აღარ იქნება ბარიერი ბიზნესის წარმოებისა და გადაადგილებისთვის. საქართველოს საავტომობილო გზების ქსელი გახდება მიმზიდველი სატრანსპორტო გადაზიდვებისათვის, ხელს შეუწყობს ქვეყანაში ტურიზმის განვითარებას, განაპირა და მაღალმთიან რეგიონებში სოფლის მეურნეობის განვითარებასა და რეგიონების დაკავშირებას. სწორი დაგეგმარებით და გააზრებული სივრცითი მოწყობით საქართველო ეფექტიანად აითვისებს ქვეყნის განვითარების პოტენციალს და მსოფლიო რუკაზე გაძლიერდება საქართველოს, როგორც ტრანზიტული ჰაბის მნიშვნელობა [2].

საჯარო მმართველობის რეფორმა ითვალისწინებს უფრო სწრაფი ეკონომიკური ზრდისთვის საჭირო მმართველობის ეფექტიანობის გაზრდას. რეფორმის ფარგლებში შეიქმნება ერთიანი „ბიზნესსახლი“, სადაც ყველა შესაბამისი სახელმწიფო უწყება ბიზნესს ერთი ფანჯრის პრინციპით მოემსახურება. გაძლიერდება საზოგადოების ჩართულობა მმართველობის პროცესში და უზრუნველყოფილი იქნება პროცესების ეფექტიანი მონიტორინგის საშუალება. მოხდება ონლაინმომსახურების დახვეწა და გაუმჯობესება, ახალი დისტანციური სერვისების დამატება და სახელმწიფო სერვისების საფასურის ოპტიმიზაცია. გაძლიერდება საზოგადოების ჩართულობა მმართველობის და გადაწყვეტილების მიღების პროცესში. უზრუნველყოფილი იქნება პროცესების ეფექტიანი საზოგადოებრივი მონიტორინგის საშუალება [2].

საქართველო საკრედიტო რეიტინგებში

ქვეყნის სუვერენული საკრედიტო რეიტინგი ინვესტორებს და სხვა დაინტერესებულ პირებს უჩვენებს თუ რა დონის რისკებთან არის დაკავშირებული ინვესტიციების განხორციელება ამ თუ იმ ქვეყანაში. სარეიტინგო კომპანიები აფასებენ ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ გარემოს, რათა განსაზღვრონ შე-

საბამისი რისკის დონე, ქვეყნის, როგორც მსესხებლის უნარი, შეასრულოს თავისი ვალდებულებები კრედიტორების წინაშე. შესაბამისად, დიდი მნიშვნელობა ენიჭება სარეიტინგო კომპანიების შეფასებებს, რადგან კონკრეტული რეიტინგების გაუარესებამ შესაძლოა მნიშვნელოვნად გაართულოს ქვეყნის მიერ სესხის აღება ფულად ბაზარზე.

სარეიტინგო კომპანიები ქვეყნების შეფასებას ყოველწლიურად ახდენენ. შეფასებისას გამოყენებული სიმბოლოების მიხედვით საკრედიტო რეიტინგი რისკის ხარისხის შეფასების ერთგვარი მარტივი ინტერპრეტაციაა - ფინანსური ვალდებულების შეუსრულებლობის ალბათობა „A“ საფეხურიდან „E“-მდე. „A“ საფეხური შეესაბამება დაბალი რისკის ხარისხს, „B“ საშუალო ქულაა და მიუთითებს, რომ დამახასიათებელია საკრედიტო რისკი. ყველაზე დაბალი შეფასება არის „C“ და „D“ - ამ შემთხვევაში ძალიან მაღალია საკრედიტო რისკი და დეფოლტის ალბათობა. რანჟირება შემდეგი თანმიმდევრობით ხდება („სტანდარტ ენდ პუარის“ და „ფიტჩ“-ის მიხედვით შეფასება იდენტურია, ხოლო „მუდის“ შემთხვევაში სიმბოლოების რანგირებაში მცირედი სხვაობაა): AAA („მუდის“ მიხედვით: Aaa), AA (Aa), A; BBB („მუდის“ მიხ.: Baa), BB (Ba), B; CCC (Caa), CC (Ca), C და ბოლოს D (C „მუდის“ მიხ.). სარეიტინგო ქულის ხარისხის რანჟირებისათვის ასევე ემატება „+“ და „-“ „სტანდარტ ენდ პუარს“ და „ფიტჩ“-ის შემთხვევაში და 1-დან 3-მდე - „მუდის შემთხვევაში“. ამასთან, „BBB“ (Baa) და ზემოთ არის საინვესტიციო ქულა, ხოლო „BB“ (Ba) და ქვემოთ - არასაინვესტიციო ქულა.

სამი უმსხვილესი სარეიტინგო კომპანიის - „დიდი სამეული“-ს („Standard & Poor’s“ „Fitch“ და „Moody’s“) მიერ საქართველოსათვის რეიტინგების მინიჭების პრაქტიკა 2005 წლიდან იწყება. 2004-2007 წლებში, გაუმჯობესებული ეკონომიკური მდგომარეობის ფონზე, „სტანდარტ ენდ პუარს“-მა საქართველოს სახელმწიფო ფასიან ქაღალდებს „B+“ საკრედიტო რეიტინგი მიანიჭა პოზიტიური მოლოდინებით, რაც თავის დროზე დადებითი სიგნალი იყო ეკონომიკის სწრაფი გაუმჯობესების შესახებ. თუმცა, 2008 წლის აგვისტოში, რუსეთ-საქართველოს

კომფლიქტის შემდეგ ორმა სარეიტინგო კომპანიამ - „სტანდარტ ენდ პუარს“-მა და „ფიტჩ“-მა შეცვალეს საქართველოს საკრედიტო რეიტინგი და შესაბამისად, „B“ და „B+“ ნეგატიური პერსპექტივით მიანიჭეს.

2017 წლის მდგომარეობით საქართველოს „სტანდარტ ენდ პუარს“-თან და „ფიტჩ“-თან „BB“, „მუდის” მიხედვით „Ba2” სტაბილური რეიტინგი აქვს მინიჭებული.

საქართველო საკრედიტო რეიტინგებში [3][4][5]

	Moody's	Fitch	S&P
2005			B+ (პოზიტიური)
2006			B+ (სტაბილური)
2007		BB- (სტაბილური)	B+ (პოზიტიური)
2008 მაისი			B+ (პოზიტიური)
2008 აგვისტო		B+ (ნეგატიური)	B (ნეგატიური)
2008 სექტემბერი			B (სტაბილური)
2009 აპრილი		B+ (ნეგატიური)	
2009 აგვისტო		B+ (სტაბილური)	
2010 აპრილი			B+ (სტაბილური)
2010 ოქტომბერი	Ba3 (სტაბილური)		
2011 მარტი		B+ (პოზიტიური)	B+ (პოზიტიური)
2011 ნოემბერი		BB- (სტაბილური)	BB- (სტაბილური)
2012		BB- (სტაბილური)	BB- (სტაბილური)
2013			BB- (სტაბილური)
2014 აგვისტო	Ba3 (პოზიტიური)	BB- (პოზიტიური)	
2015 აპრილი		BB- (სტაბილური)	
2016 მარტი	Ba3 (სტაბილური)	BB- (სტაბილური)	BB- (სტაბილური)
2017 მაისი		BB- (სტაბილური)	BB- (სტაბილური)
2017 სექტემბერი	Ba2 (სტაბილური)		

საერთაშორისო სარეიტინგო კომპანია „მუდის"-მა საქართველოს სუვერენული საკრედიტო რეიტინგი 2017 წელს „Ba3"-დან „Ba2"-მდე გააუმჯობესა, მის მიერ სუვერენული საკრედიტო რეიტინგი ბოლოს 2010 წლის ოქტომბერში გააუმჯობესდა. სარეიტინგო კომპანია აღნიშნავს, რომ საქართველომ 2014 წელს დაწყებული რეგიონული ეკონომიკური შოკების პარალელურად მდგრადობა აჩვენა, ამასთან, აქვს მოლოდინი, რომ ეკონომიკური რეფორმები, რომელსაც მსოფლიო სავალუტო ფონდი უჭერს მხარს, შეამცირებს იმ საკრედიტო სისუსტეებს, რომელიც ქვეყანას გააჩნია. ანგარიშის მიხედვით, კომპანია საჭიროდ მიიჩნევს ეკონომიკის დივერსიფიკაციას, ამასთან თვლის, რომ ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA) საქართველოს ერთი მხრივ, საშუალებას მისცემს გაზარდოს კონკურენტუნარიანობა და პროდუქციის ხარისხი, მეორე მხრივ - გააუმჯობესოს განათლების სისტემა და შრომის კოდექსი. ორგანიზაცია ხაზგასმით აღნიშნავს ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის დადებით მხარეებსაც, რომ აღნიშნული ქმედებები დაეხმარება ქვეყანას პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვაში, ექსპორტის ზრდაში და განსაზღვრავს ეკონომიკურ ზრდას საშუალოვადიან პერსპექტივაში.

სარეიტინგო კომპანია (Moody's) საქართველოსთვის მთავარ საკრედიტო სისუსტეებად ასახელებს საბანკო სექტორის რისკს (იგულისხმება მაღალი დოლარიზაცია) და ქვეყნის საგარეო რისკების არსებობას. ამასთან, რეიტინგის შემზღუდავ ფაქტორად მომდევნო რამდენიმე წლის განმავლობაში მიიჩნევს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტს და გაურკვევლობას ისეთ სფეროებში, როგორიცაა გადახდისუუნარობის შესახებ კანონი, მიწის რეგისტრაცია და პროფესიული განათლების სისტემის განვითარება, რომელმაც უნდა უზრუნველყოს შრომის ბაზარზე კვალიფიციური მუშახელის მიწოდება.

მეზობელ ქვეყნებში თუ გადავხედავთ საკრედიტო რეიტინგებს, საანგარიშო წლის ანგარიშის მიხედვით, ზოგადად, რეგიონი რისკის მატარებლადაა მიჩნეული და ზოგიერთ ქვეყანაში

საკრედიტო რეიტინგის გაუარესებაა დაფიქსირებული. კერძოდ, „სტანდარტ ენდ პუარს“-ისა და „ფიტჩ“-ის მიხედვით გაუარესდა აზერბაიჯანის რეიტინგი „BBB“-დან „BB+“-დე, ხოლო „მუდის“-ის მიხედვით „Baa3“-დან „Ba1“-მდე. „მუდის“ რეიტინგებში გააუარესებულია სომხეთის საკრედიტო პოზიციები „Ba3“-დან „B1“-მდე. „სტანდარტს და პუარს“-ის და „მუდის“-ის შეფასებით გაუარესდა რუსეთის საკრედიტო რეიტინგიც. 2014 წლის დეკემბერთან შედარებით რუსეთის საკრედიტო რეიტინგი „მუდის“-ის რეიტინგებში გაუარესდა „Baa3“-დან „Ba1“-მდე, ხოლო „სტანდარტ და პუარს“-ის შეფასებით „BBB“-დან „BB+“-მდე. საკრედიტო სამეულმა გასული პერიოდის ანგარიშებში ასევე შეამცირა თურქეთის სარეიტინგო ქულა.

საქართველო ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მიხედვით

ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი შესაბამისი ინდიკატორებით ერთ-ერთია იმ საერთაშორისო რეიტინგებიდან, რომელსაც პოლიტიკის მწარმოებლები, როგორც განვითარებადი, ისე განვითარებული ქვეყნებიდან ყურადღებით აკვირდებიან და იყენებენ საქმიანობის პროცესში. აღნიშნული ინდექსი უკვე 23 წელია ყოველწლიურად ქვეყნდება ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთი ყველაზე დიდი კვლევითი ორგანიზაციის ეკონომიკური თავისუფლების ინსტიტუტის (The Heritage Foundation) მიერ. ინდექსი ყოველწლიურად ზომავს ქვეყნების ეკონომიკურ თავისუფლებას 12 პარამეტრის მიხედვით, თითოეული პარამეტრი ფასდება 0-დან 100 ქულამდე სკალით. ქვეყნის საერთო ქულის მისაღებად თორმეტივე პარამეტრს ენიჭება თანაბარი წონა და გამოითვლება საშუალო არითმეტიკული. 100 ქულიანი სკალა დაყოფილია ეკონომიკური თავისუფლების 5 შემდეგ დონედ: თავისუფალი (100-80), უმეტესად თავისუფალი (79.9-70), ზომიერად თავისუფალი (69.9-60), უმეტესად შეზღუდული (59.9-50) და შეზღუდული (49.9-0) [6].

2018 წლის ანგარიში მოიცავს 2016 წლის მეორე ნახევრისა და 2017 წლის პირველი ნახევრის მონაცემებს. აღნიშნული პე-

რიოდის ანგარიშის მიხედვით საქართველო 180 ქვეყანას შორის მე-16 პოზიციაზეა 76,2 ქულით და მინიჭებული აქვს უმეტესად თავისუფალი ქვეყნის სტატუსი. წინა პერიოდის ანგარიშის მიხედვით საქართველო 76 ქულით მე-13 ადგილს იკავებდა მსოფლიოს 180 ქვეყანას შორის, შესაბამისად, მიმდინარე წელს სარეიტინგო ქულა გაუმჯობესდა 0,2 ქულით, თუმცა ქვეყნების რეიტინგში საქართველოს პოზიცია გაუარესდა და უკან გადაინაცვლა 3 პოზიციით [6].

თავისუფალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების ექვსეული 2018 წლის ანგარიშის მიხედვით ასე გამოიყურება: პირველ ადგილზეა ჰონკონგი 90,2 ქულა; მეორე ადგილს იკავებს სინგაპური 88,8 ქულით; შემდეგ მოდის ახალი ზელანდია 84,2 ქულით, შვეიცარია 81,7 ქულით, ავსტრალია 80,9 ქულით, ირლანდია 80,4 ქულით (წინა წელს მიეკუთვნებოდა უმეტესად თავისუფალი ქვეყნების ჯგუფს).

უმეტესად თავისუფალი ქვეყნების რეიტინგში ევროპის რეგიონში (ინდექსი მოიცავს 45 ქვეყანას) საქართველოს შემდეგი ქვეყნები უსწრებს წინ: ესტონეთი (78,8 ქულა), გაერთიანებული სამეფო (78 ქულა), ისლანდია (77 ქულა), დანია (76,6 ქულა), ლუქსემბურგი (76,4 ქულა), შვედეთი (76,3 ქულა).



საქართველოს მიმდინარე სარეიტინგო ქულა (76,2) 7,4 ქულით აღემატება ევროპის რეგიონის საშუალო ქულას (68,8) და 15,1 ქულით - მსოფლიოს საშუალო ქულას.

ეკონომიკური თავისუფლების შესაფასებლად გამოყენებული 12 რაოდენობრივი და თვისობრივი პარამეტრი შემდეგ 4 ძირითად კატეგორიაშია მოქცეული:

• კანონის უზენაესობა (საკუთრების უფლება; სასამართლოს ეფექტიანობა; მთავრობის კეთილსინდისიერება);

• მთავრობის ზომა (ფისკალური სიჯანსაღე; საბიუჯეტო დანახარჯები; საგადასახადო ტვირთი);

• რეგულირების ეფექტიანობა (ბიზნესის თავისუფლება; შრომის თავისუფლება; მონეტარული თავისუფლება);

• ბაზრის ღიაობა (ვაჭრობის თავისუფლება; ინვესტირების თავისუფლება; ფინანსური თავისუფლება).

წინა წელთან შედარებით, 2018 წელს საქართველოს სარეიტინგო მდგომარეობა 12 ინდიკატორიდან შემდეგ 7 ინდიკატორში გაუმჯობესდა:

• საკუთრების უფლება (62,8 ქულა) – 50-ე ადგილი (გაუმჯობესდა 27 პოზიციით);

• მთავრობის სამართლიანობა/კორუფციისგან თავისუფლება (61,8 ქულა) – 28-ე ადგილი (გაუმჯობესდა 3 პოზიციით);

• საგადასახადო ტვირთი (87 ქულა) – 34-ე ადგილი (გაუმჯობესდა 2 პოზიციით);

• ბიზნესის თავისუფლება (86,9 ქულა) – მე-13 ადგილი (გაუმჯობესდა 3 პოზიციით);

• შრომის თავისუფლება (77,3 ქულა) – მე-17 ადგილი (გაუმჯობესდა 8 პოზიციით);

• მონეტარული თავისუფლება (79,6 ქულა) – მე-80 ადგილი (გაუმჯობესდა 12 პოზიციით);

• ვაჭრობის თავისუფლება (89,4 ქულა) – მე-6 ადგილი (გაუმჯობესდა 3 პოზიციით).

საქართველოს სარეიტინგო მდგომარეობა გაუარესდა შემდეგ ინდიკატორებში:

• სასამართლოს ეფექტიანობა (64,2 ქულა) – 37-ე ადგილი (შემცირდა 3 პოზიციით);

• მთავრობის დანახარჯები (73,3 ქულა) – 72-ე ადგილი (შემცირდა 4 პოზიციით);

• ფისკალური სიჯანსაღე (91,8 ქულა) – 44-ე ადგილი (შემცირდა 4 პოზიციით);

• საინვესტიციო გარემოს თავისუფლება (80 ქულა) – 24-ე ადგილი (შემცირდა 3 პოზიციით);

• ფინანსური თავისუფლება (60 ქულა) – მე-40 ადგილი (შემცირდა 1 პოზიციით).

ინდექსის ავტორები მიიჩნევენ, რომ საქართველო კარგად უმკლავდება ეკონომიკური თავისუფლების უზრუნველყოფას. განხილულ პერიოდში დაფიქსირებული ღია ბაზრის პოლიტიკა, დაბალი გადასახადები და რეგულაციების ეფექტიანობა ხელს უწყობს ვაჭრობის განვითარებასა და ინვესტიციების მოზიდვას. თუმცა, საქართველოსათვის კვლავ გამოწვევად რჩება კანონის უზენაესობის განმტკიცება, განსაკუთრებით სასამართლო თავისუფლებისა და ეფექტიანობის მხრივ.

საქართველო ბიზნესის კეთების სიმარტივის ინდექსის მიხედვით.

მსოფლიო ბანკი 2003 წლიდან ყოველწლიურად გამოსცემს ანგარიშს ბიზნესის კეთების სიმარტივის შესახებ. ეს ანგარიში ზომავს და ადარებს ბიზნესრეგულაციებსა და ბიზნესგარემოს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. რეიტინგში წამყვანი პოზიცია მიანიშნებს იმაზე, რომ ქვეყანაში ბიზნესის კეთება გამარტივებულია და დაცულია საკუთრების უფლება. აღნიშნული კვლევის პროცესში ინფორმაციის წყაროა კანონმდებლობა და რეგულაციები, რესპოდენტები, ქვეყნების მთავრობები და მსოფლიო ბანკის ჯგუფში შემავალი ორგანიზაციების თანამშრომლები [7].

2018 წლის ანგარიშის მიხედვით, რომელიც 2017 წლის მდგომარეობას ასახავს, საქართველომ 190 ქვეყანას შორის 82 ქულით მე-16 ადგილიდან მე-9 ადგილზე გადაინაცვლა. რეიტინგის ათეულში პირველ ადგილზეა ახალი ზელანდია, შემდეგ მოდის სინგაპური, დანია, კორეის რესპუბლიკა, ჰონკონგი, შეე-

რთებული შტატები, გაერთიანებული სამეფო, ნორვეგია.

რეიტინგის საერთო ქულა ეყრდნობა 10 კრიტერიუმს, თითოეულ მათგანზე საქართველოს შემდეგნაირი შეფასება აქვს: ბიზნესის დაწყება - მე-4 ადგილი; სამშენებლო ნებართვის აღება - 29-ე ადგილი; ელექტროენერგიის მიღება - 30-ე ადგილი; ქონების რეგისტრაცია - მე-5 ადგილი; კრედიტის აღება - მე-12 ადგილი; ინვესტორების დაცვა - მე-2 ადგილი; გადასახადების გადახდა - 22-ე ადგილი; საგარეო ვაჭრობა - 62-ე ადგილი; ხელშეკრულების აღსრულება - მე-7 ადგილი; გადახდისუუნარობა - 57-ე ადგილი.

2018 წლის ანგარიშში საქართველოს პოზიცია წინა წელთან შედარებით თითქმის ყველა კომპონენტში გაუმჯობესდა.

ბიზნესის კეთების სიმარტივე საქართველოში [7]

	2018 წლის **რეიტინგი**	2018 წლის ქულა	2017 წლის ქულა	ცვლილების ქულა
საერთო პოზიცია	***9***	*82.04*	*79.92*	*2.12*
ბიზნესის დაწყება	**4**	97.84	97.83	0.01
სამშენებლო ნებართვის აღება	**29**	77.57	77.55	0.02
ელექტროენერგიის მიღება	**30**	84.32	83.77	0.55
ქონების რეგისტრაცია	**5**	92.85	92.85	..
კრედიტის აღება	**12**	85	85	..
ინვესტორების დაცვა	**2**	81.67	76.67	5.00
გადასახადების გადახდა	**22**	87.14	87.1	0.04
საგარეო ვაჭრობა	**62**	82.43	82.43	..
ხელშეკრულების აღსრულება	**7**	75.97	75.97	..
გადახდისუუნარობის საქმისწარმოება	**57**	55.59	40.02	15.57

ბიზნესის კეთების რეიტინგების მიხედვით 2018 წლის მონაცემებს თუ შევადარებთ 2012 წლის მონაცემებთან, 10 კომპონენტიდან საქართველოს პოზიცია გაუმჯობესდა ბიზნესის დაწყების (3 პოზიციით), ელექტროენერგიით მომარაგების (58 პოზიციით), ინვესტორთა უფლებების დაცვის (15-ით), გადასახადების გადახდის (23-ით), ხელშეკრულების აღსრულების (32-ით) და გადახდისუუნარობის (18-ით) კომპონენტებში. მდგომარეობა გაუარესებულია სამშენებლო ნებართვების აღების (მე-3 დან 29 პოზიციაზე), ქონების რეგისტრაციის (1-დან მე-4 პოზიციაზე), კრედიტის მიღების (მე-9-დან მე-12-მდე), საგარეო ვაჭრობის (47-დან 62-მდე) კომპონენტებში.

2018 წლის ანგარიშის მიხედვით რეიტინგის პირველ ოცეულში მყოფ ქვეყნებს შორის საქართველო კვლავ დასახელდა, როგორც ლიდერი ქვეყანა განხორციელებული რეფორმების მიხედვით. 2003 წლიდან განხორციელებულია თითქმის 47 დასახელების რეფორმა, როგორც ინსტიტუციური, ასევე მარეგულირებელი გარემოს დახვეწის კუთხით, მათ შორის მასშტაბურობით აღსანიშნავია: გამარტივებული საგადასახადო კოდექსით 21 გადასახადიდან 6 გადასახადის დატოვება, ქონების დარეგისტრირებისათვის საჭირო დროისა და ღირებულების შემცირება, ლიცენზიებისა და ნებართვების რაოდენობის შემცირება, „ერთი სარკმლის პრინციპი“.

საქართველო გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის მიხედვით

გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი (GCI), რომელიც 2005 წლიდან მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ ქვეყნდება, ზომავს ქვეყნების მაკროეკონომიკური გარემოს ხარისხს, საჯარო ინსტიტუტების მდგომარეობას და ტექნოლოგიური მზაობის დონეს. რეიტინგი ეყრდნობა საჯაროდ ხელმისაწვდომ სტატისტიკურ მონაცემებსა (მსოფლიო ბანკის, საერთაშორისო სავალუტო ფონდის და ა.შ.) და მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის აღმასრულებელ პირთა მიერ ჩატარებუ-

ლი კვლევების შედეგებს. აღნიშნული ყოველწლიური კვლევა ხორციელდება პარტნიორი ინსტიტუტების ხელშეწყობით (სამეცნიერო ინსტიტუტები და ბიზნეს ორგანიზაციები). ანგარიში მოიცავს იმ ფაქტორების ანალიზს, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ქვეყანაში ბიზნეს-კლიმატის შექმნისათვის და მნიშვნელოვანია მწარმოებლურობისა და კონკურენტუნარიანობის თვალსაზრისით. ყოველწლიური ანგარიში ასევე განიხილავს ქვეყნის ძლიერ და სუსტ მხარეებს, ახდენს პრიორიტეტების იდენტიფიცირებას პოლიტიკური რეფორმების განხორციელების ხელშეწყობისათვის [8].

საქართველო გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის (GCI) მიხედვით სხვა საერთაშორისო რეიტინგებთან შედარებით დაბალ პოზიციებს იკავებს. საერთაშორისო რეიტინგებს შორის განსხვავებას უმთავრესად კვლევების განსხვავებული მეთოდოლოგიაც განსაზღვრავს. მაგალითად, ბიზნესის კეთების ინდექსი, ან ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი, თუ ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ზომავენ ქვეყნებში ეკონომიკურ თავისუფლებას, გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი ლიბერალური გარემოს კომპონენტებთან ერთად, დამატებით ეკონომიკურ ცვლადებსაც ზომავს, მათ შორისაა ინსტიტუტები, კონკურენცია ბაზარზე, ფინანსური, სასაქონლო და შრომის ბაზრების ეფექტიანობა, განათლების ხარისხი, ინოვაცია და ტექნოლოგიური მზაობა კერძო სექტორში. ერთი მხრივ ეს მიდგომა სწორია, როცა საქმე ქვეყანას, როგორც კომპლექსურ ეკონომიკურ სისტემას ეხება - ბიზნესის კეთების კუთხით ლიბერალური გარემო მხოლოდ სურათის ერთი ფრაგმენტია, საჭიროა სხვა ცვლადების გათვალისწინებაც, თუმცა, მეორე მხრივ, რამდენად მართებული და ვალიდურია მეთოდოლოგია, რომელიც ერთ ინდექსში აერთიანებს კომპლექსურ ეკონომიკურ სისტემას, ეს სხვა საკითხია.

2017-2018 წლის ანგარიშის მიხედვით საქართველოს 137 ქვეყნიდან 67-ე პოზიცია უკავია 4,28 სარეიტინგო ქულით. შესაბამისად, რეგიონში ერთი მხრივ, უსწრებს მეზობელ სომხეთს (73-ე ადგილი), უკრაინას (81-ე ადგილი) და მოლდოვას (89-ე

ადგილი), მეორე მხრივ, ძალიან ჩამორჩება მეზობელ აზერბაიჯანს (35-ე ადგილი), რუსეთს (38-ე ადგილი), თურქეთს (53-ე ადგილი) და აღმოსავლეთ ევროპის ბევრ ქვეყანას.

ქვეყნების პოზიციაგლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის მიხედვით [8]



ინდექსის სტრუქტურას 114 კომპონენტი განსაზღვრავს, რომლებიც 12 ძირითად ინდიკატორად ერთიანდება და შემდეგ 3 სუბინდექსს აყალიბებს: ფუნდამენტური ფაქტორები (ინსტიტუტების არსებობა, ინფრასტრუქტურა, მაკროეკონომიკური გარემო, ჯანდაცვა და პირველადი განათლება), ეფექტიანობის გამაძლიერებელი ფაქტორები (უმაღლესი განათლება და ტრეინინგი, სასაქონლო ბაზრების ეფექტიანობა, შრომის ბაზრის ეფექტიანობა, ფინანსური ბაზრის ეფექტიანობა, ტექნოლოგიური მზაობა, ბაზრის ზომა), ინოვაციები და განვითარების ფაქტორები (ბიზნესის განვითარება, ინოვაცია).

ინდექსის აგების სპეციფიკა ისაა, რომ ინდექსის გამოთვლაში ჩამოთვლილი ფაქტორები თანაბრად არ მონაწილეობს - თითოეული ქვეყნისთვის, მათი განვითარების დონიდან გამომდინარე, სხვადასხვა წონა ენიჭებათ. მაგალითად, განვითარებადი ქვეყნების პოტენციალის დასადგენად, გაცილებით მნიშვნელოვანია ძლიერი პოზიცია ძირითადი ფაქტორების მიხედვით, მაშინ როდესაც განვითარებულში ზრდის მთავარი წყარო ინო-

ვაციაა. საქართველო მიმდინარე ეკონომიკური მონაცემებით განვითარების სამი ძირითადი საფეხურიდან მიეკუთვნება მეორეს - ეფექტიანობის მასტიმულირებელი ქვეყნების ჯგუფს, საინდექსო წონებიც შესაბამისად არის შერჩეული.

2017-2018 წლების ანგარიშის მიხედვით საქართველოს მდგომარეობა წინა პერიოდთან შედარებით 1 საფეხურით არის გაუმჯობესებული ინოვაციებისა და განვითარების ფაქტორების ნაწილში და 137 ქვეყნიდან 112-ე ადგილს იკავებს 3,2 ქულით (დაბალი მაჩვენებელი). 8 საფეხურით შემცირდა ქვეყნის პოზიცია ძირითდი მოთხოვნების ნაწილში და დაიკავა 54-ე ადგილი 4,8 ქულით (მაღალი მაჩვენებელი). საქართველოს პოზიცია 6 საფეხურით გაუარესდა ეფექტიანობის მასტიმულირებელი ფაქტორების ბლოკშიც და დაიკავა 75-ე ადგილი 4,1 ქულით.

საანგარიშო პერიოდში საქართველოს მაჩვენებლები 12 კომპონენტის მიხედვით შემდეგია: 1-დან 7 ქულამდე შეფასებული სკალით საუკეთესო მაჩვენებელი აქვს ჯანდაცვის და დაწყებითი განათლების კომპონენტს 5,8 ქულით (137 ქვეყნიდან 69-ე ადგილი), შემდეგ მოდის მაკროეკონომიკური გარემო 5,1 ქულით (48-ე ადგილი), სასაქონლო ბაზრის ეფექტიანობა 4,5 ქულით (50-ე ადგილი), შრომის ბაზრის ეფექტიანობა 4,4 ქულით (53-ე ადგილი), ტექნოლოგიური მზაობა 4,3 ქულით (70-ე ადგილი), ინსტიტუტები 4,2 ქულით (50-ე ადგილი), ინფრასტრუქტურა ასევე 4,2 ქულით (69-ე ადგილი), საფინანსო ბაზრის განვითარება 4,1 ქულით (63-ე ადგილი), უმაღლესი განათლება და ტრენინგი 4,0 ქულით (87-ე ადგილი), ბიზნესის განვითარება 3,7 ქულით (99-ე ადგილი), ბაზრის მოცულობა 3,1 ქულით (მე-100 ადგილი), ინოვაციები 2,8 ქულით (118-ე ადგილი).

ძირითადი ფაქტორების მიხედვით საქართველო 54-ე ადგილზეა და მეზობელი ქვეყნებიდან ჩამორჩება აზერბაიჯანს და რუსეთს, შესაბამისად, უსწრებს სომხეთს და თურქეთს. ეფექტიანობის პარამეტრების მიხედვით საქართველო 75-ე ადგილზეა და მხოლოდ სომხეთს უსწრებს, ხოლო ინოვაციურობის მიხედვით ქვეყანა ყველაზე დაბლა - 118-ე ადგილზეა, სომხეთი - 70-ე, თურქეთი - 69-ე, რუსეთი - 49-ე, ხოლო აზერბაიჯანი 33-ე

ადგილს იკავებს. ინდექსებიდანაც ჩანს, რომ საქართველოს ბაზარზე არ არის განვითარებული თანამედროვე ტექნოლოგიები და შესაბამისად ინოვაციების მიმართულებითაც არ გვაქვს განვითარება.

გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის მიხედვით გამოკითხულთა მიერ საქართველოში ბიზნესის კეთების ძირითად პრობლემებად დასახელებულია შემდეგი: არაკვალიფიციური სამუშაო ძალა (17,3%), ფინანსებზე ხელმისაწვდომობა (12%), ინფლაცია (11%), ინოვაციების არასაკმარისი შესაძლებლობა (9,7%), სუსტი სამუშაო ეთიკა ეროვნულ სამუშაო ძალაში (9,7%), არაეფექტური სამთავრობო ბიუროკრატია (9,2%), გაუმართავი ინფრასტრუქტურა (7,3%), პოლიტიკური არასტაბილურობა (6,5%), სამთავრობო არასტაბილურობა (6,2%), საგადასახადო განაკვეთები (3,8%), საგადასახადო რეგულაციები (1,8%), უცხოური ვალუტის რეგულაციები (1,8%), კორუფცია (1,7%), სუსტი ჯანდაცვა (1.3%), შემზღუდავი სამუშაო რეგულაციები (0,8%).

2017-2018 წლების ანგარიშის მიხედვით გამოიკვეთა შემდეგი მიმართულებები: მაკროეკონომიკურ ბლოკში - სასურველია ბიუჯეტის დეფიციტის ბალანსირება და საპროცენტო სპრედის დასტაბილურება. ამ საკითხების მიხედვა, მთლიანი პოტენციალის ამაღლების მიზნით, დიდ უკუგებას გამოიწვევდა; უმაღლესი განათლების ბლოკში - ადგილობრივი კვლევითი რესურსების განვითარების და ხარისხის ამაღლებისთვისაა ყურადღება მისაქცევი; სასაქონლო ბაზრების ეფექტიანობის ბლოკში - პრიორიტეტული უნდა იყოს თავისუფალი ბაზრის კიდევ უფრო ხელშეწყობა და სახელმწიფოს მხრიდან მაქსიმალური თავისუფლება, როგორც შიდა, ისე უცხოური ინვესტიციებისთვის. ბიზნესის კეთების ბლოკში - მთავარი ჩავარდნა არის ადგილობრივი მიმწოდებლების თვისობრივად და რაოდენობრივად დაბალი დონე. ინოვაციების ბლოკში - კომპანიების დანახარჯების წილი კვლევაზე და ინოვაციაზე, მთლიანი კვლევითი სისტემის დაბალი ხარისხი. ტექნოლოგიური სიახლეების მიმართ მზაობის არარსებობა სუსტ ნერტილს წარმოადგენს, რაც აფერხებს ინოვაციას.

დასკვნა

სტატიაში განვიხილეთ საქართველოს ხელისუფლების მიერ დეკლარირებული ეკონომიკური პოლიტიკა, როგორც „სტრატეგია 2020“-ის ასევე 2016-2020 წლების სამთავრობო პროგრამით გაწერილი რეფორმების მთელი პაკეტი, რომელთა განხორციელებით საქართველო უნდა იქცეს თანამედროვე, განვითარებული და საერთაშორისო სტანდარტის ინფრასტრუქტურის მქონე ქვეყანად, შრომის ბაზრის საჭიროებების შესაბამისი ადამიანური რესურსებით, უსაფრთხო და სტაბილური ბიზნეს გარემოთი და ეფექტიანი სახელმწიფო მმართველობით.

„დიდი სამეულის“ საკრედიტო რეიტინგების მიხედვით საქართველოს სუსტ მხარეებად მიჩნეულია: საგარეო მოწყვლადობის მაღალი მაჩვენებელი (უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ვალის ჩათვლით) და გეოპოლიტიკური რისკები რეგიონში. ძლიერ მხარეებს მიეკუთვნება რეგიონის სხვა ქვეყნებთან შედარებით სტაბილური ეკონომიკური ზრდა და ინსტიტუციური სიძლიერე. მიმდინარე ანგარიშის მიხედვით წამოწყებული სტრუქტურული რეფორმები და პრეფერენციული სავაჭრო რეჟიმები მნიშვნელოვნად წაახალისებს ეკონომიკურ ზრდას საშუალოვადიან პერიოდში.

ეკონომიკური თვისუფლების ინდექსის ავტორების აზრით, უმთავრესად საჭიროა რეფორმების გატარება კანონის უზენაესობის განმტკიცების მიმართულებით, რათა საქართველომ მიაღწიოს უფრო დინამიურ და გრძელვადიან ეკონომიკურ განვითარებას.

ბიზნესის კეთების ინდექსის 2018 წლის ანგარიშის მიხედვით, საქართველომ პირველი პოზიცია დაიკავა ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში (24 ქვეყანას შორის). საქართველო პირველ ათეულშია შემდეგი კომპონენტების მიხედვით: მინორიტარულ ინვესტორთა უფლებების დაცვა, ბიზნესის დაწყება, ქონების რეგისტრაცია და კონტრაქტების აღსრულება.

გლობალური კონკურენტუნარიანობის კვლევა აჩვენებს, რომ საქართველოს ეკონომიკური ზრდისთვის გადამწყვეტია უფრო ლიბერალური ზომების გატარება ისეთი მიმართულებით, როგორებიცაა: კონკურენცია ბაზრებზე - როგორც მო-

მწოდებლების, ასევე მომხმარებლების ხარისხოვნად და თვისობრივად მაღალი დონე; თავისუფალი ბაზრის შესაბამისი ინსტიტუტების გამყარება; ტექნოლოგიური, კვლევითი და საგანმანათლებლო სფეროების ხელშეწყობა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სტატიაში განხილული თითქმის ყველა საერთაშორისო კვლევა და მათი ავტორები მსოფლიო ფინანსური კრიზისიდან 10 წლის შემდეგ ქვეყნებს კვლავ მოუწოდებენ ეფექტიანი რეფორმების გატარებისკენ. ამ კონტექსტში საქართველოს მიერ დეკლარირებული პოლიტიკა და გასატარებელი რეფორმების მრავალფეროვანი პაკეტი მისასალმებელია, თუმცა თუ გავითვალისწინებთ საერთაშორისო რეიტინგებში რიგი მიმართულებებით ქვეყნის პოზიციების გაუარესებას 2017-2018 წლების მაჩვენებლების მიხედვით 2016-2017 წლების მონაცემებთან შედარებით, მნიშვნელოვანია რეფორმები იყოს ქმედითი და შედეგზე ორიენტირებული.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის „საქართველო 2020“ დამტკიცებისა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე საქართველოს მთავრობის დადგენილება N400, 2014 წლის 17 ივნისი, ქ. თბილისი;

2. სამთავრობო პროგრამა 2016-2020: „თავისუფლება, სწრაფი განვითრება, კეთილდღეობა“, ნოემბერი, 2016, თბილისი;

3. www.moodys.com;

4. www.fitchratings.com;

5. www.standardandpoors.com;

6. www.heritage.org/index;

7. www.doingbusiness.org;

8. www.weforum.org/reports/the-global-competitiveness-report-2017-2018.

REFERENCES:

1. Social-economic Development Strategy of Georgia - GEORGIA 2020, Resolution of the Government of Georgia N400 June 17, 2014, Tbilisi;

2. Government Action Plan for 2016-2020 – "Freedom, Rapid Development and Welfare", November, 2016, Tbilisi;
3. www.moodys.com;
4. www.fitchratings.com;
5. www.standardandpoors.com;
6. www.heritage.org/index;
7. www.doingbusiness.org;
8. www.weforum.org/reports/the-global-competitiveness-report-2017-2018

GEORGIA IN INTERNATIONAL RANKINGS AND THE MAIN DIRECTIONS OF THE STATE POLICY

Giorgi Gaprindashvili
Ph.D in Economics,Iv. Javakhishvili Tbilisi State University
Shorena Pharjiani
Ph.D in Economics, Business and Technology University

RESUME

This article discusses the latest trends of Georgia in terms of the international research and rankings such as the Big Three's credit ratings, the Heritage Foundation's Index of Economic Freedom, Doing Business and Global Competitiveness Indexes. Georgia's economy, as the emerging free market economy, has had the significant progress in recent decades. The success of the country reflects the country's leading positions in various international rankings, however, there are still the problematical directions that require some sharp and effective reforms.

Moreover, the article also deals with the main directions of the government policy by the strategy "Georgia 2020" and the governmental action plan for 2016-2020-"Freedom, Rapid Development, and Welfare".

Key words: Georgia; Economic Policy; International Rankings, Doing Business.

სამთავრობო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“: არსი და მნიშვნელობა საქართველოსთვის

მაია გიორგაძე, ნათია ფერაძე
თსუ ბაკალავრიატის სტუდენტები

რეზიუმე

დღესდღეობით, საქართველო რჩება ინდუსტიულ-აგრარულ სახელმწიფოდ, შესაბამისად, წარმოებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის ეკონომიკაში. ქვეყნის მთავრობა კი, თავის მხრივ, ცდილობს ამ დარგის განვითარებას, რისთვისაც მრავალ აქტივობასა და პროგრამას ახორციელებს. ერთ-ერთი მათგანია პროგრამა „აწარმოე საქართველოში“, რომლის მიზანია მეწარმეებისთვის ხელის შეწყობა ბიზნესის წამოყებაში ან მის განვითარებაში. პროგრამა გულისხმობს მეწარმეების როგორც ფინანსურ, ისე ინფრასტრუქტურულ და საკონსულტაციო მომსახურებას. აღნიშნული პროგრამა მუშაობს რამდენიმე ძირითადი მიმართულებით, ესენია: მიკრო და მცირე ბიზნესის ხელშეწყობა, სასტუმროს ინდუსტრია და კინოწარმოება. აღნიშნული მიმართულებები ქვეყნისთვის ყველაზე პერსპექტიულია და შესაბამისად, მათი განვითარება და ხელშეწყობა მნიშვნელოვან სარგებელს მოუტანს საქართველოს როგორც ბიუჯეტური, ისე მოსახლეობის დასაქმებისა და კეთილდღეობის თვალსაზრისით.

პროგრამის ფარგლებში გაიხსნა საწარმოები და სასტუმროები, განვითარდა კინოინდუსტრია და უფრო კონკურენტული გახდა მსოფლიო ბაზარზე. ამ სამთავრობო პროგრამამ ასევე გარკვეულ წარმატებას მიაღწია ექსპორტის მიმართულებით. თუმცა, მიუხედავად წარმატებებისა, წარმოების სფერო საქართველოში მაინც რჩება მრავალი გამოწვევის წინაშე, რომლებიც ხელს უშლიან ქვეყანას მოგების მაქსიმიზაციაში.

საკვანძო სიტყვები: წარმოება, ფინანსური დახმარება, ინფრასტრუქტურა, საკონსულტაციო მომსახურება, სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია, ინდუსტრია, თანადაფინანსება.

ძირითადი ტექსტი

საქართველოს პრემიერ მინისტრის ინიციატივით, 2014 წლის ივნისიდან, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების და სოფლის მეურნეობის სამინისტროებმა ახალი სამთავრობო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ განხორციელება დაიწყეს. სამთავრობო პროგრამა მიმართულია წარმოების განვითარებისა და წახალისებისაკენ, რომლის მთავარ მიზანს მეწარმეობის განვითარება, მეწარმე-სუბიექტების მხარდაჭერა, ახალი საწარმოების შექმნის/არსებული საწარმოს გაფართოების ან გადაიარაღების ხელშეწყობა წარმოადგენს.[1]

განვითარებისათვის ხელშეწყობა ხორციელდება ფინანსური დახმარებით (კრედიტის პროცენტის თანადაფინანსება, გირაოს დაზღვევა), ინფრასტრუქტურული მხარდაჭერითა (საქართველოს მფლობელობაში არსებული უძრავი ქონების გადაცემა სიმბოლურ ფასად) და საკონსულტაციო მომსახურებით (ტრეინინგები სამეწარმეო უნარების გაუმჯობესებისათვის, თანამედროვე ტექნოლოგიების მოძიება). აღნიშნული პროგრამა ძირითადად ორ მიმართულებას მოიცავს: სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება/გადამუშავება და ინდუსტრიული პროდუქტის წარმოება. მთლიანად პროგრამისთვის საქართველოს ბიუჯეტიდან გამოყოფილია 46 მლნ ლარი. გარდა ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროებისა, პროგრამაში ჩართულია საქართველოს ქონების ეროვნული სააგენტო, სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო და რაც მთავარია, საagენტო „აწარმოე საქართველოში“. როგორც დასაწყისში ითქვა, აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ხდება მეწარმეების დაფინანსება. იმისთვის, რომ მეწარმე დაფინანსდეს, იგი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს: დაფინანსებული სესხით აუცილებელია შეიქმნას მხოლოდ ახალი საწარმო და ეს საწარმო, ამასთან ერთად, უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ უსაფრთხოების, გარემოს დაცვის, სანიტარულ და სურსათის უვნებლობის (სოფლის

1 http://qartuli.ge/geo/sub/about-program/program-details/

მეურნეობის შემთხვევაში) მოთხოვნებს. როგორც ვხედავთ, აღნიშნული ინიციატივა მიზნად ისახავს საქართველოს ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობას, რაც მარტივი საქმე ნამდვილად არ არის. ახლა კი განვიხილავთ საქმიანობის იმ სფეორებს, რომლებზეც უშუალოდ მოქმედებს ეს პროგრამა.

კინოწარმოება. 2016 წლის თებერვლის თვეში სახელმწიფო პროგრამას „აწარმოე საქართველოში" დაემატა ახალი კომპონენტი კინოინდუსტრიის სფეროში -„გადაიღე საქართველოში". კინოწარმოების ჩართვა ამ პროგრამაში გულისხმობს ქვეყნის ფარგლებში გადაღებებზე გაწეული კვალიფიციური ხარჯების 20%-დან 25%-მდე ანაზღაურებას. კინოინდუსტრიის წახალისების კომპონენტს ახორციელებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სააგენტო "აწარმოე საქართველოში", კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ეროვნულ კინოცენტრთან თანამშრომლობით. „გადაიღე საქართველოში" პროგრამის ბენეფიციარი აუცილებელია იყოს საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიული პირი. ანაზღაურების მექანიზმის ასამოქმედებლად პროექტები უნდა განხორციელდეს შემდეგი მიმართულებებით: მხატვრული ფილმი, სატელევიზიო ფილმი, ტელესერიალი ან მისი მინი-სერიალი (მათ შორის პილოტური), ანიმაცია, დოკუმენტური ფილმი, სარეკლამო ვიდეო პროდუქცია, რეალითი შოუ, მუსიკალური კლიპი.[1] ასევე შესაძლებელია მოხდეს დამატებითი თანადაფინანსება იმ შემთხვევაში, თუ მოწოდებული პროდუქტი ემსახურება საქართველოს პოპულარიზაციას და წარმატებით გაივლის ე.წ „კულტურულ ტესტს" (იხ.http://filmingeorgia.ge/cash-rebate-5). თანხის ანაზღაურების მექანიზმი (cash rebate) 2016 წლის 15 მაისი კანის კინო ფესტივალზე საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა,დავით ვაშაძემ, გააცნო მსოფლიო კინო ინდუსტრიის წარმომადგენლებს. ამ მიმართულებით უკვე განხორციელებული პროექტებიდან აღსანიშნავია 2016 წლის ნოემბერში ინდური ფილმის გადაღებების დაფინანსება. "Gautamiputra Satakarni" პირველი ინდური ფილმია, რო-

1 http://qartuli.ge/geo/main/film-in-georgia/

მელიც საქართველოში (ყაზბეგში) გადაიღეს და ამ პროგრამის, „გადაიღე საქართველოში“, მეშვეობით მას დაუფინანსდა გადაღების ხარჯების 20%. 2016 წლის სექტემბერში საქართველომ ამერიკაში გამართულ მსოფლიო კინოინდუსტრიის კონფერენციაზე გაიმარჯვა ნომინაციაში „საუკეთესო ვიდეო რგოლი“. საქართველოს საიმიჯო ვიდეო რგოლში ნაჩვენები იყო ფილმის გადაღების ლოკაციები საქართველოს მასშტაბით.

სასტუმროს ინდუსტრია. 2016 წელს სახელმწიფო პროგრამას „აწარმოე საქართველოში“ დაემატა სასტუმრო ინდუსტრიის განვთარების კომპონენტი, რომელიც დიდი წარმატებით სარგებლობს. აღნიშნული კომპონენტი მოსახლეობას შესაძლებლობას აძლევს რეგიონებში განავითაროს სასტუმროს ბიზნესი, შექმნას სამუშაო ადგილები, მოიზიდოს მეტი დამსვენებელი და ხელი შეუწყოს რეგიონის განვითარებას. ახალი კომპონენტი მეწარმეებისათვის ხელმისაწვდომს ხდის ფინანსებსა და საკონსულტაციო მომსახურებას და ამასთანავე ხდება წარმატებული საერთაშორისო ბრენდების გამოცდილების დანერგვა ე.წ „ფრენჩაიზინგის” ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადასახადების თანადაფინანსებით. პროგრამის ფარგლებში სახელმწიფოს ფინანსური მხარდაჭერით დაინტერესებულ მეწარმეს შესაძლებლობა ეძლევა ააშენოს ახალი სასტუმრო საქართველოს მასშტაბით, მოახდინოს არსებული ინფრასტრუქტურის გაფართოება და ასევე „ფრენჩაიზინგის“ ხელშეკრულების საფუძველზე შეიყვანოს უცხოური ბრენდი ქართულ ბაზარზე. აღსანიშნავია, რომ პროექტი ხორციელდება საქართველოს მასშტაბით, თბილისისა და ბათუმის გარდა.[1] სასტუმროების ბიზნესის ხელშესაწყობად საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო გასცემს სესხებს (სესხის მინიმალური მოცულობა - 200 000 ლარი, სესხის მაქსიმალური მოცულობა - 2 000 000 ლარი).

ამ დრომდე უკვე მხარდაჭერილია 13 მეწარმე სუბიექტი, რომელთა ჯამური ინვესტიციის მოცულობა აღემატება 26 300 000 ლარს, კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების მოცუ-

1 http://qartuli.ge/geo/main/hotel-industry-incentive/

ლობა ჯამში 13 600 000 ლარზე მეტია, ხოლო აღნიშნული პროექტების მეშვეობით, ჯამურად 423 ადამიანი დასაქმდება და ქართულ სასტუმრო ინდუსტრიას 383 დამატებითი ახალი ოთახი შეემატება.[1]

მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობა. მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამა გულისხმობს მეწარმეების ფინანსურ და ტექნიკურ დახმარებას.იგი გამიზნულია ახალი ბიზნესის წამოწყების ან არსებულის გაფართოება/ გადაიარაღებისთვის.

პროგრამის მონაწილე უნდა აკმაყოფილებდეს რამდენიმე პირობას: უნდა იყოს საქართველოს სრულწლოვანი მოქალაქე და არავითარ შემთხვევაში, საჯარო მოხელე. ასევე არ უნდა გააჩნდეს მიმდინარე ვადაგადაცილებული საგადასახადო ვალდებულება სახელმწიფოს წინაშე.კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში განახორციელოს მინიმუმ 20%-იანი თანხობრივი თანამონაწილეობა და დარეგისტრირდეს გადასახადის გადამხდელ ფიზიკურ პირად, რომელსაც მინიჭებული აქვს გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი, გარდა დღგ-ს გადამხდელად რეგისტრირებული ფიზიკური პირისა. კომისიის მიერ შერჩეულ ბიზნეს გეგმების ავტორებს ეძლევა გრანტი და უტარდებათ ბიზნეს ადმინისტრირების ტრეინინგები.[2]

პროექტი საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა, რადგან 2018 წლის იანვრის მონაცემებით, ინდუსტრიული სოფლის მეურნეობის, სასტუმროსა და ქონების გადაცემის კომპონენტის ფარგლებში მხარდაჭერილია 328 პროექტი, ინვესტიიის ჯამური მოცულობა 800 მლნ ლარს აღემატება, ხოლო დასაქმებულთა რაოდენობა 13 200 _ზე მეტ ადამიანს შეადგენს.[3]

აღსანიშნავია, რომ ამ მიმართულებით ქვეყანაში განხორციელებული იმპორტირებული პროდუქცია საკმაო პოპულარობით სარგებლობს, კერძოდ, 2013 -2016 წლებში საშუალოდ

1 **http://qartuli.ge/geo/news-info/saxelmtsifo-programis-axali-komponenti-regionebshi-sastumro-industriis-ganvitareba-202/**

2 **http://qartuli.ge/geo/main/micro-and-small-business/**

3 **http://enterprisegeorgia.gov.ge/ge/media-center/news/awarmoe-saqarTveloSi-monacemebi1517562804?id=62**

წელიწადში 20 მილიონი დოლარის ოდენობის იმპორტი განხორციელდა მაშინ, როცა საქართველოში წარმოების ამ მიმართულებას მეტი პერსპექტივა გააჩნია.

პროგრამამ არაერთ წარმატებულ და მნიშვნელოვან საწარმოს შექმნას შეუწყო ხელი. მაგალითად კომპანია BPC (Bio Product Company), რომელიც სპეციალიზირებულია ნატურალური და ორგანული წვენების წარმოაბაში, გახდა 2016 წლის ბიზნესდაჯილდოების გამარჯვებული წლის აგრობიზნესის ნომინაციაში. კომპანიამ „უვ პრინტი“ ახალი პოლიგრაფიული საბეჭდი მანქანა-დანადგარი შეიძინა, რომლის ანალოგი არათუ საქართველოში, არამედ მთელ ამიერკავკასიასი არ არსებობს.

„აწარმოე საქართველოში“-ექსპორტი. პროგრამა აქტიურად მუშაობს საწარმობის განვითარებაზე, რათა მათ აითვისონ არა მხოლოდ ქართული, არამედ უცხოური ბაზარი.

ჯერჯერობით ექსპორტზე არც ისე ბევრ კომპანიას გააქვს თავისი ნაწარმი, თუმცა აღსანიშნავია რამდენიმე პროექტი. საწარმო „ჯორჯიან პროდაქტს“, რომელიც შინაური ცხოველების ავეჯის 17 მოდელს აწარმოებს , თავისი პროდუქცია ევროკავშირში გააქვს და მისი ფასი 40-დან 150 დოლარამდე მერყეობს. ასევე, 2018 წელს კომპანია „ფუტკარამ” თაფლი იაპონიაშიც გაიტანა გასაყიად. 2018 წლის 31 იანვრიდან 4 თებერვლის ჩათვლით გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ქალაქ ნიურნბერგში, გამართულ სათამაშოების გამოფენაზე „Spielwarenmesse 2018 ” სამმა ქართულმა კომპანიამ შპს „კოდალამ“ , „ჯეოთოიზმა“ და „თამაშობანამ“ მიიღო მონაწილეობა. გამოფენის მეორე დღეს ქართულმა სათამაშოების მწარმოებელმა კომპანიებმა 50-ზე მეტი შეხვედრა გამართეს პოტენციურ დამკვეთებთან და 10-მდე წარმატებულ შეთანხმებასაც მიაღწიეს.

„აწარმოე საქართველოში„ პროექტის დაბრკოლებები და გამოწვევები

მიუხედავად იმისა, რომ პროგრამამ უამრავ დამწყებ თუ გამოცდილ ბიზნესმენს შეუწყო ხელი იდეის განხორციელებაში რითაც, ერთი მხრივ, ხელი შეუწყო დასაქმებულ ადამიანთა

რაოდენობის, მათი შემოსავლებისა და ბიუჯეტის ზრდას და, მეორე მხრივ, ქვეყნის პოლულარიზაციას, არსებობს უამრავი ხელისშემშლელი ფაქტორი, რაც გვაშორებს აღნიშნული პროგამის შესაძლებობების მაქსიმუმთან.

პირველ რიგში, უნდა განვიხილოთ სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული საწარმოების დიდი ნაწილი სოფლის მეურნეობის პროდუქციას აწარმოებს, ეს საკმაოდ მცირე მაჩვენებელია იმ ფონზე, რომ ადგილობრივი პროდუქცია წამყვან ადგილს ვერ იკავებს ქვეყნის ბაზარზე და მას დიდი ოდენობით იმპორტირებული პროდუქცია ანაცვლებს. ძირითადი მიზეზები, თუ რატომ ვერ ითვისებს ჩვენი ქვეყანა მის პოტენციალს, არის ფერმერების მიერ მცირე მოცულობის პროდუქციის წარმოება, არასათანადო ინფრასტრუქტურა და სამაცივრე მეურნეობები, ფინანსების სიმცირე, ფერმერის ინფორმირებულობის ნაკლებობა და სხვა.

რაც შეეხება უცხოურ ბაზარს, აქ უფრო დიდი გამოწვევების წინაშე დგას საქართველო. იმ უამრავი მოთხოვნის დაკმაყოფილება, რომელსაც, მაგალითად, ევროკავშირის ბაზარი უყენებს იმპორტიორებს, საკმაოდ რთულია და მოითხოვს როგორც ინფორმირებულობის მაღარ დონეს, ასევე დიდი რაოდენობით ფინანსებს. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა გრანტის სახით აფინანსებს და ხელს უწყობს მწარმოებლებს დაბალპროცენტიანი სესხების აღებაში, ხშირად ეს არასაკმარისია, რადგან მწარმოებლებს კიდევ სჭირდებათ დამატებითი ფინანსური უზრუნველყოფა.როგორც სოფლის მეურნეობის, ასევე სხვა მიმართულების საწარმოების გახსნას დიდწილად აბრკოლებს არა მხოლოდ ფინანსების სიმცირე, არამედ კვალიფიციური პერსონალის ნაკლებობა.

დასკვნა

პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ მნიშვნელოვან როლს თამაშობს წარმოების განვითარებაში და ხელს უწყობს პერსპექტიული ბიზნეს იდეების განხორციელებას. დღემდე პროგრამის ფარგლებში შეიქმნა ან გადაიარაღდა საკმაოდ ბევრი

საწარმო, გადამზადდა და დასაქმდა უამრავი ადამიანი, ქვეყანა გახდა უფრო მიმზიდველი ფილმების, სერიალებისა თუ სატელევიზიო შოუების გადაღებისთვის და ა.შ

თუმცა, მიუხედავად მიღწეული წარმატებებისა, პროგრამა მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგას, როგორიცაა მაგალითად, ფინანსური დახმარებების ოდენობის გაზრდა, მოსახლეობის ინფორმირებულობა, მეწარმეების დახმარება ექსპორტისთვის საჭირო კრიტერიუმების დაკმაყოფილებაში და სხვა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. „აწარმოე საქართველოში“ ოფიციალური ვებ გვერდი, ინტერნეტი: http://qartuli.ge/geo/, ბოლო ნახვა, 8 თებერვალი, 2018.

2. სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“, ინტერნეტი: http://www.lmis.gov.ge/Lmis/Lmis.Portal.Web/Handlers/GetFile.ashx?Type=Project&ID=b9440a08-1bb9-410d-8b29-8f9c5031b3db , ბოლო ნახვა, 8 თებერვალი, 2018.

3. „გადაიღე საქართველოში“ ოფიციალური ვებ გვერდი, ინტერნეტი: http://filmingeorgia.ge/ , ბოლო ნახვა, 8 თებერვალი, 2018.

4. საქართველოს კინომატოგრაფიის ეროვნული სააგენტოს ოფიციალური ვებ გვერდი, ინტერნეტი: http://www.gnfc.ge/eng/news/1102 , ბოლო ნახვა, 8 თებერვალი. 2018. 5.

5. „აწარმოე საქართველოში“. ინტერნეტი: http://enterprisegeorgia.gov.ge/, ბოლო ნახვა, 8 თებერვალი, 2018.

REFERENCES:

1. “Enterprise in Georgia” official web-page, Retrieved February 8, 2018 from http://qartuli.ge/geo/.

2. State program “Enterprise in Georgia”, Retrieved February 8, 2018 from http://www.lmis.gov.ge/Lmis/Lmis.Portal.Web/Handlers/GetFile.ashx?Type=Project&ID=b9440a08-1bb9-410d-8b29-8f9c5031b3db.

3. “Film in Georgia” official web-page, Retrieved February 8, 2018

from http://filmingeorgia.ge/.

4. Georgian National Film Center official web-page, Retrieved February 8, 2018 from http://www.gnfc.ge/eng/news/1102.

5. „Enterprise in Georgia“ web-page. Retrieved February 8, 2018 from http://enterprisegeorgia.gov.ge/.

THE GOVERNMENTAL PROGRAM - "ENTERPRISE IN GEORGIA": ITS ESSENCE AND IMPORTANCE FOR GEORGIA

Maia Giorgadze, Natia Peradze;
Bachelor Students,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

RESUME

Nowadays Georgia is still considered to be an industrial-agricultural country. Accordingly the enterprise should have an important role in the economy of Georgia. In turn the government of Georgia tries to develop this realm of economy. One of these initiatives is a governmental program named 'enterprise in Georgia'. The main goal of this program is to assist entrepreneurs in setting up a business. This governmental initiative includes as financial as infrastructural and advisory services.

The program "enterprise in Georgia" works in several directions such as micro and small businesses, hotel industry and filmmaking. It will be useful for the state economy to facilitate above mentioned directions and to develop these fields of production.

Within this program, there were established many enterprises and hotels, was developed the film industry and became more competitive in the world market. 'Enterprise in Georgia' has also succeeded in a field of export. But in spite of these achievements, production in Georgia still faces the challenges which hinder to maximize a profit.

Key words: Enterprise, Financial Assistance, Infrastructure, Consultative Service, Agricultural product, Industry, Co-funding.

სოციალურ-ეკონომიკური ფონი საქართველოში და მიმდინარე გამოწვევები

ინგა გიგაური
ბიზნესის ადმინისტრირების
აკადემიური დოქტორი,
სტუ პროფესორი
მირანდა ფაცაცია, მაია ბიწაძე
სტუ ბაკალავრიატის
მე-4 კურსის სტუდენტები

რეზიუმე

სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკა ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის სისტემაწარმომქმნელი კომპონენტია, რომელიც მისი ყველა სხვა ელემენტების ფუნქციონირებას წარმართავს სოციალური სამართლიანობის, სოციალური დაცვის და ცხოვრების მაღალი დონის რეალიზაციის მიმართულებით.განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სოციალური პოლიტიკის როლი საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალ პერიოდში,როდესაც საქართველოში, ისევე როგორც სხვა პოსტსოციალისტურ ქვეყნებში, თვისებრივად შეიცვალა როგორც ეკონომიკის, ისე სოციალური სფეროს განვითარების კონცეპტუალური და მეთოდოლოგიური საფუძვლები.აღნიშნულ სფეროში დღემდე აქტუალურ გამოწვევად რჩება სიღარიბესთან ბრძოლა, დასაქმებისა და უმუშევრობის-როგორც მაკროეკონომიკური პრობლემების აღმოფხვრა. ასეთ სიტუაციაში ქვეყნის უსაფრთხოების თვალსაზრისით, უნდა ჩამოყალიბდეს ისეთი პოლიტიკა,რომელიც გარედან შემოთავაზებულ ლიბერალიზაციის პროცესს ეროვნულ ინტერესებს დაუმორჩილებს.

საკვანძო სიტყვები:სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა, სოციალური დაცვა სოციალური უსაფრთხოება, ეკონომიკური ზრდა, სოციალური სამართლიანობა

შესავალი

ბოლო ათწლეულში საქართველოს ეკონომიკამ მნიშვნელოვანი ზრდა განიცადა, რაც ძირითადად განპირობებული იყო პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებით, გაზრდილი საგარეო ვალებით და მიგრანტების გზავნილების დიდი მოცულობებით. აღნიშნულ ფაქტორებს ემატებოდა საბანკო დაკრედიტების მკვეთრი ზრდა, ამ ყოველივეს შედეგად კი ქვეყანაში ადგილი ქონდა შიდა მოთხოვნის ზრდას, რაც მეტწილად იმპორტის გაზრდის შედეგად კმაყოფილდებოდა. მოცემულ პერიოდში ადგილი ქონდა ეკონომიკის არაადეკვატურ ზრდას. არ მოხდა ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების თანმდევი ახალი და მაღალტექნოლოგიური დარგების განვითარება, რამაც მნიშვნელოვან წილად შეაფერხა კონკურენტუნარიანობის ამაღლება და ქვეყნის ეკონომიკის ინტეგრაცია გლობალურ და რეგიონულ ჭრილში.გაუაზრებელი ნეო-ლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკის შედეგად ქვეყნის ეკონომიკის ზრდა არანაირად არ აისახა მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის ცხოვრებაზე. შენარჩუნდა უმუშევრობისა და სიღარიბის მაღალი დონე, რაც დღეისთვის ქვეყნის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩება.ჩვენი ეკონომიკური პოლიტიკის მთავარი ორიენტირებია, ერთი მხრივ ადამიანი - მოქალაქე, რომლის კეთილდღეობა და სოციალური დაცულობა უზრუნველყოფილი უნდა იქნას სახელმწიფოს მიერ, და, მეორე მხრივ, საზოგადოება, რომელიც ამ ინდივიდების ერთობლიობას წარმოადგენს, რომელშიც თითეულ მოქალაქეს გააჩნია პასუხისმგებლობები საზოგადოებრივი ინტერესების მიმართ. ჩვენი სოციალურ- ეკონომიკური პოლიტიკა ემყარება სამ უმთავრეს პრინციპს. პირველი, ეს არის სწრაფი და ეფექტური ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა, რომელიც ორიენტირებული უნდა იყოს ეკონომიკის რეალური (წარმოების) სექტორის განვითარებისკენ. აღნიშნული აუცილებელია არსებული ეკონომიკური პრობლემის მოგვარების თვალსაზრისით და უზრუნველყოფს სამუშაო ადგილების შექმნას და სიღარიბის დაძლევას. მეორე, ეკონომიკური ზრდის შედეგად მიღებული

საყოველთაო სიკეთეების სამართლიანი გადანაწილების მეშვეობით საზოგადოებაში სოციალური თანასწორობის უზნრუნველყოფა, რაც მნიშვნელოვანია საყოველთაო კეთილდღეობის და მოსახლეობის ღირსეული ცხოვრების პირობებით უზრუნველსაყოფად.მესამე-მნიშვნელოვანი პრინციპია, ეკონომიკური განვითარების პროცესში ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება, რადგანაც ამ რესურსებზე თანაბარი უფლებები გააჩნიათ ამჟამინდელ და მომავალ თაობებს. ასევე, ეკონომიკური განვითარების პროცესში ეკოლოგიური უსაფრთხოების და მდგრადობის უზრუნველყოფა, ბუნებრივი კატაკლიზმების რისკების თავიდან აცილება და გამოწვეულ საფრთხეებთან ეფექტური ბრძოლა.

ძირითადი ტექსტი

ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკა უნდა განისაზღვროს თავისუფალი საბაზრო ურთიერთობებისა და ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების შერწყმის ოპტიმალური მოდელის შემუშავებით, რომელიც ძირითადი მაკროეკონომიკური მიზნების განხორციელებას უზრუნველყოფს. ესენია: მდგრადი ეკონომიკური ზრდა, სრული დასაქმება, ინფლაციის დონის მინიმიზაცია, და სოციალური სამართლიანობა.სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის მნიშვნელოვანი ამოცანაა თავისუფალი და სამართლიანი კონკურენციის ხელშეწყობა საქართ- ველოში მოქმედი ყველა ეკონომიკური აქტივობებისათვის, რაც ეფექტურ ანტიმონოპოლიურ პოლიტიკის გატარებას დაეფუძნება. აღნიშნული გულისხმობს ბაზარზე კონკურენციის შემზღუდველი ქმედებების აღმოფხვრას და ამავდროულად გონივრული რეგულაციების შემოღებას, რათა ბიზნესის გაფართოებას ხელოვნურად არ შეექმნას ბარიერები და არ მოხდეს სუსტი კონკურენტების ბაზრიდან გაქრობა. ამავდროულად კონკურენციის მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზა უნდა იყოს მაქსიმალურად მოქნილი, რათა არ მოხდეს ისეთი ინოვაციური ბიზნეს ინიციატივების ბლოკირება, რომელსაც მნიშვნელოვანი დადებითი ეფექტის მოტანა შეუძლია.ბიზნესი

თავისუფალი უნდა იყოს პოლიტიკისაგან და სახელმწიფო მას უნდა მიიჩნევდეს სამუშაო ადგილების შექმნის მნიშვნელოვან წყაროდ.კერძო სექტორის განვითარებას მნიშვნელოვნად ზღუდავს არასაკმარისი ფინანსური რესურსები. ამ კუთხით მნიშვნელოვანია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა. თუმცა ქვეყნის ეკონომიკისათვის მნიშვნელოვანი ზოგიერთი პროექტის დაფინანსების საჭირო მოცულობა აღემატება კერძო სექტორის ძალებს. ასეთი პროექტების განხორციელებას მნიშვენელოვანია ხელი შეუწყოს კერძო და საჯარო სექტორის პარტნიორობით დაფუძნებულმა საინვესტიციო ფონდებმა. დაფინანსების ალტერნატიული წყაროების და შესაბამისად ფინანსური რესურსის ხელმისაწვდომობის გაზრდისთვის მნიშვნელოვანია ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება. აღნიშნული ხელს შეუწყობს რესურსების მიმართვას პროდუქტიულ დარგებში, სტიმულს მიცემს დანაზოგების აკუმულირებას და შესაბამისად ინვესტიციების დაფინანსების უფრო იაფ და პროგნოზირებად სახსრებს წარმოქმნის. ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება ასევე წაახალისებს კომპანიების გამჭვირვალობისა და საერთაშორისო სააღრიცხვო სტანდარტებზე გადასვლას. აღნიშნული მიმართულებით მნიშვნელოვანია სახელმწიფომ შეიმუშაოს ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირების გამართული და მკაფიო საკანონდებლო ბაზა, ხელი შეუწყოს საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიებთან თანამშრომლობას და დანაზოგების სტიმულირებას.მაკროეკონომიკური სტაბილურობა წარმოადგენს ეკონომიკური განვითარების საფუძველს.გონივრული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს სტაბილური მაკროეკონომკური გარემოს შენარჩუნებაზე, მაკროეკონომიკური სტაბილურობის შესანარჩუნებლად უზრუნველყოფილ უნდა იქნეს სახელმწიფო ვალის მდგრადობა, ბიუჯეტის დეფიციტის დაბალ ნიშნულზე შენარჩუნება, ერთნიშნა ინფლაცია, თავისუფლად მცურავი სავალუტო კურსი. ასევე მნიშვნელოვანია ქვეყნის ფისკალური პოლიტიკა ორიენტირებული იყოს ადგილობრივი წარმოების განვითარებისაკენ, რისთვისაც მნიშვნელოვანია

დიფერენცირებული მოგების გადასახადის დაწესება (პრიორიტეტული) დარგების მიხედვით. აღნიშნული ხელს შეუწყობს სასურველი დარგების განვითარებას ქვეყანაში, რაც, თავის მხრივ, ექსპორტის სტიმულირებასაც მოახდენს.სოციალური სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში, როდესაც სახელმწიფო მნიშვნელოვან როლს თამაშობს საზოგადოების სოციალური ბადის შექმნაში, აუცილებელია შესაბამისი საბიუჯეტო სექტორის გაფართოება, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფოს პასუხისმგებლობის სფეროში არსებული სოციალური სერვისებით საზოგადოების უზრუნველყოფას.

სოციალური პოლიტიკის ეფექტიანობის განსაზღვრისათვის გამოიყენება სხვადასხვა ინდიკატორი. საერთაშორისო ინდიკატორად მიჩნეულია ჰუმანური განვითარების ინდექსი(იგი სამი ძირითადი მაჩვენებლით იანგარიშება: სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა,განათლების დონე და მ.შ.პ-ის მოცულობა ერთ სულზე. საქართველოს ჰუმანური განვითარების ზოგადი მაჩვენებელია- 0.769, რაც შეესაბამება მაღალი ჰუმანური განვითარების მქონე ქვეყნების ჯგუფს და ოდნავ გაუმჯობესებულია

2015 წლის მონაცემთან შედარებით (0.754). 2000-2015 წლებში საქართველოს მაჩვენებელი გაიზარდა 0.673-დან 0.769-მდე. მთლიანმა ზრდამ 14.3% შეადგინა.საქართველო 70-ე ადგილზეა 188 ქვეყანასა და ტერიტორიას შორის. თუმცაღა ცალკეული პარამეტრების მიხედვით, კერძოდ მშპ-ს ერთ სულზე მონაცემით არასახარბიელო მდგომარეობა გვაქვს 2017 წლის I და მე- IIე კვარტალში 2016 წელთან შედარებით. 2017წლის I კვარტალში მშპ 3003.7აშშ დოლარით, ანუ 77.7%-ით,მე- IIე კვარტალში 2842 აშშ დოლარით ანუ 73.5% -თ არის შემცირებული.

სოციალური უზრუნველყოფა	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	I 2017*	II 2017*
მშპ ერთ სულზე (მიმდინარე ფასებში), აშშ დოლარი**	**2623.0**	**3230.7**	**3523.4**	**3599.6**	**3676.2**	**3766.6**	**3864.6**	**860.9**	**1022.6**



	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016
საპენსიო პაკეტის და სოციალური პაკეტის მიმღებთა რიცხოვნობა, სულ, ათასი	838.5	835.9	826.8	857.0	857.0	866.2	874.9	887.3
მ. შ. საპენსიო პაკეტის მიმღები (ასაკით პენსიონერი), ათასი	660.0	662.3	666.4	682.9	686.7	697.2	707.7	720.2

დასკვნა

ამრიგად, სახელმწიფო სოციალური დაცვის ინსტიტუტია ძირითადი რგოლი, რომელიც მიმართული უნდა იყოს სიღარიბის დონის შემცირებისაკენ. ფინანსური და ინსტიტუციური პრობლემების მიუხედავად სახელმწიფო სოციალური დაცვის სისტემამ უნდა უზრუნველყოს ღარიბების პრიორიტეტული დაშვება სოციალური დაცვის რესურსებთან იმ პირობებში, როცა სიღარიბე იზომება სტანდარტებით, რომლებიც ორიენტირებულია შრომის ანაზღაურების რეგულირებაზე. ოფიციალური ხელფასის დაბალი დონის და შრომის ბაზარზე არაფორმალური ურთიერთობების ფართო გავრცელების პირობებში მსგავს სისტემას არ შეუძლია მისთვის მინიჭებული ფუნქციების სრულად რეალიზება.

„სოციალური დაცვა“ მიზნად ისახავს ადამიანის უფლებებისა და გარანტიების უზრუნველყოფას ცხოვრების დონის

სფეროში: შრომის უფლება,სოციალური უზრუნველყოფა, დასაქმებაში, ჯანმრთელობის დაცვაში, განათლების მიღებაში მხარდაჭერა და ა.შ. საზოგადოების სოციალური სტრუქტურა იმდენად მტკიცე უნდა იყოს,რომ უძლებდეს როგორც შიდა, ისე გარე საფრთხეებს და, ამასთან ატარებდეს რეფორმებისა და რევოლუციების გზით თვისებრივად განახლების პოტენციალს. ქვეყანამ უნდა იცოდეს რა, და როგორ უნდა გაკეთდეს იმისათვის,რომ მოსახლეობის ცხოვრების დონე ამაღლდეს და მიაღწიოს მსოფლიო თანამეგობრობის მიერ განსაზღვრულ სტანდარტებს,

გამოყენებული ლიტერატურა:

1. როზეტა ასათიანი, საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკა და სოციალური რეფორმები. შრომები, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია. საგამომცემლო ფირმა „სიახლე", თბილისი. 2008წ.

2. მ.ვანიშვილი, ნ. ჭიკაიძე, ნ. ვანიშვილი, სოციალური ეკონომიკა, თბ. 2015წ.

3. www.geostat.ge

REFERENCES:

1.Rozeta Asatiani The economic of the public sector and Social reforms.

Works, Georgian Academy of Economic Sciences. Publishing company "Novelty" Tbilisi .2008;(in Georgian Language)

2. M.Vanishvili, N.Chikaidze, N.Vanishvili, Social Economy, Tbilisi.2015;(in Georgian Language);

3.www.geostat.ge

THE SOCIO-ECONOMIC CIRCUMSTANCE IN GEORGIA AND CURRENT CHALLENGES

Inga Gigauri
Academic Doctor of Business Administration, GTU
Miranda Patsatsia, Maia Bitsadze
GTU Bachelor 4th Year Students,
Transport and Mechanical Engineering Faculty

RESUME

The State social policy, system of the economic policy of country is the generating component that will govern the functioning of all the other elements in direction of realization of social justice, social protection and high level of life. Extremely important is the role of the social policy during the transition period on the market relations, when in Georgia, as well as in other post-socialist countries, fundamentally there is changed the conceptual and methodological fundamentals of economic and social field development. In the mentioned field the current challenges are remained to fight against poverty, employment and unemployment, as to eliminate the macroeconomic problems. In such situation with the elimination of macroeconomic problems, in terms of security of country, there should be formulated such a policy that will obey to externally proposed liberalization process to national interests.

Key Words: Socio-economic policy, Social protection, Social security, Economic Growth, Social justice.

ეკონომიკური რეფორმები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში

სალომე გოშაძე, ნანა ნაჭყებია
თსუ სტუდენტები;

რეზიუმე

1918 წლის 26 მაისს საქართველოს ეროვნულმა საბჭომ მიიღო სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტი და ჩამოაყალიბა დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობა. ახალგაზრდა რესპუბლიკა მძიმე ეკონომიკური პრობლემების წინაშე იდგა. რუსეთის იმპერიაში საქართველოს საუკუნეზე მეტ ხანს ყოფნა ყოველ მხრივ ეწინააღმდეგებოდა ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკურ განვითარებას. სახელმწიფოებრიობის დაცვისათვის ქვეყანას ესაჭიროებოდა საკუთარი ფინანსური და სწორი ეკონომიკური პოლიტიკის წარმართვა. მხოლოდ დამოუკიდებლობის გამოცხადება არასაკმარისი აღმოჩნდებოდა, თუ საქართველო ვერ შეძლებდა დამოუკიდებლად ეკონომიკურ ცხოვრებას.

აღნიშნული თემის მიზანია საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში განხორციელებული ეკონომიკური რეფორმების შესწავლა-ანალიზი და ამ რეფორმების გატარების შედეგად მიღებული გამოცდილების გაზიარება თანამედროვე საქართველოსთვის. შესაბამისად, მივმართეთ თვისებრივი კვლევის მეთოდს. კერძოდ, კონტენტალანიზის, შედარებითი ანალიზისა და საარქივო მასალების გაცნობის საფუძველზე შევისწავლით საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეკონომიკურ გამოწვევებსა და პრობლემებს.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური რეფორმა, ეკონომიკური პოლიტიკა, ვაჭრობა-მრეწველობა, სახელმწიფო ბანკი, საბაჟო სისტემა.

შესავალი

დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ სახელმწიფოს პოლიტიკური მმართველობის ფორმად აღიარებულ იქნა დემოკრატიული რესპუბლიკა. პირველად საქართველოს ისტორიაში შეიქმნა ახალი ტიპის ქართული სახელმწიფოებრიობა - ევროპული ტიპის დემოკრატიული პოლიტიკური სისტემა. ამ სიახლემ ქვეყანა უამრავი ახალი გამოწვევის წინაშე დააყენა. ეკონომიკური თვალსაზრისით, საქართველოს მძიმე მემკვიდრეობა ერგო: მოშლილი წარმოება და ფინანსური სისტემა, ინფლაცია, გაუარესებული სოციალურ-ეკონომიკური პირობები, მოსახლეობის დაცემული ყიდვითუნარიანობა. ამ მდგომარეობის დასაძლევად კი საჭირო იყო ეფექტური ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება.

გატარებული ეკონომიკური რეფორმები მეოცე საუკუნის 90-იან წლებშიც იქნა გათვალისწინებული. შესაბამისად, აღნიშნულ კვლევას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქართული ეკონომიკური აზრის შესწავლაში. დამოუკიდებელი ეკონომიკის განვითარების მხრივ, უაღრესად აქტუალურია ის გამოცდილება, რომელიც დაგროვდა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ეკონომიკური რეფორმები, რომლებიც საქართველოს პირველი რესპუბლიკის მიერ გატარდა, სტრატეგიული მნიშვნელობის იყო და ემსახურებოდა იმ კრიზისიდან თავის დაღწევას, რომელიც რუსეთის იმპერიის რღვევასა და პირველი მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდს მოჰყვა.

ძირითადი ტექსტი

ეკონომიკურ-ფინანსური მდგომარეობა და ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები.საქართველოს იმდროინდელ მთავრობას მძიმე მემკვიდრეობა ერგო. დამოუკიდებელი ქვეყნის მშენებლობას ხელს უშლიდა მტრულად განწყობილი ძალები. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა შეიქმნა პირველი მსოფლიო ომის (1914-1918) დასრულების პერიოდში. ომმა მსოფლიო ეკონომიკურ განვითარებას ძლიერი დარტყმა მიაყენა - მოიშალა წარმოება, იმატა ინფლაციამ, პროდუქტებზე ფასების ზრდამ დააქვეითა მოსახლეობის ყიდვითუნარიანობა.

მთავრობის უპირველესი მიზანი საქართველოს რესპუბლიკის სუვერენიტეტისა და დემოკრატიული წყობილების გარე და შიგა საფრთხისაგან დაცვა გახდა. საქართველოს ეკონომიკაში რეფორმების განხორციელების სტრატეგიულ მიმართულებად განისაზღვრა:

- ფინანსური მეურნეობის მოწესრიგება,
- დამოუკიდებელი ფულადი და საბაჟო სისტემის შექმნა და მათ შორის საკუთარი ფულის მოჭრა;
- სახელმწიფო კონტროლის ჩამოყალიბება;
- რიგი პროდუქტების მიმოქცევაზე სახელმწიფო მონოპოლიის გამოცხადება;
- აგრარული რეფორმის სრულყოფილად ჩატარება და სხვ.

ამრიგად, დემოკრატიულმა მთავრობამ გამოკვეთა ქვეყანაში დამოუკიდებელი ეკონომიკის ჩამოყალიბების კურსი, რომელიც აგრარულ, ფულად-საკრედიტო, ვაჭრობის, საბაჟო, სტატისტიკური აღრიცხვის, ფინანსური კონტროლისა და სხვა სფეროების რეფორმირებას გულისხმობდა, მათ შორის კი ერთ-ერთი უპირველესი აგრარული რეფორმა იყო.

რეფორმა აგრარულ სექტორში. საქართველო იმთავითვე აგრარული ქვეყანა იყო და ახლად შექმნილი ქართული სახელმწიფოს ეკონომიკური აღორძინების მთავარ საფუძველს აგრარული რეფორმის სწორად წარმართვა წარმოადგენდა.

რუსეთის თებერვლის რევოლუციის შემდეგ აგრარული რეფორმის საკითხში ერთ-ერთი პირველი აქტით მიწების ყიდვა-გაყიდვა აიკრძალა. ასეთი გადაწყვეტილება გამიზნული იყო მიწებით სპეკულაციის თავიდან ასაცილებლად. მიწები გაიყიდებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მიიღებდნენ ნებართვას ადგილობრივი საგუბერნიო საადგილმამულო კომიტეტებიდან და მიწათმოქმედების მინისტრისაგან.

ამიერკავკასიის საკანონმდებლო კრება-სეიმმა თებერვლის შუა რიცხვებში კვლავ იმსჯელა მიწის საკითხზე. სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ინიციატივით საჩქაროდ შემუშავდა კანონი მიწების კონფისკაციის ცხოვრებაში გატარების შესახებ, რომელიც სეიმმა 7 მარტს მიიღო. ამ კანონით დადგინდა მიწების

ჩამორთმევის წესები და მემამულეებისათვის მიწების დატოვების ნორმები.

აგრარული რეფორმა ორი ძირითადი საფეხურისაგან შედგებოდა: პირველი, ეს იყო მიწების ნორმის ზევით ჩამორთმევა და მეორე, მიწების კერძო საკუთრებაში გადაცემა. რეფორმის პირველი ნაწილი – მესაკუთრეთათვის ნორმაზე მეტი მიწის ჩამორთმევა – 1918 წლის აგვისტოში დაიწყო, ხოლო 1919 წლის შემოდგომისათვის ეს პროცესი ფაქტობრივად დასრულდა.

აგრარული რეფორმის შედარებით უფრო რთული მეორე ეტაპი-მიწის ფონდის დანაწილება და გლეხობის საკუთრებაში გადაცემა კანონმდებლობის შესაბამისად უნდა გადაწყვეტილიყო. გასათვალისწინებელი იყო ის გარემოება, რომ მიწა ახალ მესაკუთრეს ეძლეოდა არა უფასოდ, არამედ – შეღავათიან ფასებში. მიწათმოქმედების მინისტრი, სამაზრო ერობასთან შეთანხმებით, აწესებდა თითოეული რაიონისათვის მიწაზე საშუალო შეღავათიან ფასს.

ამრიგად, დამოუკიდებელ საქართველოში ჩატარებული აგრარული რეფორმა გარკვეულწილად დაუკავშირდა XIX საუკუნის 60-იანი წლების რეფორმას, რომელმაც გლეხობის მდგომარეობა ვერ გააუმჯობესა.

სახელმწიფო კონტროლის ჩამოყალიბება. სახელმწიფოს ეკონომიკურ განვითარებას დიდად განსაზღვრავს თავისი შემოსავალ-გასავლის მკაცრი აღრიცხვა და ბიუჯეტის წარმატებით შესრულება. ქვეყნის შემოსავლის დიდ ნაწილს კი სხვადასხვა საგადასახადო და არასაგადასახადო შემოსავალი შეადგენს. ყოველი ხარჯი ეკონომიკური აუცილებლობით უნდა იყოს განპირობებული. ეს ხდება მაშინ, როდესაც ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგ, ქვეყანა თავის შემოსავალ-გასავალს საფუძვლიანად გააკონტროლებს. ასეთი უფლებებით აღჭურვილია სახელმწიფო კონტროლის ორგანო. კონტროლი არა მარტო ატარებს რევიზიებს და გამოავლენს შეცდომებს თუ ბოროტმოქმედებას, არამედ წინასწარ ზომებს მიმართავს, აფრთხილებს და მიუთითებს ბიუჯეტურ დაწესებულებებს, ამა თუ იმ ოპერაციის ზარალიანობასა თუ წარმატებაზე.

საქართველოს სახელმწიფო ბანკის დაარსება. 1918 წლის 28 მაისს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სხდომაზე გადაწყდა საქართველოს ეროვნული ბანკის დაარსება. საქართველოს სახელმწიფო ბანკს ჩვეულებრივი ოპერაციების გარდა თვალყური უნდა ედევნებინა ყველა კერძო საკრედიტო დაწესებულებათა ოპერაციებისათვის. იგი ფაქტობრივად უნდა ყოფილიყო ბანკების ბანკი და საქართველოს ტერიტორიაზე მთელი საკრედიტო ურთიერთობების რეგულატორი. ბანკის ოპერაციებიდან მიღებული წმინდა მოგების ნაწილი ირიცხებოდა სარეზერვო თანხებში, ნაწილი კი ხაზინის შემოსავლებში. სახელმწიფო ბანკს ჰქონდა თავისი ბეჭედი რესპუბლიკის სახელმწიფო გერბითა და წარწერით «საქართველოს სახელმწიფო ბანკი».

რეფორმები საბაჟო სისტემისა და უმაღლესი ეკონომიკური საჭოს შექმნის შესახებ. 1918 წლის 30 აგვისტოს ეროვნულმა საბჭომ მიიღო კანონი «საბაჟო დაწესებულებათა მოწყობისა.» აღნიშნული კანონის თანახმად, საქართველოს ტერიტორიაზე გაუქმდა რუსეთის დაარსებული ყველა საბაჟო დაწესებულება. არსებული 14 საბაჟოს ნაცვლად, საქართველოს ტერიტორიაზე დაარსდა 19 საბაჟო, რომელთაც განაგებდა ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრო მთავარი საბაჟოს მეშვეობით. ახალი საბაჟოების შექმნასთან ერთად დამტკიცდა მოსამსახურეთა ახალი საშტატო განრიგებიც.

რაც შეეხება ეკონომიკურ საბჭოს, მას ეკონომიკაში მიმდინარე პროცესებზე ეფექტური ზემოქმედება უნდა მოეხდინა. ეკონომიკური საბჭო უნდა ყოფილიყო უმაღლესი დაწესებულება, რომლის გარშემოც შეიკრიბებოდა რესპუბლიკის ყველა წამყვანი პროფესიონალი ძალა, რომლებიც შეადგენდნენ ქვეყნის განვითარების ეკონომიკურ (მათ შორის ფინანსურ) გეგმას.

უმაღლესმა ეკონომიკურმა საბჭომ ფუნქციონირება ვერ შეძლო, რადგან სულ მალე საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ ცნობილი მოვლენების გამო არსებობა შეწყვიტა.

დასკვნა

დამოუკიდებლობის გამოცხადების პირველივე დღეებიდან საქართველოს მთავრობას უმწვავესი ფინანსურ-ეკონომიური კრიზისი უნდა დაეძლია და ჩამოეყალიბებინა ეკონომიკური პოლიტიკის სწორი მიმართულებები. გატარდა მნიშვნელოვანი ეკონომიკური რეფორმებიც. მიუხედავად ამისა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის ბოლო წლებშიც კი შეიქმნა მძიმე სოციალურ-ეკონომიკური სიტუაცია. ეკონომიკის განვითარებაზე მძიმედ ზემოქმედებდა ბიუჯეტის დეფიციტი, ინფლაციის ზრდა, ინვესტიციების არასაკმარისობა, წარმოების არასათანადოდ განვითარება და ა.შ.; ამ მხრივ, მნიშვნელოვანია ის გამოცდილება, რომელიც ქვეყანას აღნიშნული 3 წლის განმავლობაში დაუგროვდა. მას შემდეგ, რაც XX საუკუნის 90-იან წლებში კვლავ აღდგა ქვეყნის დამოუკიდებლობა, უაღრესად აქტუალური გახდა დემოკრატიულ საქართველოში დაგროვილი დადებითი გამოცდილების გათვალისწინება ეკონომიკური რეფორმების სფეროში.

ლიტერატურა:

1. ათანელიშვილი თ., (2016), „ეკონომიკური რეფორმები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921 წწ.)“;

2. ბექთეშაშვილი რ., „საქართველოს პირველ რესპუბლიკაში განხორციელებული ეკონომიკური რეფორმები და პოლიტიკა“;

3. ქისტაური შ., 1993, „ეროვნული ვალუტა“, თბილისი;

4. საქართველოს ეროვნული ბანკი, *https://www.nbg.gov.ge/index.php?m=426*

REFERENCES:

1. T. Atanelishvili, 2016, “Economic Reforms in the Democratic Republic of Georgia (1918-1921)”l

2. R. Bekteshashvili, “Economic Reforms and Policies in the First Republic of Georgia”;

3. Sh. Kistauri, 1993, “National Currency”, Tbilisi;

4. National Bank of Georgia, *https://www.nbg.gov.ge/index.php?m=426* .

ECONOMIC REFORMS IN THE DEMOCRATIC REPUBLIC OF GEORGIA

Salome Goshadze, Nana Nachkebia,
TSU Bachelor 3rd year Students,
Faculty of Social and Political Sciences;

RESUME

On 26 May 1918 the National Council of Georgia adopted the Act of State Independence and established the Government of Independent Georgia. The young republic was facing some severe economic problems. Being in the Russian Empire more than a century has been contrary to the political and economic development of the country.

For the protection of statehood, the country needed to have its own financial and correct economic policy. Only the declaration of independence would be inadequate if Georgia could not live independently.

The objective of the abovementioned theme is to study and to analyze the economic reforms implemented in the Democratic Republic of Georgia and to share the experience obtained through the implementation of these reforms for modern Georgia. Therefore, we applied the qualitative research method. In particular, we studied the economic challenges and problems of the Democratic Republic of Georgia on the basis of the content analysis, comparative analysis and archival materials.

Key words: Economic Reform, Economic Policy, Trade-Industry, State Bank, Customs System.

ინფლაციის გავლენა ფულის რეალურ ღირებულებაზე

რუსუდან პაპასკირი
ეკონომიკის დოქტორი,სოხუმის
სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

რეზიუმე

სტატიაში განხილულია ინფლაციის დონე საქართველოში და საზღვარგარეთ, ნაჩვენებია საქართველოში 2017 წლის ინფლაციის სამიზნე მაჩვენებლის დიდი ჩამორჩენა ფაქტიური მაჩვენებლიდან, ხოლო 2018 წლის სამიზნე მაჩვენებელი ჩათვლილია მისაღწევ მაჩვენებლად.

სტატიაში დასახელებულია ის მიზეზები, რომლებიც იწვევენ ინფლაციას, შედეგად – ფასების ზრდას და გამომდინარე აქედან, ფულის რეალური ღირებულების შემცირებას. სტატიაში ნაჩვენებია საქართველოში 2005-2015 წლებში სამომხმარებლო საქონლის ფასების ინდექსის ზრდა და, აგრეთვე, ქართველი მომხმარებლების საყურადღებოდ წარმოდგენილია ვ. კოვალიოვის მიერ შემუშავებული ინფლაციის პროგნოზირების ალგორითმი, რომლის დაუფლება დაეხმარება მათ ინფლაციის ნეგატიური ზემოქმედების აცილებაში.

საკვანძო სიტყვები: ინფლაცია; ფული; რეალური ღირებულება; ფასების ინდექსი; ინფლაციის პროგნოზი.

შესავალი

საქართველო ღარიბი ქვეყანაა. ამასთან, ეს სიღარიბე სტატიკური არ არის. იგი მუდმივად მწვავდება და ღრმავდება. ამის ერთ-ერთი მიზეზი არის ინფლაცია, რომელიც ახდენს ფულის რეალური

ღირებულების შემცირებას. საქართველოს მთავრობამ დღემდე ვერ შეძლო ინფლაციის დონის ნორმის ფარგლებში შენარჩუნება. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის შემდეგ, ე. ი. 1991 წლიდან დაწყებული და 2017 წლით დამთავრებული ინფლაციის მიზეზით პირველი მოთხოვნილების საქონელზე ფასები მნიშვნელოვნად არის გაზრდილი.

ძირითადი ნაწილი

1. ინფლაცია და მისი კავშირი დროსთან.

ინფლაცია ლათინური წარმოშობის სიტყვაა (Inflatio) და გაბერვას ნიშნავს. ინფლაცია წარმოიშვება მაშინ, როცა ბაზარს მიეწოდება უფრო მეტი ფული, ვიდრე მასზე საქონელი და მომსახურება არის წარმოდგენილი. შედეგად, იმატებს ფასები და უფასურდება ფული, ანუ ერთი და იმავე ფულის რაოდენობით სულ უფრო ნაკლები საქონლის (პროდუქცია, მომსახურება) შეძენა შეიძლება, ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ერთი და იმავე რაოდენობის საქონლის შესაძენად წინა წლებთან შედარებით მეტი რაოდენობის ფულია საჭირო. აი, ამაში გამოიხატება ინფლაციის ნეგატიური გავლენა ფულის რეალურ ღირებულებაზე.

ფულს აქვს ნომინალური და რეალური ღირებულება. ინფლაცია მოქმედებს არა ნომინალურ, არამედ, რეალურ ღირებულებაზე. ფულის ნომინალური ღირებულება დროში არ იცვლება (გამონაკლისია ფულის ბანკნოტების გაცვეთა), რეალურ ღირებულებას კი ინფლაცია ცვლის.

ინფლაცია დროში მიმდინარეობს. ორი დღის პერიოდშიც კი იგი ან მოიმატებს, ან დაიკლებს. ერთი და იგივე დონის შენარჩუნება იშვიათად ხდება. მაშასადამე, ინფლაციას დროსთან აქვს კავშირი. ეს ისე არ უნდა გავიგოთ, რომ თვითონ დრო – დღე, კვირა, თვე, წელი – ახდენდეს მასზე გავლენას. სრულიადაც არა. ინფლაციაზე გავლენას ახდენს ამ დროში ქვეყანაში განხორციელებული ის პროცესები, რომლებიც იწვევენ ინფლაციას. მაგალითად, ასეთი არის ეროვნული ბანკის მიერ ფულის დაუსაბუთებელი რაოდენობის ემისია, ხელფასების ან პენსიების მასიური მომატება და ა. შ.

ყოველივე ზემოთნათქვამიდან გამომდინარე, ქვეყნის მთავრობას და ფულად-საკრედიტო სფეროს მარეგულირებელ ორგანოებს ევალებათ ასეთ საკითხებისადმი მეტად ფრთხილი მიდგომა, მათი ეტაპობრივი და ბაზრის მოთხოვნებთან მისადაგებული განხორციელება.

2. ინფლაცია საქართველოში და საზღვარგარეთ.

2017 წელი ვერ იყო წარმატებული ფასების საერთო დონის ზრდისგან პრევენციის კუთხით. ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი 2017 წელს 4%-ს შეადგენდა, თუმცა, წლიური ინფლაცია (2017 წლის დეკემბრის მონაცემებით) 6,9%-ის დონეზე დაფიქსირდა [1, გვ. 9]. სამომხმარებლო საქონელზე ფასების დეტალური ანალიზი ცხადყოფს, რომ წინა წლის ანალოგიურ ფასებთან შედარებით, სამომხმარებლო ფასების ინდექსში შემავალ მთელ რიგ საქონელზე, მათ შორის მედიკამენტებზე და სამედიცინო სერვისებზე ფასები გაზრდილია. მნიშვნელოვანი ზრდა ფიქსირდება ასევე სურსათზე და უალკოჰოლო სასმელებზე. სპეციალისტთა აზრით, რასაც ჩვენც ვიზიარებთ, მეტწილად ასეთი ზრდა არის ერთგვარი შედეგი, ერთის მხრივ, აქციზური განაკვეთების ზრდის, ხოლო მეორე მხრივ, ლარის კურსის მკვეთრი დევალვაციის.

2015 წლის სამომხმარებლო ფასების საშუალო წლიურმა ინდექსმა 2005 წელთან შედარებით 114,7% შეადგინა, ხოლო სამრეწველო პროდუქციის წლიურმა საშუალო ინდექსმა 124,2% [2, გვ. 232]. მაშასადამე, პირველი ჯგუფის საქონელზე ფასები 14,7%-ით გაიზარდა, მ. შ. სამრეწველო საქონელზე, რომელშიც სურსათიც შედის – 24,2%-ით. მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში (2015 წელს, 2014 წელთან შედარებით) 17,6%-ით არის აგზრდილი ელექტროენერგიის და აირის ღირებულების ინდექსიც [2, გვ. 237]. ეს ნიშნავს იმას, რომ ამდენითვე შემცირდა მოსახლეობის ხელში არსებული ფულის რეალური ღირებულება.

რა თქმა უნდა, არის ისეთი საქონელიც, რომელთა ფასები კი არ გაიზარდა, არამედ, შემცირდა. მაგალითად, ავტომობილების ფასები 2015 წელს 2014 წელთან შედარებით 20%-ით არის შემცირებული, მეტალურგიული პროდუქცია 11%-ით, ქიმიური პროდუქ-

ცია 7,8%-ით, საათები და საზომ-საწონი ხელსაწყოები 1,3%-ით [2, გვ. 236], მაგრამ ეს საქონელი არ არის პირველადი მოხმარების და ისინი ნაკლებად საჭიროა ქვეყნის ფართო მოსახლეობისათვის.

2018 წლისთვის საქართველოს ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი არის 3 პროცენტი. ეს მაჩვენებელი 2017 წლის 4 პროცენტთან შედარებით უფრო მიღწევადია, თუ რა თქმა უნდა, ლარის კურსი დოლართან მიმართებაში 2,45 – 2,50-ის ფარგლებში იქნება შენარჩუნებული და აგრეთვე, თუ ეროვნული ბანკი ან ფინანსთა სამინისტრო არ გადადგამს ბაზრის მოთხოვნებთან შეუსაბამო რაიმე ნაბიჯებს.

ამის გარდა, საქართველოში 2018 წლის ინფლაციის ზემოაღნიშნული სამიზნე მაჩვენებელი (3%) – ახლოსაა აშშ-ს (2%), კანადის (2%), გერმანიის (2%), ესტონეთის (4%) და სხვა წარმატებული ქვეყნების შესაბამის მაჩვენებლებთან, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ კუთხით ჩვენ სწორი გზა გვაქვს არჩეული.

3. როგორ დავიცვათ თავი ინფლაციისგან.

ინფლაციის პროცესი მეტად მტკივნეულია როგორც მოსახლეობისათვის (განსაკუთრებით მისი იმ ნაწილისთვის, რომელსაც ფიქსირებული შემოსავლები აქვს), ისე იურიდიული პირებისათვის. ამიტომ, საჭიროა ისინი ფლობდნენ ცოდნას ფულის სყიდვითუნარიანობაზე ინფლაციის გავლენის გაანგარიშების მექანიზმს, რათა მზად იყვნენ კონტრღონისძიებების მისაღებად.

ამის გამოანგარიშების მექანიზმი არსებობს. იგი შემუშავებულია რუსი მეცნიერი ვ. კოვალიოვის მიერ. მაგრამ ეს პროცედურა დაინტერესებულმა პირმა უნდა ჩაატაროს არა ინფლაციის დადგომის შემდეგ, არამედ, მის წინა პერიოდში, როცა უკვე გაკეთდება ინფლაციის მოსალოდნელი ზრდის სავარაუდო პროგნოზი. ეს საჭიროა იმისთვის, რომ დაინტერესებულ პირს დრო ეყოს ფულის რეალური ღირებულების დაცემით მოსალოდნელი ზარალის თავიდან აცილებისთვის თადარიგის დასაჭერად.

მეცნიერი ვ. კოვლიოვი მარტივ მაგალითზე მეწარმეებისთვის ანაგრიშობს, თუ რამდენ დღეში გაუუფასურდებათ მათ 2-ჯერ მათ ხელთ არსებული ფული, თუ ფასების ზრდის თვიური ტემპი 3% იქნება, ანუ როცა მიმდინარე თვის ფასები წინა თვის ფასების

მიმართ 1, 03-ს გაუტოლდება. მისი ანგარიშის ალგორითმი ასეთია [3, გვ. 934]:

1. იანგარიშება ინფლაციის ერთდღიანი ტემპი (ითვლება, რომ თვეში არის 30 დღე):
$\bar{I}_p^d = \sqrt[30]{1,03} = 1,000986 \cdot 100\% = 0,0986\%$, ანუ ყოველდღე ფასები იზრდება 0,0986%-ით.
2. იანგარიშება ფულის 2-ჯერ გაუფასურების პერიოდი. ამისათვის გამოიყენება n-დღის ფასების ინდექსი $I_p^d = \left(1 + h_p^d\right)^n$.

მოცემულ მაგალითში $I_p^n = 2$-ს, ხოლო $h_p^d = 0,0986\%$-ს, მაშინ $2 = \left(1 + 0,0986\right)^n$.

$n = 703$ დღეს.

მაშასადამე, თუ ქვეყანაში ინფლაციის ზრდის თვიური ტემპის პროგნოზი 3%-ია, მაშინ, ნებისმიერ ფიზიკურ, თუ იურიდიულ პირს მის ხელთ არსებული ფული 2-ჯერ გაუუფასურდება 703 დღის ანუ 1,9 წლის შემდეგ.

ანგარიშის ეს ერთობ მარტივი მეთოდი მეწარმეებს, ბანკირებს და საერთოდ ნებისმიერ ადამიანს ინფლაციიდან თავდაცვის კარგ შანსს აძლევს. ეს შანსი ასეთია: იანგარიშებს რა მის ხელთ არსებული ფულის მნიშვნელოვანი გაუარესების ალბათობას, გონიერი ადამიანი ფულის დიდ ნაწილს გადაიყვანს მაღალლიკვიდურ ფასიან ქაღალდებში, მეორე ნაწილს – უძრავ ქონებაში, მესამეს – მყარ ვალუტაში, ხოლო მეოთხეს და ამასთან, მეტად მცირე ნაწილს, კვლავაც დაიტოვებს ეროვნულ ვალუტაში ყოველდღიური ხარჯებისთვის. ფულადი სახსრების ასეთი სტრუქტურირების რაიმე ოპტიმალური მექანიზმი არ არსებობს. აქ ადამიანს უნდა დაეხმაროს მისი ინტუიცია, გამოცდილება და ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ ინფორმირებულობა.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ვ. კოვალიოვის მიერ შემოთავაზებული ეს ალგორითმი ქმედით დახმარებას გაუწევს ქართველ ბიზნესმენებს და მოსახლეობას ინფლაციისგან თავის დაცვაში.

ლიტერატურა:

1. შ. გულბანი. 2017 წლის ეკონომიკური პანორამა. გაზეთი „ბანკები და ფინანსები“. 2017 წ. 25 დეკე,ბერი.
2. საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული. თბ., 2016.
3. Ковалев В. Фшнансовый менеджмент, М., ИГФРА. 2007.

REFERENCES:

1. Sh. Gulbani, Economical panorama of 2017 year, newspaper “Banks and finances”, 25th of December ,2017 (In Georgian language).
2. Georgian Statistic duration, Tb, 2016 (In Georgian language).
3. Covalev V., Financial Management, M., IGFRA, 2007 (In Russian language).

THE INFLUENCE OF INFLATION ON REAL COST OF MONEY

Rusudan Papaskiri,
Ph.D. in Economics,
Associate Professor of
Sukhumi State University

RESUME

In the article _ **“The influence of inflation on the real cost of money “** there is discussed the level of inflation in Georgia and abroad. It is shown the big decrease of target indicator in Georgia in 2017 from the factual indicator, and the target indicator in 2018 is considered as the attained indicator.

In the article there are given the reasons that cause inflation, as a result of increasing prices and therefore, the reducing of real cost of money. In the article it is shown the growth of index prices on consumer goods in Georgia in 2005-2015 and it is presented the algorithm of inflation prediction by V. Covilov for Georgian customers by means of it can be avoided the negative influence of inflation.

Key words: Inflation, Cash, Real Cost, Index of prices, Inflation prediction.

მაროკოს ეკონომიკის განვითარების ზოგიერთი ასპექტი

ნატა ქირია,
მარიამ მუქერია
თსუ ბაკალავრიატის
მე-4 კურსის სტუდენტები

რეზიუმე

მაროკო გამოირჩევა საინტერესი პოლიტიკურ-გეოგრაფიული მდებარეობით, სწორედ ამიტომ ის საუკუნეების მანძილზე სხვადასხვა დამპყრობლის ბატონობის ქვეშ იმყოფებოდა, მაგრამ მიუხედავად ამისა მან მაინც შეძლო და განავითარა მდიდარი და თვითმყოფადი კულტურა. მაროკო თავისი მდებარეობიდან გამომდინარე წარმოადგენს გზაგასაყარს აფრიკასა და ევროპას შორის და ეს კულტურასთან ერთად ეკონომიკაზეც მოქმედებს. ამიტომ საინტერესო იქნება მაროკოს ეკონომიკური სტრუქტურის შესწავლა, რადგან ის ცდილობს აფრიკის მასშტაბით გახდეს ერთ-ერთი განვითარებული ქვეყანა და დაამყაროს ეკონომიკური კავშირები ევროპის დიდ ქვეყნებთან და შექმნას ღია ეკონომიკა. მაროკოს ლიბერალური ეკონომიკის განვითარების დიდი პოტენციალი გააჩნია, რაშიც მთავარ როლს მისი ეკონომიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა თამაშობს და ის აქტიურად ცდილობს მოიზიდოს უცხოური ინვესტიციები. ასევე მაროკოს ეკონომიკის შესწავლა საინტერესოა მისი ტურისტული და ბუნებრივი რესურსების პოტენციალიდან გამომდინარეც.

საკვანძო სიტყვები: მთლიანი შიდა პროდუქტი, ლიბერალური ეკონომიკა, თავისუფალი ბაზარი, ექსპორტი, იმპორტი.

შესავალი

1980-იან წლებში მაროკო იყო ძალიან ჩამორჩენილი ქვეყანა დიდი საგარეო ვალებით და ეს ვითარება გრძელდებოდა მანმადე, სანამ საერთაშორისო სავალუტო ფონდმა არ გაატარა მკაცრი ზედამხედველობის ზომები და საბაზრო რეფორმები. 1999 წელს

ტახტზე ავიდა მეფე მუჰამედ მეექვსე. ის ხელმძღვანელობდა ქვეყანაში სტაბილური ზრდის, დაბალი ინფლაციისა და უმუშევრობის თანდათან შემცირების პრინციპზე. 2016 წლის მონაცემებით მაროკოში ინფლაციის მაჩვენებელი 1,8%-ის ტოლი იყო, ხოლო დაუსაქმებელთა ხვედრითი წილი ქვეყნის 12,23 მილიონიანი ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 9,9%-ს შეადგენდა (CIA).

ძირითადი ნაწილი

დღეისათვის მაროკო კაპიტალიზირებულია ევროპასთან სიახლოვეზე და შედარებით დაბალ შრომის ხარჯებზე, რადგან შექმნას მრავალფეროვანი, ღია ბაზარზე ორიენტირებული ეკონომიკა. ამჟამად მაროკოს აქვს შეფარდებით ლიბერალური ეკონომიკა, რომელიც კონტროლდება მთავრობის მიერ დადგენილი კანონით. კანონი აკონტროლებს და არეგულირებს ბაზრის მოთხოვნებს, მის მომარაგებას. ქვეყნის ეკონომიკური ზრდის გასაუმჯობესებლად 1993 წლიდან ზოგიერთი სექტორი არის მთავრობის გავლენის ქვეშ, რაც ხელს უშლის მაროკოში ბოლომდე ლიბერალური ორიენტაციის ეკონომიკის ჩამოყალიბებას. მაროკო ხასიათდება დაბალი ინფლაციის ხარისხითა და მდგრადი განვითარებით მომსახურეობისა და მრეწველობის სექტორებში.

2003 წლის შემდეგ მაროკოს ფინანსურმა სექტორმა განიცადა მნიშვნელოვნად შესამჩნევი განვითარება, რაც მეფე მუჰამედ მეექვსის მიერ გატარებული რეფორმების შედეგი იყო. მეფემ 2005 წელს აამოქმედა 2 მილიონიანი პროექტი, ,,ეროვნული ინიციატივა ხალხის განვითარებისათვის", რომელმაც გზა გაუკვალა რევიზიას სოფლის მეურნეობისა და ტურიზმის სფეროებში და ქალაქური ,,ჯურღმულები" ჩაანაცვლა უფრო მოწესრიგებული ტიპის დასახლებებით. რაც შეეხება მთლიან შიდა პროდუქტს 2010 წლისთვის ის შეადგენდა 91,702 მილიარდ დოლარს და იზრდებოდა 4%-ით. 2016 წლისთვის ის წინა წლებთან შედარებით ძალიან გაიზარდა და გახდა 282,8 მილიარდი დოლარი, ქვეყანა ამ მაჩვენებლის მიხედვით მსოფლიოს მასშტაბით 59-ე ადგილზეა. ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის განაწილებით კი მაროკო

ძალიან ჩამორჩება განვითარებულ ქვეყნებს. 2016 წლისთვის მშპ ერთ სულ მოსახლეზე 8 400 დოლარია და ამ მაჩვენებლით ის მსოფლიოს მასშტაბით 144 ადგილი იკავებს. რაც შეეხება მშპ-ს ზრდის ტემპს 2014 წელს იყო 2,6%, 2015 წლისთვის ძალიან გაიზარდა და გახდა 4,5%, ხოლო 2016 წელს საგრძნობლად შემცირდა და არ აღემატებოდა 1,8%-ს (CIA).

მაროკომ ინვესტიციები გაზარდა პორტში, ტრანსპორტსა და სამრეწველო ინფრასტრუქტურაში იმისათვის, რომ დაიმკვიდრებინა თავი, როგორც აფრიკის საბროკერო ბიზნეს ცენტრს. მაროკო გახდა აფრიკული ეკონომიკის საქმიანი ურთიერთობების მთავარი მოთამაშე. ის აფრიკის მასშტაბით მთლიანი შიდა პროდუქტის მიხედვით მეხუთე ადგილს იკავებს. აღსანიშნავია, რომ მაროკო ცხოვრების ხარისხის მიხედვით იკავებდა პირველ ადგილს აფრიკაში და უსწრებდა სამხრეთ აფრიკასაც კი, მაგრამ ამჟამად შეიცვალა პოზიცია და გახდა კონტინენტზე ცხოვრების ხარისხის მიხედვით მეოთხე ქვეყანა, მას გაუსწრო ეგვიპტემ, თუმცა ანგოლა ჯერ კიდევ ჩამორჩება მაროკოს ამ პარამეტრის მიხედვით. 2014 წელს სამრეწველო განვითარების სტრატეგიებმა და ინფრასტრუქტურის განვითარებამ, რომელიც განსაკუთრებით გამოიხატა ახალ პორტსა და თავისუფალ სავაჭრო ზონაში ტანჟერის მახლობლად, გააუმჯობესა მაროკოს კონკურენტუნარიანობა. მაროკომ გააუქმა სუბსიდიები ბენზინზე, დიზელსა და საწვავ ზეთზე, რითიც მნიშნელოვნად შეამცირა ხარჯები, რომლებიც მძიმე ტვირთად აწვებოდა ბიუჯეტს. მაგრამ სუბსიდიები უცვლელი რჩება ბუტანის გაზსა და გარკვეულ საკვებ პროდუქტზე. მაროკო ასევე ცდილობს გაზარდოს განახლებადი ენერგიეს სიმძლავრე, რომელიც 2030 წლისთვის ელექტროენერგიით მოამარაგებს მოსახლეობის 50%-ზე მეტს (CIA).

ეკონომიკის დარგების მიმოხილვა

2010 წელს მთლიანი შიდა პროდუქტის 14,7%-ს სოფლის მეურნეობიდან მიღებული შემოსავალი შეადგენდა, მშპ-ს 38,9%-ს მრეწველობიდან მიღებული შემოსავლები, ხოლო მომსახურეობის სფეროდან — 46,5%-ს. 2016 წელს კი მშპ-ში სოფლის მეურ-

ნეობის ხვედრითი წილი შემცირდა და შეადგინა 13,1%, ასევე საგრძნობლად შემცირდა მრეწველობის ხვედრითი წილი და გახდა 29,8% მათ ხარჯზე გაიზარდა მშპ-ში მომსახურეობის სფეროს ხვედრითი წილი და მან 57,2%-ს მიაღწია (CIA).

რაც შეეხება დასაქმებას ეკონომიკური სტრუქტურების მიხედვით 2014 წლისთვის ასე ნაწილდებოდა, სოფლის მეურნეობაში დასაქმებული იყო ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 39,1%, მრეწველობაში — 20,3%, ხოლო მომსახურეობის სფეროში — 40,5% (CIA). მაროკოს ეკონომიკის ძირითადი სექტორებია: სოფლის მეურნეობა, ტურიზმი, ქსოვილებისა და ტანსაცმლის წარმოება და ა.შ. ასევე მაროკო მდიდარია ისეთი რესურსებით, როგორებიცაა: ფოსფატები, რკინის მადანი, მანგანუმი, ტყვია, თუთია, თევზი, მარილი. მაგრამ მაროკოს ერთ-ერთ სპეციალიზაციის დარგად ფოსფორის მრეწველობის შემდეგ შეგვიძლია ტურიზმი მივიჩნიოთ.

ტურიზმი მაროკოს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ეკონომიკური სექტორია. ის ფოკუსირებულია ქვეყნის ადგილმდებარეობაზე, კულტურაზე, ისტორიაზე და კარგადაა განვითარებული. 2013 წელს მაროკომ მიიზიდა 10 მილიონზე მეტი ტურისტი. მაროკოს მთავრობა ზრუნავს ქვეყანაში ტურიზმის განვითარებაზე. ტურიზმი მშპ-ს 20%-ს იკავებს. ტურისტთა ყურადღების მიპყრობის მიზნით და მაროკოს, როგორც სამოგზაუროდ იაფი, ეგზოტიკური ქვეყნის წარმოსაჩენად, მთავრობამ დაასპონსორა სხვადასხვა სარეკლამო კამპანია. მაროკო მოგზაურებისთვის უსაფრთხო ქვეყანაა. მაროკოში ტურიზმი სწრაფი ტემპით ვითარდება, რასაც მსოფლიო ბანკის (World Bank) მიერ მოწოდებული საერთაშორისო ტურისტთა დინამიკაც გვიჩვენებს. 1995 წელს მაროკოს ეწვია 2,6 მილიონი ტურისტი, ხოლო 2015 წელს მათი რაოდენობა თითქმის 5-ჯერ გაიზარდა და 10 მილიონ 177 ათას საერთაშორისო ტურისტს მიაღწია.

ეკონომიკური კავშირები

მაროკოს ეკონომიკური მოკავშირეები ძირითადად ევროპის ქვეყნები არიან, ის მათგან იღებს საიმპორტო საქონელს და

ასევე თვითონაც ექსპორტზე გააქვს სხვადასხვა დასახელების პროდუქცია თუ ბუნებრივი რესურსი. მაროკოს ექსპორტის გაზრდა უკავშირდება 2006 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ორმხრივი შეთანხმების, ხელშეკრულების დადებას. მაროკოს ექსპორტის მოცულობა 2016 წლის მონაცემებით შეადგენდა 18,72 მილიარდ დოლარს.

ძირითადად საექსპორტო საქონელს წარმოადგენს: ტანსაცმელი, ქსოვილები, ელექტროობის დეტალები, არაორგანული ქიმიური ნივთიერებები, დაუმუშავებელი მინერალები, სასუქები, ნავთობპროდუქტები, ციტრუსი, ბოსტნეული და თევზი. მაროკოს საექსპორტო პარტნიორები არიან: ესპანეთი, რომელზეც 2015 წლის მონაცემებით მოდის ექსპორტის 22,1%, საფრანგეთი-19,7%, ინდოეთი-4,9%, აშშ-4,3%, იტალია- 4,3% (CIA). რაც შეეხება იმპორტს, 2016 წელს მისი მოცულობა 33,15 მილიარდ დოლარს შეადგენდა. იმპორტზე შემოსული საქონელი ძირითადად საყოველთაო მოხმარების ნივთებია, ასევე ქვეყანაში იმპორტის დიდი წილი მოდის: დაუმუშავებელ ნავთობზე, ქსოვილების დასამზადებელ მასალაზე, ხორბალზე, გაზზე,

ტელეკომუნიკაციისთვის საჭირო აღჭურვილობაზე, ელექტროენერგიასა და პლასტმასზე. იმპორტული საქონლის მომწოდებელი ქვეყნებია: ესპანეთი, რომელზეც 2016 წლის მონაცემებით იმპორტული საქონლის 13,9% მოდის, საფრანგეთი-12,4%, ჩინეთი-8,5%, აშშ-6,5%, გერმანია-5,8%, იტალია-5,5%, რუსეთი-4,4% და თურქეთი 4,3% (CIA).

დასკვნა

ამრიგად, მაროკოს განვითარება დიდწილად დამოკიდებულია მის ბუნებრივ რესურსებზე, განსაკუთრებით ფოსფატზე და ტურისტულ პოტენციალზე, რომელიც ქვეყანას ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობისა და საინტერესო კულტურის გამო აქვს. მაროკო ნელ-ნელა ხდება განვითარებული სახელმწიფო, რასაც ეკონომიკურ სექტორში ცვლილებები ცხადყოფს, ბოლო პერიოდში მშპ-ში ეკონომიკური დარგების თანაფარდობა იცვლება მომსახურეობის სფეროს სასარგებლოდ. ასევე ქვეყანაში

ეტაპობრივად ვითარდება ლიბერალური საბაზრო ეკონომიკა და მაროკო აქტიურად ცდილობს მოიზიდოს უცხოური ინვესტიციები. 1980-იანი წლებიდან დღემდე სიტუაცია არსებითად შეიცვალა, რაც ეკონომიკური რეფორმებისა და თავისუფალი სავაჭრო ზონის ჩამოყალიბების შედეგია. სწორედ ამგვარმა რეფორმებმა აქცია მაროკო ეკონომიკური განვიათარების მხრივ აფრიკის კონტინენტზე ერთ-ერთ მოწინავე ქვეყანად. მიუხედავად იმისა, რომ მაროკოში შეინიშნება მკვეთრი ეკონომიკური პროგრესი, ქვეყანაში მაინც რჩება უმუშევრობის, განათლების და სიღაიბის პრობლემა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გაერთიანებული ერების ეკომიკისა და სოციალური ურთიერთობების დეპარტამენტი. ხელმისაწვდომია http://esa.un.org წვდომის თარიღი: 06.02.2018

2. ცენტრალური დაზვერვის სააგენტო, ხელმისაწვდომია: https://www.cia.gov. წვდომის თარიღი: 07.02.2018

3. მაროკოს მთავრობის ოფიციალური გვერდი, ხელმისაწვდომია: http://www.maroc.ma წვდომის თარიღი: 07.02.2018

4. http://www.economywatch.com/world_economy/morocco წვდომის თარიღი: 09.02.2018

5. შაკლი, მ. (2006). მოგზაურობისა და ტურიზმის განვითარების ატლასი.

6. მსოფლიო ბანკის ოფიციალურია ვებ. გვერდი, ხელმისაწვდომია: http://data.worldbank.org წვდომის თარიღი: 09.02.2018

REFERENCES:

1. Unitied Nations Department of Economic and Social Affairs Retrieved from: http://esa.un.org on 06.02.2018

2. Central Intelligence Agency, (CIA).Retrieved from: https://www.cia.gov. on 07.02.2018

3. Morroco's Government Official Web-site Retrieved from: http://www.maroc.ma on 07.02.2018

4. http://www.economywatch.com/world_economy/morocco on 09.02.2018

4. Shackley, Myra (2006). Atlas of Travel And Tourism Development

5. World Bank Official site Retrieved from: http://data.worldbank.org on 09.02.2018

SOME DEVELOPMENT ASPECTS OF OF THE ECONOMY OF MORROCO

Nata Qiria , Mariam Muqeria
TSU 4th year Bachelor Students

RESUME

Morroco is represented with interesting political and geographical location in the world, which is the main reason for its being under control of many invaders during the vast historical period. Despite that, the country still managed to develop very rich and spectacular culture. According to its location, it represents the middle land between Africa end Europe and that factor is clearly visible on its economics, which turn out to be very interesting task for the research. Morroco tries to build up an open economy, make trade deals with European countries and reach to the leaders position in the Africa. This state has got a vast potential in developing of the liberal economy. Moroco constantly attempts to transform into a perfect field for the foreign investments, by taking into account its economic-geographical location which is supported by the potencial of turism and natural resources.

Key words: Gross domestic product (GDP), Liberal economics, Free market, Export, Import.

საბიუჯეტო სახსრების მართვა მუნიციპალიტეტებში

ნატო ქათამაძე , მაია გრძელიძე,
სტუ დოქტორანტები

რეზიუმე

ბოლო წლებში საქართველოს საჯარო ფინანსების მართვის სისტემაში მიმდინარე რეფორმა ემსახურება საჯარო ფინანსების მართვის ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის ზრდას. პროგრამული ბიუჯეტირების რეფორმა, საბიუჯეტო მართვასთან დაკავშირებული ხარვეზები, სახელმწიფო შესყიდვების მართვა და შიდა ფინანსური კონტროლი ის თემებია, რომელთა განხილვაც განსაკუთრებით საყურადღებოა მიმდინარე რეფორმის პროცესის გათვალისწინებით და მათი დახვეწა მნიშვნელოვან როლს შეასრულებს საჯარო ფინანსების სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირების, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაუმჯობესების კუთხით.

საკვანძო სიტყვები: პროგრამული ბიუჯეტირება, საბიუჯეტო პროცესი, სახელმწიფო შესყიდვები, ფინანსური კონტროლი, ეფექტიანობის აუდიტი.

შესავალი

ბოლო წლებში საქართველოს საჯარო ფინანსების მართვის სისტემაში მიმდინარე რეფორმა ემსახურება საჯარო ფინანსების მართვის ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის ზრდას. რეფორმის პროცესში გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება წარმოადგენს საჯარო ფინანსების მართვის ძირითად პრინციპებს. ისინი უზრუნველყოფენ საზოგადოების ინფორმირებულობის ზრდას, აწვდიან რა მათ ინფორმაციას თუ სად, როგორ ან რა

მოცულობით გამოიყენება მუნიციპალიტეტის ხელთ არსებული საბიუჯეტო სახსრები და რამდენად შეესაბამება აღნიშნული ხარჯვა მათ წინაშე არსებულ გამოწვევებსა და პრიორიტეტებს.

გამომდინარე აქედან, ნაშრომში განხილილულია ის ძირითადი საკითხები, რომლებიც უშუალოდ ზემოქმედებას ახდენენ თვითმმართველი ერთეულების საბიუჯეტო საქმიანობაზე და დასახულია გზები საბიუჯტო სახსრების სწორად და ეფექტიანად მართვისათვის.

ძირითადი ტექსტი

საჯარო ფინანსების რეფორმა, რომელიც საქართველოში 2004 წლიდან დაიწყო გულისხმობდა ხარჯების საშუალოვადიანი დაგეგმვის შემოღებას, საბიუჯეტო პროცესის გაუმჯობესებას, საბიუჯეტო კლასიფიკაციის თანხვედრას საერთაშორისო სტანდარტებთან GFSM 2001 ყველა დონის ბიუჯეტისათვის და პროგრამულ ბიუჯეტირებაზე გადასვლას. კერძოდ, 2011 წელს დამტკიცდა "პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგია"[1], ხოლო 2013 წლიდან თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტი მზადდება პროგრამულ ფორმატში. პროგრამებზე დაფუძნებული ბიუჯეტის შემუშავება უზრუნველყოფს შეზღუდული რესურსების ეფექტურ განაწილებას მათი პრიორიტეტულობის მიხედვით და საბიუჯეტო ხარჯვასთან დაკავშირებით სათანადო კონტროლის განხორციელებას.

პროგრამული ბიუჯეტირების გამართული და წარმატებული სისტემის ჩამოყალიბების უმნიშვნელოვანეს წინაპირობას წარმოადგენს ფინანსურ და არაფინანსურ ინფორმაციას შორის მჭიდრო კავშირი. იგი დაინტერესებულ მხარეებს საშუალებას აძლევს შეაფასონ საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საბიუჯეტო რესურსების გამოყენების ეფექტიანობა, ეკონომიურობა და პროდუქტიულობა. შესაბამისად, მნიშვნელოვანია წარმოდგენილი ინფორმაცია იძლეოდეს ნათელ სურათს პროგრამების/ქვე-

1 „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის №385 ბრძანება

პროგრამების ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების, მოსალოდნელი საბოლოო და შუალედური შედეგებისა და მათ მისაღწევად ბიუჯეტიდან გამოყოფილი რესურსების შესახებ.

ტრადიციული, ორგანიზაციული ფორმატის ბიუჯეტისგან განსხვავებით, პროგრამული ბიუჯეტირების ამოსავალ წერტილს არა საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის გამოყოფილი რესურსების ოდენობა, არამედ, საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის შედეგად მიღწეული შედეგები წარმოადგენს. შესაბამისად, საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადებასთან ერთად საბიუჯეტო სახსრების ათვისების შედეგად მიღწეული შედეგების შესახებ დეტალური და ინფორმაციულად დატვირთული ანგარიშგება ხელს უწყობს, ერთი მხრივ, ანგარიშვალდებულების ზრდას დაინტერესებული მხარეებისადმი, რაც საზოგადოებას საშუალებას აძლევს მიიღოს ინფორმაცია მათ მიერ გადახდილი გადასახადების ხარჯვის მიმართულებებისა და მათი გამოყენებით მიღწეული რეალური შედეგების შესახებ, ხოლო მეორე მხრივ, კი იძლევა მომავალში რესურსების ეფექტიანი განაწილების შესახებ უკეთესი გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობას, რაც შედეგზე ორიენტირებული ბიუჯეტირების ერთ-ერთ უპირატესობას წარმოადგენს.

პროგრამული ბიუჯეტის მეთოდოლოგიის გაუმჯობესების მიმართულებით განხორციელებული ცვლილებების მიუხედავად, ჯერ კიდევ საჭიროა მისი ეტაპობრივი დახვეწა პროგრამული ბიუჯეტირების განვითარების პარალელურად. იმის გათვალისწინებით, რომ ამ ეტაპზე ბიუჯეტის პროგრამული ფორმატით მომზადებაში მნიშვნელოვანი ხარვეზები შეინიშნება და ხშირ შემთხვევაში ვერ ხერხდება მხარჯავი დაწესებულებების მიერ საბიუჯეტო სახსრების ათვისების შედეგად მიღწეული შედეგების ეფექტიანობის შეფასება, მიზანშეწონილია, მომზადდეს დაგეგმვისა და ანგარიშგების უფრო დეტალური ინსტრუქციები საშუალოვადიანი გეგმების, პროგრამის ფარგლებში მოსალოდნელი და მიღწეული შედეგების და შედეგების შეფასების ინდიკატორებისთვის. ასევე, სასურველია თვალსაჩინო მაგალითების მოყვანა სხვადასხვა სპეციფიკის მქონე პროგრამებისთვის.

საბიუჯეტო სახსრების განკარგვასთან დაკავშირებულ ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს მხარჯავი დაწესებულებების მიერ ფისკალური წლის დასასრულს აუთვისებელი გადასახდელების მასშტაბური ხარჯვის ტენდენცია, რომელიც საბიუჯეტო რესურსების არაეფექტიანი განკარგვის ნათელ მაგალითს წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ ცალკეულ შემთხვევებში აღნიშნული ზრდა შეიძლება დაკავშირებული იყოს ობიექტურ გარემოებებთან, მიუთითებს ბიუჯეტის დაგეგმვის და შესრულების ეტაპზე არსებულ სისტემური ხასიათის პრობლემებზე. აღნიშნულ ხარვეზებზე ნათლად მეტყველებს ის ფაქტიც, რომ საბიუჯეტო ორგანიზაციები ამ დროს ორიენტირებულნი არიან ასიგნებების ათვისებაზე და არა შედეგის მიღწევაზე. ამის დასტურია 2014-2017 წლების მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების შესრულების ანაგრიშებში ბიუჯეტის ხარჯვის ტენდენცია კვარტლების ჭრილში, მე-4 კვარტალში ხარჯვის მასშტაბები ყოველთვის მეტია წინა კვარტლებთან შედარებით, ანალიზისთვის შეგვიძლია ავიღოთ თვითმმართველი ქალაქების ბიუჯეტები[1]. 2017 წლის მე-4 კვარტალში დაიხარჯა მთლიანი გადასახდელების 30% (2016 წელს - 28%, 2015 წელს 29%, ხოლო 2014 წელს 33%).

ჩვენს მიერ წარმოდგენილ გრაფიკზე მოცემულია თვითმმართველი ქალაქების 2014-2017 წლების ბიუჯეტის გადასახდელების ათვისების ჯამური მოცულობა კვარტალების მიხედვით, სადაც მეოთხე კვარტალის მონაცემები დანარჩენი სამი კვარტლის გადასახდელების საშუალო მაჩვენებლებს 1.5-ჯერ აღემატება, ცალკეულ შემთხვევაში მეტჯერაც.

არსებული საერთაშორისო გამოცდილება, წლის ბოლოსათვის რესურსების სწრაფი გამოყენების თავიდან აცილების გარდა, არაეფექტიანი ხარჯვის საწინააღმდეგოდ საქართველოსნაირ ქვეყნებს შემდეგ ზომებს კარნახობს, როგორიცაა: 1. საბიუჯეტო ორგანიზაციებს მიეცეთ აუთვისებელი სახსრების განკარგვის მეტი მოქნილობა და 2. ჩამოყალიბდეს სწორი და ქმედითი სტიმული არსებული რესურსების დაზოგვისა და ეფექტიანი გამოყენებისათვის.

1 „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მუხლი 151



თვითმმართველი ქალაქების ბიუჯეტის გადასახდელების კვარტალური დინამიკა 2014-2017წწ

ათასი ლარი

	2014 წელი	2015 წელი	2016 წელი	2017 წელი
I კვარტალი	174 538,1	226 044,0	221 525,6	192 523,8
II კვარტალი	234 379,9	301 975,1	295 307,5	309 941,7
III კვარტალი	201 937,7	324 333,0	276 952,7	272 257,0
IV კვარტალი	300 423,6	348 881,7	310 155,2	333 573,2

საბიუჯეტო სახსრების განკარგვასთან დაკავშირებულ პრობლემურ საკითხს ასევე, მიეკუთვნება წლის განმავლობაში პროგრამებს/ქვეპროგრამებს შორის ასიგნებების გადანაწილების მასშტაბურობა და აღნიშნული ცვლილებების სიხშირე. მიუხედავად იმისა, რომ საბიუჯეტო ორგანიზაციები აკმაყოფილებენ საბიუჯეტო კოდექსით დადგენილ ლიმიტებს, გარკვეულ შემთხვევებში, საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ხორციელდება ასიგნებების გადანაწილების უკუპროცესი. რიგ შემთხვევებში, წლის განმავლობაში ასიგნებებში განხორციელებული ცვლილებებით ხდება ცალკეული პროგრამებისათვის/ქვეპროგრამებისათვის გათვალისწინებული სახსრების შემცირება და მათი მიმართვა სხვა პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე, თუმცა ხშირად საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ასიგნებების გადანაწილების მოთხოვნით წარმოდგენილ წერილებში მოცემულია ინფორმაცია მხოლოდ იმის შესახებ, თუ რომელი ღონისძიებების დაფინანსება განხორციელდება აღნიშნული სახსრებით და არაფერია ნათქვამი, რომელი აქტივობების შეჩერებას გამოიწვევს ეს ქმედება. აღნიშნული საკითხის დარეგულირების მიზნით, საჭიროა საბიუჯეტო ორგანიზაციების მხრიდან დამატებითი ყურადღება მი-

ექცეს წლის განმავლობაში პროგრამებს/ქვეპროგრამებს შორის საბიუჯეტო სახსრების განაწილების საკითხს და ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში მხედველობაში იქნეს მიღებული გასული წლების გამოცდილება.

ბიუჯეტის დაგეგმვისა და შესრულების პროცესში არსებულ ხარვეზებზე მიუთითებს ასევე, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში დაბალი ათვისების ტენდენციის მქონე პროგრამებისა და ქვეპროგრამების არსებობა. შესაბამისად, საჭიროა საბიუჯეტო ორგანიზაციების მხრიდან, ყურადღება გამახვილდეს დაბალი ათვისების ტენდენციის მქონე პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე, რათა თავიდან იქნეს აცილებული, მომდევნო წლის ბიუჯეტში ამავე პროგრამებში/ქვეპროგრამებში უფრო დიდი მოცულობით ასიგნებების გათვალისწინება. ასევე, მიზანშეწონილია, ეტაპობრივად შემუშავდეს მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს აღნიშნული საკითხის დარეგულირებასა და საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ეფექტიანი და ეკონომიური ხარჯვისათვის ქმედითი სტიმულების შექმნას.

საბიუჯეტო სახსრების ეფექტიანი და პროდუქტიული მართვის უზრუნველსაყოფად, მუნიციპალიტეტები შესყიდვების განხორციელების პროცესში ვალდებულნი არიან დაიცვან საჯაროობის, გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და არადისკრიმინაციულობის პრინციპები, კანონმდებლობით დადგენილი პროცედურები და სახელმწიფო შესყიდვების მონაწილეთა რაციონალური და თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობა ჯანსაღი კონკურენციის პირობებში.

მუნიციპალიტეტების დონეზე ჩატარებული ანალიზის შედეგად გამოვლენილ იქნა შესყიდვების მართვის პროცესში არსებული შემდეგი ხარვეზები: რიგ შემთხვევაში, მხარჯავი უწყებების სტრუქტურულ ერთეულებს შორის კომუნიკაციაში არსებული ხარვეზები, ტენდერების შეწყვეტის ან/და საჭირო საქონლისა და მომსახურების შესყიდვის დროში გაჭიანურების მიზეზი ხდება, რის შედეგადაც იზრდება საბიუჯეტო სახსრების არაეკონომიური განკარგვის რისკი.

რიგ მუნიციპალიტეტში ადგილი აქვს ელექტრონული ტენ-

დერის გამოცხადებას ისეთ საქონელზე, რომლის შესყიდვის საჭიროება, უწყების წინაშე არ იდგა. აღნიშნული ფაქტი მიუთითებს თვითმმართველი ერთეულების წინაშე არსებული საჭიროებების სწორად განსაზღვრასთან დაკავშირებულ ხარვეზებზე. ასევე, ზოგ შემთხვევებში მხარჯავი უწყებების მიერ სათანადოდ არ ხორციელდებოდა ბაზრის წინასწარი კვლევა, შესასყიდი ობიექტის ტექნიკური და ხარისხობრივი მაჩვენებლების (ხარისხი, ფუნქციები, უსაფრთხოების ზომები, შეფუთვა, ნიშანდება და ა.შ.) შესწავლა და მიმდინარე პერიოდში ობიექტის სავარაუდო საბაზრო ღირებულების განსაზღვრა, რის შედეგადაც, სახეზეა შესყიდვების პროცესში წარმოქმნილი მნიშვნელოვანი ეკონომიები. აღნიშნული მიანიშნებს შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულების განსაზღვრაში არსებულ სისუსტეებზე და ზრდის საბიუჯეტო სახსრების არაეკონომიურად განკარგვის რისკს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ელექტრონული ტენდერის მეშვეობით განხორციელებული შესყიდვების პროცესში მხარჯავი უწყებების მიერ შემუშავებული ტექნიკური დოკუმენტაცია ზოგიერთ შემთხვევაში არაკონკურენტული გარემოს ჩამოყალიბების მიზეზი ხდება, რაც მათი ერთი კონკრეტულ მიმწოდებელზე მორგებაში გამოიხატება.

რიგი მუნიციპალიტეტების შემთხვევაში საყურადღებოა გამარტივებული შესყიდვების სპეციფიკა და მათი მაღალი ხვედრითი წილი შესყიდვების მთლიან მოცულობაში. ამასთან, გარკვეულ შემთხვევებში, გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით განხორციელებული შესყიდვები არ წარმოადგენს გადაუდებელ აუცილებლობას. აღნიშნული ფაქტი, თავის მხრივ, განაპირობებს შესყიდვის პროცესში არაკონკურენტული გარემოს ჩამოყალიბებას და წარმოშობს საბიუჯეტო სახსრების არაეკონომიურად განკარგვის რისკს ასევე, ცალკეული მუნიციპალიტეტების შემთხვევაში, შესყიდვების დაგეგმვასა და განხორციელების პროცესში არსებულ ხარვეზებზე მიუთითებს ერთი მხრივ, სახელმწიფო შესყიდვების დამტკიცებულ გეგმებში განხორციელებული ხშირი და მასშტაბური ცვლილებები და დიდი ოდენობით წლის დასაწყისში დაუგეგმავი შესყიდვები, მეორე მხრივ, უშედეგოდ დასრულე-

ბული ტენდერების მაღალი წილი გამოცხადებული ტენდერების მთლიან რაოდენობაში.

ხშირია მხარეთა შეთანხმებით სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ ხელშეკრულების ვადის უსაფუძვლო ცვლილება და სახელშეკრულებო ღირებულების ზრდა. შესაბამისად, მიზანშეწონილია გაძლიერდეს სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებების პირობების შესრულების ეფექტიანი მონიტორინგის პროცესი, დანერგილ და გამოყენებულ იქნას საერთაშორისო პრაქტიკაში აპრობირებული კონტრაქტების მენეჯმენტის სხვა დამატებითი მექანიზმები (მონიტორინგის პროცედურების წერილობით გაწერა, კონტრაქტის მენეჯმენტის გეგმის შემუშავება, სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების შუალედური ანგარიშების წარმოდგენა მიმწოდებლების მხრიდან და ა.შ.). თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ პრობლემატურ სფეროებში რეფორმებისა და გაუმჯობესების გზების შემუშავებასთან ერთად, აუცილებელია არსებული გამჭვირვალე სისტემის შენარჩუნება და აღნიშნული კუთხით მისი უფრო მეტად განვითარება.

დღეს სადავო არ არის, რომ საბიუჯეტო სახსრების ეფექტიანი და შედეგზე ორიენტირებული ხარჯვა შიდა ფინანსური კონტროლის გამართული სისტემის შემუშავების გარეშე შეუძლებელია. გამართული შიდა კონტროლის მექანიზმის ძირითად ფუნქციას წარმოადგენს ორგანიზაციაში არსებული ხარვეზებისა და დარღვევების დროული გამოვლენა და ადეკვატური ღონისძიებების გატარება მათ აღმოსაფხვრელად. ასევე, შიდა კონტროლის სისტემის ეფექტიანობის დამოუკიდებელი შეფასება და ხელმძღვანელობისათვის რეკომენდაციების წარდგენა მის გასაუმჯობესებლად. შიდა ფინანსური კონტროლი მოიცავს ფინანსურ მართვასა და კონტროლს, რომლის დანერგვაზე პასუხისმგებელია ორგანიზაციის ხელმძღვანელობა და იგი უზრუნველყოფს გონივრულ რწმუნებას, რომ ორგანიზაციის რესურსები ოპტიმალურად, ეფექტიანად და მარლთზომიერად გამოიყენება.

შიდა ფინანსური კონტროლის რეფორმის მიმდინარეობისას საყურადღებოა ეფექტიანობის აუდიტის როლი, რომელიც ორი-

ენტირებულია საბიუჯეტო ორგანიზაციების საქმიანობის რეალური შედეგებისა და ამ შედეგების მისაღწევად განხორციელებული ღონისძიებების შეფასებაზე, რაც ხელს უწყობს საჯარო რესურსების უფრო ეკონომიურად, პროდუქტიულად და ეფექტიანად განკარგვას

დასკვნა

მიუხედავად უკანასკნელ წლებში განხორციელებული რეფორმებისა და მიღწეული პროგრესისა, თვითმმართველობების საჯარო ფინანსების მართვის სისტემა მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგას, რომელთა დაძლევა მოითხოვს საჯარო სექტორის ერთობლივ და კოორდინირებულ ძალისხმევას. შესაბამისად, საბიუჯეტო სისტემა საჭიროებს კარგად ჩამოყალიბებული, გამართული და ზემოაღნიშნული პრობლემის გადაწყვეტაზე ორიენტირებული გეგმის შემუშავებასა და რელევანტური ღონისძიებების განხორციელებას, რათა სისტემამ უზრუნველყოს საბიუჯეტო სახსრების ეფექტიანი და პროდუქტიული მართვა და გამოყენება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №385, 2011 წლის 8 ივლისი -„პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე";

2. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, საქართველოს კანონი;

3. საჯარო აუდიტის ინსტიტუტი, უკეთესი პრაქტიკის სახელმძღვანელო „შედეგზე ორიენტირებული ბიუჯეტირება"- თბ., 2015წ;

4. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიში „2012-2013 წლებში ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების ხარჯვასა და შესრულებასთან დაკავშირებით განხორციელებული აუდიტების შესახებ";

5. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო// www.mof.ge

6. სახელმწიფო აუდიტის სამსახური // www.sao.ge

REFERENCES:

1. Minister of Finance of Georgia Order N385, «On approval of the methodology for drawing up the program budget», July 8, 2011
2. "local Self-government Code of Georgia", Law of Georgia 2014 Y.
3. Institution of Public Audit, Best Practice Guide « Result-Oriented Budgeting», Tb.,2015 Y;
4. Office of State Audit Report on «Audits on Expenditure and Expenditures of Local Self-Government Budgets in 2012-2013»;
5. Ministry of Finance of Georgia // www.mof.ge.
6. State Audit Office// www.sao.ge

MANAGEMENT OF BUDGETARY FUNDS IN MUNICIPALITIES

Nato katamadze, GTU, PhD student
Maia grdzelidze, GTU, PhD student

RESUME

In recent years, the implementation of reforms in public finance management system of Georgia, served to increase the effectiveness and the efficiency of public finance management. The reform of the implementation of the program budget, the shortcomings related to the implementation of the budget, management of public procurement and internal financial control - these are the topics, the discussion of which is particularly important in the context of reforming and their refinement will play an important role in improvement of the financial system, according to parameters of transparency and accountability.

Key words: performance budgeting, budget process, state procurement, financial control, Effectiveness of audit.

სპარსეთის ყურის ომი: მისი სამართლებრივი და ეკონომიკური მნიშვნელობა

ალექსანდრე თოდუა,
გიორგი ბეროშვილი
თსუ სტუდენტები

რეზიუმე

ახლო აღმოსავლეთის სხვადასხვა მიკრორეგიონი ძალზე ხშირად გვევლინება, როგორც ერთ-ერთი ყველაზე „ცხელი წერტილი“ საერთაშორისო ასპარეზზე. ჩვენი კვლევაც შეეხება ამ რეგიონში, კონკრეტულად სპარსეთის ყურეში განვითარებულ ძალზე გამორჩეულ, მასშტაბურ, სისხლისმღვრელ და სპეციფიკურ დაპირისპირებას- 1990 წელს განვითარებულ კონფლიქტს ერაყსა და ქუვეითს შორის და ზოგადად პოლიტიკურ ფონს აღნიშნულ პერიოდში, რამაც დიდი ეკონომიკური ზარალი გამოიწვია მასში მონაწილე მხარეებისათვის.

1990-1991 წლებში განვითარებული მოვლენები გამორჩეულია თავისი მასტაბურობითა და ზარალით. 39 სახელმწიფო (მათ შორის აშშ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, საუდის არაბეთი და სხვა.) იძულებული გახდა, ჩართულიყო დაპირისპირებაში, რამაც, რასაკვირველია, ძალიან დიდ მატერიალურ და ადამიანურ დანაკარგამდე მიგვიყვანა.

სპარსეთის ყურის კონფლიქტი აქტუალობას დღესაც არ კარგავს მსოფლიოში. ის, უხეშად რომ ვთქვათ, ყველაზე „დასამახსოვრებელი“ მოვლენა იყო ამ რეგიონში, რამდენადაც ყველასთვის ცნობილია ის მოვლენები, რომლებიც აღნიშნულ კონფლიქტამდე განვითარდა. წინამდებარე ნაშრომში, აღწერილი იქნება სწორედ ის „წინაპირობები“, რომლებიც წინ უძღოდა ერაყის შეჭრას ქუვეითის ტერიტორიაზე.

რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ნაშრომში აღნიშნული საკითხი განხილული იქნება საერთაშორისო სამართლისა და მისი 10

ძირითადი პრინციპის მიხედვით, რამდენადაც ჩვენი კვლევა, უწინარეს ყოვლისა, ორიენტირებულია საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევა/არ დარღვევაზე და შესაბამისად, ჩვენი საკვლევი კითხვაც შემდეგნაირად ფორმულირდება: დაირღვა თუ არა საერთაშორისო სამართლის ძირითად პრინციპთაგან რომელიმე ერაყის მიერ სპარსეთის ყურის ომის მიმდინარეობისას?

საკვანძო სიტყვები: სპარსეთის ყურის ომი; საერთაშორიო სამართალი; ქვეყანაში შეჭრა; ერაყი; ქუვეითი; აშშ.

შესავალი

1990-1991 წლებში ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენები, კერძოდ სპარსეთის ყურის ომი ერაყსა და ქუვეითს შორის, ერთ–ერთ უმნიშვნელოვანეს მოვლენად ითვლება საერთაშორისო ურთიერთობებში, რაც განპირობებულია იმით, რომ ამ ომმა დაარღვია რეგიონში მშვიდობა, სამყარო ახალი გამოწვევის წინაშე დააყენა და მორიგ მასშტაბურ სამხედრო დაპირისპირებაში „ჩაითრია“ მსოფლიოს 39 სახელმწიფო, მათ შორის აშშ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, საუდის არაბეთი, ერაყი და სხვა. ომი 1990 წლის 2 აგვისტოს ერაყის მიერ ქუვეითის ტერიტორიის ოკუპაციით დაიწყო და დასრულდა 1991 წლის 28 თებერვალს ქუვეითის გათავისუფლებითა და ერაყის მიერ სამხედრო შენაერთების უკან გამოყვანით. ომი გამორჩეული იყო როგორც თავისი მასშტაბებით, ასევე, იმ სრულიად ახალი ტექნიკის წარმოჩენის კუთხითაც, რომელიც მანამდე არ ყოფილა გამოყენებული (Government of Canada, 2016). 1990-91 წლების ომი ძალზედ მძიმე შედეგებით დასრულდა. ომის ზარალი შეფასდა 61 მილიარდ დოლარად, საიდანაც 36 მილიარდი დოლარი დაფარა ქუვეითმა, საუდის არაბეთმა და სხვა არაბულმა სახელმწიფოებმა, ხოლო 16 მილიარდი აშშ დოლარი – გერმანიამ და იაპონიამ, ასევე, მხოლოდ ერაყის დანაკარგი ომში შეადგენდა ასი ათასზე მეტ ჯარისკაცს. (CNN, 2016)

მოცემული საკითხისადმი ჩვენი საკვლევი კითხვა ფორმულირდება შემდეგნაირად: დაირღვა თუ არა საერთაშორისო სამართლის ძირითად პრინციპთაგან რომელიმე ერაყის მიერ

სპარსეთის ყურის ომის პროცესში? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად გამოვიყენებ კვლევის თვისებრივ მეთოდს, რადგან ვეყრდნობი უკვე არსებულ მასალებს.

ქეისის აღწერა. ომამდელი მდგომარეობა რეგიონში. სანამ უშუალოდ განვიხილავდეთ ერაყისა და ქუვეითის დაპირისპირებას, უმჯობესია თვალი გადავავლოთ იმ გარემოებას, რომელიც ამ კონფლიქტის დაწყებას წინ უძღვოდა. სპარსეთის ყურის ომი, რომელშიც ჩვენ ვგულისხმობთ 1990-91 წლების ომს ერაყსა და ქუვეითს შორის, არ ყოფილა პირველი დაპირისპირება ამ რეგიონში. 1980-88 წლებში ერაყი აწარმოებდა სისხლიან ომებს თავისი მეზობელი ქვეყნის- ირანის წინააღმდეგ. ომს წინ უსწრებდა ალჟირის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, საზღვარი ამ ორ სახელმწიფოს შორის გადიოდა “შატ-ე-ლ-არაბზე”. ირანში შაჰის ტახტიდან ჩამოგდება იყო ის ფაქტი, რომელმაც ერაყი და სხვა არაბული სახელმწიფოები მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ არსებობდა სავსებით რეალური საფრთხე-იმისა, რომ რეგიონში შიიტური ისლამი გავრცელდებოდა და შესაბამისად, ირანის როლიც უფრო გაიზრდებოდა, რაც არ შედიოდა არაბული სამყაროს, პირველ რიგში კი, ერაყის ინტერესებში. სწორედ ამიტომ, ერაყმა წამოიწყო ომი ირანის წინააღმდეგ. მას მხარს უჭერდა საბჭოთა კავშირი, საუდის არაბეთი და ქუვეითიც, რომლებმაც ფინანსური კრედიტები გამოუყვეს ერაყს. მსვლელობისას ერაყმა დაბომბა ირანული ქალაქები რაკეტებითა და არტილერიის საშუალებით. იგი არც ქიმიური იარაღის გამოყენებას მორიდებია, რამაც ჯამში ასი ათასობით ირანელი მოქალაქის სიცოცხლე იმსხვერპლა. ომი 1988 წელს გამარჯვებულის გარეშე დასრულდა და მისი შედეგები ორივე ქვეყნისთვის დამღუპველი აღმოჩნდა.

1970–იან წლებში ეკონომიკურად მზარდმა ერაყმა მიაღწია რეკორდულ მაჩვენებელს ნავთობის მოპოვებაში – 3.3 მილიონი ბარელი დღეში. 1980 წლისთვის კი ეს მაჩვენებელი დაეცა 0.8 მილიონ ბარელამდე, რაც ომის პირდაპირ შედეგს წარმოადგენდა. მიმდინარე პროცესებმა ერაყის ეკონომიკა მთლიანად გაანადგურა და ომის ბოლოსთვის მას 100 მილიარდი დოლარის

ოდენობის საგარეო ვალი ჰქონდა, რომლის უდიდესი ნაწილი ქუვეითზე მოდიოდა. ომმა დიდი ზიანი მიაყენა ქვეყანას მუშა ხელის რაოდენების შემცირების კუთხითაც: 180 000 ადამიანური დანაკარგი, 340 000 დაჭრილი, 50 000 სამხედრო ტყვე. ომის დასასრულისთვის 18 მილიონიანი ერაყის სამხედროთა რაოდენობა შეადგენდა 1,2 მილიონს. (E-International Relations , 2013) როგორც ვხედავთ, აშკარაა, ერაყი ომის დაწყებამდე მძიმე მდგომარეობაში იყო და მას აუცილებლად უნდა ეპოვნა რაიმე ალტერნატიული საშუალება მოცემული ვითარების რადიკალურად შესაცვლელად.

აშშ-ერაყის ურთიერთობები.აღნიშნულ პერიოდში გაუარესდა ურთიერთობები ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ერაყს შორის. ერაყი ადანაშაულებდა აშშ–სა და ისრაელს მის განზრახ დასუსტებაში, რაც გამოიხატებოდა ქუვეითის წაქეზებით დაეწია ფასები ნავთობზე. როდესაც ერაყი დაემუქრა ქუვეითს ჯერ კიდევ 1990 წლის ივლისში, აშშ–მა საპასუხოდ განახორციელა მანევრები სპარსეთის ყურეში, რათა გაეფრთხილებინა ერაყი რომ თავს არ დასხმოდა ქუვეითსა და არაბთა გაერთიანებულ საამიროებს. ამ ქმედების მიუხედავად, შეერთებული შტატების პრეზიდენტმა, ჯორჯ ბუშმა, შეიმუშავა შემრიგებლური პოლიტიკა სადამ ჰუსეინის მიმართ, იმ იმედით, რომ შეცვლიდა ერაყის რეჟიმსა და პოლიტიკას. ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციამ სცადა, გაეუმჯობესებინა ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობები ერაყთან და 1990 წლის 12 აპრილს გაგზავნა ამერიკელი სენატორების დელეგაცია, რომელსაც ხელმძღვანელობდა სენატორი რობერტ დოლე. მან ერაყს გადასცა თეთრი სახლის გზავნილი, რომ აშშ–ს სურდა გაეუმჯობესებინა ურთიერთობები ერაყთან. შემდგომში, უკვე 27 ივლისს, შეერთებული შტატების ელჩმა პრეზიდენტ ბუშის წერილი თავად გადასცა სადამ ჰუსეინს. (U.S. Department of State)

ომის მსვლელობა.მიუხედავად აშშ–ის მცდელობებისა, შეეცვალა ერაყის საგარეო პოლიტიკა, 1990 წლის 1 აგვისტოს მოლაპარაკებები ერაყსა და ქუვეითს შორის ჩაიშალა. სპარსეთის ყურის ქვეყნებმა უარი თქვეს ერაყის წინადადებაზე გაეზარდათ ნავთობის ფასები. ვინაიდან ერაყის ეკონომიკა მთლიანად და-

მოკიდებული იყო ნავთობის ექსპორტზე, სადამ ჰუსეინი იმედოვნებდა, რომ ოპეკის მეშვეობით ნავთობზე ფასების გაზრდა დაეხმარებოდა მას ეკონომიკური პრობლემების მოგვარებაში, თუმცა, მომხდარმა ერაყის ეკონომიკური კრიზისის დაძლევა შეუძლებელი გახადა. გასული ათწლეულისგან განსხვავებით, ერაყი ეკონომიკურად უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა და საგარეო ვალებს ვერ აუდიოდა. სწორედ ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ 1990 წლის 2 აგვისტოს ერაყის პრეზიდენტის - სადამ ჰუსეინის ბრძანებით, ასი ათასიანი სამხედრო ძალების 7 დივიზია შეიჭრა მის სამხრეთით მდებარე მდიდარ, მაგრამ სამხედრო თვალსაზრისით სუსტ ქუვეითში, რომლის მოსახლეობა 2 მილიონზე ნაკლებს შეადგენდა და რამდენიმე საათში მთლიანად დაიკავა ქვეყნის ტერიტორია. ქუვეითის დაპყრობამ ამერიკის შეერთებული შტატები აიძულა გამოეყენებინა ემბარგო და სანქციები ერაყის წინააღმდეგ. თუმცა, მიუხედავად ეკონომიკურ სანქციებისა, გაეროს შემუშავებული უამრავი რეზოლუციებისა და დიპლომატიური მცდელობებისა, ერაყი უარს აცხადებდა ქუვეითიდან ჯარის გამოყვანაზე, რამაც შემდგომში განაპირობა კიდეც აშშ-ისა და მისი მოკავშირეების სამხედრო ოპერაციები რეგიონში. 17 იანვარს, გაეროს მიერ ერაყისადმი ქუვეითიდან ჯარის გამოსაყვანად მიცემული ვადის ამოწურვის შემდეგ, აშშ-ის საჰაერო ძალებმა დაიწყეს ერაყის სტრატეგიული ობიექტების დაბომბვა. ამ დროიდან ოპერაცია „უდაბნოს ფარი“ ოფიციალურად დასრულდა და დაიწყო მორიგი ოპერაცია - „უდაბნოს შტორმი“, რომელიც 700 000-მდე ამერიკელ ჯარისკაც აერთიანებდა. 24 თებერვალს ამერიკელმა მეომრებმა დაიწყეს სახმელეთო შეტევებიც და დიდი წინააღმდეგობების გარეშე გაუმკლავდნენ ერაყელ ჯარისკაცებს. 1991 წლის 28 თებერვალს ომი დასრულდა ერაყის დამარცხებით და ქუვეითიდან ჯარების გაყვანით. (Global Security)

მაშასადამე, ერაყის უმძიმესმა ეკონომიკურმა მდგომარეობამ, 1990 წელს ქუვეითთან მოლაპარაკებების წარუმატებლად დასრულებამ და ერაყის სურვილმა მიეღწია სამხედრო და ეკონომიკური ძლიერებისთვის, გამოიწვია უდიდესი ომის დაწყება სპარსეთის ყურის რეგიონში. თავის მხრივ აშშ-ისა და ერაყის

ინტერესთა დაპირისპირებამ განაპირობა ამერიკისა და მისი მოკავშირეების ჩაბმა ომში და ერაყის თავდაპირველი წარმატება ქუვეითის წინააღმდეგ ომში, მალევე მარცხით დასრულდა. აშშ-ისა და მისი მოკავშირეების მიერ განხორციელებულმა სამხედრო ქმედებებმა ერაყი აიძულა უკან დაეხია და ჯარები გამოეყვანა ქუვეითის ტერიტორიიდან. ამ კონფლიქტმა, ერთი მხრივ, ისევ დაარღვია რეგიონის სტაბილურობა და სიმშვიდე, მეორე მხრივ კი, კიდევ ერთხელ დაანახა მსოფლიოს, რომ სახელმწიფოები მუდმივად აგრესიისკენ არიან მიმართულნი და ნებისმიერ ფასად ეცდებიან თავიანთი ინტერესების დაცვას, თუნდაც ეს ინტერესები მათი მეზობელი ქვეყნის სრულ ოკუპაციას გულისხმობდეს.

აშშ-ს ჩართულობის ეკონომიკური ასპექტები:კომფლიქტის სხვა აქტორებისგან განსხვავებით, აშშს მდგომარეობა ეკონომიკურ ასპექტში ოდნავ პარადოქსული იყო. თუ გავითვალისწინებთ ომის გავლენას ამერიკის ბიუჯეტზე, ის ნამდვილად განსაკუთრებულია. აშშ-ს მოკავშირეები უხდიდნენ ფულს, როდესაც თვითონ ომის პერიოდში აშშ ნახულობდა მოგებას. საბოლოო ჯამში, კოალიციის წევრებმა ამერიკის შეერთებულ შტატებს 54 მილიარდ დოლარამდე გადაუხადეს, საიდანაც 46 მილიარდი ფულის სახით იყო. რაც შეეხება დანარჩენ თანხას, ის ტექნიკისა და საწვავის სახით გადაეცა შეერთებულ შტატებს. საბოლოოდ, ეს თანხა კიდევ უფრო გაიზარდა.(New York Times, 1991)

საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპები.ქვემოთ მოცემულია საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპები და აღნიშნულია ის მომენტები, რომელიც დაარღვია ერაყმა ამ კონფლიქტის დროს:

1. **სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობის პრინციპი** - დაარღვია

2. **ძალის გამოყენებაზე უარის თქმა ან ძალით დამუქრებაზე უარის თქმა** - დაარღვია

3. **სახელმწიფოს ტერიტორიული ხელშეუხებლობის პრინციპი** - დაარღვია

4. **საზღვრების ურღვევობის პრინციპი** - დაარღვია

5. **სხვა სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპი** - დაარღვია

6. **ერთა თანასწორუფლებიანობისა და თვითგამორკვევის უფლება** - ვინაიდან დღის წესრიგში არ იდგა ქუვეითის თვითგამორკვევა ერაყი უბრალოდ ვერ მოახერხებდა მოცემული კანონის დარღვევას, შესაბამისად მას არ დაურღვევია აღნიშნული პრინციპი.

7. **ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემა** - დაარღვია

8. **საერთაშორისო დავების მშვიდობიანად მოწესრიგების პრინციპი** - დაარღვია

9. **სახელმწიფოების მოვალეობა ითანამშრომლონ ერთმანეთთან წესდების შესაბამისად** - დაარღვია

10. **საერთაშორისო სამართლით განსაზღვრული ვალდებულებების კეთილსინდისიერად შესრულება** - დაარღვია

დასკვნა

ამრიგად, სპარსეთის ყურის ომის წარმოშობისა და მიმდინარეობისას ერაყის მხრიდან დაირღვა საერთაშორისო სამართლის ათი ძირითადი პრინციპიდან ცხრა .სწორედ ამიტომ ექსპერტები და ანალიტიკოსები ამ ომს ერთ-ერთ უმძიმეს მოვლენად მიიჩნევენ საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში. გარდა ამისა, ომმა ძალიან დიდი ეკონომიკური და მატერიალური ზარალი მოუტანა მასში ჩართულ მხარეებს.

ლიტერატურა:

1. Government of Canada. “The Canadian Armed Forces and the Gulf War”. http://www.veterans.gc.ca/eng/remembrance/history/canadian-armed-forces/persian-gulf. ბოლო ნახვა: 20 თებერვალი. 2018.

2. CNN, “Gulf War Facts”. 2016. http://edition.cnn.com/2013/09/15/world/meast/gulf-war-fast-facts/. ბოლო ნახვა: 20 თებერვალი 2018.

3. OFFICE OF THE HISTORIANS, UNITED STATES OF AMERICA, “The

Gulf War, 1991". https://history.state.gov/milestones/1989-1992/gulf-war. ბოლო ნახვა: 20 თებერვალი. 2018.

4. E-International Relations. 2013. http://www.e-ir.info/2013/10/07/implications-of-the-iran-iraq-war/. ბოლო ნახვა: 20 თებერვალი. 2018.

5. Global Security – "Operation Desert Shield" http://www.globalsecurity.org/military/ops/desert_shield.htm. ბოლო ნახვა: 20 თებერვალი. 2018.

6. National Desert Storm War Memorial –"The War" https://www.ndswm.org/?page_id=923. ბოლო ნახვა: 21 თებერვალი. 2018.

7. სტივ სმითი, ამელია ჰადფილდი , თიმ დანი, „ საგარეო პოლიტიკა: თეორიები, აქტორები, ქეისები ". 2015.ოქსფორდი უნივერსიტეტის გამომცემლობა. თავი II.

8. ალექსიძე, ლევან. „თანამედროვე საერთაშორისო სამართალი". გვ.41-75. 2015. თბილისი. „იურისტების სამყარო".

9. http://www.nytimes.com/1991/08/16/business/economic-scene-the-broad-impact-of-the-gulf-war.html. ბოლო ნახვა: 21 თებერვალი. 2018

REFERENCES:

1. Government of Canada. "The Canadian Armed Forces and the Gulf War". Retrieved from: http://www.veterans.gc.ca/eng/remembrance/history/canadian-armed-forces/persian-gulf.

2. CNN, "Gulf War Facts". 2016. Retrieved from: http://edition.cnn.com/2013/09/15/world/meast/gulf-war-fast-facts/.

3. OFFICE OF THE HISTORIANS, UNITED STATES OF AMERICA, "The Gulf War, 1991". Retrieved from: https://history.state.gov/milestones/1989-1992/gulf-war.

4. E-International Relations. 2013. Retrieved from: http://www.e-ir.info/2013/10/07/implications-of-the-iran-iraq-war/.

5. Global Security – "Operation Desert Shield" Retrieved from: http://www.globalsecurity.org/military/ops/desert_shield.htm.

6. National Desert Storm War Memorial –"The War". Retrieved from: https://www.ndswm.org/?page_id=923.

7. Steve Smith, Amelia Hadfield, Tim Dunne. "Foreign Policy: Theories, Actors, Cases". 2015. Oxford University Press.

8. Aleksidze, Levan. "Modern International Law". pp 41-75. 2015.

THE PERSIAN GULF WAR: ITS LEGAL AND ECONOMIC IMPORTANCE

Aleksandre Todua
Giorgi Beroshvili
Tbilisi State University
International Relations (BA)

RESUME

The region of the Middle East has been known for its conflicts and disputes throughout the years. The research looks at one of the biggest and infamous wars of 20th century, usually referred as the Gulf War. The war took place in the years of 1990-1991 and proved to be devastating both on regional and international scales. The preconditions and tense situation in the region before the war made it obvious that major dispute was about to show up. The invasion of Kuwait by Iraq resulted in the war on the international level. The wide array of 39 countries (including the UK, France, Saudi Arabia, etc.) joined the military alliance led by the United States.

The research is mainly based on the 10 principles of the international law. To be precise, we are going to discuss which principles of the international law have been violated during the war. Moreover, we are going to touch the topic of preconditions, the main causes of the Gulf war and the invasion itself. The research draws upon the secondary and tertiary sources such as famous publications, articles and academic studies. Furthermore, we employ the case study method in order to conduct the research

key words: The Gulf War; Crisis**,** The Middle East, Dispute, International Law; Iraq, Kuwait.

სოფლის მეურნეობის აღწარმოების სახელმწიფო მხარდაჭერის ეკონომიკური მექანიზმი

ზაზა გოიშვილი
სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

აგრარული სფეროს სახელმწიფო მხარდაჭერის ეკონომიკური ბერკეტების ქვეშ უწინარეს ყოვლისა განიხილება ფასწარმოქმნის რეგულირება და სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე საბაზრო მოთხოვნა-მიწოდების შესატყვისად ფასების ჩამოყალიბება, პროტექციონისტული პოლიტიკა, საფინანსო-საკრედიტო მხარდაჭერა, საგადასახადო რეგულირება, დარგისა და აგრარული ბაზრების სახელმწიფო მართვა.

საბაზრო ეკონომიკა მჭიდროდ უკავშირდება სახელმწიფო მხარდაჭერის ეკონომიკურ ბერკეტებს. ამ უკანასკნელის უგულებელყოფას მივყავართ სოფლის მეურნეობის წარმოების დონის დაცემასთან, ინფლაციასთან, მოსახლეობის ცხოვრების დონის დაქვეითებასთან.

საქართველოში აუცილებელია გადაიხედოს სახელმწიფო დონეზე ფერმერული მეურნეობების მიერ გაწეული ხარჯების კომპენსირების საკითხი და სახელმწიფო რეგულირების დახმარებით შესაძლებელი გახდეს აგრარულ-პოლიტიკის იმგვარი წარმართვა რომ მისგან მოდიოდეს მოსალოდნელი საშიშროების და კრიზისის გაფრთხილება და არა კრიზისები მართავდნენ ჩვენ აგრარულ ეკონომიკას.

საკვანძო სიტყვები: აგრარული პოლიტიკა, კვლავწარმოება, აგრარული სფერო, აგრობიზნესი, ეკონომიკური მექანიზმი, სახელმწიფო რეგულირება, ფასწარმოქმნა, სახელმწიფო მხარდაჭერა.

ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲢᲔᲥᲡᲢᲘ

ქვეყანაში სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში მნიშვნელოვანია სახელმწიფო მხარდაჭერა, რადგან ეკონომიკის ეს სექტორი არსებითად განსხვავდება სპეციფიკით სხვებისაგან. აგრარული სექტორის მარეგულირებელი ეკონომიკური ბერკეტების ამოქმედებით სახელმწიფო უზრუნველყოფს სოფლის მეურნეობაში დასაქმებული სუბიექტების შემოსავლების გაზრდას, რაც პირდაპირ დაკავშირებულია ამ სექტორში დასაქმებული მოსახლეობის ცხოვრება პირობების გაუმჯობესებასთან და აგროსასურსათო სექტორის პროდუქციის გაფართოებულ აღწარმოებასთან.

აგრარული სფეროს სახელმწიფო მხარდაჭერის ეკონომიკური ბერკეტების ქვეშ უწინარეს ყოვლისა განიხილება ფასწარმოქმნის რეგულირება და სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე საბაზრო მოთხოვნა-მიწოდების შესატყვისად ფასების ჩამოყალიბება, პროტექციონისტული პოლიტიკა, საფინანსო-საკრედიტო მხარდაჭერა, საგადასახადო რეგულირება, დარგისა და აგრარული ბაზრების სახელმწიფო მართვა.

ეკონომიკის სხვა დარგებისაგან განსხვავებით აგრარული სექტორისათვის დამახასიათებელია მთელი რიგი თავისებურებანი, კერძოდ თანამედროვე სოფლის მეურნეობა ეფუძნება დარგთაშორის სისტემას, რომელიც მას აწვდიან წარმოების საშუალებებს (სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას და მოწყობილობებს, სასუქებს, მცენარეთა დაცვის საშუალებებს და ა.შ.). გადაამუშავებენ სასოფლო-სამეურნეო ნედლეულს და ახორციელებენ მზა სასურსათო პროდუქციის რეალიზაციას მომხმარებლებამდე. სოფლის მეურნეობის ინტეგრირებული კავშირების მნიშვნელობა მრეწველობასთან და ვაჭრობასთან შეფასებული იქნა ჯონ დევისის მიერ, რომელიც მიიჩნევს რომ აგრობიზნესი მოიცავს ყველა ფერმერულ ოპერაციას დამატებული პროდუქციის წარმოებისა და განაწილებით, რომელიც აუცილებელია ფერმერული (გლეხური) მეურნეობების და სასოფლო-სამეურნეო საწარმოების (აგროფირმები, სას. სამ. კოოპერატივები) მომარაგებისათვის. ამ უკანასკნელს დამატებული ოპერაციათა ჯამი, რომელიც მოიცავს სოფლის

მეურნეობის პროდუქციის ტრანსპორტირებას, შენახვას, გადამუშავებას და განაწილებას. ამდენად აგრობიზნესი მოიცავს ოპერაციათა საერთო ჯამს, რომლებიც ჩართული არიან კვების პროდუქტების წარმოებასა და განაწილებაში. სწორედ აგრობიზნესის ერთ-ერთ ძირითად მამოძრავებელ რგოლს წარმოადგენს სოფლის მეურნეობა.

დღეისათვის საქართველოს სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია მომუშავეთა 3-ჯერ მეტი რაოდენობა, ვიდრე ნებისმიერ განვითარებულ ქვეყანაში. საქართველოში სოფლად მომუშავე ერთ დასაქმებულზე მოდის მაქსიმუმ 5 ადამიანი, რომელიც დაკავებულია მომსახურებით, პროდუქციის გადამუშავებით, ვაჭრობით. მათ შორის ნახევარზე მეტი დაკავებულია სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის რემონტით. აშშ-ის სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ ერთ მომუშავეზე მოდის 14 კაცი, რომლებიც დაკავებულნი არიან ტექნიკური და ტექნოლოგიური მომსახურებით. სამწუხაროდ უკანასკნელ პერიოდში საქართველოს სასურსათო კომპლექსმა მიიღო დაუბალანსებელი დარგობრივი სტრუქტურა, რომელიც ხასიათდებოდა სოფლის მეურნეობის ჰიპერტროფული განვითარებით. რადგან სასურსათო სექტორში დასაქმებული სამეურნეო სუბიექტები მოკლებულნი იყვნენ ელემენტარულ ეკონომიკურ უფლებებს და სახელმწიფოს ქსელის საშუალებით რეალიზდებოდა სოფლის მეურნეობის საბოლოო პროდუქციის 70%. სახელმწიფო გვევლინებოდა სოფლის მეურნეობის პროდუქტების მწარმოებლისა და რეალიზატორის როლში მე-20 საუკუნის 90-იანი წლებიდან ქვეყანაში განხორციელებული ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმების შედეგად საბაზრო ეკონომიკურ ურთიერთობებზე გადასვლის პირობებში უკვე სახეზე გვაქვს აგრარული სფეროს სახელმწიფო რეგულირების საბაზრო პრინციპების სიჭარბე.

აგრარული სექტორის სახელმწიფო რეგულირების პრინციპებიდან გამომდინარე აღსანიშნავია შემდეგი:

– მოთხოვნა-მიწოდების რეგულირება;

– მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების დანერგვის სტიმულირება აგრარულ სექტორში;

– სოფლად ტერიტორიალურ-სოციალური ინფრასტრუქტურის შექმნა;

– სამეურნეო სუბიექტების ინფორმაციული უზრუნველყოფის სისტემის შექმნა;

– სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციის სერტიფიცირება.

აგრარულ ურთიერთობათა თეორიაში სახელმწიფოს მხარდაჭერის ქვეშ მოიაზრება ლოგიკური და ისტორიული საფეხური სოფლის მეურნეობის განვითარებისა და სხვადასხვა სამეურნეო სუბიექტებს შორის ურთიერთობის ფორმირებისა. აგრარული სექტორის საბაზრო პრინციპებით რეგულირება უკავშირდება, ერთი მხრივ, სახელმწიფო და ადგილებზე ტერიტორიული მართვის ზემოქმედებას და, მეორე მხრივ, კერძო სუბიექტებს შორის ურთიერთობას. ეს უპირველეს ყოვლისა ეხება მწარმოებელთა პასუხისმგებლობას წარმოებული პროდუქციის ხარისხზე, მიწის გადასახადის გადახდებს, ფერმერულ (გლეხურ) მეურნეობათა სოციალური დაცვის გარანტიებს და ა.შ.

საბაზრო ეკონომიკა მჭიდროდ უკავშირდება სახელმწიფო მხარდაჭერის ეკონომიკურ ბერკეტებს. ამ უკანასკნელის უგულებელყოფას მივყავართ სოფლის მეურნეობის წარმოების დონის დაცემასთან, ინფლაციასთან, მოსახლეობის ცხოვრების დონის დაქვეითებასთან. თანამედროვე ეტაპზე სოფლად მეწარმეობის ყველა ფორმას სახელმწიფო მხარდაჭერა ორიენტირებული უნდა იყოს გარანტირებულ და ინდექსირებულ ფასებზე. ასეთი ფასები უნდა განისაზღვრებოდეს თითოეული წლისათვის, რომლის საფუძველზეც უნდა მოხდეს სოფლად მეწარმე სუბიექტების მიმდინარე ხარჯების დაფარვა და მომგებიანობის მინიმალური დონის მიღწევა. თავის მხრივ, ფასების ინდექსაცია, უნდა მოიცავდეს პარიტეტულ ინდექს, რომელიც დააზღვევს სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ მეწარმე სუბიექტებს წარმოების საშუალებებზე საბითუმო ფასების უკონტროლო ზრდისაგან[1]. თეორიულ

1 Боев В.Р. Аграрний рынок и система ценообразования // В. Об.: Агрорные отнощения теория историческая практика, Перспективи развития. М. Наука, 1998. с. 168-180.

ჭრილში პარიტეტის კონცეფცია გვთავაზობს, რომ თანაფარდობა სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე ფასებს, საქონელსა და მომსახურებაზე რომელსაც მოიხმარს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელი მეწარმე სუბიექტები უნდა იყოს მუდმივი. აგრარული პოლიტიკა საჭიროებს 100%-იან პარიტეტს, მაგრამ პრაქტიკაში ეს პირობა ყოველთვის არ სრულდება. მაგალითად, 1998 წელს აშშ-ში პარიტეტის ინდექსმა შეადგინა 54% (6:12) პრაქტიკაში პარიტეტის კონცეფცია ხორციელდება ფერმერთა პროდუქციაზე მინიმალური ფასების შენარჩუნებით. სხვადასხვა ქვეყანაში ეს პოლიტიკა ხორციელდება სხვადასხვა გვარად.

მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ფასების შენარჩუნება როგორც დროებითი ღონისძიება უზრუნველყოფს აგრარულ სექტორში რესურსების შემოდინებას და ხელს უწყობს წარმოების მოცულობის სწრაფ ზრდას. ‍არიტეტული ფასების გამოთვლის მრავალი მეთოდი არსებობს. ასე მაგალითად აშშ-ში პარიტეტული ფასები იანგარიშება 160 დასახელების სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე ყოველთვიურად ქვეყნის მაშტაბით (ცალკეული შტატების მიხედვით მისი გამოთვლა არ წარმოებს). 1933 წლიდან 1949 წლის ჩათვლით პარიტეტული ფასები გამოითვლებოდა შემდეგი წესით, მოცემული სახის პროდუქციის ფერმერულ სარეალიზაციო ფასს საშუალოდ 1910-1914 წლებში ამრავლებდნენ იმ პროდუქციას ფასების ინდექსზე რომლის შეძენასაც ახორციელებდნენ ფერმერები (პროცენტისა და გადასახადების ჩათვლით). აშშ-ში კონგრესის კანონის და მასში შეტანილი ცვლილების თანახმად 1950 წლის 1 იანვრიდან პარიტეტული ფასები გაიანგარიშება ეგრეთწოდებული ახალი მეთოდით, რომელიც მოიცავს შემდეგ საფეხურებს:

1. განისაზღვრება პროდუქციაზე ფერმერის სარეალიზაციო ფასი საშუალოდ წინა ათი წლის განმავლობაში. ამ ფასს ემატება სახელმწიფოს მიერ გაცემული დანამატი იმ პროდუქციაზე რომელზეც ეს არსებობს.

2. ამგვარად კორექტირებულ ფასს (საშუალოდ 10 წლის პერიოდისას) ყოფენ მოცემული პროდუქციის ფერმერის სარეალიზაციო ფასზე (სახელმწიფოს მიერ ფასზე დანამატის გათვალისწინებით) საშუალოდ ასევე 10 წლის განმავლობაში, რომელსაც

გააჩნია 1910-1914 წლების ბაზა. მიღებული შედეგი გვაძლევს პროდუქციის კორექტირებულ ფერმერულ საბაზრო ფასს 1910-1914 წლებისათვის.

3. 1910-1914 წლებში პროდუქციის კორექტირებულ საბაზრო ფასს ამრავლებენ თავის პარიტეტის ინდექსზე (190-1914=100), რომელიც შესაბამისია იმ წლის, რომლისთვისაც განმსაზღვრელია პარიტეტული ფასი.

მაგალითად: სიმინდზე პარიტეტული ფასის გაანგარიშება 1989 წლის ოქტომბრისათვის განხორციელდა შემდეგნაირად. აიღება საშუალოდ 1979 წლის იანვრიდან 1988 წლის დეკემბრის ჩათვლით სიმინდზე ფერმერის საშუალო სარეალიზაციო ფასი. ჩვენ შემთხვევაში სიმინდის ფერმერის სარეალიზაციო ფასმა კორექტირებულმა სახელმწიფო დანამატის გათვალისწინებით შეადგინა 45,7 აშშ დოლარი ერთ ტონაზე. ხოლო ფერმერთა ფასის ინდექსმა ამავე პერიოდისათვის შეადგინა 2,52. თუ გაყოფთ 45,7 აშშ დოლარს 2,52-ზე მივიღებთ კორექტირებულ საბაზრო ფერმერულ ფასს ერთ ტონა სიმინდზე 1910-1914 წ.წ., რომელმაც შეადგინა 18,1 აშშ. დოლარი. თუ გავამრავლებთ ამ ციფრს 1989 წლის სექტემბრის თვის პარიტეტულ ინდექსზე, მივიღებთ ერთ ტონა სიმინდის პარიტეტულ ფასს, რომელმაც 1989 წლის ოქტომბრისათვის შეადგინა 67,7 აშშ დოლარი.

აგრარული სექტორის სახელმწიფო მხარდაჭერის ეკონომიკურ ბერკეტებში გამოიყენება ისეთი მაჩვენებლები, როგორიცაა შრომის ნაყოფიერება, სუბსიდირება ფონდუკუგება, კაპიტალუკუგება, თვითრეგულირება და მთელი რიგი სხვა მაჩვენებლები.

სასოფლო-სამეურნეო საწარმოების საქმიანობის ეფექტიანობის შეფასებისათვის ჩნდება აუცილებლობა საანგარიშსწორებო ფასების მაჩვენებლების გამოყენების და შეფასებისათვის შესადარის ფასებში, ასეთი ფასები უზრუნველყოფენ ეფექტიანობის მაჩვენებლების შესადარისობას. თუ შემცირებული ფასების პირობებში დარგი ვერ უზრუნველყოფს საჭირო რენტაბელობას, მაშინ ეფექტის ხარჯზე, რომელიც გათვალისწინებულია შესადარის ფასებში, არ შეიძლება განვახორციელოთ გაფართოებული კვლავწარმოება.

საქართველოშიც აუცილებელია გადაიხედოს სახელმწიფო დონეზე ფერმერული მეურნეობების მიერ გაწეული ხარჯების კომპენსირების საკითხი და სახელმწიფო რეგულირების დახმარებით შესაძლებელი გახდეს აგრარულ-პოლიტიკის იმგვარი წარმართვა, რომ მისგან მოდიოდეს მოსალოდნელი საშიშროების და კრიზისის გაფრთხილება და არა კრიზისები მართავდნენ ჩვენ აგრარულ ეკონომიკას

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის საკითხს. რადგან ფერმერულ მეურნეობათა უმრავლესობას დიდი პრობლემები აქვს წარმოებული პროდუქციის რეალიზაციაში, ამის გამო ხშირად ფერმერები იძულებულნი არიან არარეალურ ფასებში განახორციელონ წარმოებული პროდუქციის (ციტრუსი, ყურძენი, ხილი) რეალიზაცია გადამამუშავებელ-მრეწველობას საწარმოებზე და რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი ხშირად ვერ ფარავს ხარჯებს და ფერმები განიცდიან ზარალს. აღნიშნული გარემოება არ აძლევს საშუალებას სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლებს განახორციელონ გაფართოვებული აღწარმოება და აღადგინონ საკუთარი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, შეიძინონ და დანერგონ პროდუქციის წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიები.

განვითარებულ ქვეყნებში პირდაპირი სახელმწიფო სუბსიდიები მიმართულია პირველ რიგში არა წარმოების, არამედ მწარმოებელთა შემოსავლების დონის მხარდაჭერის სტიმულირებისაკენ, ასევე სტრუქტურული, სოციალური და რეგიონული პოლიტიკის განხორციელებისათვის, რომელიც არ არის დაკავშირებული უშუალოდ წარმოებასთან, მაგრამ უზრუნველყოფს ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სწორედ ეს პრინციპი უდევს საფუძვლად ევროკავშირის ქვეყნების აგრარულ პოლიტიკას. ევროკავშირის ერთიან აგრარულ პოლიტიკას საფუძვლად უდევს სოციალური მიმართულება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლებისათვის, რადგან პირდაპირი საბიუჯეტო სუბსიდიები წარმოადგენენ ერთგვარ ფორმას სოციალური უზრუნველყოფისა. დღეისათვის ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში აგრარული პოლიტიკის ძირითად შემადგენელს წარ-

მოადგენს აგრარული სექტორის სახელმწიფო მხარდაჭერა სხვადასხვა სახის სუბსიდიებით, დოტაციებით და შეღავათებით. სოფლის მეურნეობაში გაწეული ფინანსური დაბანდებები 1,5-2,0-ჯერ აღებულება ამ პროდუქციის საბაზრო ღირებულებას. ევროკავშირის ქვეყნებში ფერმერების მიერ წარმოებულ სასაქონლო პროდუქციის ღირებულებაში სუბსიდიებმა შეადგინა 45-50%. იაპონიასა და ფინეთში 70%. სოფლის მეურნეობის სახელმწიფო მხარდაჭერა წარმოადგენს ძირითად ფაქტორს სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და სურსათის წარმოების გადიდებასა მსოფლიოს უმსხვილეს ექსპორტი ქვეყნებში, როგორიცა აშშ-ში, კანადა და ევროკავშირი.

სოფლის მეურნეობის პირდაპირი სუბსიდირების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა არახელსაყრელი კლიმატურ და ნიადაგობრივ პირობებში მყოფ რეგიონებში მწარმოებელთათვის გადახდების განხორციელება. ამას ნათელი მაგალითია ჩრდილოეთის ქვეყნები ფინეთი, ნორვეგია, ისლანდია. ფინეთში მეურნეობები, რომლებიც განლაგებულია ჩრდილოეთ განედის 62^0 ზევით სახელმწიფო უხდის მწარმოებლებს გადიდებულ სუბსიდიებს ჰექტარზე და სულადობაზე. ნორვეგიაში უზარმაზარი სახსრები ხმარდება ფერმერების მხარდაჭერას. დღეისათვის ერთ დასაქმებულზე თვეში ხდება 4 ათას ევრომდე სუბსიდიის და დოტაციის გადახდა. ანალოგიური სუბსიდიები დაწესებულია სხვა ქვეყნებში, როდესაც ფერმერი ცხოვრობს და მუშაობს არახელსაყრელ ბუნებრივ პირობებში და არ ტოვებს საკუთარ ფერმას. ასეთი მიდგომები კომპენსაციის გადახდის მეტად მნიშვნელოვანია საქართველოსათვის. ამიტომ საქართველოს შეუძლია ამ კუთხით განვითარებული ქვეყნების გამოცდილების გამოყენება.

ამრიგად სახელმწიფო მხარდაჭერა განხილული უნდა იქნას როგორც სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ხარჯების კომპენსაცია სასურსათო უსაფრთხოების საკითხის გადაჭრისათვის, მოსახლეობის დასაქმებისათვის, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ეფექტური გამოყენებისათვის, აგროლანდშაფტის მხარდაჭერისათვის და სხვა. ყველა განვითარებულ ქვეყანაში სახელმწიფო ქმნის სოფლის მეურნეობაში ეკონომიკურ პირობებს აღწარმოებისათვის.

ლიტერატურა:

1. Борхунов Н. Методология обновления нормати ва бюджетного финансирования сельсного хозяиства /Н. Борхунов// АПК: экономика, управление. – 2007. №7. с. 9-11.

2. Попова О.В. Государственное регулирование агропромышленного производства в за-рубежных страных и аграрная политика России: монография. Орел. ГАУ, 2014. 213 с.

3. საქართველოს სოფლის მერუნეობის განვითარების სტრატეგია 2015-2020 წ.წ. თბ., 2015 წ. 36 გვ.

4. მ. ნაცვალაძე, სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების ეკონომიკური მექანიზმი. თბ., 2009. გვ. 163.

REFERENCES:

1. N. Borkhunov. Methodology of Updating the Norm of the Budgetary Financing of the Rural Habitat. Borhunov // AIC: economy, management. - 2007. №7. from. 9-11.

2. Popova O.V. State regulation of agro-industrial production in foreign countries and agrarian policy of Russia: a monograph. Eagle. GAU, 2014. 213 p.

3. Georgia's Agricultural Development Strategy 2015-2020 Tb., 2015 y., 36 p.

4. M. Natsvlishvili, economic mechanism for sustainable development of agriculture. Tb., 2009 y, p. 163

ECONOMIC MECHANISM OF STATE SUPPORT FOR AGRICULTURE

Zaza Goishvili
GT U, PhD student

RESUME

Under the economic support of the agrarian spheres, regulation of pricing is primarily considered and the formation of pricing according to market demand and supply of agriculture products, protectionist policy, financial credit support, tax regulation, state management of the field and agrarian bases.

The market economy is closely related to the state's support economic levers. The neglect of the latter leads to the decrease in the level of agricultural production, the inflation, the lowering of the living standards of the population.

In Georgia it is necessary to review at the state level the compensation issue of the expenses incurred by the farmers and with the help of state regulation to become possible to conduct agrarian-policy in such way, that from it come warnings about anticipated hazard and crisis and not the crisis were managing our agrarian economy.

Key words: Agrarian policy, reproduction, agrarian field, agribusiness, economic mechanism, state regulation, price rise, state support.

ტურიზმის სატელიტური აღრიცხვის სისტემა (TSA) და მისი როლი საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში

თინა ლუხუტაშვილი,
ელისო ფურელიანი,
თსუ სტუდენტები

რეზიუმე

თანამედროვე მსოფლიოში ძალიან ბევრი ქვეყნის ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი შემავსებელი ტურიზმიდან შემოსული თანხებია. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პირობებში დღეს ადვილად შესაძლებელია განტვირთვის მიზნით სხვა ქვეყანაში ჩასვლა და კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობის გაცნობა, ანდა უბრალოდ რეკრეაციული დანიშნულების კურორტებზე სტუმრობა დასვენებისათვის. ამიტომ მნიშვნელოვანია, ტურისტული პოტენციალის სწორად გამოყენება და ზუსტად ცოდნა იმისა, თუ რა შემოსავალს იძლევა ეს ბიზნესი.

TSA - იგივე ტურიზმის სატელიტური აღრიცხვის სისტემა რამდენიმე წლის წინ ამუშავდა და მრავალი ქვეყანა საკმაოდ წარმატებულად იყენებს ეკონომიკური მაჩვენებლების გაზრდისათვის. მაგალითად, ჩილეს შემთხვევაში ამ სისტემის გამოყენებით ქვეყნის შემოსავალი თითქმის სამჯერ გაიზარდა. ამ მიმართულებით დიდია საქართველოს შესაძლებლობები ამ სისტემის დანერგვისათვის, აქ TSA-ს ბევრი პოზიტიური შედეგების მოტანაც შეუძლია.

საკვანძო სიტყვები : ტურიზმი, სატელიტური, ეკონომიკა, ზრდა, ფინანსები, აღრიცხვა, სტატისტიკა

შესავალი

ტურიზმის სატელიტური აღრიცხვის სისტემა (Tourism Satellite Account) წარმოადგენს ტურიზმის სფეროში სტრატეგიული დაგეგმვის ინსტრუმენტს და საშუალებას იძლევა, შევადა-

როთ ეროვნული და საერთაშორისო მონაცემები.მის შექმნაზე 1995 წლიდან ერთობლივად დაიწყეს მუშაობა მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციამ (WTO), ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციამ (OECD) და ევროგაერთიანების სტატისტიკურმა ოფისმა (EUROSART) , რომელიც დაამტკიცა გაერომ 2000 წელს. პროექტში ასევე მონაწილეობდა საერთაშორისო შრომითი ორგანიზაცია (ILO) და საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF). 2001 წელს კი სისტემა ოფიციალურად ამუშავდა. მოცემული აღრიცხვის სისტემა დაინერგა ავსტრალიაში, კანადაში, ჩილეში, ახალ ზელანდიასა და შეერთებულ შტატებში.

ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ

რატომ არის მნიშნელოვანი ტურისტების სატელიტური აღრიცხვა?

ტურიზმი არის პირველი სფერო, რომელშიც დამკვიდრდა სატელიტური აღრიცხვის სისტემა.ტურისტების სატელიტური აღრიცხვა წარმოდგენილია ცხრილების სახით, რომლის საფუძველზე ქვეყნებს შეუძლიათ ტურიზმის საკუთარი სტატისტიკური სისტემის განვითარება. TSA -ს განვითარება მოითხოვს შესაბამისი ეკონომიკური რესურსებისა და ტექნიკური პერსონალის ინტეგრაციას ქვეყნის ეროვნული აღრიცხვის სისტემასთან.

ამ სისტემის მომხმარებლები სახელმწიფო დონეზე შეიძლება იყვნენ:

• ძირითადი სტატისტიკური ინფორმაციის წყაროები, ანუ ისინი, რომლებიც აწარმოებენ აღრიცხვას და სტატისტიკას (ჩვენს შემთხვევაში, ტურიზმის დეპარტამენტი);

• კომპანიები, ორგანიზაციები, რომლებიც ინფორმაციის მიმწოდებლები არიან (ტურისტული ორგანიზაციები, სასტუმროები);

• შექმნილი ინფორმაციის მომხმარებლები (ბანკები, ორგანიზაციები);

დღევანდელ მსოფლიოში ინფორმაციის ნაკლებობაა ტური-

ზმსა და ეროვნულ ეკონომიკაზე მისი გავლენის შესახებ, აქედან გამომდინარე TSA -ს განვითარება ხელს შეუწყობს შემდეგ საკითხებს:

• ქვეყანაში ტურიზმისა და მისი მნიშვნელობის შესახებ ინფორმირებულობის დონის გაზრდა:

• ტურიზმის სფეროში ეფექტური პოლიტიკის წარმართვისათვის ინსტრუმენტის შემუშავება;

• ტურიზმის როლის გაზრდა.

რა არის TSA?

TSA-ს შემუშავების მიზანია ეკონომიკაზე იმ დარგების გავლენის შესწავლა, რომლებიც ეროვნული ეკონომიკის საღიცხვო სისტემაში არ განიხილებიან, როგორც წარმოება. ტურიზმი არის კომპლექსური სფერო, რომელიც მოიცავს ტრანსპორტს, მომსახურებას, საკვებითა და საცხოვრებლით უზრუნველყოფას, შემეცნებას, რეკრეაციასა და გართობას. ტურიზმი ერთადერთი ფენომენია, რომელიც ვიზიტორით ან მომხმარებლით განისაზღვრება. ვიზიტორები ყიდულობენ ყველანაირი სახის პროდუქტსა და მომსახურებას. აღრიცხვის თვალსაზრისით, უმთავრესია, მათი ნავაჭრი დაუკავშირდეს მთლიანად ქვეყნის წარმოებას, მომსახურებისა და საქონლის ერთობლივ მიწოდებას.

TSA მიზნად ისახავს, განისაზღვროს ტურიზმის გავლენა ეკონომიკაზე; აგრეთვე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად აღირიცხოს პროდუქცია და მომსახურება, რაც საშუალებას მოგვცემს შევადაროთ ისინი სხვა ქვეყნების მაჩვენებლებს.

შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში არსებობს ეროვნული ტურიზმის ადმინისტრაცია (ტურიზმის დეპარტამენტი), რომელიც არის როგორც სტატისტიკის დეპარტამენტისა და ცენტრალური ბანკის მიერ მომზადებული ინფორმაციის მფლობელი, ასევე უფლებამოსილების მიმნიჭებელი ორგანო ტურისტული მომსახურების გამწევი კომპანიებისთვის. თუმცა ეროვნული ადმინისტრაცია ვერ უზრუნველყოფს სრულყოფილი ინფორმაციის მოპოვებას საჭირო კადრებთან და ინფორმა-

ციის წყაროებთან დაკავშირებული პრობლემების გამო, სრულად ვერ აღრიცხავს გამოყენებულ მომსახურებას, ხარჯებსა და შემოსავლებს. რაც შეეხება სატელიტური აღრიცხვის სისტემას, ის სწორედ შემოსავლების ზუსტი აღწერისთვისაა შექმნილი და უდავოა მისი დადებითი გავლენა კონკრეტულ ქვეყნებში ტურიზმის ეკონომიკურ მაჩვენებლებზე.

მაგალითისთვის შეგვიძლია განვიხილოთ ჩილე - ქვეყანა ლათინურ ამერიკაში, რომლის შემოსავლებიც ტურიზმიდან ბოლო 15 წლის განმავლობაში 3-ჯერ გაიზარდა. მსოფლიო ბანკის მონაცემებით, 2000 წელს, როცა TSA ჯერ არ იყო დანერგილი, ქვეყანაში ტურიზმიდან შემოსული თანხა დაახლოებით 1,2 მილიარდს შეადგენდა. ამჟამად ეს მონაცემი 3 მილიარდს აჭარბებს. აღსანიშნავია, რომ სატელიტური აღრიცხვის შემოღების შემდეგ ჩილეში 5 წელიწადში 2000 წლის მაჩვენებელი გაორმაგდა, ხოლო პირველად 3 მილიარდს 2011 წელს მიაღწია. მაშინ, როდესაც ჩვენს ქვეყანაში ბოლო წლების განმავლობაში ეს მაჩვენებლი მხოლოდ რამდენიმე ასეული ათასით იმატებს, მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის რეკომენდაცია TSA-ს დანერგვის შესახებ, ნამდვილად საყურადღებოა.

ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲐ

TSA-ს დანერგვა ქვეყანაში საშუალებას მოგვცემს, ზუსტად განვსაზღვროთ, რა რაოდენობის ტურისტი შემოდის ქვეყანაში და რა სარგებელი უნდა დარჩეს ქვეყანას ვიზიტორების მიერ ქვეყანაში დახარჯული თანხიდან; აგრეთვე ხელს შეუწყობს იმ მცირე ტიპის სასტუმროების კონტროლს, რომლებიც „ფულს ათეთრებენ“. სახელმწიფოსთვის უცნობია მათი პოლიტიკა საგადასახადო სისტემისა და, ზოგადად, ფასების მიმართ, რადგან ყველა კერძო ტიპის სასტუმრო განსხვავებულ ფასსა და მომსახურებას სთავაზობს კლიენტს. TSA საშუალებას მოგვცემს აღვრიცხოთ:

• ტურიზმის წილი მთლიან შიდა პროდუქტში;

• ტურიზმის რანჟირება ეკონომიკის სხვა დარგებთან შედარებით;

• ტურიზმის მიერ ეკონომიკაში შექმნილი სამუშაო ადგილების რაოდენობა;

• ტურიზმში ჩადებული ინვესტიციების მოცულობა;

• ტურისტული ინდუსტრიის გადასახადებიდან მიღებული ამონაგები;

• ტურიზმის მოხმარება;

• ტურიზმის გავლენა ეროვნულ საგადამხდელო ბალანსზე.

ზემოთ აღნიშნული ჩამონათვალის ზუსტი განსაზღვრა კიდევ უფრო გააძლიერებს ქვეყნის ეკონომიკას და გაზრდის წლის განმავლობაში წარმოებული მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ-ის) ხვედრით წილს ქვეყანაში, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს სამომხმარებლო კალათის გაზრდას მოსახლეობის ერთ სულზე .

ლიტერატურა:

1. https://gnta.ge/ge/სტატისტიკა/

2. https://unstats.un.org/UNSD/tradeserv/workshops/Dominica%202013/Presentations/21%20-%20Bermuda%20-%20TSA%20Country%20Experience.pdf

3. https://data.worldbank.org/indicator/ST.INT.RCPT.CD?locations=CL

4. http://www.economy.ge/?page=ecoreview&s=22

THE TOURISM SATELLITE ACCOUNT (TSA) AND ITS ROLE IN THE DEVELOPMENT OF GEORGIAN ECONOMY

T. Lukhutashvili; E. Fureliani
TSU Bachelors of Social and Political Sciences,
Journalism and Mass Communication

Resume

Economy is the most important aspect for existence of every country. In a modern world there are many countries that fill their economy with the finances coming from tourism. Due to the technological progress today it's possible to visit any other country with relaxation purposes, to see the historical and cultural sightseeings and to have just a rest on a resort. This is why it's important to use the actual potential of tourism and to know what kind of income this business gives.

TSA – abbreviation for "Tourism Satellite Account" came into power a few years ago and some of the countries use this system successfully for the growth of economic characteristics. In our study there is discussed the example of Chile – this country has almost tripled its economical features with the TSA system. Also, we have discussed the opportunities of Georgia in implementing this system and the positive effects TSA can have on our economy.

Key words : Tourism, Satellite, Economy, Growth, Finances, Account, Statistics.

ადამიანური რესურსების სტიმულირების ფუნქციონალური სისტემა კომპანია „ფრესკოს“ მაგალითზე

ციალა ლომაია
სტუ , კავკასიის საერთაშორისო
უნივერსიტეტის პროფესორი,
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
ნინო ომანაძე
კავკასიის საერთაშორისო
უნივერსიტეტის დოქტორანტი

რეზიუმე

სტატიაში გადმოცემულია ადამიანური რესურსების სტიმულირების პროცესი კომპანია „ფრესკოს“ მაგალითზე. ეკონომიკაში სტიმულირება მხოლოდ მატერიალური ანაზღაურებით არ შემოიფარგლება, არამედ ის მიმართულია მომუშავის პიროვნული სრულყოფისაკენ, ასევე კომპანიის მხრიდან მორალური თანადგომისაკენ.

კვლევებმა აჩვენა, რომ ადამიანური რესურსების სტიმულირების სისტემა გულისხმობს:

დაქირავებული მომუშავის მაღალი შრომითი მაჩვენებლის სტიმულირებას;

მომუშავის შრომითი ქცევის განსაზღვრული მიმართულების ფორმირებას, რომელიც მიმართული იქნება ორგანიზაციის განვითარებისაკენ;

მომუშავის დარწმუნება, რომ სრულად გამოიყენოს თავისი ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობები დაკისრებული სამუშაოს შესრულებისათვის.

სტატიაში აღნიშნულია, რომ დღეს ჩვენს ქვეყანაში სათანადო ყურადღება არ ექცევა სტიმულირების ყველა ფორმის გამოყენებას. ანკეტური გამოკითხვის საშუალებით დადგინდა თუ რა მდგომარეობაა პერსონალის სტიმულირების კუთხით თბი-

ლისში მდებარე სუპერმაკეტების ქსელში - „ფრესკო“.

საკვანძო სიტყვები: სტიმულირების პროცესი, ფუნქციონალური სისტემა, ძირითადი კონცეფციები, ადაპტირება, წახალისების სისტემა.

ᲨᲔᲡᲐᲕᲐᲚᲘ

მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე სიღრმისეული პროცესები: გლობალიზაცია, ბიზნესის ინტერნაციონალიზაცია, ეკონომიკური სისტემების დაახლოება, მართვაში ადამიანის როლის ზრდა - არსებით გავლენას ახდენს ბიზნესის თანამედროვე სახეზე. დღის წესრიგში დგება საკითხი როგორ შეფასდეს უცხოური გამოცდილება და რისი გადმოღებაა სასარგებლო ადგილობრივი თავისებურებების გათვალისწინებით.

ბიზნესის მართვის ეფექტიანობა დამოკიდებულია ადამიანური რესურსის სტიმულირებაზე.

სტიმულირების პროცესი მიმართულია ორგანიზაციის მიზნების მისაღწევად. საბაზრო ეკონომიკის პირობებში სამეწარმეო საქმიანობის პროცესში აუცილებელი ხდება სტიმულირების ახალი მიდგომების შესწავლა და გამოყენება.

სტიმულირების განზოგადება რთულია, რადგან ის ყველა ადამიანისათვის ინდივიდუალურია, ამ კუთხით სტიმულირების ფუნქციონალური სისტემის შესწავლა და მისი გამოყენება ბიზნესის სფეროში ადამიანური რესურსების სრულყოფის მიზნით მეტად აქტუალურ პრობლემად გვესახება.

ბიზნესის სფეროში სტიმულირების ფუნქციონალური სისტემის კვლევა მიზნად ისახავს: სტიმულირების როლისა და მნიშვნელობის განსაზღვრას ბიზნეს კომპანიების მენეჯმენტის სრულყოფის მიმართულებით, სტიმულირების ანალიზს სხვადასხვა კულტურებში, კომპანიის ადამიანური რესურსის, როგორც სტიმულირების ობიექტის გამოკვლევას.

კვლევის მიზნად დავისახეთ წახალისების თეორიებსა და ძირითად კონცეფციებზე დაყრდნობით სტიმულირების თანამედროვე მიდგომების შესწავლა, მის ანალიზი და ადაპტირება თანამედროვე მოთხოვნებთან ბიზნეს სუბიექტებში; სტიმული-

რების მიმართულებით დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავება.

აღნიშნული მიზნიდან გამომდინარე დასახულ იქნა შემდეგი ამოცანები:

• სტიმულირების თეორიული ასპექტების ანალიზი და ევოლუციური თავისებურებები;

• პერსონალის სტიმულირების მართვის სისტემისა და ელემენტების შესწავლა;

• სტიმულირების ფუნქციონალური სისტემის შეფასება და მისი ადაპტაცია თანამედროვე მოთხოვნებთან;

• სტიმულირების მართვის სისტემის ორგანიზაციული, სამართლებრივი და ინფორმაციული უზრუნველყოფის ანალიზი;

• სტიმულირების კვლევა საკვლევ ობიექტებზე და ადამიანური რესურსების გლობალური მართვა, როგორც სტიმულირების სისტემის სრულყოფის მექანიზმი.

როგორც ავღნიშნეთ სტიმულირების განზოგადება რთულია, რადგან ის თითოეული ადამიანისათვის ინდივიდუალურია. ამ კუთხით ბევრი საკითხი კვლევას და შესწავლას მოითხოვს. ამ პროცესში იგულისხმება, როგორც საკუთარი ქვეყნის ადამიანური რესურსის საქმიანი კულტურის ღრმად შესწავლა, ასევე იმ ქვეყნებისა, რომელთა გამოცდილების გამოყენებაც ხდება. დიდი მნიშვნელობა ენიჭება კვლევებს ამ კუთხით, რომელსაც ატარებს მრავალი კვლევითი ცენტრი მსოფლიოს მასშტაბით.

ძირითადი ნაწილი

თანამშრომელთა შრომითი საქმიანობის სტიმულირების ეფექტური სისტემის გარეშე შეუძლებელია საწარმოს წარმატებული განვითარება, მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლება, წარმოებული პროდუქციის ან გაწეული მომსახურების ხარისხის ამაღლება.[1]

საწარმოს ხელმძღვანელთა უმრავლესობა ცდილობს ეკო-

1 კილაძე თ. ზუბიაშვილი ლ. „შრომის სტიმულირება და მისი გამოყენების პრაქტიკა“, თსუ პ.გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული7, 2014, გვ. 440.

ნომია გააკეთოს პერსონალის დანახარჯებზე, რამაც შეიძლება გამოიწვიოს შესრულებული სამუშაოს ხარისხის შემცირება.[1]

სტიმულირება გულისხმობს მართვის ორგანოებში იმ სიკეთეთა ერთობლიობის არსებობას, რომლებსაც უნარი აქვთ დააკმაყოფილოს მომუშავეთა მნიშვნელოვანი მოთხოვნები დღეს და ხვალ, და გამოიყენოს ის დასაჯილდოებლად შრომითი ფუნქციების წარმატებულად რეალიზაციისათვის. მეცნიერები სტიმულირებას სხვადასხვაგვარად განმარტავენ ვ.ფ. ანდრიენკო სტიმულში ხედავს თანამშრომელთა ინტერესებს და მოთხოვნებს, რაც მათ აღუძრავს ეკონომიკური საქმიანობის სურვილს მისი ინტერესებისა და მოთხოვნების დაკმაყოფილების საშუალებით.[2] პერსონალის სტიმულირება მხოლოდ რომელიმე ერთი კონკრეტული ორგანიზაციის ამოცანას კი არ წარმოადგენს, არამედ, მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში, ამიტომ პერსონალის შრომითი საქმიანობის სტიმულირების სისტემის სრულყოფისა და თანამშრომელთა მოტივირების ქმედითი მეთოდების მოძიება-დანერგვა განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს, როგორც კონკრეტული ორგანიზაციების დონეზე - წარმატებული საკადრო და საწარმოო მენეჯმენტის განხორციელებისათვის, ისე სახელმწიფო ხელისუფლების დონეზე ეფექტური სოციალურ-შრომითი პოლიტიკის შემუშავებისათვის.[3]

დაქირავებულ თანამშრომელთა მოტივაციის გაზრდაზე მიმართულ სტიმულირებას მეწარმე საკუთარი შემოსავლების ზრდასთან მიყავს. მოტივაცია და სტიმულირება რთული კატეგორიებია, ისინი მართალია ერთმანეთს ავსებენ, მაგრამ როგორც შრომის მართვის მეთოდებს, მათ საპირისპირო მიმართუ-

1 კილაძე თ. ზუბიაშვილი ლ. „შრომის სტიმულირება და მისი გამოყენების პრაქტიკა“, თსუ პ.გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული 7, 2014, გვ. 440.

2 კილაძე თ. ზუბიაშვილი ლ. „შრომის სტიმულირება და მისი გამოყენების პრაქტიკა“, თსუ პ.გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული7, 2014, გვ. 440.

3 ნაცვლიშვილი ე. „შრომითი საქმიანობის მოტივაციისა და სტიმულირების ზოგიერთი საკითხისათვის“, „თეუსუ 1 (9)“, 2010, გვ. 37.

ლება აქვთ: მოტივაცია მიმართულია არსებული მდგომარეობის შეცვლაზე, ის გულისხმობს შრომითი საქმიანობისადმი შემაგულიანებელი შინაგანი და გარეგანი მამოძრავებელი ძალების ერთობლიობას, სტიმულირება - არის ადამიანის შრომითი ქცევის მართვის მეთოდი.[1] შრომის სტიმულირება შეიცავს ორ ასპექტს: მატერიალურს და მორალურს, რომლებიც კომპლექსურად უნდა იყოს გამოყენებული, ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე უდიდეს მნიშვნელობას იძენს მატერიალურ და მორალურ სტიმულირებას შორის სწორი თანაფარდობის გამოძებნის საკითხი, რადგან ეს უკანასკნელი განაპირობებს სტიმულირების ეფექტური სისტემის ფუნქციონირებას და საბოლოოდ ორგანიზაციის წარმატებულ საქმიანობას.[2]

ადამიანური რესურსების მართვა რთული და მნიშვნელოვანი პროცესია, დაქირავებულ მომუშავეთა სტიმულირება წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ საკითხს პერსონალის მართვაში. მეწარმეები ცდილობენ მიიღონ მაქსიმალური მოგება მინიმალური დანახარჯებით, ხოლო მომუშავეები კი ცდილობენ მიიღონ მეტი მატერიალური ანაზღაურება ნაკლები სამუშაოს შესრულების ხარჯზე.[3]

თანამედროვე ეკონომიკაში სტიმულირება მხოლოდ მატერიალური ანაზღაურებით არ შემოიფარგლება, არამედ ის მიმართულია მომუშავის პიროვნული სრულყოფისაკენ, ასევე კომპანიის მხრიდან მორალური თანადგომისაკენ. დაქირავებულ მომუშავეთა სტიმულირების არსი შემდეგია:

1. დაქირავებული მომუშავის მაღალი შრომითი მაჩვენებლის სტიმულირება;

2. მომუშავის შრომითი ქცევის განსაზღვრული მიმართულების ფორმირება, რომელიც მიმართული იქნება ორგანიზაციის

1 ნაცვლიშვილი ე. „შრომითი საქმიანობის მოტივაციისა და სტიმულირების ზოგიერთი საკითხისათვის“, „თეუსუ 1 (9)“, 2010, გვ. 37.

2 ნაცვლიშვილი ე. „შრომითი საქმიანობის მოტივაციისა და სტიმულირების ზოგიერთი საკითხისათვის“, „თეუსუ 1 (9)“, 2010, გვ. 37.

3 ჟორჟოლიანი ს. „დაქირავებულ მომუშავეთა სტიმულირების არსი, როლი და ამოცანები სამეწარმეო საქმიანობის განვითარებაში“, ეკონომიკა N2 (135) 2009, გვ.85.

განვითარებისაკენ;

3. მომუშავის დარწმუნება, რომ სრულად გამოიყენოს თავისი ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობები დაკისრებული სამუშაოს შესრულებისათვის.

დღეს ჩვენს ქვეყანაში სათანადო ყურადღება არ ექცეა სტიმულირებას, დღევანდელი სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე მომუშავეები ორიენტირებულნი არიან პირველადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისაკენ. მომუშავეებს უნდა გაუჩნდეთ შრომისადმი ინტერესი და თანამონაწილეობის შეგრძნება საერთო საქმისა და კოლექტივისადმი. როგორც პრაქტიკამ აჩვენა, რაც უფრო მეტ დაძაბულობას, დროსა და ენერგიას მოითხოვს სამუშაო, მით მეტ როლს იძენს ფინანსური დაინტერესებაც. მომუშავეთა სტიმულირების განსაზღვრისას უნდა იქნას გათვალისწინებული მათი პიროვნული თვისებები. მეწარმეებმა უნდა გაითავისონ, რომ ადამიანური ფაქტორი წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ განმსაზღვრელს ორგანიზაციის წარმატების საქმეში ბაზარზე კონკურენტული ბრძოლის პირობებში.[1]

კვლევა განვახორციელეთ „ფრესკოს“ სუპერმარკეტების ქსელში. ჩავატარეთ ანკეტური გამოკითხვა „ფრესკოს“ ქსელის თანამშრომლებთან და მენეჯერებთან. „ფრესკო“ საქართველოს ბაზარზე არსებობს 2012 წლიდან და დღეისათვის 8 სუპერმარკეტს ფლობს: ვარკეთილში, მუხიანში, ორთაჭალაში, საბურთალზე, ჩუღურეთში, სანზონაში, ისანსა და გლდანში. ის სთავზობს მომხმარებელს კომფორტულ გარემოს და 24 საათის განმავლობაში მაღალი ხარისხის მომსახურებას. „ფრესკო“ ბერძნული სიტყვაა და ახალს, ჯანსაღს ნიშნავს - ეს გახლავთ კომპანიის კრედოც.

„ფრესკო“ ერთადერთი ქსელია საქართველოში, რომელიც მუშაობს 100% საკუთრებაში არსებული მიწის და შენობების ბაზაზე და აქედან გამომდინარე ანვითარებს ქვეყანაში სამშე-

1 ჟორჟოლიანი ს. „დაქირავებულ მომუშავეთა სტიმულირების არსი, როლი და ამოცანები სამეწარმეო საქმიანობის განვითარებაში“, ეკონომიკა N2 (135) 2009, გვ.85.

ნებლო ბიზნესს. „ფრესკო“ ერთადერთი ქსელია საქართველოში, რომელიც მიუხედავად რაიონისა და ადგილმდებარეობისა ყველგან ერთნაირ ფასს სთავაზობს მომხმარებელს. მისი პერსონალი ერთნაირი ხარისხით ემსახურება ნებისმიერი სოციალური სფეროს წარმომადგენელს. კომპანია „ფრესკო“ ზრუნავს თანამშრომელთა ზრდასა და კვალიფიკაციის ამაღლებაზე, სხვადასხვა ტრენინგით, შეფასებებით და ბონუსების სისტემით ხელს უწყობს მათი კვალიფიკაციის ამაღლებას და აძლევს მათ კომპანიაში კარიერული განვითარების საშუალებას.

სუპერმარკეტების ქსელში გამოვკითხე 40 რესპოდენტი, 28 მდედრობითი და 12 მამრობითი სქესის წარმომადგენელი. შენიშვნის სახით მინდა ავღნიშნოთ, რომ მომუშავეთა უმრავლესობა 30 წლამდე ახალგაზრდაა, ბევრი მათგანი სტუდენტია.

კვლევის შედეგი

გამოკითხულთა რ-ბა	სტიმულირების რა ფორმას სთავაზობთ თანამშრომლებს?	შედეგი	%
40	ხელფასები	4	12
	ბონუსები	20	50
	კარიერული წინსვლა	10	25
	მორალური წახალისება	6	13

სქემა გვიჩვენებს კომპანია „ფრესკოს“ მენეჯერების მხრიდან თანამშრომლების მიმართ განხორციელებულ სხვადასხვა სახის სტიმულირებას. მომუშავეების 50%-მა განაცხადა, რომ მათი სტიმულირება ხორციელდება ბონუსებით, 25%-მა - კარიერული წინსვლით, 12%-ის თქმით მათი სტიმულირება ხდება ხელფასების ზრდით, ხოლო 13% - ის - მორალური წახალისებით.

ცხრილის მონაცემები დატანილია დიაგრამაზე.

სტიმულირების რა ფორმას სთავაზობთ თანამშრომლებს?



ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲐ

მენეჯერებს სტიმულირების სწორი ფორმის შესარჩევად მოეთხოვებათ ადამიანური რესურსების, როგორც კომპეტენტურობისა და პროფესიონალიზმის, ასევე პიროვნული თვისებების სწორად შეფასება.

თანამედროვე კვლევებზე დაყრდნობით ბიზნესის საქმიანობის პროცესში აუცილებელი ხდება სტიმულირების ახალი მიდგომების შესწავლა და გამოყენება, რაც კადრების მუშაობის ეფექტიანობის ამაღლებაში გამოადგება მენეჯერებს. კომპანია „ფრესკოს“ მაგალითზე ჩატარებულმა კვლევამ გვიჩვენა, რომ სუპერმარკეტების ქსელის მენეჯერები თანამშრომლების წახალისების მიზნით წარმატებით იყენებენ სტიმულირების სხვადასხვა ფორმებს, ხშირ შემთხვევაში კი ბონუსების სისტემას, რაც მომუშავეთა ეფექტიან მუშაობაზე აისახება.

სტიმულირების პროცესში უნდა იყოს გათვალისწინებული კადრების ინტერესებისა და ორგანიზაციის ინტერესების თანხვედრა. პერსონალმა უნდა იცოდეს კომპანიის სტრატეგიული მიზნები და ამავდროულად ისინი უნდა ხედავდნენ თავიანთი კარიერული ზრდის პერსპექტივებს, ორგანიზაციაში უნდა ხდე-

ბოდეს პერსონალის სტიმულირება მათი უნარების, კომპეტენტურობის, წვლილის და საბაზრო ღირებულებების მიხედვით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. თორია მ. "ადამიანური რესურსების მენეჯმენტი", "მერიდიანი" თბ. 2014, გვ. 203 – გვ. 223.

2. კილაძე თ., ზუბიაშვილი ლ. „შრომის სტიმულირება და მისი გამოყენების პრაქტიკა", თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული 7, 2014, გვ. 440.

3. ლომაია ც. "ადამიანური რესურსების მენეჯმენტი" თბ. 2014, გვ. 252 – გვ. 257.

4. ნაცვლიშვილი ე. „შრომითი საქმიანობის მოტივაციისა და სტიმულირების ზოგიერთი საკითხისათვის" , „თეუსუ 1 (9)", 2010, გვ.37.

5. ჟორჟოლიანი ს. „დაქირავებულ მომუშავეთა სტიმულირების არსი, როლი და ამოცანები სამეწარმეო საქმიანობის განვითარებაში" , ეკონომიკა N 2 (135) 2009, გვ. 85.

6. "Human Resources Management" Alan Proce, Cengage learning EMEA 2011y.ce

REFERENCES:

1. Thoria M. "Human Resource Management", "Meridian" Tb. 2014, p. 203 - p. 223.

2. Kiladze T., Zubiashvili L. "Stimulating Labor and Practicing Its Application", TSU P. Collection of Scientific Works of Gugushvili Institute of Economics 7, 2014, p. 440

3. Lomaia Ts. "Human Resource Management" Tb. 2014, p. Pp. 252-257.

4. Natsvlishvili E. "For some issues of motivation and stimulation of labor activity", "Teusu 1 (9)", 2010, p. 37

5. Zhorzholiani S. "The essence, role and objectives of stimulating employed workers in the development of entrepreneurial activity", Economics N 2(135) 2009, p. 85.

6. "Human Resources Management" Alan Proce, Cengage learning EMEA 2011y.ce

THE FUNCTIONAL SYSTEM OF HUMAN RESOURCES STIMULATION ON THE EXAMPLE OF "FRESCO"

T. Lomaia,
Professor of Georgian Technical University,
Caucasus International University
Academic Doctor of Economics,
N. Omanadze
Caucasus International University
Doctoral Educational Program
for Business Administration

RESUME

The article describes the process of stimulating human resources on the example of "Fresco". The stimulation in the economy is not limited to material pay, but it is directed towards the personal perfection of the process, as well as to the moral support of the company.

Studies have shown that the human resource stimulation system implies:

Stimulating high labor indicators of hired work;

The formation of a specific direction of labor behavior, which will be directed towards development of the organization;

To convince workers to fully use its physical and mental abilities to perform the imposed job.

The article notes that today we do not pay proper attention to the use of all forms of stimulation in our country. By means of a survey question, we have found out what is the situation in the supermarket network in Tbilisi - "Fresco".

Key words: Stimulation process, Functional System, Basic concepts, Adaptation, Incentive system.

PURCHASING MARKET STUDY

Nato Samnidze
GTU, Ph.D Student

Resume

The structured purchasing procedures and documents facilitate the purchasing process. The reason for having the purchasing procedure, which describes the purchasing process with purchasing activities in it, is its ability to provide a framework in order to accomplish the activities efficiently and effectively.

Each organization is unique and operates in the specific industry with various characteristics, different purchasing activities in the existing purchasing models should be analyzed in order to find the best suited one to the organization. All the models involve market study as one of the prime importance component in purchasing procedures. Generally, the market study normally is done when the purchasing is identified and the supplier selection process is ongoing, but before the supplier negotiation process begins.

Due to the fact that purchasing price of raw material determines 60% of the final product price. It is of critical importance for the organization to have a best offer for the product on the market.

Key words: Purchasing, Purchasing Structure, Purchasing Structure Components, Market Study, Market study for Purchasing, Buyer's Market, Seller's Market, Equilibrium Price.

ძირითადი ტექსტი

Weele (2000) states that both buyer and seller operate in the same market, where buyer is the demand side and seller is the supply side. As stated by Lysons and Farrington (2006), economic theory shows that demand and supply are balanced by the influ-

ence of price, the equilibrium price indicating the point at which demand and supply are equal (Figure 1). When demand exceeds supply, prices tend to rise and this market is called as seller's market. Contrariwise, prices tend to fall when supply exceeds demand and the market is buyer's market. For the purchaser's point of view, the ideal situation when searching for certain product would be the Buyer's market situation, the fare situation would be equilibrium price when Seller's market and Buyers market meet in harmony, the worst situation for the purchaser is when market situation is shifted to Seller's market.



Figure 1. Supply, demand and equilibrium price (Lysons and Farington, 2006, p.435)

Weele (2000) states that knowledge about the market facilitates decision making process for industrial purchaser exclusively while purchasing raw materials. Market condition can be different, due to time, prices, actors on market and economic situation. The charac-

teristics and dimensions of each market from supply side are shown in Table 1.

Types of situation in market				
Important Dimensions	**Pure Competition**	**Oligopoly**	**Monopolistic Competition**	**monopoly**
Uniqueness of each company's Product	None	None	Some	Unique
Number of Competitors	Many	Few	Many to few	Some
Size of competitors (compared to size of market	Small	Large	Large to small	None
Elasticity of demand facing company	Complitely elastic	Kinked demand qurve	Either	Either
Elasticity of industry demand	Either	Inelastic	Either	Either
Control of price by company	None	Some (with care)	Some	Complete

Table 1. Important dimensions of market situations (Perreault and McCarthy, 2003,p.466)

The pure competition can be discussed as an ideal state for the market, according to Perreault and McCarthy (2003) the pure competition is market situation which arises when market has:

- ✓ Homogeneous products;
- ✓ Large number of buyers and sellers, which are aware of market;
- ✓ Easy access for new customers and companies.

A market is oligopoly when there is more than one but still few suppliers in the market (Hirshleifer, Glazer and Hirshleifer, 2005). The oligopoly according to Perreault and McCarthy (2003) appears when market has:

- ✓ Homogenous products;
- ✓ Relatively less number of sellers;
- ✓ Fairly inelastic industry demand curve.

Monopolistic competition is a market structure where:

- ✓ Products produced by sellers have little differentiation;
- ✓ Producer is able to set its price without affecting market as a whole (Perreault and McCarthy, 2003).

On the other hand, there is monopoly- which is discussed as market situation when:

- ✓ An industry contains only one company;
- ✓ If the company can drive out competitors by lower production prices then it becomes natural monopoly (Hirshleifer, Glazer and Hirshleifer, 2005).

From the demand side market can be pure competition, oligopsony and monopsony. Pure competition is same the market structure for both demand and supply side. Oligopsony is the market when there are not enough buyers for product, in other words market lacks of demanders (Kim, 2004). Monopsony, on the other hand, is when one buyer faces many different suppliers, i.e. market with a single buyer (Boal and Ransom, 1997).

Decision making process regarding the purchasing can be complex and uncertain. Therefore, decision making process should be coordinated in a way that the decision made is satisfactory to all parties involved (Weele, 2000). In order to have a clear idea before making the decision, purchaser should analyze the purchasing market.

Weele (2000) listed some important characteristics of markets as follows:

- ✓ Professional purchasing;
- ✓ Derived demand;

- ✓ Inelastic, fluctuating demand;
- ✓ Geographical concentration;
- ✓ Large order quantities and large amount of money involved;
- ✓ Limited number of customers;

Market study is highlighted as an important element of purchasing management by Weele (2000). Fearon (1976 cited in Lysons and Farrington, 2006) defines market research as "systematic gathering, classifying and analyzing data considering all relevant factors that influence the procurement of goods and services for the purpose of meeting present and future company requirements in such a way that they contribute to an optimal return." Developments in technology, changes in supply market dynamics; monetary developments are the reasons to conduct a purchasing market research (Weele, 2000). Information gathered thought the market analysis is important for procurement planning since it gives ability to see composition and growth of marketplace for both suppliers and buyers (Sollish and Semanik, 2007).For instance, analysis of suppliers and materials cost and price can be helpful in order to have a better understanding in supply market dynamics. Lysons and Farrington (2006) listed the factors to perform a market study as follows:

- ✓ Purchasing market study helps to forecast long-term demand;
- ✓ It is a tool to help forecasting the price trends, how cost affect the production cost, how it is reflected in the selling price;
- ✓ It shows the alternative material sources;
- ✓ It provides up-to-date information regarding to pay trends, commodity prices, political factors so that purchasing strategy to employ can be decided.

Leenders, et al. (2006) point out three different ways to conduct a market study. First way is to assign a purchaser employee to a full-time researcher position. Second way is to give a part-time responsibility to a purchaser employee. This way is preferable due to the lack of time in the purchasing department. Third way is to form a cross functional team in order to have an expanded knowledge in

market study. On the other hand, Weele (2000) suggests outsourcing the market study because of the lack of time of purchasers and hiring a consultant company or form a team consisting of employees of purchasing department and researchers from consulting company.

According to Buvik (2001) market research must begin with identification and analysis of market structures, since it is base for purchasing decisions, and second step; therefore, should be discussions on role market structure plays in purchasing.

REFERENCES:

1. Buvik, A., 2001. The industrial purchasing research framework: A comparison of theoretical perspectives from micro economics, marketing and organization science. Journal of Business and Industrial marketing, [e-journal] 16(6), pp. 439-450.

2. Boal, W., M., Ransom, M., R., 1997. Monopsony in the labor market. Journal of Economic Literatur. [e-journal] 35(1), pp. 86-112.

3. Hirshleifer, J., Glazer, A. and Hirshleifer, D., 2005.Price Theory and Applications: Decisions, Markets and Information.7th ed. New York, NY: Cambridge University Press.

4. Leenders, M. R., et al., 2006. Purchasing and supply management with 50 supply chain cases. 13th ed. New York, NY: McGraw-Hill.

5. Lysons, K. and Farrington, B., 2006. Purchasing and supply chain management. 7th ed. England: Pearson Education Limited.

6. Sollish, F., and Semanik, J., 2007. The procurement and supply manager's desk reference. [E-book] Hoboken, NJ:John Wiley & Sons.

7. Weele, A., V., 2000. Purchasing and supply chain management-analysis, planning and practice. 2nd ed. Padstow, CON: Thomson Learning.

შესყიდვების ბაზრის კვლევა

ნატო სამნიძე
სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

სტრუქტურირებული შესყიდვის პროცედურები და მათი დოკუმენტირება ხელს უწყობს შესყიდვების პროცესების სწორად განვითარებას. შესყიდვების პროცედურების არსებობა, რომელიც მოიცავს შესყიდვების პროცესებს და მასში შემავალ აქტივობებს, მიზნად ისახავს საქმიანობის ეფექტურად წარმართვას, არსებული სახელმძღვანელო წესების დახმარებით.

იმის გამო, რომ ნედლეულის შეძენის ფასი განსაზღვრავს საბოლოო პროდუქტის ფასის 60%-ს, მნიშვნელოვანია ორგანიზაციისათვის პროდუქტის საუკეთესო ფასის შეთავაზება ბაზარზე. ყველა შესყიდვების წესების სახელმძღვანელო მოდელი მოიცავს ბაზრის შესწავლას, როგორც ერთ-ერთ ძირითადი მნიშვნელობის მქონე კომპონენტს შესყიდვების პროცედურებში. ბაზრის შესწავლის პროცედურა იწყება შესყიდვების იდენტიფიცირების ეტაპზე, როცა მომწოდებელთა შერჩევის პროცესი მიმდინარეობს, თუმცა ბაზრის შესწავლის პროცესი მომწოდებლებთან მოლაპარაკამდე უნდა დასრულდეს.

თითოეული ორგანიზაცია უნიკალურია და ფუნქციონირებს სხვადასხვა მახასიათებლების მქონე კონკრეტულ ინდუსტრიაში, არსებული შესყიდვების ფუნქციონირების მოდელებიდან სხვადასხვა შესყიდვების აქტივობა უნდა გაანალიზდეს იმისათვის, რომ ორგანიზაციის ფუნქციონირებისთვის საუკეთესო მოდელი შეირჩეს.

საკვანძო სიტყვები: შესყიდვები, შესყიდვების სტრუქტურა, შესყიდვების სტრუქტურების კომპონენტები, ბაზრის შესწავლა, შესყიდვების საბაზრო კვლევა, წონასწორული ფასი.

კორპორაციული მართვის ქცევითი ასპექტები

ლია ჯორჯიაშვილი
სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

კორპორაციული მართვა - ეს არის გზა, რომელიც კომპანიას აძლევს საშუალებას დანერგოს ორგანიზებისა და მართვის ისეთი მექანიზმები, რის მიხედვითაც კომპანიის ყველა ფინანსურად დაინტერესებული მხარე შეძლებს მიიღოს კომპანიის შემოსავლებისა და აქტივების სამართლიანი ფასი.

კორპორაციული მართვის სრულყოფა მნიშვნელოვანი წინაპირობაა ეკონომიკის ყველა სფეროში ინვესტიციების მოსაზიდად, როგორც ქვეყნის შიდა წყაროებიდან, ასევე, უცხოელი ინვესტორების მხრიდან. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც, გაჩნდა საერთო წესების შემუშავებისა და დანერგვის ობიექტური საფუძველი, რაც პოტენციურ ინვესტორებს საშუალებას მისცემს მიიღონ ნათელი სურათი იმის შესახებ, თუ რომელი მმართველობითი გადაწყვეტილებები გაამართლებს სამომავლოდ.

კორპორაციული მართვის თემა საფონდო ბაზრის მოთხოვნებიდან წამოვიდა. კერძოდ, თემის აქტუალობა მცირე აქციონერების პრობლემებმა განაპირობა. რაც უფრო კარგად მუშაობს სააქციო საზოგადოება და ეფექტიანია კორპორაციული მართვა, მით უფრო მეტი ინვესტიციის მოზიდვა ხდება საწარმოში. რაც უფრო განვითარებულია ქვეყანა, პრემიუმი მით უფრო მეტია კორპორაიცულ მართვაში.

საკვანძო სიტყვები: კორპორაციული მართვა, ინვესტიცია, ეთგო - ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია, აქციონერთა უფლებები, ინფორმაციული გამჭვირვალობა, სამეთვალყურეო საბჭო.

ძირითადი ტექსტი

დღეისათვის, არ არსებობს „კორპორაციული მართვის“ უნივერსალური განმარტება, რამდენადაც, მსოფლიო პრაქტიკაში ჩამოყალიბებულია ამ ტერმინის არაერთი ვალიდური განსაზღვრება. ტერმინი „კორპორაციული მართვა“ (Corporate Governance) პირველად 1984 წელს გამოიყენა პროფესორმა რობერტ იან(ბობ) ტრიკერმა თავისი ნაშრომის სათაურად და იგი, დღემდე, სამართლიანად, ითვლება ამ ტერმინის ფუძემდებლად. მანვე გამიჯნა ერთმანეთისაგან კორპორაციული მართვა და ბიზნესის მენეჯმენტი.

მსოფლიო ბანკის ყოფილი პრეზიდენტის - ჯეიმს ვულფენსონის განმარტებით, „კორპორაციული მართვა ეხება კომპანიების კეთილსინდისიერებას, გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებას; ეფექტიანი კორპორაციული მართვა ისეთივე საკვანძოა ეკონომიკური განვითარებისათვის, როგორც ეფექტიანი საჯარო მმართველობა.“[1]

Financial Times-ში, 1997 წელს გამოქვეყნებული განმარტების თანახმად: „კორპორაციული მართვა“, ვიწრო გაგებით, შეიძლება განიმარტოს, როგორც კომპანიის ურთიერთობა თავის აქციონერებთან, უფრო ფართო გაგებით კი, როგორც მისი ურთიერთობა საზოგადოებასთან. სხვა განმარტებით, „კორპორაციული მართვა“ არის ეკონომიკის დარგი, რომელიც იკვლევს, თუ როგორ არის უზრუნველყოფილი კორპორაციების ეფექტიანი მენეჯმენტი ისეთი მასტიმულირებელი მექანიზმებით, როგორიცაა კონტრაქტები, კანონმდებლობა“[2]

კორპორაციული მართვის სახელმძღვანელოს ავტორები, რობერტ ა. ჯ. მონკსი და ნელ მინოუ ფართო აზრს დებენ ზემოთ აღნიშნულ ცნებაში და კორპორაციულ მართვას განიხილავენ, როგორც „ურთიერთობებს სხვადასხვა მხარეებს შორის, კორ-

1 CACG Guidelines – Principles of Corporate Governance in the Commonwealth towards global competiteveness and economic accountability; November, 1999; p.1

2 სვანიძე ა., კორპორაციული მართვა, 2003, №1, გვ. 4

პორაციის ეფექტიანი ფუნქციონირებისა და განვითარებისათვის.“[1]

კორპორაციული მართვის სისტემის შედარებით უფრო ვიწრო ფორმულირება ეკუთვნის ა. შლაიფერს და რ. ვიშნის. ისინი მას განიხილავენ როგორც ხერხს, რომლის საშუალებითაც სამეურნეო პროცესის მონაწილენი, კორპორაციისათვის ფინანსური რესურსების მიცემით, უზრუნველყოფენ შემოსავლების მიღებას მათ კუთვნილ დაბანდებებზე. აღნიშნული განმარტების თანახმად, „კორპორაციული მართვის სისტემა ეხება მხოლოდ ფინანსური რესურსების მესაკუთრეთა და კომპანიას შორის ურთიერთობებს, რომელიც მიმართულია შემოსავლის მისაღებად, სხვა დაინტერესებული ჯგუფების ინტერესების გათვალიწინების გარეშე.“[2]

რუსი მეცნიერ-ეკონომისტები კორპორაციული მართვის სისტემას განიხილავენ, როგორც „სააქციო საზოგადოების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ საქმიანობას, რომელიც განპირობებულია საკუთრებითი ურთიერთობებით მესაკუთრე სუბიექტებს შორის და, ასევე, ურთიერთობებით ამ სუბიექტებსა და სხვა დაინტერესებულ ჯგუფებს შორის.“[3]

კორპორაციული მართვის სისტემის საფუძველს წარმოადგენს აზრის გამოთქმის და კომპანიის მენეჯერთა საქმიანობაზე ეფექტიანი შიდა კონტროლის განხორციელება მფლობელების (ინვესტორების) მხრიდან, რამდენადაც, სწორედ ამ უკანასკნელთა სახსრებით, კომპანიამ შეძლო დაეწყო საკუთარი საქმიანობა და შეექმნა ნაყოფიერი ნიადაგი სხვა დაინტერესებული ჯგუფების საქმიანობისათვის.

საერთო წესების ერთობლიობა, პოტენციურ ინვესტორებს საშუალებას აძლევს მიიღონ ნათელი სურათი იმის შესახებ, თუ რომელი მმართველობითი პრინციპების საფუძველზე მოქმედებს ესა თუ ის კომპანია, ვინ არის მისი მფლობელი, როგორია მისი

1 Robert A.G. Monks and Nell Minow, Cambridge M.A.,2005, p.1

2 Shleifer A., Vishny R. A., Journal of Finance, 1997, V. 52, p.52.

3 Алексеев А., Лебедянцев И., В поисках эффективного управления / Управление компанией, 2002, №2, ст.60

საქმიანობის ეფექტიანობის ხარისხი. ყოველივე ეს კი, ერთობლიობაში, ქმნის კორპორაციული მართვის სისტემის არსს.

უცხოელ ინვესტორთა მიერ გაგებული და აღიარებული წესების არსებობა და ეროვნული კომპანიების მიერ მათი დაცვა წარმოადგენს კაპიტალის მოზიდვის პროცესში მნიშვნელოვან კონკურენტულ უპირატესობას. ქართული ბიზნესის ცნობიერებაში, თანდათან იზრდება იმის აღქმა, რომ კორპორაციული მართვის ეფექტიანი პრინციპების მხარდაჭერა უზრუნველყოფს ინვესტორთა ნდობის მოპოვებას და ამის შედეგად შესაძლებელი გახდება დაფინანსების შედარებით იაფი და სტაბილური წყაროების მოძიება.

დღეისათვის, ყველა მკვლევარი, იქნება იგი თეორიტიკოსი, თუ პრაქტიკოსი, ერთხმად თანხმებიან იმაზე, რომ კორპორაციული მართვა მოიცავს კომპანიის შიდა ურთიერთობების მთელ კომპლექსს და მნიშვნელოვნად დაკავშირებულია ისეთ საკითხთან, როგორიცაა კომპანიის „კარგი“ საქმიანი რეპუტაცია ბაზარზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კორპორაციული მართვა შეიძლება განვმარტოთ, როგორც წესების, რეგულაციებისა და პროცესების ერთობლიობა, რომელიც განსაზღვრავს კომპანიის საქმიანობის მიმართულებას და მის წარმატებას.

ამიტომ, მართებულად არის საყოველთაოდ აღიარებული მოსაზრება, რომლის თანახმად, „კორპორაციული მართვა არის სისტემა, რომლის მეშვეობითაც კომპანიები იმართება, კონტროლდება და რეგულირდება ურთიერთობებით კომპანიის მენეჯმენტს, დირექტორთა საბჭოს, აქციონერებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის.“[1]

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (ეთგო) სპეციალისტების მიერ 2004 წელს შემუშავებულ კორპორაციული მართვის პრინციპებში წარმოდგენილია კორპორაციული მართვის განხორციელების ერთიანი ინდიკატორები, რომელთაც მიეკუთვნება:

1 ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (ეთგო), კორპორაციული მართვის პრინციპები, 2004, გვ.11

1. **აქციონერთა უფლებები -** კორპორაციული მართვის სტრუქტურამ უნდა უზრუნველყოს აქციონერთა უფლებების დაცვა, რომელთაგან ძირითადია: რეალურ მეთოდებზე დაფუძნებული საკუთრების უფლების რეგისტრაცია; აქციების გასხვისება და გადაცემა; კორპორაციის შესახებ ინფორმაციის დროული და რეგულარული მიღება; აქციონერთა საერთო კრების მუშაობაში მონაწილეობა და ხმის მიცემა; კორპორაციის მმართველობის არჩევნებში მონაწილეობა; კორპორაციის მოგებიდან წილის მიღება.

2. **აქციონერთა მიმართ სამართლიანი მოპყრობა** - კორპორაციული მართვის არსებულმა სტრუქტურამ უნდა უზრუნველყოს აქციონერთა მიმართ სამართლიანი მოპყრობა, წვრილი აქციონერებისა და უცხოელი ინვესტორების ჩათვლით.

3. **დაინტერესებულ პირთა როლი** - კორპორაციული მართვის სტრუქტურა უნდა აღიარებდეს და იცავდეს დაინტერესებული მხრეების უფლებებს, რომლებიც მათ კანონით და/ან კონკრეტული ხელშეკრულებების საფუძველზე აქვთ მინიჭებული და, ხელს უნდა უწყობდეს თანამშრომლობას კორპორაციებსა და დაინტერესებულ მხარეებს შორის სამუშაო ადგილების შექმნაში, თანამშრომელთა კეთილდღეობის ამაღლებასა და საწარმოს ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფაში.

4. **ღიაობა და ინფორმაციული გამჭვირვალობა** - კორპორაციული მართვის სტრუქტურამ უნდა უზრუნველყოს ინფორმაციის დროული და ზუსტი გახსნა კორპორაციის შესახებ ყველა მნიშვნელოვანი საკითხის გარშემო, მათ შორის, კომპანიის ფინანსური მდგომარეობის, მუშაობის ხარისხის, საკუთრებისა და მართვის პრონციპების შესახებ.

5. **სამეთვალყურეო საბჭოს ვალდებულებები** - კორპორაციული მართვის სტრუქტურა უნდა უზრუნველყოფდეს კომპანიის სტრატეგიულ მართვას, კომპანიის ადმინისტრაციაზე სამეთვალყურეო საბჭოს მხრიდან ეფექტიანი მონიტორინგის განხორციელებასა და სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშვალდებულებას კომპანიისა და მისი აქციონერების წინაშე.[1]

1 ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (ეთგო), კორპორაციული მართვის პრინციპები, 2004, გვ.109

დასკვნა

ამრიგად, მეცნიერთა ნაწილი, კორპორაციული მართვის სისტემას განიხილავს ფართო და ვიწრო გაგებით. ფართო გაგებით, კორპორაციული მართვის სისტემა მოიცავს ეკონომიკურ ურთიერთობაში მყოფი სუბიექტების ორგანიზაციულ-ეკონომიკურ, სამართლებრივ და მმართველობით ურთიერთობებს, რომელთა ინტერესი დაკავშირებულია კომპანიის საქმიანობასთან. ვიწრო გაგებით, კორპორაციული მართვის სისტემა არის წესებისა და სტიმულების სისტემა, რომელიც კომპანიის მმართველებს უღვიძებს ინტერესს, იმოქმედონ აქციონერების ინტერესებიდან გამომდინარე.

მაშასადამე, კორპორაციული მართვის სისტემა არის კომპანიის მენეჯერებს, მფლობელებსა და ინვესტორებს შორის ურთიერთობებისა და ურთიერთქმედების სისტემა, კომპანიის საქმიანობის ეფექტიანობის უზრუნველყოფისა და მფლობელებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების (კრედიტორები, პარტნიორები, კლიენტები, კომპანიის თანამშრომლები და ა. შ.) ინტერესების დაცვის საკითხებზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. სვანიძე ა., კორპორაციული მართვა, 2003 წ.

2. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (ეთგო), კორპორაციული მართვის პრინციპები, 2004 წ.

3. Алексеев А., Лебедянцев И., В поисках эффективного управления / Управление компанией, 2002

4. CACG Guidelines – Principles of Corporate Governance in the Commonwealth towards global competiteveness and economic accountability; November, 1999

5. Robert A.G. Monks and Nell Minow, Cambridge M.A.,2005

6. Shleifer A., Vishny R. A., Journal of Finance, 1997

REFERENCES:

1. Svanidze A., Corporate Management, 2003 (in Georgian Language)

2. Organization for Economic Co-operation and Development (OECD) Principles of Corporate Governance, 2004 (in Georgian Language)

3. Alekseev A., Lebedyantsev I., In Search of Effective Management / Company Management, 2002 (in Russian Language)

4. CACG Guidelines – Principles of Corporate Governance in the Commonwealth towards global competiteveness and economic accountability; November, 1999 (in English Language)

5. Robert A.G. Monks and Nell Minow, Cambridge M.A.,2005 (in English Language)

6. Shleifer A., Vishny R. A., Journal of Finance, 1997 (in English Language)

BEHAVIORAL ASPECTS OF CORPORATE GOVERNANCE

Lia Jorjiashvili
Doctoral Student of Georgian
Technical University

RESUME

Corporate governance is the way which allows the company to ensure such mechanisms of organizing and managing that all financially interested parties of the company will be able to get the fair value of the company's revenues and assets.

Perfection of corporate governance is an important prerequisite for attracting investments in all aspects of the economy, both from domestic sources and foreign investors. In Eastern Europe, including Georgia, there has been an objective basis for the development and implementation of common rules, which will enable potential investors to get a clear picture of what the ruling decisions will be useful in the future.

The vital issue of corporate management has emerged from the requirements of the stock market. Specifically, the issue of the community was caused by small shareholders' problems. The better the joint stock company work and the more efficient corporate governance is, the more investment is attracted to the enterprise. The more developed the country is, the more premium there is in corporative governance.

Key words: Corporate governance; Investment; OECD - Organization for Economic Co-operation and Development; Shareholders' rights; Information transparency; Supervisory Board.

ელექტრონული შესყიდვების ადგილი საქართველოს სახელმწიფო შესყიდვებში

მიხეილ ბაღდავაძე,
სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

განხილულია საქონლის და მომსახურების საქართველოს სახელმწიფო შესყიდვებში ელექტრონული საშუალებებით განხორციელებული შესყიდვების პრაქტიკული გამოცდილება. აღნიშნულია, რომ მისი დინამიკა წლითი-წლობით იზრდება და 2016 წელს შესრულდა 2532805944 ლარის ელექტრონული შესყიდვა, რამაც მთელ შესყიდვებში დაიაკავა 63%. 2015 წელთან შედარებით 2-ჯერ გაიზარდა ელექტრონულად გამოცხადებული კონკურსების რაოდენობაც (162 კონკურსი).

უფრო მეტი ხვედრითი წონა უკავია ელექტრონულ შესყიდვებს ქ. თბილისის მერიის ხაზით განხორციელებულ შესყიდვებში. აქ მისი წილი 74%-ია, ანუ 11%-ით მეტი საშუალო საქვეყნო მაჩვენებელზე.

საკვანძო სიტყვები: სახელმწიფო შესყიდვები, ელექტრონული შესყიდვები, ტენდერები.

ძირითადი ნაწილი

სახელმწიფო შესყიდვის საშუალებები და მათი გამოყენება ერთმანეთისგან განსხვავდება. თითოეული მათგანის გამოყენებას განსაზღვრავს საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“. „ელექტრონული შესყიდვები საქართველოში 2010 წელს განხორციელებული რეფორმის შემდეგ დამკვიდრდა, მანამდე მოქმედი კანონმდებლობა არ სცნობდა ელექტრონული შესყიდვის ფორმას. რეფორმამდე ტენდერები ტარდებოდა სატენდერო კომისიისა და პოტენციურ მომწოდებლებს შორის ზეპირი მოლაპარაკების გზით. 2010 წლის 1 დეკემბრიდან სავალდებულო გახდა ტენდერების ელექტრონული ფორმით გამოცხადება“ [1, გვ. 196]. ამ დღიდან დღემდის სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონ-

იზაციის მიმართულებით მრავალი სიახლე შემუშავდა და დაინერგა. მის მაგალითებად შეიძლება დავასახელოთ: შესყიდვების გეგმების ელექტრონული ფორმით განთავსება, შესყიდვების გადახდების (ანგარიშსწორება მიმწოდებელთან) ელექტრონულ დოკუმენტაციაში ასახვა, ხელშეკრულებების ელექტრონულ მოდულში განთავსება და მრავალი სხვა. ამის მაგალითად გამოდგება ის ფაქტიც, რომ თუ „შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის ძველ ვარიანტში" (მუხლი 10-1, პუნქტი 1) ელექტრონული საშუალებებით ვაჭრობა ვრცელდებოდა მხოლოდ გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერზე და ელექტრონულ ტენდერზე, ახალ ვარიანტში ვკითხულობთ, რომ იგი ეხება კონკურსს და კონსოლიდირებულ ტენდერსაც [2]. რაც იმას ნიშნავს, რომ მათი დოკუმენტაციაც უნდა განთავსდეს ერთიან ელექტრონულ სისტემაში. სიახლეა ისიც, რომ დღითიდღე სულ უფრო სრულყოფილი ხდება ელექტრონული შესყიდვების წესები – 2017 წლის 19 ივლისიდან ამოქმედდა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება (№12, 2017, 14 ივნისი) „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ", რომელითაც გაუქმდა 2011 წლის 7 აპრილს დამტკიცებული „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" №9 ბრძანება, შეიქმნა აფიდავიტის ახალი ფორმა და პირობები, შედგა ახალი კითხვარი, რომელსაც ელექტრონულად ავსებს შემსყიდველი ორგანიზაცია სატენდერო დოკუმენტაციის სისტემაში განთავსების მიზნით, შეიცვალა იმ მომსახურების CPV კოდები, რომელთა შესყიდვა შესაძლებელია პრეისკურანტის საფუძველზე [3] და ა. შ.

2016 წლის განმავლობაში დაინერგა ეგრეთწოდებული „ტენდერი ვაჭრობის გარეშე" და „ორეტაპიანი ტენდერი" (სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში აღინიშნება, შესაბამისად NAT და MEP აბრევიატურებით) [4, გვ. 4]. განსხვავება შესყიდვის ამ ორ საშუალებას შორის მდგომარეობს იმაში, რომ ერთ შემთხვევაში პრეტენდენტების რანჟირება ხორციელდება სატენდერო წინადადების ფასზე, ხოლო მეორე შემთხვევაში, ფასსა და სხვა თვლად კრიტერიუმებზე დაყრდნობით. აღნიშნუ-

ლი იძლევა შესყიდვის ობიექტის შერჩევისას მისი სასიცოცხლო ციკლის ხარჯების გათვალისწინების საშუალებას, ეს კი ხელს შეუწყობს სახსრების კიდევ უფრო რაციონალურად ხარჯვას. ორდინალური ტენდერებისგან განსხვავებით, ახლად დანერგილი ტენდერის ტიპები არ ითვალისწინებენ მონაწილე პირებს შორის ელექტრონული ვაჭრობის რაუნდების ჩატარებას. გარდა ამისა, შერჩევა-შეფასების ეტაპზე, დროებით იზღუდება გარკვეულ ინ-ფორმაციაზე წვდომა – ორივე შესყიდვის საშუალებაში გამოყ-ენებულია ეგრეთწოდებული ავტომატური რანჟირების სისტემა, რაც იძლევა პრეტენდენტების რანჟირების სისტემურად დად-გენის შესაძლებლობასა და ელექტრონული სისტემის მიერ მხ-ოლოდ რანჟირებაში საუკეთესო პოზიციაზე მდგომი პრეტენ-დენტის ვინაობის და მისი სატენდერო წინადადების გამოჩენას. რანჟირებაში შემდეგ პოზიციაზე მდგომი პრეტენდენტის ვი-ნაობა ხილვადი ხდება წინა პრეტენდენტის დისკვალიფიკაციის შემთხვევაში. ბუნებრივია, საბოლოო სტატუსის მინიჭებისთა-ნავე, ელექტრონულ სისტემაში ატვირთული ნებისმიერი დეტალი ხდება საჯარო. გამონაკლისს წარმოადგენს საბოლოო სტატუსი „ტენდერი შეწყვეტილია“, როდესაც ტენდერის შეწყვეტის მომენ-ტში განუხილველი პრეტენდენტების წინადადებები რჩება სისტე-მაში სამუდამოდ დაფარული. აღნიშნული სიახლე ემსახურება, არამართლზომიერი ქმედების პრევენციასა და მეტ ობიექტივ-იზმს შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან შერჩევა-შეფასების ეტაპზე. სამშენებლო სამუშაოების შესასყიდად გამოცხადებული ტენდერის ჩატარების განსხვავებული წესი კიდევ ერთ ახალ შე-სყიდვის საშუალებას წარმოადგენს — სამშენებლო სამუშაოს შესყიდვა განსხვავებული წესით (სახელმწიფო შესყიდვების ერ-თიან ელექტრონულ სისტემაში აღინიშნება DAP აბრევიატურით). ხსენებული მეთოდით, შემსყიდველ ორგანიზაციებს მიეცათ შეს-აძლებლობა ტენდერი ჩაატარონ არსებული მეთოდებისგან (SPA, NAT, MEP) განსხვავებული წესით, რომელიც გულისხმობს ყველა პრეტენდენტის სატენდერო წინადადების ერთდროულად, ერთ ეტაპზე შეფასებას. სახელდობრ, DAP ტენდერის გამოცხადების შემთხვევაში, პრეტენდენტები აფიქსირებენ სატენდერო წინა-

დადების ფასს, რომლის შემცირების უფლებითაც ისინი სარგებლობენ მხოლოდ ერთხელ. ელექტრონული ვაჭრობის დამატებითი რაუნდები არ იმართება. ამავდროულად, სატენდერო წინადადების ფასის შემცირებასთან ერთად, პრეტენდენტები ვალდებული არიან, სისტემაში ატვირთონ შეცვლილი ფასის შესაბამისი ხარჯთაღრიცხვა (განფასება). აგრეთვე, წინადადებების წარდგენის ეტაპზე იტვირთება საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, მათი მოთხოვნის შემთხვევაში.

არანაკლები მნიშვნელობის სიახლეებია ამ მიმართულებით საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ბოლოდროინდელი ინიციატივები, კერძოდ, 2016 წლის აგვისტოში გაიმართა საჯარო დისკუსია თემაზე – „სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემა – სიხალეები და ცვლილებები“. ამ შეკრებაზე მოხდა ახალი ელექტრონული სერვისების, მეთოდებისა და რესურსების პრეზენტაცია. ამის გარდა დასახელებული სააგენტოს ინიციატივით და საერთაშორისო დონორთა თანადაფინანსებით შეიქმნა და გამოქვეყნდა რამდენიმე სახელმძღვანელო და გზამკვლევი [4, გვ. 49]:

1. სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მომხმარებლის სახელმძღვანელო (სამშენებლო სამუშაოების შესყიდვა განსხვავებული წესით) [5].
2. სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მომხმარებლის სახელმძღვანელო [6].
3. ელექტრონული სატენდერო დოკუმენტაციის მოდულის შევსების ინსტრუქცია [7].
4. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტორნულ სისტემაში ამხანაგობის რეგისტრაციისა და მართვის ინსტრუქცია [8].

2016 წლის განმავლობაში სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებების ჯამურმა ღირებულებამ 4,018,097,958 ლარი შეადგინა. მათგან ელექტრონული პროცედურებით განხორციელდა 2,532,805,944 ლარის შესყიდვები, ანუ 63%, ხოლო გამარტივებული შესყიდვების გზით გაფორმებული ხელშეკრულებების ღირებულებამ კი 1,485,292,014 ლარი შეადგინა.



ნახაზი 1. სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებების ჯამური ღირებულება ელექტრონულ და გამარტივებულ შესყიდვების ჭრილში

2016 წელს გამოცხადებული ტენდერების რაოდენობამ საქართველოში 38054 შეადგინა, რაც 7%-ით აღემატება წინა წლის მაჩვენებელს. აღნიშნული ტენდერების განაწილება შესყიდვის ტიპების მიხედვით ნაჩვენებია ნახაზზე 2.



ნახაზი 2. გამოცხადებული ტენდერების განაწილება შესყიდვის ტიპის მიხედვით

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ. 2016 წელს საგრძნობლად გაიზარდა ელექტრონულად გამოცხადებული კონკურსების რაოდენობა და 2016 წელს აღნიშნულმა 162 შეადგინა, რაც 2-ჯერ აღემატება. 2015 წლის ამავე მაჩვენებელს 2016 წლის განმავლობაში 85 გამოცხადებულ კონკურსზე დაიდო ხელშეკრულება, რომელთა ჯამურმა სახელშეკრულებო ღირებულებამაც 19,122,411 ლარი შეადგინა.

ასევე, საინტერესოა 2016 წელს ახლად დანერგილი „ვაჭრობა დაფარული მონაცემებით აუქციონის გარეშე“ ტიპის ტენდერების სტატისტიკა. 2016 წლის პირველი ივლისიდან 31 დეკემბრის ჩათვლით 3,018 ხელშეკრულება დაიდო მსგავსი ტიპის პროცედურით გამოცხადებულ ტენდერებზე, რომელთა ჯამურმა სავარაუდო ღირებულებამაც 414 მილიონ ლარზე მეტი შეადგინა.

2016 წელს საბოლოო სტატუსი მიენიჭა 38,072 ტენდერს ამავდროულად წლის განმავლობაში ტენდერების საშუალებით ჯამში გაფორმდა 27,768 ხელშეკრულება 2016 წელს გაფორმებული ხელშეკრულებების რაოდენობა 11%-ით აღემატება 2015 წლის მონაცემებს.

2016 წელს ტენდერები, რომელთა სტატუსი იყო „ხელშეკრულება დადებულია“ წარმოადგენდა მთლიანი ტენდერების 73%-ს, რაც წინა წლის ამავე მაჩვენებელს 4 პროცენტული პუნქტით აღემატება (2015 წელს 69%).

2016 წელს ხელშეკრულება დადებული ტენდერების ჯამურმა სავარაუდო ღირებულებამ 2,550,507,717 ლარი შეადგინა, ხოლო სახელშეკრულებო ღირბულებამ კი 2,272,072,677 ლარი. შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემის მეშვეობით წლის განმავლობაში მიღწეულ იქნა 278,435,040 ლარის ეკონომია, რაც ჯამური სავარაუდო ღირებულების 10.9%-ს. შეადგენს. განხორციელებული ელექტრონული ტენდერების რაოდენობრივი და სახელშეკრულებო ღირებულებების განაწილება და ეკონომია დეტალურად ნაჩვენებია ნახაზებზე 3, 4, 5.



ნახაზი 3. 2016 წელს ტენდერებზე მინიჭებული საბოლოო სტატუსების განაწილება



ნახაზი 4. 2016 წელს ჩატარებული ტენდერების რაოდენობრივი განაწილება შესყიდვის ობიექტის მიხედვით

	სავარაუდო ღირებულება	სახელშეკრულება ღირებულება	ეკონომია
საქონელი	608,194,627 (24%)	542,268,440 (24%)	65,926,187 (24%)
სამშენებლო	1,534,280,771 (60%)	1,359,884,102 (60%)	174,396,669 (62%)
მომსახურება	408,032,319 (16%)	369,920,135 (16%)	38,112,184 (14%)
სულ	**2,550,507,717**	**2,272,072,677**	**278,435,040**



ნახაზი 5. 2016 წელს ჩატარებული ტენდერების ღირებულებითი განაწილება და ეკონომია შესყიდვის ობიექტის მიხედვით

ცხრილი 1
შესყიდვებით განხორციელებული ეკონომია (ლარი)

	სავარაუდო ღირებულება	სახელშეკრულება ღირებულება	ეკონომია
საქონელი	608,194,627 (24%)	542,268,440 (24%)	65,926,187 (24%)
სამშენებლო	1,534,280,771 (60%)	1,359,884,102 (60%)	174,396,669 (62%)
მომსახურება	408,032,319 (16%)	369,920,135 (16%)	38,112,184 (14%)
სულ	**2,550,507,717**	**2,272,072,677**	**278,435,040**

რაოდენობრივად, ჩატარებული ტენდერების უმეტესობა 49% მოდის საქონლის შესყიდვებზე, ხოლო დანარჩენი 24% და 27% შესაბამისად, ნაწილდება სამშენებლო სამუშაოებზე და მომსახურებაზე. ამავდროულად აღსანიშნავია, რომ სახელშეკრულებო ღირებულებების მიხედვით სურათი რადიკალურად განსხვავებულია: სამშენებლო სამუშაოებზე მოდის ჯამური თანხის 60%, მომსახურებაზე 16%, ხოლო 24% საქონელზე.

2016 წლის განმავლობაში სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში გამოცხადებული ტენდერებიდან 46%-ის სავარაუდო ღირებულება წარმოადგენდა 10,000 ლარზე ნაკლებს, ხოლო 50,000 ლარამდე სავარაუდო ღირებულების მქონე ტენდერების წილი წარმოადგენდა 80%-ს აღნიშნულიდან გამომ-

დინარე, შესაძლებელია ითქვას, რომ სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის მიღება ხელმისაწვდომია ასევე მცირე ბიზნესის წარმომადგენლებისთვის.



ნახაზი 6. 2016 წელს გამოცხადებული ტენდერების განაწილება სავარაუდო ღირებულების მიხედვით

2016 წელს, ისევე როგორც წინა წლებში, საგრძნობლად ჭარბობს გამოცხადებული ტენდერების რაოდენობა დეკემბრის თვეში, შესაბამისად თუ შევადარებთ ტენდერების გამოცხადებას თვეების მიხედვით წინა წელს, ვნახავთ, რომ ძირითადი სტატისტიკა რადიკალურად არ იცვლება.

სწორედ ამ პროგრესული ცვლილებების შედეგია ის ინფორმაცია, რომელიც 2016 წლის საქმიანობის ანგარიშში გამოაქვეყნა საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ და რომელიც გვამცნობს, რომ თითქმის იგივე მდგომარეობა არის დაფიქსირებული ქ. თბილისის მერიის სისტემაში 2014-2017 წლებში განხორციელებულ სახელმწიფო შესყიდვებში. ეს გამოკვლევა ჩაატარა „საერთაშორისო გამჭირვალობა – საქართველომ“. მართალია, ამ ორგანიზაციას ცალკე ელექტრონული შესყიდვები არც ტენდერების რაოდენობით აღურიცხავს და არც ღირებულებაში ელექტრონული შესყიდვების ხვედრითი წონა არ გამოუანგარიშებია, მაგრამ მან თავის გამოკვლევაში გვიჩვენა გამარტივებული შესყიდვები, რომლებიც არ ექვემდებარება ელექტრონული საშუალე-

ბების გამოყენებას. როგორც ამ გამოკვლევით ირკვევა [9, გვ. 3]:

- 2015-2016 წლებში თბილისის მერიამ და მის სისტემაში შემავალმა უწყებებმა გამარტივებული შესყიდვის გზით 2646 ხელშეკრულება გააფორმეს, რომელთა საერთო ღირებულებამ 157 მლნ ლარს გადააჭარბა, რაც ამავე პერიოდში მერიის სისტემაში სულ (ტენდერების ჩათვლით) განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების დაახლოებით 26%-ს შეადგენს;
- 2015-2016 წლებში ყველაზე მეტი ღირებულებისა და რაოდენობის გამარტივებული შესყიდვა მთავრობის თანხმობის საფუძველზე განხორციელდა. შესყიდვის ღირებულებითა და რაოდენობით, რიგით მეორე ადგილს კი გადაუდებელი აუცილებლობის მიზნით განხორციელებული გამარტივებული შესყიდვები იკავებს;
- თბილისის მერიის სისტემაში შემავალ სუბიექტებს შორის, თბილისის მერიამ ყველაზე მეტი გამარტივებული შესყიდვა გააფორმა – მერიამ 140 მლნ-მდე ლარის ღირებულების 1000-ზე მეტი გამარტივებული შესყიდვა განახორციელა;
- თბილისის მერიამ და მის სისტემაში შემავალმა უწყებებ-ბა გამარტივებული შესყიდვის გზით ყველაზე ხშირად და მეტი ოდენობით მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის მომსახურება შეიძინეს. 2015-2016 წლებში შესყიდვის ამ კატეგორიით 89 მლნ ლარის ღირებულების 237 კონტრაქტი დაიდო;
- გამარტივებული შესყიდვებით 2015-2016 წლებში თბილისის მერიის სისტემაში ყველაზე მსხვილი მიმწოდებელი „bleq si grupi" იყო, რომელმაც 14,2 მლნ ღირებულების 8 კონტრაქტი მიიღო. მეორე ადგილზე ამ მხრივ 12,5 მლნ ღირებულების 9 კონტრაქტით „kavkasus roud projeqt" არის.
- გამარტივებული შესყიდვების გზით ყველაზე მსხვილ მიმწოდებლებს შორისაა შპს „ენსისიც", რომლის მფლობელობაში მყოფი კომპანიის – შპს „ჯი სი"-ს დირექტორის პოსტს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის ყოფილი მინისტრი დავით შავლიაშვილი იკავებს;
- გამარტივებული შესყიდვის გზით, თბილისის მერიის

სისტემაში 2015-2016 წლებში სულ 3,4 მლნ ლარის საერთო ღირებულების 37 კონტრაქტი დაიდო ისეთ კომპანიებთან, რომელთა დაფუძნებიდან ხელშეკრულების დადების მომენტში 1 წელზე ნაკლები იყო გასული.

მაშასადამე, თუ გამარტივებულმა შესყიდვებმა რომელიც არ ექვემდებარება ელექტრონიზაციას, ქ. თბილისის მერიის მიერ განხორციელებულ შესყიდვებში 26% დაიკავა, მაშინ ელექტრონული შესყიდვები 74% იქნებოდა, ანუ 11%-ით მეტი საშუალო საქვეყნო მაჩვენებელზე (63%).

უნდა აღვნიშნოთ, რომ გამარტივებულმა შესყიდვებმა მთლიანად საქართველოში 2016 წელს 37% შეადგინა (მ. შ. ქ. თბილისში 26%). სასურველია, თანდათან შემცირდეს მისი წილი და ბოლოს იგიც მთლიანად დაექვემდებაროს ელექტრონიზაციას. ასეთ შემთხვევაში კორუფციული რისკები, რაც ასეთ შესყიდვებში ხდება, მთლიანად გამოირიცხება.

დასკვნა

ამრიგად, ელექტრონული შესყიდვების წილმა საქართველოს სახელმწფიო შესყიდვებში 2016 წელს შეადგინა 63%, ხოლო ქ. თბილისში 74%. დანარჩენი შესყიდვა განხორციელდა გამარტივებული წესით, ანუ ტრადიციული წესით. სასურველია სახელმწიფო შესყიდვები მთლიანად ელექტრონულად ხორციელდებოდეს.

ლიტერატურა:

1. კიკვაძე ო., მახარაშვილი ი., ძაგანია მ. შესყიდვების ადმინისტრირება. თბ., 2017,

2. საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“. თბ., 2017. მუხლი 10-1, პუნქტი 1.

3. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება №12, 2017 წელის 14 ივლისი - „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“.

4. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2016 წლის საქმიანობის ანგარიში. თბ., 2017.

5. http://procurement.gov.ge/getaltach,emt/ELibray/Manuals/dap_user_manual.pdf.aspx
6. http://procurement.gov.ge/getaltach,emt/ELibray/Manuals/G-5-02,pdf.aspx
7. http://procurement.gov.ge/getaltach,emt/ELibray/Manuals/modulis-shevsebis-inst.pdf.aspx
8. http://procurement.gov.ge/getaltach,emt/ELibray/Manuals/amxanagoba.pdf.aspx
9. Tbilisis meriis sistemaSi 2014-2017 wlebSi ganxorcielebuli Sesyidvebi. Tb., 2017.

REFERENCES:

1. Kikvazde O.,Makharashvili I.,Dzagania M., The purchase administration, Tb., 2017,
2. Georgian legislation," About State purchasing", Tb.2017, paragraph 10-1, point 1.
3. The order of State purchasing agency manager #12, 2017, 14 July – "About the rule of electronic tender regulations".
4. The analysis of State purchasing agency of 2016 year, Tb., 2017.
5. http://procurement.gov.ge/getaltach,emt/ELibray/Manuals/dap_user_manual.pdf.aspx
6. http://procurement.gov.ge/getaltach,emt/ELibray/Manuals/G-5-02,pdf.aspx
7. http://procurement.gov.ge/getaltach,emt/ELibray/Manuals/modulis-shevsebis-inst.pdf.aspx
8. http://procurement.gov.ge/getaltach,emt/ELibray/Manuals/amxanagoba.pdf.aspx
9. The purchases of Tbilisi City Hall system in 2014-2017, Tb. 2017.

THE PLACE OF ELECTRONIC PURCHASE IN GEORGIAN STATE PURCHASING

Mikheil Bagdavadze,
Doctoral Student of Georgian
Technical University

RESUME

In the article - **The Place of electronic Purchase in Georgian State purchasing** it is discussed about the practical experience of Georgian State purchasing service which was conducted by the electronic ways. It is mentioned that its dynamic is growing year after year and it was done the electronic purchase of 2532805944 Gel in 2016 and 63% was taken place in the whole purchasing. Comparing with 2015 year, the amount of electronic competition was increased twice (162 competition). There are more electronic purchases in Tbilisi City Hall purchasing. Its share is 74% here it means 11% with the medium public indicator.

Key words: State purchases, Electronic purchases, Tenders.

რისკების მართვის თავისებურებები ბიზნეს-გარემოში

ინგა გიგაური
ბიზნესის ადმინისტრირების
აკადემიური დოქტორი, სტუ

რეზიუმე

დღეს, მძაფრი გლობალური კონკურენციისა და ტურბულენტურ გარემოში ეკონომიკური პროცესების სწრაფად ცვლილების გამო კომპანიათა უმეტესობა ხშირად ექცევა კრიზისულ ველში, ამიტომ სულ უფრო მეტად საჭირო ხდება რისკების მართვის თანამედროვე მეთოდებისა და ტექნოლოგიების დანერგვა ჩვენს ქვეყანაშიც და განვითარებული ქვეყნების გამოცდილების გაზიარება.ქართული კომპანიები ნაკლებად უთმობენ ყურადღებას რისკების იდენტიფიცირებას და ანალიზსს, რაც გამოწვეულია როგორც ქვეყნის განვითარების თავისებურებებით,ასაევე მენეჯერთა გარკვეული ნაწილის გამოუცდელობით და არაპროფესიონალიზმით. რისკების ხარისხიანი მართვის გარეშე ბაზარზე დამკვიდრება შეუძლებელია. წარმატებული სამეწარმეო საქმიანობისათვის საჭიროა რისკის შემცირების ცოდნა ცალკეულ გარიგებაზე, რაც საკუთარი საშუალებების არა მარტო დაზოგვას, არამედ გაზრდასაც შეუწყობს ხელს. რისკ-ფაქტორების გამოვლენის და შეფასების პროცედურები არასასურველი ხდომილებების თავიდან აცილების საშუალებას იძლევა. რისკების ანალიზი მოიცავს რისკების შეფასების და რისკების შემცირების მეთოდებს, რაც, თავის მხრივ, საწარმოს იცავს წარუმატებელი შედეგებისგან.

საკვანძო სიტყვები: რისკების მართვა, რისკების შეფასება, რისკის ჰეჯირება.

შესავალი

იმ პირობების ცვალებადობის დინამიურობა, რომლებშიც ფირმები მუშაობენ, სამეურნეო და საინვესტიციო საქმიანობის მენეჯმენტის წინაშე მნიშვნელოვან ამოცანებს აყენებს. ეს განა-

პირობებს ტრადიციულ მიდგომასთან ერთად მართვის თანამედროვე მეთოდების შესწავლას განუსაზღვრელობის პირობებში, რომელიც გულისხმობს ინფორმაციული, მატერიალური, და ფინანსური რესურსების მაღალი ეფექტიანობით გამოყენების ახალი შესაძლებლობების ძიებას. პრაქტიკული თვალსაზრისით რისკების მართვაში მნიშვნელოვანია განისაზღვროს რისკების მართვის პოლიტიკა, გაკეთდეს რისკების მართვის თაობაზე ჩანაწერები (შედგეს ოქმები) და შესაბამისი დოკუმენტები, ასევე განისაზღვროს რისკების მართვაზე პასუხისმგებლობა. ამერიკის რისკ-მენეჯმენტის ერთ-ერთ სახელმძღვანელოში მოყვანილია ერთი იგავი: „სამი ახალგაზრდის წინაშე დგას არჩევანი. ისინი დგანან ორი დაკეტილი კარის წინ, რომელთაგან ერთის მიღმა დგას მშიერი ვეფხვი,მეორის მიღმა კი მზეთუნახავი. ერთმა ახალგაზრდამ იფიქრა,იფიქრა,შეტრიალდა და წავიდა.მეორე ახალგაზრდამ გარისკა, გააღო კარი, მაგრამ სამწუხაროდ იქ დახვდა მშიერი ვეფხვი.მესამე ახალგაზრდა წავიდა წვრთნის კურსებზე და რაღაც დროის შემდეგ მისთვის უკვე სულერთი იყო, რომელ კარს შეაღებდა". ამ იგავში წარმოდგენილია რისკების მართვის სამი ძირითადი მიმართულება.პირველმა ახალგაზრდამ ამჯობინა რისკის თავის არიდება, მეორემ რისკი თავის თავზე აიღო, მესამემ კი რისკების მართვის უფრო დახვეწილი მექანიზმი აღიარა-რისკის შემცირება. ზოგიერთმა სტუდენტმა მოთხრობილი იგავის შემდეგ პრობლემის გადაჭრის კიდევ ერთი ვარიანტი შეიძლება შემოგვთავაზოს-წავიდეს და იარაღი შეიძინოს.

მართვის ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა საწარმოს შემდგომი წარმატებული ფუნქციონირებისათვის აუცილებელი პირობების შექმნა. ამიტომაც დასავლეთის ქვეყნების საწარმოების მენეჯმენტის ძირითად პრინციპს და ორიენტირს წარმოადგენს არა მოგების მაქსიმიზაცია, არამედ სარისკო სიტუაციების წარმატებული მართვა, რაც პერსპექტივაში სამეწარმეო ფირმების ყველაზე მაღალ ფინანსურ მდგრადობას უზრუნველყოფს.

ძირითადი ნაწილი:

პრაქტიკული თვალსაზრისით რისკების მართვაში მნიშვნელოვანია განისაზღვროს რისკების მართვის პოლიტიკა, გაკეთდეს რისკების მართვის თაობაზე ჩანაწერები (შედგეს ოქმები) და შესაბამისი დოკუმენტები, ასევე განისაზღვროს რისკების მართვაზე პასუხისმგებლობა.მენეჯერის მოქმედებათა არსენალი შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგნაირად: რისკის თავიდან აცილება; რისკიდან გადახრა; **რისკის წყაროზე ზემოქმედება; სახიფათო ზონებში ყოფნის დროის შემცირება; პოტენციური დანაკარგების შემცირება; რისკის განაწილება სხვადასხვა მონაწილეებს შორის; რისკის სადაზღვევო გადატანა(ტრანსფერტი); რისკის ჰეჯირების ფინანსური ინსტრუმენტები; ფინანსური ინჟინერია.**

რისკების მართვის ყველაზე საიმედო ხერხია რისკების გადაცემა,როგორც ეკონომიკის სუბიექტის, ასევე მთლიანი ეკონომიკური თვალსაზრისითაც. ეს არის კონტრაქტის დადების გზით აქტივების დაკარგვის ნეიტრალიზაციის მეთოდი პარტნიორებზე ცალკეული სამეურნეო ოპერაციების მიხედვით რისკის გადაცემით.

რისკის მინიმიზაცია ეს არის:

1) იმ საინვესტიციო ოპერაციებზე უარის თქმა, რომელთა რისკის დონე ზედმეტად მაღალია;

2) დიდი მოცულობის ნასესხები კაპიტალის გამოყენებაზე უარის თქმა;

3) უარის თქმა დაბალ ლიკვიდურ ფორმებში (მაგ: სასაქონლო მასალის მარაგი) საბრუნავი აქტივების ჭარბ გამოყენებაზე. ასეთი აქტივების ლიკვიდურობის დონის ამაღლება საშუალებას იძლევა მომავალში თავიდან იქნას აცილებული ეკონომიკური სუბიექტის მიერ გადახდისუნარიანობის რისკი;

4) უარის თქმა არასაიმედო პარტნიორებზე;

საინტერესოა მეთოდი, რომელიც მდგომარეობს რისკების რამდენიმე მონაწილეს შორის განაწილებაში, პროექტების ერთობლივ ფინანსირებაზე გადასვლაში. ამ მიდგომამ საზღვარგარეთ ბოლო წლებში დიდი განვითარება ჰპოვა, მან

ბევრ კომპანიას და ინვესტორთა ალიანსს, მათ რისკიან საინვესტიციო სფეროში დიდი შემოსავლები მოუტანა.რისკების პირობებში ინვესტორების ქმედება უფრო ეფექტიანი იქნება და მით უფრო მეტ წარმატებას მოუტანს,თუ ესაა ინვესტორების მსხვილი ალიანსების ქმედებები. რისკის სხვადასხვა აგენტებზე გადანაწილება-ესაა საშიში სამუშაოს სხვადასხვა შემსრულებლებზე პროცედურული დანაწილება. თითოეულ მათგანს თავისი რისკიანობის მახასიათებლები გააჩნია.შედეგად ზოგიერთს ამ აგენტთაგან თავისი წვლილი შეაქვს რისკისაგან თავის არიდებაში, დანაკარგები კი მცირდება.

თანამედროვე პრაქტიკაში ფართო გავრცელება ჰპოვეს რისკის განაწილების (რისკის ნაწილის პარტნიორებისათვის გადაცემის) შემდეგმა ძირითადმა მიმართულებებმა:

1) საწარმოებსა და და მიმწოდებლებს შორის ნედლეულის, მასალის და რისკის მაკომპლექტებლების (უპირველეს ყოვლისა ფინანსურის) განაწილებამ, რომელიც დაკავშირებულია ქონების (აქტივების) დაკარგვასთან (გაფუჭებასთან) მათი ტრანსპორტირების პროცესში და დატვირთვა-გადმოტვირთვისათვის სამუშაოების განხორციელებასთან.რისკის ასეთი განაწილების ფორმებს არეგულირებენ შესაბამისი საერთაშორისო წესები- „INCOTERMS-2010"

2) რისკის განაწილება ლიზინგურ ოპერაციაში მონაწილეებს შორის. ოპერაციული ლიზინგის დროს ეკონომიკური სუბიექტი გადასცემს მეიჯარეს გამოყენებული (ლიზინგური) აქტივის მოძველებულ მორალურ რისკს, მის მიერ ტექნიკური მწარმოებლურობის დაკარგვის რისკს (ექსპლუატაციის დადგენილი წესების დაცვის დროს) და რისკების რიგ სხვა სახეობებს, რომლებიც გათვალისწინებულია დადებულ კონტრაქტში, შესაბამისი სპეციალური შეთანხმებებით.

3) რისკის გადანაწილება ფაქტორინგული ოპერაციის მონაწილეებს შორის, რომელიც გადაეცემა შესაბამის ფინანსურ ინსტიტუტს, კომერციულ ბანკს ან ფაქტორინგულ კომპანიას. რისკის გადანაწილების ეს ფორმა ეკონომიკის სუბიექტისათვის ატარებს ფასიან ხასიათს, თუმცა შეუძლია არსებითად გა-

ანეიტრალოს საკრედიტო რისკის ნეგატიური ფინანსური შედეგები.

რისკის ჰეჯირების ფინანსური ინსტრუმენტები ითვალისწინებს ოპერაციებს ფასიან ქაღალდებთან, რომელთა ფასიც იზრდება და ეცემა ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულებებით. ეს ცალკე და სრულიად სპეციფიკური საკითხია. თუმცა, მისი მნიშვნელობა და შესაძლებლობები საბაზრო ეკონომიკის განვითარებასთან ერთად იზრდება.განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებში ჰეჯირების მრავალფეროვან მეთოდებს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

ფინანსური ინჟინირინგი - არის იმ ფინანსური სიახლეების, აღმოჩენების წყარო, რომლებიც ფინანსური ბაზრის მონაწილეებს საშუალებას აძლევს უფრო ეფექტური რეაგირება მოახდინონ ცვლილებებზე, აღიჭურვონ ამ მიზნით უკვე არსებული ახალი საფინანსო ინსტრუმენტებით და საოპერაციო სქემებით. რისკების მართვის ეს მეთოდი უკანასკნელი ორი ათეული წლის განმავლობაში აქტიურად ვითარდება როგორც პრაქტიკულად, ასევე თეორიულად. გარდამავალი ეკონომიკის პირობებში ფინანსური ინფრასტრუქტურა არასაკმარისადაა განვითარებული, ფინანსურ ინჟინერიას შეუძლია მოიტანოს დადებითი შედეგები.

რისკის მართვის მთავარი ამოცანაა მოახდინოს რისკების იდენტიფიკაცია და საპასუხო ღონისძიებების გატარება. რისკის მართვის საშუალებით შესაძლებელია გამოვლენილ იქნეს პოტენციური დადებითი, თუ უარყოფითი ფაქტორები, რაც გავლენას ახდენს დაწესებულების საქმიანობაზე.

რისკის მართვის პროცესი არის კოორდინირებული და თანმიმდევრული უწყვეტი ქმედებების ერთობლიობა. მისი შემადგენელი ცალკეული ნაწილები დამოკიდებულია დაწესებულების სპეციფიკაზე, მის მიზნებსა და სტრატეგიაზე, თუმცა რისკის მართვის პროცესის ზოგადი სტრუქტურა ყველა დაწესებულებაში იდენტურია (იხ. ცხრილი 1.).

ბიზნეს წრეებში ჩამოყალიბდა მოსაზრება, რომ რისკების მა-

ცხრილი 1. რისკის მართვის პროცესი (ISO 31000-ის მიხედვით)



რთვა ეს არის ძალიან რთული, ექსელზე და მონაცემთა ბაზებზე დაფუძნებული პროცესი, ამ პროცესს მიაქვს საკმაოდ დიდი დრო და ფინანსური ხარჯები, მაგრამ მაინც და მაინც დიდი ხეირი არ მოაქვს კომპანიისთვის.

რეალობა კი ასეთია: EY-ის კვლევების თანახმად ის ტოპ 20% კომპანიებისა, რომლებიც პრაკტიკაში იყენებენ რისკების მართვის სისტემებს აღწევენ 3-ჯერ მეტ EBITDA-ს (საოპერაციო მოგებას) ვიდრე სხვა დანარჩენი კომპანიები. შესაბამისად, ღირს დრო დავუთმოთ რისკების მართვის საკითხებს საოპერაციო მოგების 3-ჯერ გაზრდის მიზნით. (https://qcash.ge/?page=article&artid=8).

დასკვნა

რისკების მართვა უნდა შეერწყას საორგანიზაციო პროცესს, ჰქონდეს თავისი სტრატეგია, ტაქტიკა, ოპერატიული რეალიზაცია. მნიშვნელოვანია რისკების მართვის არა მარტო განხორციელება, არამედ მართვის ღონისძიებების და საშუალებების პეროიოდულად გადახედვა. რისკების მართვის პროგრამების შესრულებისას რესურსების დანახარჯების მაღალი ეფექტურობა მიიღწევა მხოლოდ სისტემური მიდგომის პირობებში. რისკების მართვა აქტუალური ხდება მხოლოდ რისკ-პრობლემის აღმოჩენის შემდეგ. თუმცა რისკების ხარისხის დადაბლება შეიძლება წარმოდგენილი მეთოდების გამოყენებით. რისკების მართვის საბოლოო მიზანი შეესაბამება მეწარმეობის მიზნობრივ ფუნქციას, რაც მოგების და რისკების ოპტიმალური დამოკიდებულების პირობებში მაქსიმალური მოგების მიღებაში მდგომარეობს.მოკლედ, ბიზნესმენმა თავისი პრაგმატული ბუნება მოგებისაკენ ლტოლვა უნდა შეაუღლოს ფირმის ყოვლისმომცველ, სისტემურ ხედვასთან. რაც უფრო ფართო და ყოვლისმომცველი იქნება მისი ხედვა და ეს ყველაფერი კი გათვალისწინებული მმართველური გადაწყვეტილებებისას,-მით მცირე იქნება რისკი(დანაკარგები). ცხადია, ბიზნესმენის თვალსაწიერში მხოლოდ ის ფაქტორები (მოვლენები) უნდა მოექცნენ, რომლებიც არსებით ზეგავლენას ახდენენ ფირმის საქმიანობაზე. ამ მიზნით ფირმის მართვის სისტემაში კუთვნილი ადგილი უნდა მიეჩინოს რისკების მართვის სამსახურს (განყოფილებას), რომელიც დაკომპლექტდება მარალკვალიფიციური რისკ-მენეჯერებით და რომლის ფუნქციებშიც შევა რისკების განსაზღვრა, შეფასება და მართვა. რისკების შემცირების საქმეში დიდ როლს ასრულებს ხელსაყრელი ბიზნესის გარემოს შექმნა,რაც სახელმწიფოს პრეროგატივაა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ფარესაშვილი ნ. „რისკ-მენეჯმენტი როგორც ეფექტიანი სისტემა განუსაზღვრელობის პირობებში",თსუ ,21-22 ოქტომბერი, 2011.

2. Гончаренко Л.П., Филин С.А. Риск-менеджмент. изд. КноРус. М., 2010 .

3. Ермасова Н.Б.. Риск-менеджмент организации. изд. Дашков и Ко, М., 2010.

4. Дамодаран А. Стратегический риск-менеджмент. Принципы и методики. Пер. О. Пелявский, Е. Трибушная. изд. Вильямс. М. 2010.

5. https://qcash.ge/?page=article&artid=8).

REFERENCES:

1.N.Paresashvili.,, Risk management as an effective system in terms of uncertainty'', Tbilisi state university,21-22 October, 2011(In Georgian Language);

2. Goncharenko LP, Filin S.A. Risk management. ed. KnoRus. M., 2010.(in Russian Language);

3. Yermasova NB. Risk management of the organization. ed. Dashkov & Co, M., 2010.(in Russian Language);

4. Damodaran A. Strategic risk management. Principles and methods. Trans. O. Pelyavsky, E. Tribushnaya. ed. Williams. M. 2010. (in Russian Language);

RISK MANAGEMENT FEATURES IN BUSINESS ENVIRONMENT

Inga Gigauri
Academic Doctor of
Business Administration

RESUME

Currently, due to rapid changes in the drastic global competition and turbulent economic environment processes, the most of companies are often occurring in the critical field. So it is becoming increasingly necessary the implementation of risk management modern methods and technologies in our country and share the experience of the developed countries. Georgian companies pay less attention to risk identification and analysis that is caused by the peculiarities of country's development, as well as the inexperience and non-professionalism of some managers. It is impossible to establish the market without a high quality management of risks. Knowing the necessity to reduce the required for a successful entrepreneurial risk on a separate deal that will gives the possibility not only to save but also to increase its own risk. The risk-factors detection and evaluation procedures give the possibility for avoiding of unwanted events. Risk analysis includes methods of reducing risk assessment, which in turn protect the enterprise from unsuccessful results.

Key Words: Risk management; Risk assessment; Risks Hedging;

სტრატეგიული დაგეგმვის თანამედროვე ინტერპრეტაციები

ლია ჯორჯიაშვილი
სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

ორგანიზაციული გეგმა, რომელიც დაგეგმვის პროცესის შედეგია, განიხილავს ორგანიზაციის მიზნებს და განსაზღვრავს მენეჯერების მიერ ამ მიზნების განხორციელების გზებს. გადაწყვეტილებებისა და ღონისძიებების ერთობლიობა, რომელსაც ახორციელებს მენეჯერი ორგანიზაციის მიზნების მისაღწევად, წარმოადგენს მის სტრატეგიას. ამგვარად, დაგეგმვა მოიცავს როგორც მიზნების, ასევე სტრატეგიის განსაზღვრის პროცესს. დიდ ორგანიზაციებში დაგეგმვა სამ დონეზე მიმდინარეობს, ესენია: კორპორაციის, ბიზნესის ან განყოფილების, ფუნქციონალური ან დეპარტამენტის დონეები.

სტრატეგიის განხორციელება მენეჯერებისაგან მოითხოვს პასუხისმგებლობების გადანაწილებას ცალკეულ პირებსა და ჯგუფებზე; შესატანი ცვლილებების დეტალური გეგმის შედგენას, რომელშიც მოცემულია, როგორ უნდა მოხდეს სტრატეგიის განხორციელება; დროში გაწერილი განრიგის შედგენას განსახორციელებელი ცვლილებებისათვის, რომელშიც მითითებულია ამ ცვლილებებთან დაკავშირებული ზუსტი, გაზომვადი მიზნები; შესაბამისი რესურსების გადანაწილებას პასუხისმგებელ პირებსა და ჯგუფებზე; ცალკეული პირებისა და ჯგუფებისაგან ანგარიშის მოთხოვნას ცვლილებების გეგმის შესრულებასა და მიზნების მიღწევასთან დაკავშირებით.

საკვანძო სიტყვები: მასშტაბის ეკონომიურობა, ნოუ ჰაუს ხელმისაწვდომობა, სავაჭრო მარკების უპირატესობა, ვერტიკალური ინტეგრაცია, მარეგულირებელი პოლიტიკა, საერთაშორისო სავაჭრო შეზღუდვები.

ძირითადი ტექსტი

მე-20 საუკუნის მიწურულს, დღის წესრიგში მენეჯმენტის ახალი მეთოდების გამოყენების აუცილებლობა დადგა, რაც ძირითადად არასტაბილურმა ბიზნეს გარემომ და კონკურენციის დიდმა ტალღამ განაპირობა.

„მე-20 საუკუნის 70-იანი წლებისთვის დასრულდა ბიზნესის განვითარების ყველაზე სახარბიელო ეპოქა. ამ პერიოდამდე მრავალი კომპანია იყო იდეალურ მდგომარეობაში, ბაზარზე საკუთარი ნიშა გააჩნდა და მშვიდად ემსახურებოდა მას, რადგან გარე გარემოში მიმდინარეობდა მდორე და იოლად საპროგნოზო ცვლილებები, რაც საწარმოებს მათთან მარტივად ადაპტირების საშუალებას აძლევდა.“[1]

ამდენად, მას შემდეგ რაც ორგანიზაციის მართვის სისტემა ახალ, თანამედროვე ეტაპზე გადავიდა, სტრატეგიულმა მენეჯმენტმა მნიშვნელოვანი როლი შეიძინა, რადგან სტრატეგიის შემუშავების პროცესი ემყარება განვითარების და საქმიანობის ყველა შესაძლო მიმართულების დაწვრილებით შესწავლას. სტრატეგია მოიაზრებს კომპანიის მიერ განვითარების გზების, ბაზრების, კონკურენციის მეთოდებისა და ბიზნესის წარმართვის საშუალებების შერჩევას. სტრატეგიის არსის შესახებ მსჯელობისას შეიძლება მოკლედ ითქვას, რომ კომპანიის სტრატეგია არის კონკურენციის და ბიზნესის ორგანიზების მეთოდების კომბინაცია, რომელიც მიმართულია მომხმარებელთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისა და ორგანიზაციული მიზნების მიღწევისაკენ.

ცვლილებების ტემპის აჩქარებამ მე-20 საუკუნის შუა ხანებში დღის წესრიგში დააყენა გრძელვადიან პერსპექტივაზე გათვლილი მმართველობის სისტემის აუცილებლობა.

ამ პერიოდისთვის ძალიან პოპულარული იყო ე.წ. გრძელვადიანი დაგეგმვის მეთოდიკა, მაგრამ მართვის ეს მეთოდი ძალიან ამარტივებდა რეალობას, ეყრდნობოდა რა დაშვებას, რომ მომავალი წარსულის უბრალო გამეორებაა. ცვლილებების ტემპის შემდგომი აჩქარების და არასტაბილურობის ფონზე უკვე 70-იან წლებში მრავალი მეცნიერისა და პრაქტიკო-

1 რამიშვილი ბ., სტრატეგიული მენეჯმენტი, თბ., 2013, გვ.1

სისთვის ცხადი გახდა, რომ გრძელვადიანი დაგეგმვის მეთოდი არა მარტო უსარგებლო იყო, არამედ მრავალი საწარმოსთვის საშიშიც კი და 80-იანი წლებიდან პრაქტიკაში ფართოდ დაინერგა ცვლილებების განჭვრეტის საფუძველზე მართვის მეთოდი, რომლის მეორე სახელწოდებაა სტრატეგიული დაგეგმვა.

90-იანი წლებიდან კი სტრატეგიულმა მენეჯმენტმა ახლანდელი სახე მიიღო და ის ძირითადად მოქნილ, ექსტრემალურ გადაწყვეტილებებს დაეფუძნა.

ნებისმიერ ორგანიზაციაში სტრატეგია მეტწილად მუშავდება უმაღლესი ხელმძღვანელობის მიერ, მაგრამ მის ჩამოყალიბებაში მონაწილეობს მართვის ყველა დონე. „სტრატეგიულმა გეგმამ უნდა მოიცვას მთელი ორგანიზაციისა და არა მასში დასაქმებული კონკრეტული მუშაკების (ქვედანაყოფების) მიზნები. ამასთან საკუთარ საწარმოებში (ფირმებში) დამფუძნებლებს შეუძლიათ თავიანთი პირადი გეგმები გააერთიანონ სტრატეგიასთან.“[1]

„ჩვეულებრივ, დიდ ორგანიზაციებში დაგეგმვა ხორციელდება სტრატეგიული მართვის პროცესის სამ დონეზე. ესენია: კორპორაციული, ბიზნესის ან დანაყოფის და დეპარტამენტის ან ფუნქციონალური. (იხ. ნახ.)

კორპორაციულ დონეზე არიან კომპანიის მთავარი აღმასრულებელი დირექტორი და თავჯდომარე.“[2]

დაგეგმვა კორპორაციულ დონეზე შედის მაღალი რანგის მენეჯერების ძირითადი პასუხისმგებლობის სფეროში. დაგეგმვა კორპორაციის დონეზე მოიცავს უმაღლესი მენეჯმენტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას ორგანიზაციის მისიასთან და მიზნებთან, საერთო (კოპორაციის დონის) სტრატეგიასთან და სტრუქტურასთან დაკავშირებით. სტრატეგია კოპორაციის დონეზე მიუთითებს, რა ბიზნესში და რა ბაზარზე აპირებს ორგანიზაცია კონკურენტებთან ბრძოლას.

დაგეგმვა კორპორაციის დონეზე უზრუნველყოფს სამუშაო

1 შუბლაძე გ., მენეჯმენტის საფუძვლები, თბ., 2008, გვ.77

2 Gareth R. Jones, Essentials of Contemporary Management, McGraw Hill 2012, p.177

სტრატეგიული მართვის პროცესის განხორციელების ეტაპები

სქემას, რომლის ფარგლებშიც დანაყოფის მენეჯერები ადგნენ თავიანთი ბიზნესის გეგმებს. კორპორაციის დონის მენეჯერები პასუხისმგებელნი არიან ბიზნესისა და ფუნქციონალური დონეების გეგმების დამტკიცებაში, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მათი შეთანხმება კორპორაციულ გეგმასთან.

კორპორაციული დონის ქვემოთ იმყოფება ბიზნესს დონე. ბიზნესის დონე მოიცავს კომპანიის სხვადასხვა დანაყოფებს. დანაყოფი არის საქმიანი ერთეული, რომელიც მონაწილეობას იღებს გარკვეული ინდუსტიის კონკურენციაში; თითოეულ დანაყოფს ჰყავს თავისი დანაყოფის მენეჯერი. თავის მხივ, თითოეულ დანაყოფს აქვს საკუთარი ფუნქციები ან დეპარტამენტები - საწარმოო, მარკეტინგის, ადამანთა რესურსების მენეჯმენტის, სამეცნიერო-კვლევითი და ა.შ.

"ბიზნესის დონეზე, თითოეული დანაყოფის მენეჯერს შეუძლია შეადგინოს ბიზნესის დონის გეგმა, რომელშიც მოცემულია: (1) გრძელვადიანი გეგმები, რომლებიც საშუალებას აძლევს განყოფილებას დააკმაყოფილოს კორპორაციის მიზნები და (2) განყოფილების ბიზნესის დონის სტრატეგია და სტრუქტურა."[1]

1 Gareth R. Jones, Essentials of Contemporary Management, McGraw Hill 2012, p.183

ბიზნესის დონის სტრატეგია მოიცავს განყოფილების ან ბიზნესის მოქმედების მეთოდებს მოცემულ ინდუსტრიაში კონკურენტებთან გასამკლავებლად.

ბიზნესის დონის ქვემოთ იმყოფება ფუნქციონალური დონე. ფუნქცია არის ერთეული ან დეპარტამენტი, რომელშიც თავმოყრილია მსგავსი კვალიფიკაციის მქონე პერსონალი, ან რომელიც იყენებს ერთსა და იმავე რესურსებს სამუშაოს შესასრულებლად. ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ წარმოება, ხარჯთაღრიცხვა და ვაჭრობა. ბიზნესის დონის გეგმაში მოცემულია სქემა, რომლის ფარგლებშიც ფუნქციონალური მენეჯერები ადგენენ თავიანთ გეგმებს. განყოფილებისათვის ბიზნესის დონის მიზნების განსახორციელებლად ფუნქციონალური დონის გეგმა აყალიბებს ფუნქციონალური მენეჯერების მიერ შემოთავაზებულ მიზნებს, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს ორგანიზაციის მიზნების მიღწევას. ფუნქციონალური დონის სტრატეგია ისეთ მოქმედებებს გეგმავს, რომელთა განხორციელებაც მენეჯერებს გამიზნული აქვთ დეპარტამენტების ისეთ დონეზე, როგორებიცაა წარმოება, მარკეტინგი და სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები, რაც საშუალებას აძლევს ორგანიზაციას მიაღწიოს დასახულ მიზნებს.

„ფუნქციონალური სტრატეგიის როლი მდგომარეობს საერთო საქმიანი სტრატეგიისა და ფორმის კონკურენტუნარიანობის მხარდაჭერაში, აგრეთვე, კომპანიის მიერ დასახული ფუნქციონალური მიზნების შესრულებისათვის მმართველობითი ორიენტირების შექმნაში.“ [1]

დაგეგმვაში მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს დაგეგმვის თანმიმდევრულობის უზრუნველყოფა სამ სხვადასხვა დონეზე. ფუნქციონალური მიზნები და სტრატეგიები უნდა შეესაბამებოდეს განყოფილების მიზნებსა და სტრატეგიებს, რომლებიც, თავის მხრივ, თანხმობაში უნდა იყვნენ კორპორაციის მიზნებთან და სტრატეგიებთან და პირიქით. დასრულების შემდეგ, თითოეული ფუნქციის გეგმა, როგორც წესი, უკავშირდე-

1 ბარათაშვილი ე., თანამედროვე ბიზნეს სტრატეგიები, თბ., 2011, გვ. 114

ბა შესაბამისი დანაყოფის ბიზნესის დონის გეგმას, რაც, თავის მხრივ, დაკავშირებულია კორპორაციულ გეგმასთან.

იმისათვის, რომ კომპანიამ თავის მთავარ მიზანს მიაღწიოს, რაც როგორც წესი, ინდუსტრიაში უსაფრთხო პოზიციების მოპოვებას წარმოადგენს, მას სხვადასხვა მიმართულებებით უწევთ ამ ეტაპების გავლა.

ფირმები თავისთავად ცხადია, ეწინააღმდეგებიან ახალი კომპანიის გამოჩენას ბაზარზე და კონკურენციის გაძლიერებას. ამიტომაც, კონკურენტების ინტერესები ამ შემთხვევაში ერთმანეთს ემთხვევა და ისინი ერთიანდებიან ახალი ფირმების წინააღმდეგ. ბარიერები მით უფრო ძლიერია, რაც უფრო მეტად უწყობთ კომპანიებს ეკონომიკური გარემო ხელს. ეკონომიკური ფაქტორები სხვადასხვა ხარისხის სიძლიერის ბარიერებს ქმნის ინდუსტრიაში. განვიხილოთ რამოდენიმე მათგანი:

მასშტაბის ეკონომიურობა – ანელებს ფირმის ინდუსტრიაში დამკვიდრების პროცესს. "კომპანიები ამ შემთხვევაში აწარმოებენ დიდი მოცულობის პროდუქციას (რათა მიაღწიონ ერთეულზე მცირე დანახარჯებს), ან მცირე რაოდენობის პროდუქციას დიდი დანახარჯებით."[1] პირველი ვარიანტი ჭარბი პროდუქციის წარმოქმნას იწვევს, რამაც შეიძლება ჭარბი მიწოდება გამოიწვიოს. ამდენად, კომპანიას უწევს მისი კონკურენტებისგან შესაბამისი აგრესიული რეაქციის მოგერიება (ფასების შემცირება, რეალიზაციის წახალისება, სარეკლამო საქმიანობის გაშლა და სხვა), რის გამოც იგი მეტოქეებისგან სერიოზულ წინააღმდეგობას აწყდება. მეორე შემთხვევაში, კი მაღალი საშუალო დანახარჯები ფირმას უბიძგებს მცირე მოგებისკენ. მასშტაბის ეკონომიურობის პრობლემას შეიძლება ადგილი ჰქონდეს არა უშუალოდ წარმოებაში, არამედ მარკეტინგში, სამომხმარებლო სერვისში, ნედლეულისა და მასალების შესყიდვაში და სხვა.

ტექნოლოგიის და სპეციფიკური ნოუ ჰაუს ხელმისაწვდომობა – "ინდუსტრიაში მეტოქე კომპანიებს გააჩნიათ სპეციფი-

1 Роджер Элкон. «Основы Менеджмента». Москва, «Финпресс», 1999, ст. 192

კური გამოცდილება, რომელიც მათ ინდუსტრიაში არსებობის საშუალებას აძლევს. კომპანიები, როგორც წესი, ყველაზე მეტად სწორედ ასეთ გამოცდილებას უფრთხილდებიან. მაქსიმალურად ცდილობენ, რათა ინფორმაციამ კონკურენტებში არ გაჟონოს."[1] ამდენად, გამოცდილებისა და ბრძოლის ახალი წესების შესწავლამდე, ახალი ფირმები ძალიან ხშირად ვერ უძლებენ მეტოქეთა კონკურენციას და ტოვებენ ინდუსტრიას.

სავაჭრო მარკების უპირატესობა და მომხმარებელთა ლოიალურობა – "მყიდველები ხშირად ეჩვევიან კონკრეტულ პროდუქციას. ისინი უპირატესობას ანიჭებენ მათ მიერ უკვე აპრობირებულს და ნაკლებად ინტერესდებიან სიახლით. მაგალითად, დასავლეთ ევროპის ქვეყნებში მომხმარებლები საკმაოდ მკაცრნი არიან სავაჭრო მარკების მიმართ."[2] ლოიალურობა ამ სფეროში ნიშნავს იმას, რომ ახალ მწარმოებელს დიდი მოცულობის ფინანსური ხარჯების გაწევა უწევს სარეკლამო სამსახურის განვითარებასა და რეალიზაციის წახალისებაზე, რათა მათ შექმნან საკუთარი კლიენტურა. ყოველივე ამას სჭირდება გარკვეული დრო და თანხა. ახალ ფირმებს საწყის ეტაპზე უხდებათ მნიშვნელოვანი ფასდათმობების გაკეთება, მომხმარებლისთვის ექსტრა (უმაღლესი) სერვისის შეთავაზება, რაც თავისთავად ცხადია, ამცირებს მოგების ნორმას. ახალი ფირმების სიმტკიცე დამოკიდებულია მათ სასტარტო პირობებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე, რათა მოახდინოს ახალი ინვესტიციების მხარდაჭერა.

მოთხოვნა კაპიტალზე – რაც უფრო დიდი მოცულობის ინვესტიციების წარმოება უწევს ფირმას, მით უფრო რთულდება მისი დამკვიდრების საკითხი ინდუსტრიაში. "მოთხოვნები კაპიტალზე უკავშირდება საწარმოთა ფართის სიდიდეს, ტექნოლოგიის რაოდენობასა და ღირებულებას, მომხმარებელთა ლოიალურობასა და სხვა. კაპიტალზე მოთხოვნების ცვლილება

1 Роджер Элкон. «Основы Менеджмента». Москва, «Финпресс», 1999, ст. 195

2 Gareth R. Jones, Essentials of Contemporary Management, McGraw Hill 2012, p. 122

პირდაპირპროპორციულ დამოკიდებულებაშია ინდუსტრიაში შესვლის ბარიერებთან."[1]

ხელმისაწვდომობა სპეციფიკურ რესურსებთან– ინდუსტრიის შიგნით, ფირმებს, შესაძლებელია უპირატესობა გააჩნდეთ პროდუქციის წარმოებაში, მიუხედავად იმისა თუ ინდუსტრიაში შემსვლელ ფირმებს რა საწარმოო სიმძლავრეები გააჩნია. მაგალითად, გარკვეული გამოცდილების საფუძველზე კომპანიებს გააჩნიათ საკუთარი იაფფასიანი წყაროები, თუ სად შეისყიდონ მაღალხარისხიანი ნედლეული და მასალები, ტექნოლოგიური ნოუ-ჰაუ, ან საწარმოები აღჭურვილია შედარებით ადრეულ პერიოდში, როცა ტექნოლოგიები უფრო იაფი იყო, გააჩნიათ უკეთესი ადგილმდებარეობა, შეუძლიათ შედარებით იაფიანი კრედიტის მიღება და სხვა.

სადისტრიბუციო არხების ხელმისაწვდომობა – აღნიშნული საკითხი ასევე მეტად აქტუალურია ახალბედა ფირმებისთვის. ბითუმად მოვაჭრე დისტრიბუტორები უფრო ნაკლებად ენდობიან ისეთ პროდუქციას, რომელსაც საზოგადოების აღიარება არა აქვს. ვერტიკალური ინტეგრაციის შემთხვევაში, როდესაც მწარმოებლები და დისტრიბუტორები ერთიანდებიან მოგების მაქსიმიზაციის მიზნით, ახალი ფირმის შანსები ძალზე დაბალია. ამ თვალსაზრისით, ახალ კომპანიებს უწევთ მეტი კონტაქტი, დაინტერესება, ფასდათმობები დილერებთან და ბროკერებთან, რაც ასევე გარკვეულ დროსთან და დანახარჯებთან არის დაკავშირებული.

მარეგულირებელი პოლიტიკა – სახელმწიფო ორგანოები ხშირად კომპანიებს ბიზნესის წარმოების ნებას რთავენ ლიცენზირების წესით, რაც ზღუდავს ფირმათა შესვლას ინდუსტრიაში. ამ შემთხვევაში ამბობენ, რომ სახელმწიფო მართავს კონკრენტულ ინდუსტრიას. როგორც, წესი, უმრავლეს ქვეყანაში სახელმწიფოთა მხრიდან მართვად ინდუსტრიებს მიეკუთვნება: საბანკო, სადაზღვევო, რადიო-ტელევიზიის, რკინიგზის და სხვა სექტორი. ასევე, მკაცრი მოთხოვნები გარემოს დაბინძურება-

1 Gareth R. Jones, Essentials of Contemporary Management, McGraw Hill 2012, p. 124

სთან მიმართებაში, მკვეთრად ზრდის საწარმოო დანახარჯებს. ხშირად საწარმოო შეზღუდვები ვრცელდება უცხოურ ფირმებზე, როდესაც სახელმწიფო მიმართავს პროტექციონისტულ პოლიტიკას.

ტარიფები და საერთაშორისო სავაჭრო შეზღუდვები – ეროვნული სახელმწიფოები ხშირად აწესებენ ტარიფებსა და სავაჭრო შეზღუდვებს (ანტიდემპინგური წესები, ადგილობრივი მოთხოვნები, ქვოტები) უცხოური კომპანიების მიმართ. ძირითადი მიზანი არის ადგილობრივი კომპანიების ბიზნესის ლობირება.

დასკვნა

მაშასადამე, რაც უფრო კარგად ეწყობა ფირმის სტრატეგია გარე გარემოსა და კომპანიის შიდა მდგომარეობას, მით მცირეა მის სტრატეგიაში მნიშვნელოვანი ცვლილებების აუცილებლობა. ხოლო თუ დღევანდელი სტრატეგია არც ისე შეესაბამება მომავლის მოთხოვნებს, მაშინ მენეჯერების მთავარ ამოცანად უნდა იქცეს ახალი სტრატეგიის შემუშავება.

წარმოების რეალური სტრატეგია მდგომარეობს არა მხოლოდ დაგეგმილ, მიზანმიმართულ ქმედებაში, არამედ გაუთვალისწინებელ გარემოებებზე რეაქციებშიც. შესაბამისად, სტრატეგია უნდა განიხილებოდეს, როგორც დაგეგმილ ქმედებათა (პროაქტიული სტრატეგია) და წარმოქმნილ სიტუაციებზე გამოყენებითი რეაქციის (რეაქციული სტრატეგია) სიმბიოზი.

ამრიგად, თანამედროვე მენეჯმენტში გადამწყვეტ ამოცანას წარმოადგენს იმ სტრატეგიული საკითხების განსაზღვრა, რომლებზეც კონცენტრირებული უნდა იყოს მენეჯმენტი მოქმედების ეფექტური სტრატეგიული გეგმის შედგენისას. მენეჯერებმა უნდა შეისწავლონ ჩატარებული ანალიზის პროცესში მიღებული ყველა რეზულტატი; კომპანიის მდგომარეობის განვითარების ექსტრაპოლირება პერსპექტივაზე; ზუსტი განსაზღვრა იმისა, თუ რაზეა აუცილებელი ყურადღების გამახვილება. პრობლემების მკაფიო ფორმულირების, მათი განსაზღვრის გარეშე მენეჯერებს არ შეუძლიათ შეუდგნენ სტრა-

ტეგიის შემუშავებას. სტრატეგიული არჩევანი უნდა შეიცავდეს გადაწყვეტილებასთან დაკავშირებული ყველა სტრატეგიული საკითხის გეგმას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბარათაშვილი ე., თანამედროვე ბიზნეს სტრატეგიები, თბ., 2011 წ.

2. ბარათაშვილი ე., ბიზნესის კონკურენტუნარიანობა და ადმინისტრირება, თბ., 2011 წ.

3. შუბლაძე გ., მენეჯმენტის საფუძვლები, თბ., 2008 წ.

4. რამიშვილი ბ., სტრატეგიული მენეჯმენტი, თბ., 2013 წ.

5. თევდორაძე მ., სტრატეგიული მენეჯმენტი (III ნაწილი), თბ., 2009 წ.

6. Роджер Элкон. «Основы Менеджмента». Москва, «Финпресс», 1999

7. Gareth R. Jones, Essentials of Contemporary Management, McGraw Hill 2012

REFERENCES:

1. Baratashvili E., Contemporary Business Strategies, Tb., 2011 (in Georgian Language)

2. Baratashvili E., Business Competitiveness and Administration, Tb., 2011 (in Georgian Language)

3. Shubladze G., Management Basics, Tb., 2008 (in Georgian Language)

4. Ramishvili B., Strategic Management, Tb., 2013 (in Georgian Language)

5. Tevdoradze M., Strategic Management (III part), Tb., 2009 (in Georgian Language)

6. Roger Elkon. «Fundamentals of Management». Moscow, Finpress, 1999 (in Russian Language)

7. Gareth R. Jones, Essentials of Contemporary Management, McGraw Hill 2012 (in English Language)

CONTEMPORARY INTERPRETATIONS OF STRATEGIC PLANNING

Lia Jorjiashvili
Doctoral Student of
Georgian Technical University

RESUME

The organizational plan that results from the planning process details the goals of the organization and specifies how managers intend to attain those goals. The cluster of decisions and actions that manager take to help an organization is its strategy. Thus, planning is both a goal-making and a strategy-making process. In large organizations planning takes place at three levels: corporate, business or divisional, and functional or department.

Strategy implementation requires managers to allocate responsibilities to appropriate individuals or groups, to draft the detailed change plans that specify how a strategy is to be implemented, to establish a timetable for implementation of changes that includes precise, measurable goals linked to the attainment of the change plan, to allocate appropriate resources to the responsible individuals or groups, and to hold individuals or groups accountable for managing the change plans and attainment of goals.

Key words: Economies of scale; Availability of know-how; The advantage of trading stamps; Vertical integration; Regulatory policy; International trade restrictions.

ხარისხის მენეჯმენტის კვლევის მეთოდოლოგია

ნინო სებისკვერაძე
სტუ დოქტორანტი

რეზიუმე:

ტექნოლოგიების და კომუნიკაციის მიღწევებმა ქვეყნები მიიყვანა დიდ კონკურენციამდე და ეკონომიკურ შეჯიბრამდე, რომელშიც ყოველდღიურად მიიღწევა ახალი შედეგი. არსებულ სამყაროს წესრიგში გადარჩენა შესაძლებელი იქნება ისეთი პროდუქციის და სერვისის შეთავაზებით, რომელიც დაკმაყოფილებს მომხმარებლის საჭიროებებს და მოლოდინებს ყველა სექტორში. ეს შესაძლებელი იქნება მხოლოდ ხარისხის მართვის სისტემის გამოყენებით, რომელიც იწყებს დიზაინიდან და გრძელდება პროდუქციის და სერვისის გაყიდვამდე და რომელიც მიზნად ისახავს უწყვეტ გაუმჯობესებას. ხარისხის მენეჯმენტის სისტემა გვეხმარება მუდმივად განვახორციელოთ მონიტორინგი და ვმართოთ ხარისხი ნებისმიერი ოპერაციის შესრულების პარალელურად და ყურადღებას ამახვილებს იმ გზებზე, რომელთა საშუალებით მივაღწევთ თანმიმდევრულ შესრულებებს და მომსახურებას.

საკვანძო სიტყვები: ხარისხის მენეჯმენტი, პროდუქციის ხარისხი, კონკურენტუნარიანობა, სისტემური მიდგომა.

ძირითადი ტექსტი:

ხარისხის სრულყოფის გზების ძიება თანამედროვე კომპანიების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საზრუნავია. ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებამ, რომლის ნაწილიცაა ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება, ეს პრობლემა ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების ფაქტორთა რიგში მოაქცია. სტაბილური ხარისხის, მომხმარებელთა მოთხოვნილებებთან შესაბამისობის გარეშე შეუძლებელია ეროვნული ეკონომიკის ინტეგრირება მსოფლიო

მეურნეობასთან და მასში ღირსეული ადგილის დაკავება.

კონკურენციის გაძლიერება ხელს უწყობს ბიზნესის ეფექტიანობის ამაღლებისათვის ხერხების გამოძებნის სტიმულირებას. თანამედროვე პირობებში პროდუქციისა და მომსახურების ხარისხი ხდება კონკურენტუნარიანობის ერთ-ერთი ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორი და შესაბამისად, ხარისხის ამაღლების ეფექტური სისტემების შექმნით დადებითი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია ეკონომიკის განვითარებაზე ზოგადად.

ბიზნესის თანამედროვე რეალიებთან ადეკვატური ხარისხის სისტემის შექმნა და განვითარება უნდა იქცეს სტრატეგიულ კომერციულ იმპერატივად როგორც მიკრო, ისე მაკრო დონეზე. სახელმწიფოს როლი მდგომარეობს მწარმოებელთა დაბალანსებულ რეგულირებაში, რისთვისაც საჭიროა შეიქმნას მიზნობრივი სახელმწიფოებრივი პროგრამები, რომლებიც მიმართული იქნება ამ სფეროში პროგრესის დაჩქარებისაკენ. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ხარისხის მართვა წარმოადგენს არა მხოლოდ ცალკეულ მეწარმეთა კერძო პრობლემას, არამედ თანკვეთაშია მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის ამაღლების საერთო ეროვნულ პრობლემასთან.

ხარისხზე ყურადღების გამახვილება უკავშირდება კაცობრიობის ისტორიაში ადამიანთა შრომითი საქმიანობის დასაწყისს. მისი მართვის ფორმები და ხერხები ათასწლეულების განმავლობაში მუდმივად იცვლებოდა და განიცდიდა სრულყოფას. მე-19 საუკუნიდან დღემდე ხარისხის მენეჯმენტმა გაიარა რამდენიმე ეტაპი, რომელთაც არა აქვთ მკვეთრად გამოყოფილი საზღვრები, რადგან ერთის განვითარება არ მთავრდება რაღაც მომენტში, პირიქით მის სრულყოფასა და განვითარებას წარმოადგენს მომდევნო ეტაპი. ხარისხის მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფცია ემყარება ხუთ ძირითად ეტაპს. ესენია:

1. ხარისხის მენეჯმენტის სისტემური მიდგომის ფორმირება (ტეილორის სიტემა -1905). ამ ეტაპზე ყურადღება ექცეოდა პროდუქციის პარამეტრებისა და მახასიათებლების კონტროლს. როგორც წესი კონტროლი ხორციელდებოდა საწარმოო ციკლის ბოლოს და მოითხოვდა სპეციალურად მომზადებული

ხარისხის ინსპექტორების ჩართვას;

2. ხარისხის სტატისტიკური მართვა (1924წ). აქცენტი გადაიტანება პროდუქტიდან საწარმოო პროცესებზე, რისთვისაც გამოიყენებოდა სტატისტიკური მეთოდები და საკონტროლო რუქები;

3. ხარისხის ტოტალური მართვის კონცეფცია TQC (1950წ). ამ პერიოდში ხარისხის მენეჯმენტი ყურადღების ფოკუსირებას ახდენს საწარმოს ისეთი ქვესისტემების გაუმჯობესებაზე, როგორიცაა საწარმოო პროცესები, მართვის პროცესები, უზრუნველყოფის პროცესები, პერსონალის მართვა, ყიდვ-გაყიდვა, პროდუქციის გასაღება და ა.შ;

4. ხარისხის მართვა ხარისხის მენეჯმენტის საერთაშორისო სტანდარტების ISO სერია 9000-ის საფუძველზე (1970-1980-იანი წლები);

5. ხარისხის სრული მენეჯმენტი TQM (1989-დან დღემდე), ხარისხი როგორც საზოგადოების, მომხმარებლების მოთხოვნილებების დაკმაყოფილება.

ვიწრო გაგებით ხარისხი ნიშნავს პროდუქციის ხარისხს. უფრო ფართო ინტერპრეტაციით ხარისხი აღნიშნავს სამუშაოს ხარისხს, მომსახურების ხარისხს, ინფორმაციის ხარისხს, პროცესის ხარისხს, ქვედანაყოფის ხარისხს, დასაქმებულთა - ინჟინრის, მენეჯერის, ხელმძღვანელის, მუშის ხარისხს, სისტემის ხარისხს, კომპანიის ხარისხს, მიზნების ხარისხს და ა. შ.

თუკი ხარისხის მართვა ხდება ეფექტიანად, წუნდებული პროდუქციაც მცირდება და შესაბამისად მცირეა ნედლეულისა და დროის დანახარჯებიც. ამას მივყავართ მწარმოებლურობის ამაღლებამდე და დანახარჯთა შემცირებამდე. ამ პროცესის წყალობით მომხმარებელს საქონელი მიეწოდება მათთვის ხელმისაწვდომ ფასად.

უკანასკნელი ათწლეულების შესამჩნევი ტენდენცია ხდება ხარისხის სოციალიზაცია - მაწარმოებლის მისწრაფება გაითვალისწინოს საზოგადოების მოთხოვნილებები. შეიძლება ითქვას, რომ საწარმოო ხარისხი იცვლება ორი ფაქტორის - ინდივიდუალურისა და საზოგადოებრივი მოთხოვნილებების ზემოქმედე-

ბით.

ინდივიდუალური მოთხოვნილებების ცვლილებებს აქვს თავისი მიზეზები. მომხმარებელთა განათლების დონის ზრდა განაპირობებს მათი თვალსაწიერის ზრდასაც, რის შედეგად ის ხდება უფრო ფაქიზი და მომთხოვნი გარშემო არსებული ობიექტების მიმართ. მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს მსყიდველობითუნარიანობის ზრდა. მომხმარებელს დანაზოგების შესაბამისად საშუალება ეძლევა შეიძინოს შედარებით ძვირადღირებული, მაგრამ უფრო ხარისხიანი საქონელი. ინდივიდუალური მოთხოვნილებების ფორმირებაში მონაწილეობს კიდევ ერთი ფაქტორი - საზოგადოების ზეგავლენა. მას შეიძლება ვუწოდოთ ხარისხის სოციალიზაციის გამოვლენა. საზოგადოება განაპირობებს ინდივიდის კულტურულ დონეს, ქმნის მისი მოთხოვნილებებისათვის ბაზას. მოთხოვნილებათა ზრდას აქვს ორი საზომი: ერთის მხრივ იზრდება ობიექტის მახასიათებლები, მეორეს მხრივ - კი იზრდება ობიექტის არსებულ მახასიათებელთა მოთხოვნილების დიაპაზონი. ამ პროცესებზე მიყოლა ხარისხის მართვის ერთი და იგივე ხერხებით სულ უფრო რთული ხდება. შესაბამისად ჩნდება ხარისხის მართვის ახალი, უფრო რთული და ეფექტური მეთოდები. ხარისხის მენეჯმენტის ევოლუცია ხდება მისთვის გამოსაყენებელ ინსტრუმენტთა გაფართოებით. თუკი ადრე უპირატესობა ენიჭებოდა ტექნიკურ და ტექნოლოგიურ მეთოდებს, შემდგომში გამოყენება ჰპოვა ეკონომიკურმა და ფსიქოლოგიურმა მეთოდებმა.

ხარისხის მართვა მეწარმის წინაშე აყენებს მრავალ ამოცანას, რომელთა მიღწევა განაპირობებს სასურველი დონის მიღწევას. მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო სტანდარტების დაცვა არის ნებაყოფლობითი ინიციატივა, ყველა კომპანია ცდილობს მიუერთდეს მას, რათა გაიმყაროს პოზიციები ბაზარზე.

ხარისხის მართვის ღონისძიებების ეფექტიანობისადმი მოთხოვნები მოცემულია საერთაშორისო სტანდარტებში ISO 9000, თუმცა ისინი ატარებენ დეკლარაციულ ხასიათს და არ მოიცავენ ხარისხის სრულყოფის სტანდარტულ და საფუძვლი-

ან პრინციპებს. იმისათვის, რომ მომხმარებლის მოთხოვნილება დაკმაყოფილდეს არ არის საკმარისი პროდუქციის შესაბამისობა ეროვნულ ან საერთაშორისო სტანდარტებთან და პირობებთან, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ მომხმარებლის მოთხოვნილებები იცვლებიან წლიდან-წლამდე, მაშინ როდესაც სტანდარტების ცვლილება ვერ ხერხდება მყიდველთა მოთხოვნილებების ცვლილებებთან შესაბამისად.

ISO 9000-ის სტანდარტების რეკომენდაციები გამოიყენება არა მხოლოდ ხარისხის სისტემის შექმნის, არამედ როგორც ხარისხის სისტემის შეფასების კრიტერიუმი კონტრაქტების დადებისას, როდესაც დამკვეთებს სურთ შემოწმება და შეფასება იმისა, თუ რამდენად საიმედოა მომწოდებელი, რამდენად სტაბილურად შეძლებს ხარისხიანი საქონლის მიწოდებას. ამიტომაც, ამ სტანდარტების გამოქვეყნების შემდეგ, ბევრი კომპანია, განსაკუთრებით ექსპორტიორები ცდილობენ გაითვალისწინონ რეკომენდირებული სტანდარტები თავიანთი ორგანიზაციული და საწარმოო საქმიანობისას. უნდა ითქვას, რომ საქართველოშიც შექმნილია პროდუქციის ხარისხის რეგულირების მექანიზმები, რომლებიც ეფუძნება როგორც სამამულო, ისე ხარისხის მართვის უცხოურ გამოცდილებას, რომლის შინაარსიც მოცემულია ISO 9000-ის სტანდარტებში. ვფიქრობთ, რომ ეს ცოცხალი პროცესია და სამომავლოდ კიდევ უფრო დაჩქარდება ხარისხის მენეჯმენტის დანერგვის პროცესი ქართულ კომპანიებში.

დღეისათვის ხარისხის სფეროში ლიდერობა მიიღწევა კომპანიის ყველა ამოცანის ხარისხზე დაქვემდებარებით, რის მეთოდოლოგიურ და იდეოლოგიურ საფუძველსაც წარმოადგენს TQM-ის პრინციპები. ამასთან ISO 9000-ის სტანდარტები წარმოადგენს მისკენ სვლის საწყის ეტაპს.

TQM წარმოიქმნა რიგი მსგავსი, მაგრამ ამავდროულად განსხვავებული ნიშნების მქონე კონცეფციების განზოგადების საფუძველზე. ის შექმნეს გამოჩენილმა ადამიანებმა, „ხარისხის მასწავლებლებმა“, რითაც დიდი ზეგავლენა მოახდინეს ბევრი ქვეყნის ეკონომიკაზე და განაპირობეს TQM ეპოქაზე გადასვ-

ლა. მათი თეორიები, წარსულის სოციალურ-ეკონომიკური დოქ-ტრინებისაგან განსხვავებით, გამოცდილია ეფექტიანობაზე, აქვთ კრებსითი ხასიათი და მასში თავმოყრილი აქვთ მსოფლიოს სხვადასხვა მოწინავე კომპანიის გამოცდილებიდან ის, რაც ფასეულია. ისინი

არიან ჰუმანისტები, რომლებმაც აჩვენეს მუშა-მოსამსახურეთა მზარდი როლი კომპანიის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში, ასევე ხაზი გაუსვეს მოტივაციისა და უწყვეტი სწავლების მნიშვნელობას. მათ დაასაბუთეს, რომ საყოველთაო ხარისხი იგება ჰუმანურ, მათ შორის ეთიკურ ფასეულობებზე. ფასეულობების სისტემები დაკავშირებულია ავტორიტეტთა სისტემებთან, რომლის ნაწილსაც წარმოადგენენ ცოდნის, კონცეფციების, თეორიების შემქმნელები ხარისხის სფეროში. სისტემის მეორე ნაწილს წარმოადგენენ წარმატებული მენეჯერები, რომლებიც მხარს უჭერდნენ TQM-ის კონცეფციას. მათ რიცხვს მიეკუთვნება ჯ. ჯურანი, ფ. კროსბი, კ. ისიკავა, ტ.შეიფი; ასევე, სიგეო სინგი, რომელმაც შექმნა „ტოიოტას“ საწარმოო სისტემა, ამერიკელი ჯონ გრუ-კოკა და სხვა სპეციალისტები.

ხარისხის სფეროში ყველაზე ცნობილია დოქტორი ედვარდ დემინგი, რომლის პროგრამებსაც („თოთხმეტი პუნქტი“, შვიდი „სასიკვდილო ავადმყოფობა“, „სიძნელეები და ფალსტარტები“, დემინგის ჯაჭვური რეაქცია) ემყარება ხარისხის მართვის თანამედროვე სისტემები. ისინი მან შესთავაზა საწარმოებს 1950 წლიდან და განავითარა 1992 წლამდე.

TQM-ის ძირითადი მიზნებია:

1. მომხმარებელზე ორიენტაცია. კომპანიის განვითარების სტრატეგიაში გათვალისწინებული უნდა იქნას სამომხმარებლო მიმართულება. საწარმოში ხარისხის მენეჯმენტის დროს მოცემულ შემთხვევაში საჭიროა მომხმარებელთა იმ მოთხოვნილებების შესწავლა და გათვალისწინება, რომლებზეც მუშაობს საწარმო, ასევე ახორციელებს ახალი ხერხების მუდმივ ძიებასა და დანერგვას, რაც მიმართულია პოტენციური შემკვეთების მოსაზიდად.

2. ხელმძღვანელობის ვალდებულებები. ხარისხის მენე-

ჯმენტის სისტემის დამუშავება იწყება ხარისხის მიმართულებაზე პოლიტიკის ჩამოყალიბებით, რომელიც განსაზღვრავს ამოცანებსა და უმაღლესი მენეჯმენტის პასუხისმგებლობას ხარისხზე. საერთოდ ხელმძღვანელობას ეკუთვნის წამყვანი როლი ბიზნესის იდეოლოგიის შექმნასა და პრაქტიკულად განხორციელებაში, რომელიც ორიენტირებულია ხარისხის ამაღლებაზე. ხელმძღვანელის ძირითადი ამოცანაა კეთილსასურველი პირობების შექმნა მომუშავეთა ხარისხიანი საქმიანობისათვის.

3. პერსონალის ჩართვა. ხარისხის ზრდისკენ მამოძრავებელ ძირითად შემადგენელს წარმოადგენს პერსონალი. მენეჯმენტისათვის აუცილებელია იმის მიღწევა, რომ ცალკეული მომუშავის პერსონალური მიზნები იყოს თანხვედრაში კომპანიის განვითარების მიზნებთან. მომუშავეთა მიერ შესრულებული საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესებისათვის გამოიყენება ორი მიდგომა:

მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლება და მუშაკთა დაინტერესება ხარისხიან შრომაზე.

4. პროცესული მიდგომა. კომპანიის საქმიანობა შეიძლება წარმოდგენილი იქნას როგორც ბიზნეს-პროცესების ერთობლიობა, რომლის დროსაც ხდება სხვადასხვა რესურსის გარდაქმნა საბოლოო პროდუქტად. შეიძლება გამოიყოს ბიზნეს-პროცესების ორი სახე: ა) ძირითადი, როცა ხორციელდება ფირმის მიმდინარე საქმიანობა პროდუქციის საწარმოებლად ან მომსახურების გასაწევად; ბ) დამხმარე, როცა ხდება სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობის მომსახურება. ხარისხის მართვა ხორციელდება მთლიანად ბიზნეს-პროცესის განხორციელების განმავლობაში (პროცესული მიდგომა) და არა ცალკეული ოპერაციების მიხედვით (ოპერაციული მიდგომა). ხარისხის მართვის სფეროში ცნობილი იაპონელი პროფესორი კაორუ იშიკავა ამტკიცებს, რომ „ხარისხი უნდა ჩაიდოს ყოველ პროექტში, ყოველ პროცესში... ხარისხის კომპლექსური მართვის არსი მდგომარეობს პროდუქციის ახალი სახეების შემუშავებისას ხარისხის მართვაში. დღეისათვის ბევრი იაპონური პროდუქტი

ითვლება მსოფლიოში საუკეთესო პროდუქტად. ამას განაპირობებს ხარისხის უზრუნველყოფის ეფექტიანი პროგრამები, რომლებიც ხორციელდება პროდუქციის შემუშავების სტადიაზე."

იაპონური კომპანიების 3/4 ხარისხის უზრუნველყოფას ახდენს პროდუქციის შემუშავებისას, სქემატური და საკონსტრუქტორო გადაწყვეტილებების ეტაპზე, დაპროექტებისას, მათი გამოცდისას, წარმოების ტექნოლოგიების გამარტივებისას. როგორც გამოცდილება მოწმობს, ეს არის ყველაზე რაციონალური და ეფექტური მიდგომა, ვინაიდან გამარტივება უშუალოდ წარმოებისა და ექსპლოატაციისას ჯდება უფრო ძვირი და ზრდის გამოშვებული პროდუქციის ტექნიკურ-ეკონომიკური გაუმჯობესების ვადებს. იშიკავა ამტკიცებს, რომ თუკი ხარისხის უზრუნველყოფა არ მოხდება პროდუქციის ახალი სახეების შემუშავების ეტაპზე, შეუძლებელი იქნება რეალური ხარისხის ამაღლების მიღწევა.

5. მენეჯმენტზე სისტემური მიდგომა. სისტემური მიდგომისას ფირმა განიხილება, როგორც ერთი მთლიანი, ურთიერთდაკავშირებული ნაწილებისა და პროცესების ერთობლიობა, დაწყებული პროდუქციის დაპროექტებიდან მომხმარებლებისათვის მზა პროდუქციის მიწოდების ჩათვლით. ამ დროს აუცილებელი უზრუნველყოფილ იქნას პროდუქციის დამზადების პროცესების კონტროლის შედეგები შესაბამისობაში იყოს მომხმარებლის მოთხოვნილებებთან შესაბამისობის კონტროლის პროცესთან.

6. უწყვეტი გაუმჯობესება. საწარმოს შიგა და გარე გარემოში მომხდარი ცვლილებები (მაგ. კანონმდებლობის ცვლილება, ახალი ტექნოლოგიების შემოტანა და დანერგვა) არ უნდა იწვევდეს ხარისხის უზრუნველყოფაზე ზრუნვის შეწყვეტას. ხარისხის მენეჯმენტი უნდა ემყარებოდეს უწყვეტობის პრინციპს. საჭიროა ინფორმაციის მუდმივი შეგროვება ხარისხის მენეჯმენტის სისტემასთან შესაბამისობის შესახებ, რათა დროულად იქნეს მაკორექტირებელი ღონისძიებები გატარებული.

7. მომწოდებლებთან ურთიერთობები. კომპანიის მუშაობის

ხარისხი დამოკიდებულია ნედლეულისა და მაკომპლექტებელი ნაკეთობების ხარისხზე, ასევე მოწოდების თავისდროულად შესრულებაზე (ზუსტად დროში). აუცილებელია ურთიერთ სარგებლიანი ურთიერთობების აგება მომწოდებლებთან, რაც აძლიერებს ფირმის კონკურენტულ პოზიციას. მაგალითად, იაპონურ ფირმათა უმრავლესობაში მოქმედებს საკუთარი სუბმენარდეების ქსელის შექმნის პრაქტიკა, რომლებიც თანამშრომლობენ დამკვეთთან ხანგრძლივად. ამასთან, შეიმუშავება სპეციალური პროგრამები, რომლებიც ითვალისწინებს მომწოდებელთა მდგომარეობის შესწავლას პროდუქციის ხარისხის სფეროში, მათ საწარმოო შესაძლებლობებს, კადრების მომზადებასა და სწავლებას, სხვადასხვა ღონისძიებების გატარებას, რომლებზეც დამოკიდებულია მისაწოდებელი პროდუქციის ხარისხი. მომწოდებლებთან ნდობაზე დამყარებული თანამშრომლობისა, რომელიც ეფუძნება პროდუქციის ხარისხის ამაღლებისათვის გზების ერთობლივად გამოძებნას, უზრუნველიყოფა დროისა და საშუალებების მნიშვნელოვანი ეკონომია, რაც სხვა შემთხვევაში აუცილებელი იქნებოდა მომწოდებლიდან შემოსული მასალებისა და დეტალების კონტროლისათვის.

8. ხარისხზე ხარჯების ოპტიმიზაცია. ხარისხის გაუმჯობესებისათვის ხარჯების მნიშვნელოვანი ზრდა აისახება ფირმის საფინანსო მაჩვენებლებზე და შესაბამისად მის კონკურენტუნარიანობაზე.

თუკი კომპანია მიყვება პრინციპს „პირველ რიგში ხარისხი“, მაშინ მისი მოგება გაიზრდება გრძელვადიან პერიოდში. თუკი კომპანიის მოქმედება გამიზნულია მოკლევადიან მოგებაზე, ის დაკარგავს კონკურენტუნარიანობას საერთაშორისო ბაზარზე და პერსპექტივაში სამომავლო მოგებასაც. რა თქმა უნდა ამის თქმა უფრო ადვილია, ვიდრე გაკეთება. პრაქტიკაში ბევრი კომპანია მოქმედებს პრინციპით „ჯერ მოგება“, ისინი აცხადებენ, რომ მოქმედებენ პრინციპით „პირველ რიგში ხარისხი“, მაგრამ წარმოების პროცესში მათ აინტერესებთ მხოლოდ ხარჯების შემცირება. ბევრისათვის, მათ შორის გამონაკლისი არც ქართული კომპანიებია, ხარისხის ამაღლება ნიშნავს ხარჯების

ზრდას, რაც ამცირებს მოგებას. ცხადია, ხარჯები დროებით იზრდება, თუმცა კომპანია მალევე იგრძნობს გაყიდვების ზრდას, რაც გამოწვეული იქნება მყიდველთა მოთხოვნილებებზე მორგებით.

მენეჯმენტის სრულყოფის მოთხოვნები ასახულია ე. დემინგის მართვის წესში „98/2“. ეს წესი არაერთი ავტორიტეტული მმართველის მიერ არაერთხელაა დადასტურებული და ნიშნავს, რომ ორგანიზაციის პრობლემათა 98% დამოკიდებულია არა შემსრულებლებზე, არამედ ორგანიზაციაში მიღებული ხარისხის მენეჯმენტის სისტემაზე. აქედან გამომდინარე, ნათელია, რომ მენეჯერების, მეწარმეების და სახელმწიფო აპარატის მუშაობის ხარისხი უშუალო გავლენას ახდენს რეფორმების მსვლელობაზე, ქვეყნის განვითარების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე და საბოლოო ჯამში მოქალაქეთა ცხოვრების ხარისხზე. ამიტომაც, ეს საკითხი მოითხოვს საყოველთაო ყურადღებასა და მხარდაჭერას.

ბევრი ქვეყანა - იაპონია, აშშ, კორეა, სინგაპური, მალაიზია, დიდი ბრიტანეთი, გერმანია და სხვები ხარისხის საყოველთაო მენეჯმენტის კონცეფციას განიხილავენ ეროვნული იდეის დონეზე და დღეისათვის წარმატებით ავითარებენ მას სხვადასხვა სფეროში, რითაც აღწევენ კონკურენტულ უპირატესობას.

ორგანიზაციების ხარისხის სისტემაში ინვესტიციების მომგებიანობა განვითარებულ ქვეყნებში ეჭვს არა იწვევს. მასაჩუსეტსის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში განხორციელებულმა მაკროეკონომიკურმა ანალიზმა აჩვენა, რომ TQM-ის მეშვეობით ხარისხის ამაღლების ხარჯზე მიღებულმა მშპ-ის ზრდამ წელიწადში 7% -ს მიაღწია, და ეს მაჩვენებელი შენარჩუნდება კიდევ უახლოესი 10-15 წლის განმავლობაში.

უახლოეს წარსულში ხარისხის მართვა და კონტროლი განიხილებოდა, როგორც მეორეხარისხოვანი მართვის ისეთ ფუნქციებთან შედარებით, როგორიცაა მარკეტინგი, დაგეგმვა, წარმოება, რომელთა მიზანი ხარისხის სფეროში განისაზღვრებოდა, როგორც წინაღობა საწარმოო დეფექტების დაშვებისაკენ. ამასთან, როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, დეფექტების

აღმოფხვრა პროდუქციის სასიცოცხლო ციკლის ერთი ეტაპიდან მეორეზე გადასვლისას რთულდება, ხოლო შეუსაბამობის კორექტირებისათვის ხარჯები იზრდება. ხარისხისათვის ხარჯების მასშტაბის ცვლილება შეადგენს ხარისხის მართვის მენეჯმენტის თანამედროვე კომპლექსური მოდელის ეკონომიკურ საფუძველს.

ჩვენი ქვეყნა დგას ეკონომიკის განვითარებისა და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების ამოცანის წინაშე, ამ მიმართულებით ჩამოყალიბებულია კიდევაც სტრატეგიული ხედვა, თუმცა საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის პროცესებს არ ახლავს შესაბამისი ეფექტიანობა ან ის არის მცირე ზომის. ჩვენი აზრით, ეს დაკავშირებულია იმასთანაც, რომ საწარმოებში არასაკმარის ფინანსურ და საწარმოო რესურსებთან ერთად არ არსებობს მოტივაცია ორგანიზაციული სტრუქტურების ხარისხის ამაღლებისა, მენეჯმენტის სისტემური და მიზნობრივი თავისებურებების გაცნობიერებისა. ხელმძღვანელებს ხშირად არ ესმით, რაშია საჭირო ცვლილებები და კონკრეტულად კი TQM და რატომ უნდა შეიცვალოს მართვის არსებული სისტემა. ამ კითხვაზე პასუხს იძლევა ცხრილი, რომელშიც მოცემულია ძირითადი ფაქტორები, რომლებსაც აერთიანებს TQM-ის მქონე საწარმოები და არ არის დამახასიათებელი ტრადიციული მართვის სისტემის მქონე საწარმოებისათვის:

კომპანიები, რომელთაც აქვთ **TQM**	კომპანიები ტრადიციული მართვის სისტემით
აქვთ მკაცრად ჩამოყალიბებული გრძელვადიანი მიზანი, მისია და კომპანიის ხედვა	ხშირად არ ისახავენ გრძელვადიან მიზნებს, მათ განიხილავენ, როგორც იდეურ და არარეალურ მიზნებს
კომპანიის ყოველ თანამშრომელს გაცნობიერებული აქვს თავისი როლი და წვლილი კომპანიის მიღწევებში	თანამშრომელთა დიდ ნაწილს, მათ შორის ზოგჯერ ხელმძღვანელებსაც არ ესმით თავიანთი როლი კომპანიის მიზნების მიღწევაში ან საერთოდ არ იციან ამის შესახებ.

კომპანიას აქვს გრძელვადიანი	დაგეგმვის პროცესი ქაოსურია, ყოველი განყოფილება
პროგრამები და ოპერაციული გეგმები, რომლებიც დაყოფილია ეტაპებად. საჭირო რესურსები გამოიყოფა ამ გეგმების შესაბამისად.	ახორციელებს საკუთარ დაგეგმვას, რასაც მივყავართ გეგმათა შეუთავსებლობამდე და ინტერესთა კონფლიქტამდე განყოფილებებს შორის.
კომპანია ცდილობს ხელი შეუწყოს თანამშრომელთა განვითარებასა და უწყვეტ სწავლებას	თანამშრომლებს ნაკლები შესაძლებლობები აქვთ სწავლისა და პროფესიული ზრდისა. საწარმოში შეინიშნება კადრების დენადობა, ამასთან ღირებული კადრები პირველები ტოვებენ კომპანიას.
კომპანია ახორციელებს სოციალურად პასუხისმგებლიან ბიზნესს, ყველა დაინტერესებული მხარის ინტერესების მხედველობაში მიღებით.	კომპანიისათვის უცხოა სოციალური პასუხისმგებლობა. მათთვის მთავარია მაქსიმალური მოგების მიღება ნებისმიერი ხერხითა და მეთოდით.
კომპანია აღწევს თავის მიზნებს, ხოლო დაინტერესებული მხარეები თავისას. მათი თანამშრომლობა ურთიერთ სარგებლიანია.	კომპანიას აქვს რთული ურთიერთობები დაინტერესებულ მხარეებთან და ეძებს შესაძლებლობას ბიზნესის შესაცვლელად,

თანამედროვე ქართული კომპანიების წინაშე კვლავ მწვავედ დგას რეფორმირების ამოცანა. ამ პროცესში მნიშვნელოვანია მენეჯმენტის სისტემის საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინება, რის გამოც შეუძლებელია კონკურენციულ ბრძოლასთან გამკლავება. ეს ეხება არა მხოლოდ საერთაშორისო, არამედ ადგილობრივ ბაზარზე კონკურენტუნარიანობასაც.

ხარისხის მენეჯმენტის სისტემების, მეთოდების და ინსტრუმენტების ცოდნასთან ერთად საჭიროა ამ სფეროში წარმატებების მქონე საწარმოთა გამოცდილების გაზიარება.

ბოლო წლებში პროდუქციის ხარისხის საკითხებს საქართველოშიც ექცევა ყურადღება.

კომპანიებში იქმნება ხარისხის მენეჯმენტის სისტემები, თუმცა ისინი ნაკლებეფექტურია. ამის მიზეზებია ხარისხის მართვის სისტემების მიმართ ფორმალური დამოკიდებულება (მაგალითად, სერთიფიკატის ქონა, რაც ადასტურებს ამ სისტემის ქონას), საწარმოს ხელმძღვანელობის უყურადღებო დამოკიდებულება ასეთ სისტემებთან და ა.შ. ამგვარ მიზეზთა შორის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ადგილს იკავებს დაბალკვალიფიციური პერსონალი ხარისხის მართვის სფეროში, ახალი ამოცანების გადაჭრის მცდელობები მხოლოდ იმისათვის, რომ სცადონ, თანაც მხოლოდ ხარისხის სამსახურის ძალისხმევით. არადა ამ სისტემის ეფექტიანობაში გამოცდილების მქონე საწარმოთა თანახმად საყოველთაო ხარისხი მიიღწევა მხოლოდ კოლექტივის სრული ჩართულობით, ხელმძღვანელების აქტიური პოზიციითა და ხარისხის მენეჯმენტის თანამედროვე მეთოდებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით.

ქართველ მენეჯერებს ხშირად ეშლებათ ერთმანეთში ხარისხის მენეჯმენტი და ხარისხის სისტემის სერტიფიკაცია. ხარისხის მართვა კომპანიის მართვის ერთ-ერთი ფუნქციაა, ემყარება საწარმოს სპეციფიკასა და მიზნებს, ხოლო ISO 9000 გვთავაზობს ასეთი სისტემის აგების მეთოდიკას, რომლის ოფიციალური სერტიფიცირება შესაძლებელია სხვადასხვა საფეხურების გავლის შემდეგ. თავისთავად ხარისხის სისტემის სერტიფიცირება ხარისხის გაუმჯობესებას ვერ მოგვცემს. იგი უბრალოდ ბაზრის მონაწილეებს ატყობინებს, რომ საწარმოს ხარისხის სისტემა გარკვეულ მოთხოვნებს აკმაყოფილებს. უნდა აღინიშნოს, რომ სერტიფიცირების სისტემა წარმოადგენს რთულ და ძვირ პროცესს. ISO 9000 სტანდარტებით სერტიფიცირება გულისხმობს მრავალი მნიშვნელოვანი და სევე ფორმალური მოთხოვნებისადმი მათი ხარისხის შესაბამისობას. ამ მოთხოვნების შესრულება საკმაოდ შრომატევადი და ასევე ხანგრძლივი პროცესია. ამიტომ კომპანიის მენეჯერებს მკაფიოდ უნდა ჰქონდეთ გათვითცნობიერებული რისთვის სჭირდებათსერთიფიკატი. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ კომპანიებმა აღარ უნდა იზრუნონ განვითარებაზე. პირიქით, საქართველოში

მძაფრად შეინიშნება კონკურენცია, რის გამოც ორგანიზაციისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა ხარისხზე ზრუნვა და ორგანიზაციის უწყვეტი სრულყოფა. ნებისმიერ ორგანიზაციას, მისი ზომებისა და საქმიანობის სფეროს მიუხედავად შეუძლია განახორციელოს ინვესტიცია საკუთარ მომავალში მენეჯმენტის ხარისხის სისტემის დანერგვის საშუალებით.

ამრიგად, შეიძლება დასკვნის სახით ვთქვათ, რომ წარმოებული პროდუქციის მაღალი ხარისხი იწვევს ეკონომიკის ეფექტიანობის ზრდას, ამცირებს მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვის ვადებს, უზრუნველყოფს ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენებას, შრომითი რესურსების პოტენციალის ათვისებას, ამცირებს არასაწარმოო ხარჯებს, ამაღლებს პროდუქციის კონკურენტუნარიანობას, აფართოებს ექსპორტს, ზრდის საგარეო ვაჭრობის ოპერაციათა ეფექტიანობასა და ამაღლებს ქვეყნის ავტორიტეტს მსოფლიო ბაზარზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Дафт Р.Л. Менеджмент, Питер, 2008

2. Друкер П. Задачи менеджмента в XXI веке. Учебное пособие. М., 2007.

3. “ბიზნესის გაუმჯობესების სატრენინგო პროგრამები” - Lloyd’s 2017

4. Total Quality Management and Operational Excellence: Text with Cases 4th Edition --- John s.oakland 2016

REFERENCES:

1. Daft R.L. Management, Peter, 2008

2. Drucker P. The tasks of management in the XXI century. Tutorial. M., 2007.

3. “Business Improvement Training Programs” - Lloyd’s 2017

4. Total Quality Management and Operational Excellence: Text with Cases 4th Edition --- John s.oakland 2016

THE RESEARCH METHODOLOGY OF QUALITY MANAGEMENT

Nino sebiskveradze
PhD student

RESUME

Technologies and communication achievements have led countries to great rivalry and economic competitions, with new results achieved daily. In order to survive in the existing world order, it will be possible to offer products and services that satisfy customer's needs and expectations in all sectors. This will be possible only by using the quality management system that starts from design and continues to sell products and services, and aims the continuous improvement. The quality management system helps us to monitor constantly and to manage the quality in parallel to any operation and it focuses on the ways through which we can achieve consistent performance and service.

Key words: Management Quality; Product Quality; Competitiveness; System Approach.

მართვის თეორია ადამიანის როლის შესახებ და პერსონალის შერჩევის ზოგიერთი საკითხი

ციალა ლომაია
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის,
კავკასიის საერთაშორისო
უნივერსიტეტის პროფესორი
ნიკოლოზ გოგოლაძე
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის
დოქტორანტი

რეზიუმე

ნაშრომში გადმოცემულია ადამიანური კაპიტალის როლი და პერსონალის შერჩევის ზოგიერთი საკითხი. აღნიშნულია პერსონალის შერჩევის როლი და მნიშვნელობა ბიზნესის მართვაში, აქვე ხაზგასმულია პერსონალის შერჩევაში დაშვებული შეცდომების უარყოფითი შედეგები, ყურადღება გამახვილებულია ორგანიზაციის მართვის სტრატეგიასა და პოლიტიკის მნიშვნელობაზე პერსონალის სწრაფად შერჩევაში, კომპანიების ერთ-ერთი უდიდესი გამოწვევაა კვალიფიციური კადრების მოწვევა და შენარჩუნება.

საკვანძო სიტყვები: სამოტივაციო სისტემა, პერსონალის მოზიდვა, რეკრუტირება, ორგანიზაციის სტრატეგიული მიზანი, ფუნქციონალური შეფასება.

შესავალი

ადამიანური რესურსის შერჩევის თანამედროვე მეთოდების შესწავლა მნიშვნელოვანი და აქტუალური პრობლემაა, როგორც მეცნიერული, ისე გამოყენების თვალსაზრისით. ბოლო წლებში საქართველოში მკვეთრად გაიზარდა მოთხოვნა მაღალი კვალიფიკაციის პერსონალზე. დღეს, როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო სტრუქტურაში მწვავედ დგას პერსონალის შერჩევასა და შესრულებული სამუშაოს შეფასების სანდო და ვალიდური მეთოდების შექმნის პრობლემები.

კვლევის მიზანია საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში ადამიანური რესურსების შერჩევისა და კარიერის მართვის პრობლემების თანმედროვე მეთოდების შესწავლა, მრავალი ვარიანტიდან ოპტიმალურის შერჩევა და ყველაზე ეფექტური მეთოდის გამოვლენა.

აღნიშნული მიზნის რეალიზაციისთვის დასახულ იქნა შემდეგი ამოცანები:

• აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული თეორიული ბაზის მოძიება და გაცნობა, სხვადასხვა სამეცნიერო ლიტერატურის თუ კვლევითი პროექტების გაცნობა და მასალის დამუშავება;

• საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში გამოყენებული პერსონალის დაქირავების მეთოდების განხილვა;

• ადამიანური რესურსების შერჩევისა და კარიერის მართვის, თეორიული მოდელების შესწავლა;

• ადამიანური რესურსის დაქირავება განლაგების ორგანიზაცია და საქმიანი შეფასება, შერჩევითი მეთოდით არჩეულ საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში;

• საკვლევ ობიექტებზე ორგანიზაციის ადამიანური რესურსის, შრომის შედეგების და კარიერის მართვის შეფასება;

ძირითადი ნაწილი

წარსულში ხელმძღვანელები ხშირად არჩევდნენ ახალ თანამშრომლებს კადრების სამსახურის გარეშე. ამ დროს ისინი ეყრდნობოდნენ საკუთარ ინტუიციასა და გამოცდილებას, აგრეთვე რეკომენდაციას წინა სამუშაო ადგილიდან. ხშირი შეცდომები კი იწვევდა თანამშრომელთა ხშირ განთავისუფლებას. ასეთი მიდგომა არაეფექტური გამოდგა. ზოგადად, ადამიანური რესურსების მართვაში პერსონალის შერჩევა ერთ-ერთი ყველაზე საპასუხისმგებლო ეტაპია. ამ დროს შეცდომა ძალიან ძვირი უჯდება ორგანიზაციას. ამიტომ პერსონალის მოზიდვა და შერჩევა ორგანიზაციის მართვის ცენტრალური ფუნქციაა. ეს შეეხება არა მხოლოდ ორგანიზაციის პერსონალის მართვის სტრუქტურულ ქვედანაყოფს, არამედ ორგანიზაციის ყველა დონის ხელმძღვანელს. [1:205]

თანამედროვე პირობებში პერსონალის მართვის პროცესის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა კადრების შეკრება და შერჩევა. ნებისმიერი დონის ხელმძღვანელი ნათლად უნდა ხედავდეს არა მხოლოდ პერსონალის მოზიდვისა და შერჩევის დიდ მნიშვნელობას ორგანიზაციისა და მისი ქვედანაყოფების ეფექტიანი საქმიანობისათვის, არამედ აგრეთვე უნდა იცოდეს ამ ამოცანის წარმატებით გადაწყვეტის მეთოდები და პროცედურები. რადგან ნებისმიერი ორგანიზაციის მომავალი საქმიანობა პერსონალის მართვის სფეროში დიდადაა დამოკიდებული იმაზე, თუ როგორი კადრები იქნება შერჩეული და როგორ ჩატარდება შერჩევის პროცესი. პერსონალის მოზიდვისა და შერჩევის პროცესში დაშვებულმა შეცდომებმა შეიძლება სერიოზული უარყოფითი შედეგები გამოიწვიოს, მაგალითად :

• სერიოზული სირთულეები ორგანიზაციის სტრატეგიული და ოპერატიული მიზნებისა და ამოცანების მიღწევაში.

• არაინტენსიური და დაბალკვალიფიციური მუშაობა.

• პერსონალის დენადობა.

• შრომისა და საშემსრულებლო დისციპლინის დარღვევა.

• სამუშაო დროის არაეფექტიანი გამოყენება.

• არაჯანსაღი მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატი ორგანიზაციაში.

• ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე არასასურველი საზოგადოებრივი იმიჯი. [2:235]

პერსონალის მოზიდვისა და შერჩევის ეფექტიანი სისტემის შესაქმნელად თავიდან ნათლად უნდა იქნეს გაცნობიერებული მისი ადგილი ადამიანური რესურსების მართვის მთლიან სისტემაში, რომლის ორგანული ნაწილიც არის ის. ხელმძღვანელობის მიერ დამკვიდრებული ორგანიზაციის პერსონალის მართვის სტრატეგია და პოლიტიკა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს პერსონალის მოზიდვისა და შერჩევის ეფექტიანობაზე. ის ფასეულობები, მორალური ნორმები და პრიორიტეტები, რომლებსაც აღიარებს და მისდევს ხელმძღვანელობა, აუცილებლად იჩენს თავს ახალ მომუშავეთა შერჩევის პროცესში. პერსონალის მოზიდვისა და შერჩევის საჭიროება შეიძლება გამოიწვიოს: პერ-

სონალის დენადობამ, პენსიაზე ან დეკრეტულ შვებულებაში გასვლამ, აგრეთვე ორგანიზაციის ფუნქციებისა და მასშტაბების გაფართოებამ, ორგანიზაციულ-ტექნოლოგიურმა, სტრუქტურულმა და ფუნქციურმა მოვლენებმა. [2:238]

პერსონალის მოზიდვისა და შერჩევის პროცესში საკმაოდ ბევრი ორგანიზაცია უამრავ პრობლემას აწყდება, რომელთაგან აღსანიშნავია:

• პერსონალის მოზიდვისა და შერჩევის სათანადოდ ჩამოყალიბებული, პროცედურებითა და დოკუმენტებით უზრუნველყოფილი და ოფიციალიზებული სისტემის არარსებობა.

• არაა შემუშავებული კანდიდატთა შერჩევის თანამედროვე, აუცილებელი პროცედურები. შერჩევის საფუძველია ჯანსაღი აზრი და ფორმალური მოთხოვნა კანდიდატებისადმი.

• პერსონალის მოზიდვისა და შერჩევის ფუნქციების შემსრულებელ მოხელეთა არასაკმარისი კვალიფიკაცია და გამოცდილება.

• ორგანიზაციას არ აქვს საჭირო ფინანსური რესურსები, რათა ამ პროცედურების მაღალ დონეზე ჩასატარებლად ცნობილი ექსპერტები მოიწვიონ.

• ახალ მომუშავეთა შერჩევისას პროფესიის, თანამდებობისა და ნათელი კრიტერიუმების (სამუშაოთა აღწერებისა და სპეციფიკაციების) არარსებობა.

პერსონალის მოზიდვისა და შერჩევის ეფექტიანად განხორციელების უმთავრესი წინაპირობებია:

• ორგანიზაციისა და მისი სტრუქტურული ქვედანაყოფების მიზნებისა და ამოცანების კონკრეტული, ნათელი ფორმულირება.

• მართვის ეფექტიანი ორგანიზაციული სტრუქტურის შემუშავება, რაც მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად სხვადასხვა ქვედანაყოფის მაღალ დონეს უზრუნველყოფს.

• ორგანიზაციის მიზნებისა და პერსონალის დაგეგმვის მიმართ ორგანიზაციის ხელმძღვანელობის დაინტერესებული და პასუხისმგებლური დამოკიდებულება. საკადრო პოლიტიკამ და პერსონალის დაგეგმვამ უნდა უზრუნველყოს პერსონალის

მოზიდვისა და შერჩევის ისეთი მიდგომა, რომელიც უშუალოდ უკავშირდება ორგანიზაციის მიზნებსა და სტრატეგიას. [3:154]

პერსონალის შერჩევისას საჭიროა ვიხელმძღვანელოთ შემდეგი ზოგადი პრინციპებით: ა) თავდაპირველად უნდა დასაბუთდეს, თუ რამდენად საჭირო და აუცილებელია ახალ კადრის მიღება, თუნდაც ვაკანსიების არსებობის შემთხვევაშიც კი საჭიროა დავრწმუნდეთ, რომ ამ ფუნქციის შესრულება აუცილებელია, მას უნდა ასრულებდეს ცალკე პირი და ამ ფუნქციათა შეთავსება არ შეუძლიათ სხვა თანამშრომლებს. ბ) კონცენტრირება უნდა მოხდეს სამუშაოზე მისაღებ კანდიდატთა ძლიერ და არა სუსტ მხარეებზე . რადგან ცხოვრებაში არ არსებობენ იდეალური ადამიანები, უნდა შეირჩეს ისინი, რომლებსაც ყველაზე მეტად უპასუხებენ თანამედროვე მოთხოვნებს. გ) კანდიდატებისთვის მოთხოვნები უნდა იყოს კონკრეტული და რეალისტური, თუ ვერც ერთი კანდიდატი ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნას, უპრიანია იმაზეც დავფიქრდეთ, თვით ეს მოთხოვნებიც ხომ არაა გაზვიადებული. დ) რაც შეიძლება ნათლად და გამჭვირვალედ უნდა გაირკვეს, თუ რამდენად შეესაბამება პრეტენდენტთა პროფესიული და ინდივიდუალური მონაცემები (მაგ. განათლება, სტაჟი, გამოცდილება, ზოგიერთ შემთხვევაში სქესი, ასაკი, ჯამრთელობისა და ფსიქიკური მდგომარეობა და სხვ.) თანამდებობისა და სამუშაოს ეფექტიანად შესრულების მოთხოვნებს. ე) მეტად მნიშვნელოვანი პრინციპია შეჩერდეს არჩევანი ყველაზე მაღალკვალიფიციურ კანდიდატებზე, რადგან ჭეშმარიტად ითვლება, რომ კარგი სპეციალისტი, რაოდენ მაღალ ხელფასსაც არ უნდა უხდიდნენ მას, მაინც ბევრად უფრო იაფი ჯდება, ვიდრე დაბალკვალიფიციური სპეციალისტი. ვ) პერსონალის შერჩევის ასევე აუცილებელ პრინციპად ითვლება, რომ შერჩეულ კანდიდატთა კვალიფიკაციური დონე იმაზე მაღალი არ უნდა იყოს, რასაც კონკრეტული თანამდებობა და სამუშაო ფუნქციების ეფექტიანი შესრულება მოითხოვს. ზ) აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს რომ კანდიდატთა შერჩევის კრიტერიუმები არ უნდა იყოს ძალზე ბევრი, რათა არ გართულდეს თვით შერჩევის პროცესი. ჩვეულებრივ, ძირითადად,

მთავარ კრიტერიუმებად ითვლება: განათლება, გამოცდილება, პროფესიონალიზმი, საქმიანი თვისებები, პიროვნული (ფსიქიკური და ფიზიკური) მახასიათებლები და პოტენციური შესაძლებლობები. [2:244]

ინდივიდის და თემის სიცოცხლე დამოკიდებულია დამსაქმებელზე, რომლებიც თავის მხრივ დამოკიდებულნი არიან საკუთარ წარმატებაზე. რიგ შემთხვევაში მიუხედავად კომპანიის ზომისა, ადამიანები განასხვავებენ მომგებიანობის, პროდუქტიულობის და კონკურენტულობის უპირატესობას. ყველა ბიზნესს აქვს ინტერესები გახდეს დამსაქმებელი, რომელზეც აკეთებენ არჩევანს და ამით მიიზიდონ ყველაზე ერთგული და ნიჭიერი კადრები. [4:128]

კომპანიების ერთ-ერთი უდიდესი გამოწვევა კვალიფიციური კადრების მოზიდვა და შენარჩუნებაა. საქართველოში, რომელიც ტრადიციულად ადამიანური რესურსებით იყო ცნობილი, ადეკვატური, განათლებული სამუშაო ძალის მოძებნა რიგით მეოთხე (თხუტმეტიდან) პრობლემატური ფაქტორია ბიზნესის კეთებისათვის, 2009 წლიდან დაწყებული ფინანსური და პოლიტიკური არასტაბილურობის შემდეგ არსებობს აზრი, რომ საქართველოს ადამიანური რესურსების ბაზა „მეტად განათლებული და ნაკლებად დასაქმებულია", განსხვავება უნარებზე მოთხოვნასა და მათ მიწოდებას შორის მნიშვნელოვანი წინააღმდეგობაა ბიზნესისა და დასაქმებისთვის.

დასკვნა

კადრების ეფექტური შერჩევა წარმოადგენს ნებისმიერი ორგანიზაციის მნიშვნელოვან ფუნქციას, რადგან საქმიანობის ცენტრში ყოველთვის ადამიანები არიან. პერსონალის შერჩევა-დაქირავების ოპტიმალური სისტემის არჩევა წარმოადგენს ერთ-ერთ პირველხარისხოვან ამოცანას. სტრატეგიული დაგეგმვის ჩარჩოებში უნდა იჭრებოდეს პერსონალთა დაქირავების პროცესის შემუშავებისა და დანერგვის ამოცანა, რომელიც აგებული იქნება ისეთნაირად, რომ სასურველი შედეგი მიიღებოდეს უმოკლესი გზით. პერსონალის პროფესი-

ონალიზმი ადამიანისეული რესურსების მართვის გამართულ სისტემასთან ერთად წარმოადგენს კონკურენტუნარიანობის ერთ-ერთ გადამწყვეტ ფაქტორს. ამიტომ საჭიროა პერიოდულად ჩატარდეს შერჩევა-დაქირავების ზოგადი სისტემის ანალიზი.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ არაკომპეტენტურ კადრს უფრო მეტი ზიანის მიყენება შეუძლია კომპანიისათვის, ვიდრე, მისი არყოფნით. ამიტომ კომპანიაში უნდა გვყავდეს, კვალიფიციური საკადრო მენეჯერი, რომელსაც შეუძლია ზუსტად განსაზღვროს ჯერ თავისუფალი ადგილის თავისებურებები და შემდგომ აიყვანოს ისეთი კადრი, რომელიც მოერგება და შეითვისებს არსებულ პოზიციას. პერსონალის შერჩევა და დაქირავება ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ყველა კომპანიისათვის, რადგან სწორედ მათზეა დამოკიდებული კომპანიის მომავალი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. თორია მ. „ადამიანური რესურსების მენეჯმენტი", "მერიდიანი" თბ. 2014, გვ. 203 – გვ. 223.

2. ლომაია ც. „ადამიანური რესურსების მენეჯმენტი" თბ. 2014, გვ. გვ 235-246.

3. М.И Соколова, А.Г Деменцева; ,,Управление человеческими ресурсами'' 2016

4. Papa Louis Fall, Yishan Zhang ,, Staff recruitment in United Nations system organizations: Joint Inspection Unit Geneva 2015.

5. Ragnar Anthony Gambrell „ The Order of Hierarchy", Master´s thesis, M.S. Human Resource Management. Faculty of Business Administration School of Social SciencesUniversity of Iceland February 2012.

6. http://www.geostat.ge

7. http://www.nplg.gov.ge/

8. http://insource.ge/

REFERENCES:

1. Thoria m. "Human Resource Management", "Meridian" Tb. 2014, p. 203 - p. 223.

2. Lomaia Ts. “Human Resource Management” Tb. 2014, p. Pp. 235-246.

3. M.I. Sokolova, AG Dementseva; , Human Resources Management 2016

4. Papa Louis Fall, Yishan Zhang ,, Staff recruitment in United Nations system organizations: Joint Inspection Unit Geneva 2015.

5. Ragnar Anthony Gambrell „ The Order of Hierarchy”, Master´s thesis, M.S. Human Resource Management. Faculty of Business Administration School of Social SciencesUniversity of Iceland February 2012.

6. http://www.geostat.ge

7. http://www.nplg.gov.ge/

8. http://insource.ge/

MANAGEMENT THEORY ABOUT THE HUMAN ROLE AND SOME ISSUES OF THE PERSONNEL SELECTION

Tsiala Lomaia,
Professor of GTU, CIU
Nikoloz Gogoladze,
CIU faculty of Business, Doctoral Educational
Program for Business Administration

RESUME

The work deals with the role of human capital and some issues of selection of personnel. The role and importance of selection of personnel in business management is noted. Furtermore, it also underlines the negative consequences of mistakes made in the selection of personnel focusing on the organization’s management strategy and the importance of policy on the rapid selection of personnel. One of the companies’ biggest challenges is to invite and to retain the qualified staff.

Key words: Motivation system; Attraction of staff; Recruitment; Strategic Goal of organization; Functional Assessment.

საერთაშორისო სისტემის ცვლილების გავლენა მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოებზე: გეოეკონომიკა გეოპოლიტიკის წინააღმდეგ

ლიკა ილურიძე
თსუ სტუდენტი

რეზიუმე

თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების ცნებებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს **გეოპოლიტიკასა და გეოეკონომიკას.** გეოპოლიტიკა გულისხმობს ურთიერთობებს ისეთ სივრცულ გეოგრაფიულ ერთეულებს შორის, როგორებიცაა ქვეყნები, რეგიონები, კონტინენტები. საბჭოთა ლიტერატურაში გეოპოლიტიკას უარყოფითი შინაარსობრივი დატვირთვა ჰქონდა ან საერთოდ იგნორირებული იყო და ფაშისტური გერმანიის პოლიტიკასა და ამერიკის ჰეგემონიზმთან მიმართებაში გამოიყენებოდა. ევროპულ ენებზე არსებულ ლიტერატურაში, სიტყვა **Geopolitic** აღინიშნება გეოპოლიტიკის გერმანული სკოლის თეორიული ნამუშევრები, სადაც განსაკუთრბული ადგილი უჭირავს ნაცისტურ ექსპანსიონურ დოქტრინას, რომელიც გერმანიის მილიტარისტული, პოლიტიკური კურსის გამართლებისას იყენებს გეორგრაფიულ, ისტორიულ, რასობრივ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ფაქტორებს (გეგეშიძე, 1999 [გვ.33]).

რაც შეეხება გეოეკონომიკას, იგი მე-20 საუკუნის დასასრულს წარმოიშვა როგორც გეოპოლიტიკის ახალი მიმდინარეობა. **გეოეკონომიკა** ჩამოყალიბდა გეოგრაფიის, ისტორიისა და ეკონომიკის სინთეზის შედეგად. პოლიტიკური სივრცე რადიკალურად განსხვავდება ეკონომიკურისგან, რამდენადაც პირველს არ შეუძლია იარსებოს ბარიერების, მუდმივობის გარეშე. მეორე კი პირიქით, მუდმივ მოძრაობაშია და დამოკიდებულია საქონლისა და მოხმარების თუ მოთხოვნის ცვალებადობაზე. მიუხედავად იმისა, რომ გეოეკონომიკა გეოპოლიტიკისგან წა-

რმოიშვა, მაინც აღსანიშნავია განსხვავებები მათ შორის. გეოპოლიტიკისგან განსხვავებით, გეოეკონომიკა პრიორიტეტულად მიიჩნევს არა გეოგრაფიულ, ეთნიკურ და კულტურულ ფაქტორებს, არამედ სივრცესთან დაკავშირებულ ეკონომიკურ რეალობებს. გეოეკონომიკისთვის მსოფლიო განვითარების საფუძველია ის, თუ სად განთავსდება მსოფლიო ბირჟების ცენტრები, სასრგებლო წიაღისეული, საინფორმაციო ცენტრები, მსხვილი საწარმოები და ა.შ.

აღნიშნული **საკითხის აქტუალობას** განაპირობებს თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი იდეოლოგიური დაპირისიპირება. ამ თემაზე არ არსებობს ერთი კონკრეტული პოზიცია და საკითხი სადავოა პოლიტიკურ ექსპერტთა შორის. სახელმწიფოები დგანან ერთგვარი ალტერნატივების წინაშე გეოპოლიტიკასა და გეოეკონომიკას შორის, თუ რომელზე უნდა გაკეთდეს აქცენტი და რომელია მათი განვითარებისთვის პრიორიტეტული- ეკონომიკური თუ სამხედრო-პოლიტიკური ინტერესების წინ წამოწევა.

რაც შეეხება **მეთოდოლოგიას,** კვლევაში გამოყენებულია სოციალურ- კონსტრუქტივისტული ხედვა, რომელიც ძირითადად მორგებულია თვისებრივი კვლევის ტიპზე. რადგან ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია საკითხის თვისებრივი ანალიზი და სოციალური-პოლიტიკური პრობლემების უკეთ გაგება.

მოსალოდნელ შედეგებთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ მომავალი მსოფლიო წესრიგი განისაზღვრება საერთაშორისო სისტემაში გეოეკონომიკის დომინირებით. გლობალიზაციის პროცესი სტაბილური ტემპებით გაიზრდება და გააქტიურდება, რაც გამოწველი იქნება ეკონომიკური ურთიერთდაოკიდებულების ზრდითა და სახელმწიფოებს შორის ბარიერების მოშლით.

ძირითადი ტექსტი

საერთაშორისო ურთიერთობებში უმთავრესი აქტორები არიან ის სუპერ ძალები, რომლებიც თავიანთი გავლენის საზღვრებს მიღმა გავრცელებას ლამობენ და ეძებენ შესაბამის ნიადაგს

თავიანთი ეროვნული ინტერესების გასატარებლად. დღესდღეობით ასეთ სახელმწიფოებად რამდენიმე მნიშვნელოვანი აქტორი გვევლინება, თუმცა განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია სამი მათგანი: ჩინეთი, რუსეთი და ამერიკის შეერთებული შტატები. უკანასკნელი ორი ქვეყნის მნიშვნელობა საერთაშორისო ასპარეზზე მეორე მსოფლიო ომის პერიოდში გამოჩნდა. რაც შეეხება ჩინეთს, იგი ცივი ომის შემდგომ პერიოდში მოგვევლინა, როგორც ერთ-ერთი ლიდერი სახელმწიფო. ამის მიზეზად შეგვიძლია განვიხილოთ სახელმწიფოთა პრიორიტეტების ცვლილება, რასაც, თავის მხრივ, საერთაშორისო სისტემისა და მსოფლიო წესრიგის ტრანსფორმაცია მოჰყვა თან. რამეთუ, საერთაშორისო სისტემის უძლიერეს სახელმწიფოებსაც კი არ აქვთ უნარი, თანაბარი წარმატებით განახორციელონ და წარმართონ გეოპოლიტიკისა და გეოეკონომიკის საკითხები, დღევანდელი მსოფლიოს მთავარი დილემა მდგომარეობს შემდეგში: ორიენტირდნენ სამხედრო-პოლიტიკური მიზნების განსახორციელებაზე თუ მეტი ძალისხმევა დახარჯონ ეკონომიკურ განვითარებაზე? ექსპერტთა აზრით, საერთაშორისო წესრიგის ცვლილება მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდს უკავშირდება. მანამდე სამხედრო-პოლიტიკაზე ორიენტირებულმა სახელმწიფოებმა ეკონომიკური განვითარებისკენ აიღეს გეზი. ყოველივე ამის საილუსტრაციოდ, განვიხილოთ სამი ქვეყნის მაგალითი:

რუსეთი - მეორე მსოფლიო ომის პერიოდში საბჭოთა კავშირის სამხედრო დანახარჯები 80 000 000-დან 90 000 000- ამერიკულ დოლარამდე მერყეობდა. ეს თანხა კიდევ უფრო გაიზარდა 1950-60-იან წლებში, ცივი ომის დასაწყისში. თუ მანამდე, აშშ-ს მიერ დახარჯული თანხები ბევრად აღემატებოდა სსრკ-სას, ამ დროისთვის მათი დანახარჯები ფაქტობრივად გათანაბრდა და დაახლოებით 200 500 000-ს მიაღწია. 1980-იანი წლების ბოლოს საბჭოთა კავშირის მიერ სამხედრო საკითხებზე გაწეული ხარჯების რაოდენობამ თავის პიკს მიაღწია და 400 000 000 აშშ დოლარს გადააჭარბა, თუმცა 1989 წელს კავშირის ნგრევას ამ თანხების შემცირებაც მოჰყვა. 1990-იან წლებში ეს რიცხვი უკანასკნელი 55 წლის განმავლობაში ყველაზე დაბალ ნიშნულამდე

დაეცა და 2000-იანი წლების განმავლობაში სტაბილურად შენარჩუნდა ამ მაჩვენებელზე. 2016 წელს რუსეთის ეროვნული თავდაცვის ხარჯებმა 3 888 982,5 ტრილიონი რუბლი, ანუ 63,1 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა, რაც ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი 4,7%-ია. ამ წლის აპრილის კვლევებმა გამოავლინეს, რომ სახელმწიფომ დაკარგა პოზიცია ტოპ სამეულში სამხედრო დანახარჯების მიხედვით. 2017 წელს ეს ხარჯები საგრძნობლად შემცირდა და ამჟამად იგი შეადგენს 46 მილიარდ აშშ დოლარს, ეს კი ფედერალური ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის 17, 5% და მშპ-ს 3,3%-ია. მოსალოდნელია, რომ 2018 წლისთვის ეს ტენდენცია შენარჩუნდება და ეროვნულ თავდაცვაზე გამოიყოფა 44,3 მილიარდი დოლარი. თავდაცვის ხარჯების შემცირებასთან ერთად, სტაბილურად იზრდება რუსეთის ფისკალური დანახარჯები.

ამერიკის შეერთებული შტატები - ფისკალური დანახარჯების ზრდა აშშ-ს პოლიტიკისთვისაცაა დამახასიათებელი. 2008 წლიდან 2016 წლამდე ეს თანხები თითქმის 2-ჯერ გაიზარდა. რაც შეეხება სამხედრო საკითხებზე დახარჯულ თანხებს, იგი რუსეთის მსგავსად არ განიცდის კლების ტენდენციას. პირიქით, თუ 2015 წელს სამხედრო დანახარჯები 589.6 მილიარდ დოლარს შეადგენა, 2016 წლისთვის 595.3 მილიარდამდე, ხოლო 2017 წელს 617 მილიარდამდე გაიზარდა. აღსანიშნავია, რომ დღესდღეობით აშშ პირველია სამხედრო დანახარჯების მიხედვით. მას მოსდევს ჩინეთი, საუდის არაბეთი და რუსეთი. მიუხედავად თავდაცვაზე დახარჯული თანხების ზრდისა, რაც ამ სახელმწიფოს მრავალ მასშტაბურ სამხედრო კონფლიქტში ჩართულობითაა გამოწვეული, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მეორე მსოფლიო და ცივი ომის პერიოდებთან შედარებით, ეს რიცხვები გაცილებით მცირეა. 1940-იან წლებში აშშ-ს სამხედრო დანახარჯებმა თავის მაქსიმუმს მიაღწია. ამ პერიოდისთვის იგი 700 000 000 დოლარს აღემატებოდა. ომის დასრულების შემდეგ, 1950 წლიდან ეს რიცხვი შემცირდა, თუმცა ცივი ომის გამწვავებისას, 60-70-იან წლებში სამხედრო ხარჯები კვლავ გაიზარდა- 300 000 000-ს გადააჭარბა. უკანასკნელ პერიოდში თავდაცვის გაზრდილი დანახარჯები და მიმდინარე საერთაშორისო სი-

ტუაცია, ერთი შეხედვით, კვლავ სამხედრო-პოლიტიკზე ორიენტირების ნიშნად შეიძლება მივიჩნიოთ. განსაკუთრებული მნიშვნლობა ამ მოვლენებს აშშ-ს საერთაშორისო როლის გამო ენიჭება. თუმცა აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო სისტემის ფუნდამენტური გარდაქმნა რთული და მრავლისმომცველი პროცესია, რომელიც ჯერ არ დასრულებულა.

ჩინეთი - ეკონომიკურად ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფოა მსოფლიოში. 1970-იანი წლების მნიშვნელოვანი ეკონომიკური გარდაქმნების შემდეგ, ქვეყანა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო აქტორად მოგვევლინა. 2016 წლის მონაცემებით, ჩინეთის მშპ 11, 3 ტრილიონ დოლარს შეადგენს. ამ ნიშნულით იგი მსოფლიოში მეორეა აშშ-ს შემდეგ. სავარაუდოა, რომ ჩინეთის ეკონომიკური განვითარება გაგრძელდება და 2020 წლისთვის ქვეყნის მშპ დაახლოებით 29 348 000-ს მიაღწევს, რითაც გაიუმჯობესებს პოზიციას და უკან მოიტოვებს აშშ-ს. დღესდღეობით ჩინეთი სამხედრო დანახარჯების მიხედვითაც კვლავ მხოლოდ აშშ-ს ჩამორჩება. 2006-2007 წლებში ქვეყანამ 62%-ით შეამცირა შეიარაღების იმპორტი. ეს, ერთი შეხედვით, ხისტი ნაბიჯი სულაც არ მიუთითებს იმაზე, რომ სახელმწიფო უარს ამბობს ქვეყნის მილიტარიზებაზე. ამაზე მეტყველებს სამხედრო ხარჯების ზრდის უსწრაფესი ტენდენცია. თუ ისტორიულ სურათს გადავხედავთ, ვნახავთ, რომ ამ მხრივ ჩინეთი რუსეთსა და აშშ-სთან შედარებით გაცილებით პასიური იყო. ქვეყნის სამხედრო დანახარჯები მკვეთრად გაიზარდა 1970-იან წლებში. ხარჯების ზრდა განსაკუთრებული ეკონომიკური წინსვლის პერიოდს დამეთხვა, რაც, რა თქმა უნდა, არ წარმოადგენდა შემთხვევითობას. ეს მონაცემი იმ პერიოდისთვის არ შეედრებოდა საბჭოთა კავშირისა და აშშ-ს კოლოსარულ დანახარჯებს, თუმცა, როგორც ზემოთ ვახსენეთ, დღესდღეობით ჩინეთი სამხედრო დანახარჯების მიხედვით, ერთ-ერთი პირველია. 2009 წელს ჩინეთმა სამხედრო ხარჯები 17.6 %-ით გაზარდა. როგორც აღვნიშნეთ, დაახლოებით 10 წელიწადში სახელმწიფო კიდევ უფრო გაძლიერდება ეკონომიკურად და 2019 წლისთვის მისი მშპ 17,3 ტრილიონს შეადგენს.

დასკვნა

საერთაშორისო სისტემა ჯერ კიდევ ფორმირდება, პროცესი არ არის დასრულებული. მიმდინარე ცვლილებები წამყვან სახელმწიფოებს ეკონომიკური მდგომარეობის მუდმივი გაუმჯობესებისა და თავდაცვაზე დანახარჯების გაზრდისკენ უბიძგებენ, თუმცა აღსანიშნავია, რომ მეორე მსოფლიო ომის, ანუ საერთშორისო სისტემის ერთი მოდელიდან მეორეზე გადასვლის პერიოდის შემდეგ შეინიშნება სამხედრო შეიარაღების შემცირება, რაც გვაფიქრებინებს, რომ მომავალში, თუ რაიმე სახის დესტაბილიზაციას არ ექნება ადგილი, ახალ საერთაშორისო სისტემაში მოქმედი აქტორები დილემას გეოეკონომიკის სასარგებლოდ გადაწყვეტენ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. „ფინანსიალიზაცია" და მიკრო საფინანსო ორგანიზაციები. ინტერნეტი. https://emc.org.ge/2016/03/17/kapitalis-finansializacia/.ბოლო ნახვა თებერვალი,5;

2. სამხედრო დანახარჯები მსოფლიოში "ცივი ომის" დროინდელს მიუახლოვდა.ინტერნეტი. http://www.radiotavisupleba.ge/a/1541729.html.ბოლო ნახვა თებერვალი,6;

3. დასავლეთის ზეწოლის შედეგი - რუსეთი სამხედრო ხარჯებს 23,7%-ით ამცირებს და გლობალურ რეიტინგებში პოზიციებს კარგავს.ინტერნეტი. Http://eugeorgia.Info/ka/article/563/dasavletis-zewolis-shedegi---ruseti-samxedro-xarjebs-237-it-amcirebs-da-globalur-reitingebshi-poziciebs-kargavs.ბოლო ნახვა თებერვალი,7;

4. XXI საუკუნის გეოპოლიტიკური რეალიები და პერსპექტივები.ინტერნეტი. http://intermedia.ge/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%9.ბოლო ნახვა თებერვალი,8;

REFERENCES:

1. Finances and micro finance organisations.

2. Military Flow rate are equal to the cold war rate. http://www.

radiotavisupleba.ge/a/1541729.html

3. Western Pressure - Russian military flow rate is down by 23.7% and looses global rating. Http://eugeorgia.Info/ka/article/563/dasavletis-zewolis-shedegi---ruseti-samxedro-xarjebs-237-it-amcirebs-da-globalur-reitingebshi-poziciebs-kargavs

4. XXI Century Geopolictal areals and perpectives. http://intermedia.ge/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%

THE INFLUENCE OF CHANGING INTERNATIONAL SYSTEMS ON THE LEADING WORLD COUNTRIES: GEOECONOMICS VS GEOPOLITICS

Lika Iluridze
3rd Year Student of International Relations,
Tbilisi State University

RESUME

In today's standards international relations, geopolitics and geo-economics are one of the most important aspects. Geopolitics means relations between regions and countries, in soviet regions this word had negative meanings and it was used to refer Germany or the USA. Geo-economics was formed with the mix of Geography,History and Economics. The political area is fairly different from economical, one cannot live without borders and eternity, the other will die if there is borders and eternity.

Geo-economics is not focused on ethnic or cultural factors, but is focused on the economic reality. The actuality of the issue comes from the modern ideological controversy. There is no clear answer to that, is there a center of world's stock market or information, every expert has a different opinion about that topic.

Key words: Geopolitics; Geo-economics; Military flow rate; Economical flow rate; Ideological controversy; International order.

მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი - ისტორია და მომავალი გამოწვევები

მარი ბაბაკიშვილი, ანნა ცქიტიშვილი
თსუ ბაკალავრიატის სტუდენტები

რეზიუმე:

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ პოსტსაბჭოთა სივრცეში ეთნიკურ ნიადაგზე წარმოქმნილი მრავალი კონფლიქტი დარჩა, თუმცა ერთ-ერთი ყველაზე კომპლექსური, ხანგრძლივი და სისხლისმღვრელია მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი. მის დასაწყისად მიიჩნევა 1987-1988 წლები, თუმცა ისტორიული, პოლიტიკური, ეთნიკური და სოციალური ფაქტორებიდან გამომდინარე, კონფლიქტი უფრო შორეული წარსულიდან მომდინარეობს. მთიანი ყარაბაღი მდებარეობს აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, მაგრამ მოსახლეობის უმრავლესობას ეთნიკური სომხები შეადგენენ. კონფლიქტში მონაწილე მთავარი მხარეები არიან ერთმანეთთან დაპირისპირებული სახელმწიფოები - სომხეთი და აზერბაიჯანი და არაღიარებული მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკა(იგივე რესპუბლიკა არცახი). მთიანი ყარაბაღის ომმა ორ ქვეყანას შორის ეროვნული სიძულვილი გააჩინა, იმსხვერპლა უამრავი ადამიანი და მილიონზე მეტი პირის იძულებით გადააგდილება გამოიწვია. კონფლიქტში ერთმანეთს უპირისპირდება ისეთი პრინციპები, როგორიცაა თვითგამორკვევა თუ სუვერენიტეტის შენარჩუნება, ტერიტორიული მთლიანობა,დაყოფა თუ თანაარსებობა. წლების განმავლობაში მიმდინარე მოლაპარაკებების და მშვიდობის დამყარების მცდელობების მიუხედავად, ეს კონფლიქტი დღემდე მოუგვარებელი რჩება.

საკვანძო სიტყვები: მთიანი ყარაბაღი, სომხეთი, აზერბაიჯანი, ეთნიკური კონფლიქტი, ეთნიკური უმცირესობა, სამშვიდობო მოლაპარაკებები, კავკასიის რეგიონი.

ძირითადი ტექსტი:

XI საუკუნემდე მთიანი ყარაბაღი განიხილებოდა სომხეთის ტერიტორიად. XII საუკუნიდან მოყოლებული, როდესაც ტერი-

ტორიაზე მაჰმადიანობა შემოდის, ტერიტორიის რომელიმე სახელმწიფოზე მიკუთვნება უფრო რთული და ბუნდოვანი ხდება. რეალობის დანახვას ართულებს ის ფაქტიც, რომ ორივე მხარე, აზერბაიჯანი და სომხეთი, ერთმანეთის საპირისპირო ინფორმაციას ავრცელებს მთიან ყარაბაღთან დაკავშირებით. როგორც ვიცით, XIX საუკუნეში ტერიტორიები რუსეთმა დაიპყრო და ჩამოაყალიბა გუბერნიები. ყარაბაღის რეგიონი ერევნის გუბერნიაში შედიოდა და მოსახლეობის უმრავლესობა ამ დროისთვის სომხური იყო. 1918-21 წლებში დამოუკიდებლობა მოიპოვა აზერბაიჯანმაც და სომხეთმაც და მთიანი ყარაბაღი სომხეთის დაქვემდებარებაში დარჩა. კონფლიქტის ისტორიაში მნიშვნელოვანი თარიღია 1921 წლის 16 მარტი, როდესაც ოსმალეთმა და რუსეთმა ხელშეკრულების დადებით ამიერკავკასია გაიყვეს, ხოლო ყარაბაღი აზერბაიჯანის შემადგენლობაში შევიდა. აზერბაიჯანში შესულმა ყარაბაღის მოსახლეობამ მოითხოვა დამოუკიდებლობა და სომხეთთან შეერთება, რასაც მოჰყვა რეგიონში სამთავრობო ჯარების შეყვანა და სამხედრო დაპირისპირება. საბჭოთა იმპერიის ფორმირების პირველ წლებში მთიანი ყარაბაღი ცენტრალურ ხელისუფლებას გამოეყო როგორც ადმინისტრაციული ერთეული, ხოლო 1922 წელს მას ავტონომიური ოლქის სტატუსი მიენიჭა და დედაქალაქი შუშადან ხანკენდში (შემდგომში სტეფანაკერტი) გადავიდა. სსრკ-ში ორივე სახელმწიფოს შესვლამ დროებით განმუხტა ვითარება, მაგრამ საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო წლებში კონფლიქტმა ისევ იჩინა თავი. 1987-88 წლებში გაიზარდა ადგილობრივი სომეხი მოსახლეობის უკმაყოფილება მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მიმართ. ისინი აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობას სომხური უმცირესობის უფლებების, კულტურის და იდენტობის ჩაგვრას, რეგიონის ეკონომიკური ჩამორჩენილობისთვის ხელის შეწყობასა და სომხეთთან კულტურული კავშირისთვის ხელოვნური ბარიერების შექმნას აბრალებდნენ. დაიწყო მასობრივი გამოსვლები როგორც ყარაბაღში, ასევე სომხეთში. გამოსვლები გადაიზარდა სისხლიან დაპირისპირებაში 22 თებერვლიდან, როცა ქალაქ

ასკერანთან მოხდა შეტაკება მოსახლეობასა და მილიციას შორის. დაიღუპა ორი ადამიანი, ხოლო 50-ზე მეტი დაშავდა. 27-29 თებერვალს ქ. სუმგაითში აზერბაიჯანელების მიერ ორგანიზებული ანტისომხური მიტინგი გადაიზარდა სომეხი მოსახლეობის რბევასა და ხოცვაში („სუმგაითის პოგრომი“). 32 ადამიანი დაიღუპა, ასეულობით დაშავდა. 28 თებერვალს, კიროვობადში აზერბაიჯანელებმა ისევ დაარბიეს სომხური რაიონები. ამასობაში სსრკ-ს უმაღლესი ხელმძღვანელობა ნეიტრალიტეტს ინარჩუნებდა და არ ერეოდა კონფლიქტში. ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით, (1988 წლის 24 მარტის დადგენილება), არ განიხილებოდა ტეროტორიული გადანაწილება სომხეთის და აზერბაიჯანის სსრ-ებს შორის, ხოლო მთიანი ყარაბაღის ავტონომიურ ოლქს ეკონომიკურ-სოციალური საკითხების გასაუმჯობელებლად 400 მილიონი რუბლის ოდენობით დახმარება გადაეცემოდა. ამ გადაწყვეტილებამ ვითარება არ გამოასწორა, პირიქით, დაიწყო ეთნიკური ნიშნით დევნა, რის გამოც ათობით ათას ადამიანს იძულებით გადაადგილება მოუწია, წლის ბოლოს კი რიცხვმა 200 ათასს გადააჭარბა. სიტუაცია გაუარესდა 1990 წლის იანვარში, როცა სომხეთ-აზერბაიჯანის საზღვარზე მხარეებმა საარტილერიო ცეცხლი გახსნეს. 13-18 იანვარს ბაქოში დაარბიეს სომეხი მოსახლეობა, მსხვერპლი იყო 90 ადამიანი (არაოფიციალური მონაცემებით კი 300-მდე). 20 იანვარს კი აზერბაიჯანელების მიერ მოწყობილი ანტისამთავრობო მიტინგი დაარბია საბჭოთა ჯარებმა, დაღუპულთა რიცხვი 150-მდე იყო, ხოლო დაჭრილთა - 800-ზე მეტი. ამ მოვლენებმა კიდევ უფრო გაამწვავეს სიტუაცია ყარაბაღის კონფლიქტის ირგვლივ. აზერბაიჯანელებმა დაიწყეს ყარაბაღის ბლოკადა, გაუწყვიტეს სახმელეთო და საჰაერო კავშირი სომხეთთან. ამაზე კი სომხებმა დივერსიების მოწყობით უპასუხეს, ხოლო 19 აგვისტოს ნამდვილი საბრძოლო მოქმედებები დაიწყეს, დაიკავეს რა აზერბაიჯანული დასახლებები ზედა ასკიპარი და ბაგანის აირუმი. საბჭოთა ჯარების და მძიმე ტექნიკის ჩარევით მეორე დღეს ეს დაბები გაათავისუფლეს. სოფლებზე განხორციელდა კიდევ რამდენიმე შეტევა, საპასუხოდ, 25 სექტემბერს აზერბაჯანულმა მხარემ ვერტმფრენების მეშვეობით სტეფანა-

კერტი დაბომბა. სიტუაციამ არგამოცხადებული ომის სახე მიიღო. დაპირისპირება სრულმასშტაბიან ომში გადაიზარდა 1991 წელს, სსრკ-ს დაშლისა და საბჭოთა ჯარის გაყვანის შემდეგ. მიუხედავად იმისა, რომ სომხები რიცხობრივად 3-ჯერ მცირე და ნაკლებად შეიარაღებულები იყვნენ, მათ მაინც გაიმარჯვეს წარმატებული შეტევებისა და მეორე მხრივ, აზერბაიჯანის არაორგანიზებულობისა და შიდა არასტაბილურობის გამო. მთიანი ყარაბაღის ავტონომიურ ოლქზე გავლენის დამყარების გარდა, სომხეთმა ასევე ხელში ჩაიგდო საკუთრივ აზერბაიჯანული ტერიტორია - ქალბაჯარის, ლანჩინის, ქუბალდის, ჯაბრაილის, ზანგილანის, აგდამის და ფუზულის რაიონები, რაც მთლიანობაში აზერბაიჯანის მთლიანი ტერიტორიის 13,6%-ზე მეტია. ამ ტერიტორიებით სომხეთმა ერთგვარი ბუფერული ზონა შექმნა. ომში გარდამტეხი როლი შეასრულა სომხეთის მიერ ლანჩინის რაიონის დაკავებამ, რომელიც ხმელეთით აკავშირებს ყარაბაღსა და სომხეთს და ძირითადი ეკონომიკური და სამხედრო დახმარება რეგიონს სწორედ ამ გზით მოსდიოდა.

ზოგადად ომი გამოირჩეოდა სისასტიკით ტყვეებისა და სამოქალაქო პირების მიმართ ორივე მხრიდან, ადგილი ჰქონდა ადამიანთა უფლებების მრავალგზის დარღვევებს, ხშირი იყო წამების, გაუპატიურების და მასობრივი მკვლელობების ფაქტები. ამ ყველაფერმა გამოიწვია ორ მხარეს შორის ეროვნულ დონეზე მტრობა, რაშიც დიდი როლი ეროვნული მედია საშუალებებისა და მთავრობების პროპაგანდამ ითამაშა. ომის ეს ეტაპი დასრულდა 1994 წელს. ის „გაყინულ კონფლიქტად“ გამოცხადდა და რეგიონში დროებითი მშვიდობა დამყარდა. 2016 წლის 1 აპრილს აზერბაიჯანმა კვლავ წამოიწყო შეტევა, რომელიც 4 დღე გაგრძელდა. შედეგად აზერბაიჯანმა დაიბრუნა დაკარგული ტერიტორიის დაახლოებით 20 კვადრატული კილომეტრი. მართალია სომხეთის პრეზიდენტ სერჟ სარგისიანის განცხადებით ტერიტორიული დანაკლისი უმნიშვნელო იყო, თუმცა აზერბაიჯანისთვის ამ გამარჯვებას ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ვითარების შედარებით განეიტრალების მიუხედავად, შეტაკებები გაგრძელდა მომავალ წელსაც, რის შედეგადაც ბევრი ჯარისკაცი დაიღუპა, როგორც ყარაბაღის, სომხეთის,

ასევე აზერბაიჯანის მხრიდან.

რუსეთის როლი მთიანი ყარაბაღის კონფლიქტში - საწყის ეტაპზე კონფლიქტის გაღვივებას ხელი შეუწყო სსრკ-ს მხრიდან უმოქმედობამ და სუსტმა რეაგირებამ. მიხეილ გორბაჩოვი მხოლოდ სიტყვით მოუწოდებდა სომხეთსა და აზერბაიჯანს, რომ დაეცვათ საზღვრების ურღვეობის პრინციპი. ხოლო შემდგომმა დაგვიანებულმა ჩარევებმა კიდევ უფრო გაამწვავა სიტუაცია (მაგალითად, ბაქოში ჯარების შეყვანა და მიტინგის დარბევა 1990 წლის 19-20 იანვარს). საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დაპირისპირებულ მხარეებს შორის მთავარი მედიატორი რუსეთი გახდა. რუსეთის ინიციატივით შეიქმნა ორგანიზაცია „დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა“ (დსთ), რომელშიც შედიოდა საბჭოთა კავშირის 11 ყოფილი წევრი სახელმწიფო, მათ შორის აზერბაიჯანი და სომხეთი. 1992 წელს, ყარაბაღის ომის დროს, შეიქმნა „კოლექტიური თავდაცვის შეთანხმების ორგანიზაცია“, სადაც დანარჩენ 4 ქვეყანასთან ერთად, რუსეთი და სომხეთი შევიდნენ. რუსეთი აწარმოებდა ორმაგ თამაშს: ის იყო შუამავალი სამშვიდობო მოლაპარაკებებში სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის, მაგრამ ამავდროულად აწვდიდა შეიარაღებასა და სამხედრო ტექნიკას როგორც სომხეთს, ასევე აზერბაიჯანს. მთავარი პოლიტიკური ბერკეტი ამ ორივე სახელმწიფოსთვის იყო დსთ-ს წევრობა, რომლის ფარგლებშიც მოქმედებდა რუსეთი. რუსეთი ომის შემდეგაც იყო აქტიურად ჩართული კონფლიქტში, 1995 წლის 6 იანვრიდან ის ეუთოს მინსკის სადამკვირვებლო ჯგუფის თანათავმჯდომარეა. შეიძლება ითქვას, რომ რეგიონში დაპირისპირება რუსეთის ინტერესებში შედის, რადგან ის მნიშვნელოვანი სამხედრო პარტნიორი და იარაღის ექსპორტიორია ორივე ქვეყანაში. აზერბაიჯანი იარაღის 85 %-ს რუსეთისგან იღებს. ამავდროულად, რუსეთი რეგულარულად გადასცემს შეიარაღებას სომხეთს სამხედრო ბლოკის ფარგლებში. 2016 წლის 14 ნოემბერს რუსეთის პრეზიდენტმა, ვლადიმერ პუტინმა მოაწერა ხელი ხელშეკრულებას რუსეთ-სომხეთის ერთობლივი სამხედრო ძალის შექმნასთან დაკავშირებით, რომელიც სომხეთში განლაგდება. ასევე, ნებისმიერი შეტევა სომხეთის წინააღმდეგ ჩაითვლება რუსეთის

წინააღმდეგ შეტევად და - საპირისპიროდ. აღსანიშნავია ისიც, რომ რუსეთს სომხეთში, კერძოდ გიუმრში აქვს სამხედრო ბაზა განლაგებული. ბევრი აზერბაიჯანელი ფიქრობს, რომ ომში სომხეთმა რუსი სამხედროების დახმარებით შეძლო გამარჯვება. შესაბამისად მაშინ, როცა რუსეთი ნეიტრალიტეტს აცხადებს მიმდინარე კონფლიქტში, რეგიონში იარაღის რაოდენობა იზრდება და მასთან პარალელურად - რუსეთის გავლენაც, რაც როგორც ეკონომიკურად, ასევე პოლიტიკური თვალსაზრისით არის მომგებიანი რუსეთისთვის.

კონფლიქტის ეთნიკური მხარე - როგორც ვიცით, მთიანი ყარაბაღის მოსახლეობის უმეტესობას სომხები შეადგენდნენ. მათი რიცხვი ჯერ კიდევ 1926 წელს ჩატარებულ საყოველთაო აღწერაში რეგიონის მოსახლეობის 89%-ზე მეტს აღწევდა. დანარჩენი მოსახლეობა კი უმეტესად აზერბაიჯანელებისგან შედგებოდა და სხვადასხვა პერიოდში მათი რაოდენობა მერყეობდა 10-დან 20-%-მდე. ეთნიკური წმენდის შედეგად, მილიონზე მეტ ადამიანს მოუწია იძულებით გადაადგილება. ისინი ამიერკავკასიის რეგიონში მაცხოვრებლების 6%-ზე მეტს შეადგენდნენ. კონფლიქტის შედეგად როგორც სომხეთის, ასევე აზერბაიჯანის დემოგრაფიული სახე შეიცვალა. მაგალითად, 1979 წელს სომხეთში აზერბაიჯანელთა რიცხვი 160 000-ზე მეტი იყო, ისინი მოსახლეობის 5,3%-ს შეადგენდნენ. ხოლო უკვე 1989 წელს ეს რიცხვი თითქმის 2-ჯერ, 84 000-მდე შემცირდა. გარდა ამისა, ადგილი ჰქონდა მასობრივ დეპორტაციებს. აზერბაიჯანული მხარის განცხადებით, მოხდა 41 000-მდე აზერბაიჯანული და ქურთული ოჯახების გამოდევნა. უშუალოდ ომის დროს ლტოლვილთა რიცხვი კიდევ უფრო გაიზარდა. დღეს კი, ოდესღაც უდიდესი ეთნიკური უმცირესობა სომხეთის ტერიტორიიდან თითქმის მთლიანადაა გამქრალი, წარმოდგენილია რა მხოლოდ რამდენიმე ათეული , ან ასეულით - ძირითადად სომხებთან დაოჯახებული აზერბაიჯანელები. სომხეთი კი უფრო მიუახლოვდა სრულ მონოეთნიკურობას სახელმწიფოში: ომის შემდგომ სომხები მოსახლეობის 98%-ზე მეტს შეადგენენ. აზერბაიჯანს რაც შეეხება, იქ მცხოვრები სომხების უმეტესობამ არ დატოვა ქვეყანა, არამედ გადავიდა მთიანი ყარაბაღის

რეგიონში, ამიტომაც ოფიციალურად ისინი კვლავ აზერბაიჯანში არიან, მაგრამ მეორე მხრივ, იმყოფებიან ტერიტორიაზე, რომელზეც ცენტრალურ ხელისუფლებას კონტროლი არ აქვს.

დასკვნა

მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი საკმარისი ყურადღების ცენტრში არაა იმის გათვალისწინებით, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია მის ესკალაციას კავკასიის რეგიონზე და არა მარტო. სომხეთი და აზერბაიჯანი ვერ მიდიან კონსენსუსამდე, მაშინ როცა სხვა ქვეყნების, კერძოდ თურქეთის და განსაკუთრებით რუსეთის, ინტერესები და გავლენა მუდმივად იზრდება მათზე. ამაზე მეტყველებს ისიც, რომ რუსეთი პოლიტიკურ-ეკონომიკურ კავშირებს ორივე სახელმწიფოსთან ამყარებს და აყალიბებს მათი სათანადოდ მართვის ბერკეტებს. ხოლო მინსკის სადამკვირვებლო ჯგუფის მუშაობას შედეგი არ აქვს. ამავდროულად, ბლოკადა აზერბაიჯანისა და თურქეთის მხრიდან პრობლემებს უქმნის სომხეთს, რომელიც ჩაკეტილი ქვეყანაა და ზღვაზე გასასვლელი არ აქვს. იგი დამოკიდებული ხდება რუსეთზე, რომელიც მას გაზს აწვდის და საქართველოზე, რომელიც ამ გაზის ტრანზიტს ახდენს. ამავდროულად რუსეთის მიერ აზერბაიჯანთან კავშირების დამყარებაც სავარაუდოდ ეჭვს უჩენს სომხეთს. აპრილში მოპოვებულმა გამარჯვებამ კი აზერბაიჯანისთვის შესაძლოა სიმბოლური დატვირთვა შეიძინა, ასევე თავდაპირველ ომში მარცხის შემდეგ მისი ბრძოლისუნარიანობა წარმოაჩინა, თუმცა ეს ყველაფერი დიდი დანაკარგის ფასად მოხდა და საბოლოოდ მოპოვებული ტერიტორიები საკმაოდ უმნიშვნელო იყო. ამიტომ საბრძოლო მოქმედებებიც არ აღმოჩნდა საკმარისი კონფლიქტის მოსაგვარებლად. შეიძლება ითქვას, რომ მთიანი ყარაბაღის დავის მოგვარებას საკმაოდ პესიმისტური მომავალი აქვს იმ შემთხვევაში, თუ მხარეები არ წავიდნენ დათმობაზე. კონფლიქტის გაგრძელებას კი ყველა მხარისთვის უარყოფითი შედეგები მოაქვს გარდა რუსეთისა, რომელიც ერთადერთი ქვეყანაა, რომელიც იგებს არსებულ დავაში.

ლიტერატურა:

1. De Waal, Thomas. Black garden: Armenia and Azerbaijan through peace and war. New York: New York University Press, 2013.

2. De Waal, Thomas. «The Nagorny Karabakh conflict: Origins, dynamics and misperceptions.» Conciliation Resources. June 21, 2016.

3. «Armenia Lost 800 Ha Of Territory In April Clashes – Sargsyan.» HistoryofTruth.com - Armenian Allegations. May 17, 2016. ბოლო ნახვა: 20.12.2017. http://www.historyoftruth.com/news/46-karabakh-conflict/20113-armenia-lost-800-ha-of-territory-in-april-clashes-sargsyan

4. Larsen, Joseph. «Russia's Double Dealing in Armenia and Azerbaijan.» International Policy Digest. November 21, 2017. ბოლო ნახვა:20.12.2017. https://intpolicydigest.org/2016/12/07/russia-s-double-dealing-armenia-azerbaijan/.

5. Huseynov, Rusif. «Russia's involvement in Nagorno-Karabakh conflict: Unhelpful and unpromising.» Foreign Policy News. June 03, 2016. ბოლო ნახვა: 20.12.2017. http://foreignpolicynews.org/2016/06/03/russias-involvement-in-nagorno-karabakh-conflict-unhelpful-and-unpromising/.

REFERENCES:

1. De Waal, Thomas. Black garden: Armenia and Azerbaijan through peace and war. New York: New York University Press, 2013.

2. De Waal, Thomas. «The Nagorny Karabakh conflict: Origins, dynamics and misperceptions.» Conciliation Resources. June 21, 2016.

3. «Armenia Lost 800 Ha Of Territory In April Clashes – Sargsyan.» HistoryofTruth.com - Armenian Allegations. May 17, 2016. Last seen: 20.12.2017. http://www.historyoftruth.com/news/46-karabakh-conflict/20113-armenia-lost-800-ha-of-territory-in-april-clashes-sargsyan

4. Larsen, Joseph. «Russia's Double Dealing in Armenia and Azerbaijan.» International Policy Digest. November 21, 2017. Last seen: 20.12.2017. https://intpolicydigest.org/2016/12/07/russia-s-double-dealing-armenia-azerbaijan/.

5. Huseynov, Rusif. «Russia's involvement in Nagorno-Karabakh conflict: Unhelpful and unpromising.» Foreign Policy News. June 03, 2016. Last seen: 20.12.2017. http://foreignpolicynews.org/2016/06/03/russias-involvement-in-nagorno-karabakh-conflict-unhelpful-and-unpromising/.

THE HIGHLAND-KARABAKH CONFLICT - HISTORY AND FUTURE CHALLENGES

Mari Babakishvili, Anna Cqitioshvili,
Bachelor students, TSU

RESUME

Many conflicts occurred in the post-Soviet space after the collapse of the Soviet Union, but one of the most complex, long and bloody one is the Nagorno-Karabakh conflict. Its origin is considered to be the beginning of 1987-1988, however, due to historical, political, ethnic and social factors, the conflict comes from a more distant past. The Highland-Karabakh (Nagorno Karabakh) is located on the territory of Azerbaijan, but most of the population consists of the ethnic Armenians. The main parties involved in the conflict are the opposing states - Armenia and Azerbaijan and the unrecognized the Republic of "Nagorno Karabakh". The Nagorno-Karabakh War has created the national hatred between the two countries, resulting in a large number of casualties and millions of forcibly displaced people. Many principles in the conflict contradict each other, such as the self-determination or sovereignty, territorial integrity, division or coexistence. Despite of the years of negotiations and efforts to establish peace, the conflict remains unresolved.

Key words: The Highland-Karabakh (Nagorno Karabakh); Armenia; Azerbaijan; Ethnic conflict; Ethnic minority; Peace; Negotiations; Caucasian region.

ლიდერის როლი ორგანიზაციული ცვლილებების განხორციელებისას და ინოვაციური პოლიტიკა ფრანგულ საწარმოებში

ნინო ცხოვრებაშვილი
საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია
პირველწოდებულის სახელობის
ქართული უნივერსიტეტის დოქტორანტი

რეზიუმე

ახალი ტექნოლოგიების ეპოქამ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახადა ორგანიზაციული ცვლილებების განხორციელება, რაც წინსვლის ერთ-ერთი წინაპირობად იქცა. ყველა მოვლენას აქვს თავის არსებობის ციკლი, ასევეა ორგანიზაციული ცვლილებების გატარებისას. პირველი ეტაპი, რომელიც მოსალოდნელი შედეგების ზეგავლენას შეისწავლის, იწყება დიაგნოსტირებით. პირველ ეტაპს მოსდევს კომუნიკაციისა და ფორმაციის სტადიები. ყველაზე მნიშვნელოვანად შეიძლება მივიჩნიოთ კადრების მართვა, რომელიც სიახლის დანერგვის ეტაპით სრულდება. საფრანგეთის ხელისუფლება განსაკუთრებულ მხარდაჭერას გამოხატავს ორგანიზაციაში ცვლილებების დაფინასებით და სხვადასხვა მხარდამჭერი სტრუქტურების შექმნით. მიუხედავად ასეთი მხარდაჭერისა, საერთაშორისო ორგანიზაციების დასკვნების მიხედვით, ინოვაციური ცვლილებების განხორციელების კუთხით, ფრანგები მე-11 ადგილზე არიან ევროპის მასშტაბით და მე-16 ადგილას მსოფლიო ლიდერებს შორის. ცვლილებების განხორციელებისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ე.წ. „შემაგუებელ," დროებით ლიდერობას ენიჭება, რომელიც გულისხმობს ადამინების ახალ გარემოსთან შეგუებაში დახმარებას.

საკვანძო სიტყვები: ორგანიზაციული ცვლილებები, ადაპტირებული ლიდერობა, ინოვაცია, ქოუჩი, ფორმაცია, ორგანიზაციული კულტურა.

ძირითადი ტექსტი

შეუძლებელია დღევანდელ დღეს წარმატებული ორგანიზაციის წარმოდგენა მუდმივი განახლებისა და ცვლილებების გარეშე. ცნობილი გამოთქმის თანახმად, მუდმივი ჩვენს ცხოვრებაში მხოლოდ ცვლილებებია. წარმატებული ცვლილებების განსახორციელებლად საჭიროა: სწორი სტარეგიიის შერჩევა, რესურსების მობილიზება, კულტურული გარემო-ფაქტორების გათვალისწინება და პროცესის მეთვალყურეობა, როგორც ორგანიზაციულ დონეზე, ასევე, ფუნქციურზე.

თანამედროვე წარმატებულ ორგანიზაციაში, როგორც წესი, თავისუფალი გარემოა და დასაქმებულები უფროსების წნეხის ქვეშ არ იმყოფებიან. არის ისეთი ორგანიზაციებიც, სადაც მენეჯერები, ინოვაციური პროექტების ხელშეწყობის მიზნით, თანამშრომლებს ახალისებენ და სთავაზობენ იდეების განხორციელებაში დახმარებას. ორგანიზაციული გარემო, წეს-ჩვეულებები და ურთიერთდამოკიდებულება პირდაპირ უკავშირდება თანამშრომელთა პროდუქტიულობას და ინოვატორობას. იქ, სადაც უფროსების დამოკიდებულება თანამშრომლების მიმართ არის თავისუფალი, ზედმეტი შემზღუდავი ნორმების გარეშე, ხშირია ინოვაციური პროექტების განხორციელების შემთხვევები. მაგალითად შეგვიძლია მოვიტანოთ Google- ის პრაქტიკა, სადაც ინჟინრებს და შემოქმედებითი დეპარტამენტის თანამშრომლებს სამუშაო დროის 20 პროცენტი მათთვის სასურველი სამუშაოს განხორციელებისათვის ეძლევათ. ასეთ სასურველ გარემოში ხელმძღვანლეობას სურს, გაზარდოს წარმატებული ინოვაციების განხორციელების ალბათობა.[1]

ფრანგული საავტომობილო ფირმა „რენო"-ს დამოკიდებულება ცვლელებებსა და ინოვაციაზე შემდეგნაირია: წელიწადში ორჯერ ე. წ. „ინოვაციის ოთახში" იმართება თემატური შეხვედრა-გამოფენები, სადაც იმ წლის სიახლეებია წარმოდეგენილი. თემატიკა საკმაოდ ფართოა და ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია საკუთარი აზრის გამოთქმა. თანამშრომლებისათვის

1 Innovation / De l idée au lancement ,http://www.journaldunet.com/diaporama/0610-livregoogle/3.shtml

საწარმოს აქვს „Renault Creative People“ მეთოდი, სადაც თანამშრომლებს სამ ეტაპად შეუძლიათ მონაწილეობის მიღება

1. ფორუმში განათავსონ საკუთარი ახალი იდეა;

2. გარკვეული ეტაპების გავლის შემდეგ ე. წ. ინკუბატორებში მოხდეს ამ იდეაზე მუშაობა;

1. Le Créative Lab ე. წ. იდეების ლაბორატორია, სადაც ინკუბატორებში დამუშავებული იონავაციები ხვდება და გადის სხვადასხვა გამოკვლევას.[1]

საფრანგეთში 60 ორგანიზაციაში ჩატრებულმა კვლევებმა ცხადყო, რომ ფრანგებისათვის ორგანიზაციული ცვლილებები საკმაოდ სტრესული მოვალენაა და მენეჯერებს დიდი ძალისხმევა სჭირდებათ წარმატების მისაღწევად. განსაკუთრებული ფაქტორი, რომელიც ცვლილებების განხორციელებას უშლის ხელს, არის სოცილური და კულტურლი გარემო. გამოკითხულთა 75%-ის აზრით, ცვლილებების დროს წარუმატებლობის მიზეზი არის დასაქმებულთა შეუთავსებლობა კულტურულ და სოცილურ გარემოსთან. შესაბამისად, ფრანგულ წრეებში ცვლილების განხორციელებისას უმთავრეს ყურადღებას კულტურული გარემოს რეორგანიზაციას უთმობენ და ცდილობენ, დასაქმებულებს ხელი შეუწყონ სოციალიზაციაში. ამის დასტურად, კველევის ავტორებს კიდევ ერთ მაგალითად მოაქვთ ამერიკის მართვის ასოციაციის კვლევა, რომელშიც 250 საწარმოს შესწავლის მაგალითზე, იგივე დამაბრკოლებელი ფაქტორებია გამოყოფილი.[2]

ფრანგები ორგანიზაციული ცვლილების 2 ტიპს გამოყოფენ:

1. მკვეთრი წყვეტით განხორციელებული ცვლილებები. ასეთი ტიპის ცვლილება პროცესის რადიკალურ შეცვლას უკავშირდება;

2. ცვლილება ეტაპობრივი გაუმჯობესებით;

საერთაშორისო ორგანიზაციების დასკვნების მიხედვით,

---

1 http://www.innovationpartagee.com/Blog/archives/renault-et-lopen-innovation/

2 https://tel.archives-ouvertes.fr/file/index/docid/364895/filename/THESE_BENZAIDA.pdf

ინოვაციური ცვლილებების განხორციელების კუთხით, ფარნგები მე-11 ადგილზე არიან ევროპის მაშტაბით და მე-16 ადგილას მსოფლიო ლიდერებს შორის. ექსპერტთა აზრით, ასეთი მდგომარეობა გამოწვეულია ახალი ტექნოლოგიების კვლევის საკითხებში მცირე ინვესტიციების განხორციელებით და ასევე, მკველევარების დაბალი ანაზღაურებით.

ფრანგული წარმოება ინოვაციურ კვლევებზე იმაზე გაცილებით ნაკლებს ხარჯავს, ვიდრე ევროპის წამყვანი სხვა ქვეყნები. [1] მიუხედავად ასეთი რეალობისა, საფრანგეთის სახელმწიფომ ინოვაციური პროექტების განხორციელებისათვის 2010 წელს 7 მილიარდის ინვესტიცია განახორციელა.[2]

2013 წელს ფრანგებმა ინოვაციური პოლიტიკის ეროვნული კომისიაც დააფუძნეს, რომელიც მჭიდროდ თანამშრომლობს სხვადასხვა სამინისტროსთან.[3]

საფრანგეთის ხელისუფლების პოლიტიკა განსაკუთრებულად უჭერს მხარს ცვლილებების განხორციელებასა და სტრუქტურების დეცენტრალიზებას, რაც გამოიხატება მიღებული კანონების[4] ზედმიწევნით დაცვითა და თანხების ადეკვატურად გახარჯვის პოლიტიკით.

ქვეყნების სწრაფვას ცვლილებებისაკან და განვითარებისაკენ ხშირად განსაზღვრავენ მოსახლეობის განათლების საერთო ხარისხით. მაგალითად, უმაღლესი განათლების მქონე ადამინების პროცენტული მაჩვენებლით. „ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების“ ორგანიზაციაზე დაყრდნობით, წევრ ქვეყნებში უმაღლესი განათლების მქონე მოსახლეო-

1 Rapport de l'OCDE 2014, http://www.oecd.org/fr/innovation/remise-du-rapport-examens-ocde-des-politiques-d-innovation-de-la-france.htm

2 Comment relancer l'innovation dans les entreprises françaises. Robeveille, RolandEditeur: GeresoPublication: 2015, ბაგე 36

3 http://www.strategie.gouv.fr/propos-de-france-strategie

4 Promulguée le 7 août 2015, la loi portant sur la Nouvelle Organisation Territoriale de la République (NOTRe) confie de nouvelles compétences aux régions et redéfinit clairement les compétences attribuées à chaque collectivité territoriale.

ბით იაპონია ლიდერობს და საფრანგეთი მოწინავე რიგებში არ არის.[1]

ფრანგული საწარმოების ჩართულობა კველევებსა და სხვადასხვა ახალი პროექტის განხორციელებაში დამოკიდებულია ამ საწარმოების არა მხოლოდ ფინანსურ მდგომარეობაზე, არამედ მათ ზომაზე. იმავე კველევების თანახმად, დიდი ზომის საწარმოებში დანერგილი ახალი პროექტების განხორციელების მაჩვენებლით, საფრანგეთი მოწინავე ადგილზეა და თავად იაპონიასაც კი უსწრებს. [2]

შესწავლილი მონაცემებიდან ჩანს, რომ არსებობს სექტორები, სადაც საფრანგეთი წამყავნ პოზიციებზეა და არსებობს ისეთი სფეროებიც, სადაც მას სხვა ქვეყნები უსწრებენ.

ფრანგებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ე. წ ქოუჩის როლი საწარმოსა და სიახლეების მართვისას. ეს ფენომენი, რომელიც ბოლო წლების განმავლობაში დამკვიდრდა, მენეჯერს საკუთარი შესაძლებლობების გაანალიზებასა და სტიმულის მიცემაში ეხმარება. მისი ფუნქცია განსხვავდება, როგორც მენტორისაგან, ასევე მრჩევლისაგან. ქოუჩს ძირითადად მიმართავენ ცვლილებების შემდგომ საჭირო ლიდერობის სტილის შერჩევისათვის. თუმცა, ასევე ხშირ შემთხვევაში, ქოუჩის ჩართვა თანამშრომელთა დახმარებისა და ახალი უნარების განსავითარებლადაც არის საჭირო. ჩატარებული კვლევებიდან ირკვევა, რომ ტელეკომუნიკაციის, ინდუსტრიის და დაზღვევის სფეროები ყველაზე ხშირად მიმართვენ ქოუჩის დახამრებას.[3]

---

1 L'INNOVATION EN FRANCE IndIcateurs de posItIonnement InternatIonal. édition 2016 .MINISTÈRE DE L'ÉDUCATION NATIONALE, DE L'ENSEIGNEMENT SUPÉRIEUR ET DE LA RECHERCHE MINISTÈREDE L'ÉCONOMIE DE L'INDUSTRIE ET DU NUMÉRIQUE

2 Part des entreprises coopérant pour l'innovation, % des entreprises innovantes, 2010-2012,L'INNOVATION EN FRANCE. IndIcateurs de posItIonnement InternatIonal. édition 2016

3 étude auprès de Dauphine Junior Conseil (junior-entreprise de l'Université de Paris Dauphine) sur la pratique du coaching en France. Réalisée au printemps 2010, cette enquete est basée sur les réponses de 268 coachs (sur 600 questionnaires envoyés), dont 113 sont adhérents de la SFCoach.

ცვლილებების განხორციელებისას განსაკუთრებული მნიშვენელობა ე.წ. „შემაგუებელ, დროებით ლიდერობას“ ენიჭება. ტერმინი „ადაპტირებული ლიდერობა“ პირველად ჰარვარდის ბიზნეს სკოლის პროფესორებმა[1] გამოიყენეს ლიდერობის დასახასიათებლად ორგანიზაციული ცვლილებების განხორციელების დროს. მათი მოსაზრებით, ასეთი ლიდერობა სამ ძირითად ეტაპს უნდა გადიოდეს:

1. განისაზღვროს ლიდერისა და ხელისუფლების განმახორციელებელ ორგანოს შორის კავშირი და მათი ფუნქციები;

1. მოხდეს მოვლენების კონტროლი და დინამიური გაცვლა სხვადასხვა ჯგუფს შორის;

3. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს ორგანიზაციის კულტურის მხარეს;

ცვლილებების განხორციელებისას ანგარიშგასაწევია კოლეგების მხრიდან სიახლეების მიმართ შეუთვასებლოების ფაქტორი. ბევრ თანამშრომელს, რომელსაც სიიახელეების შიში აქვს, უყალიბდება ოპონირების ინსტინქტი.

„შემაგუებელი ლიდერობა“ ინდივიდისა და კოლექტივის სირთულეებს ითვალისწინებს და ცდილობს, სიტუაციების ეტაპობრივად დალაგებას. მკველვარები მიიჩნევენ, რომ ამ ტიპის ლიდერობის დროს ხელმძღვანელი ცდილობს, როგორც ცალკეული თანამშრომლის წახალისებას, ასევე, მათ მობილიზაციასა და გაერთიანებას ახალი იდეის ირგვლივ.

თანამშრომლების მხრიდან მაქსიმალური ჩართულობის მისაღწევად და მათი მზაობის შესაფასებლად ხელმძღვანელები ხშირად ორგანიზაციებში სოციოდინამიკის მზაობას, სიმწიფეს აკვირდებიან. სოციოდინამიკა კარგად ვლინდება სოციო მატრიცის, ბარომეტრისა და კონფლიქტების დარეგულირების ცხრილის მეშვეობით.

ორგანიზაციული ცვლილებების დროს კადრების ფორმირება, უზრუნველყოფილია თავად ორგანიზაციის მიერ. ზოგადად, ახალი უნარ- ჩვევების შეძენა და მუდმივი ფორმაცია საკამაოდ მნიშვნელოვანი თემაა ფრანგულ ორგანიზაციულ ცხოვრებაში.

1 Ronald Heifetz et Marty Linsky, professeurs à Harvard Kennedy School.

არსებობს ფორმაციები, რომელსაც თავად ორგანიზაცია ირჩევს და დასაქმებულს მის გავლას ავალდებულებს და ასევე, არსებობს ისეთი კურსები, რასაც თავად თანამშრომელი ირჩევს და დაგროვებული კრედიტების მიხედვით აფინანსებს საკუთარ სწავლას. სავალდებულო ტრენინგების არგავლის შემთხვევში, შეიძლება სამსახურიდან დაითხოვონ თანამშრომელი, რომელმაც არ ისურვა კვალიფიკაციის ამაღლება.

2013 წლიდან[1] საფრანგეთში დასაქმებულს აქვს „პერსონალური ელექტრონული ფორმაციის" ანგარიში, რომელზედაც შესრულებული სამუშაოს მიხედვით, უგროვდება სწავლების საათები. ნებისმიერ თანამშორმელს შეუძლია, მოითხოვოს ფორმაცია, რომელიც ფინანსდება დამსაქმებლისგან. დამსაქმებლის მიერ, სახელფასო დეკლარაციის შევსების შემდგომ, ავტომატურად ხდება ფორმაციის საათების დაკრედიტება დასაქმებულის პირად გვერდზე, რომელსაც აღნიშნული საათები შეუძლია გამოიყენოს, როგორც დაგროვების, ასევე, პირდაპირ დახარჯვის მეთოდით. ზოგადი წესის მიხედვით, წელიწადში 24 საათი კრედიტდება მთლიან განაკვეთზე. საათების რაოდენობა შეიძლება გაიზარდოს 120-მდე. ფორმაციის არჩევა ხდება დასაქმებულის სურვილის მიხედვით, ორგანიზაციაში არსებულ ფორმაციათა სიიდან.

მაშასადამე, საფრანგეთი არის ქვეყანა, რომელიც მუდმივად ცდილობს, გააუმჯობესოს შედეგები მეცნიერების სხვადასხვა დარგში და ამისთვის მისი ხელისუფალნი ძალისხმევას არ ზოგავენ.

ორგანიზაციული ცვლილებების განხორციელებისას ხშირია კონფლიქტური სიტუაციები, რომლის დარეგულიერება ლიდერის პრეროგატივაა. მის უნარზეა დამოკიდებული, თუ რამდენად ზუსტად მიაგნებენ კონფლიქტის გამომწვევ მიზეზს და მოახდენენ დროულ რეაგირებას. ასეთ სიტუაციაში ლიდერმა უნდა შეინარჩუნოს ზომიერება და კონსტრუქციულობა დაპირისპირებული მხარეების მოსმენისას და შეძლოს მათ შორის საერთო ინტერესების გამონახვა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არსებულ კონფლიქტურ ეტაპზე ადეკვატური ზომების მიღება და არარეალური დაპირებებისაგან თავის შეკავება.

1 Accord national interprofessionnel

ყველაზე მნიშვნელოვანი როლი ამ შემთხვევაში ორგანიზაციის ხელმძღვანელმა უნდა შეასრულოს და საშუალება მისცეს თანამშრომლებს შეეჩვიონ მათთვის უჩვეულო სიტუაციებს.

ლიტერატურა:

1. ინოვაციები საფრანგეთში. საერთაშორისო დონეზე პოზიციის განმსაზღვრელი ინდიკატორი. განათლების და ეკონომიკის სამინისტროები.

2. კანონი ახალი ორგანიზაციების შესახებ , 2015 წელი 7 აგვისტო;

3. როგორ წამოვიწყოთ ინოვაციები ფრანგულ საწარმოებში , რონალ რობერვეი., 2015, გვერდი 36;

4. კვლევა კოაჩინგზე საფრანგეთში. 268 კოაჩის მონაწილეობით. კვლევა განახორციელა პარის დოფენის უნივერსიტეტის ახალგაზრდულმა დაწესებულებამ.

5. ახალგაზრდა დოფენელების მიერ ჩატარებული კველევა 268 ქოუჩის მონაწილეობით;

6. საწარმოთა ჩართულობა ინოვაციურ პროექტებში . 2010 2012 წლებში

REFERENCES :

1. L'INNOVATION EN FRANCE

1. IndIcateurs de posItIonnement InternatIonal. édition 2016 .MINISTÈRE

2. DE L'ÉDUCATION NATIONALE, DE L'ENSEIGNEMENT SUPÉRIEUR ET DE LA RECHERCHE

3. MINISTÈREDE L'ÉCONOMIE DE L'INDUSTRIE ET DU NUMÉRIQUE

2. Promulguée le 7 août 2015, la loi portant sur la Nouvelle Organisation Territoriale de la République (NOTRe) confie de nouvelles compétences aux régions et redéfinit clairement les compétences attribuées à chaque collectivité territoriale.

Comment relancer l'innovation dans les entreprises françaises. Robeveille, Roland Editeur: **Gereso**Publication: 2015, 36

Rapport de l'OCDE 2014, http://www.oecd.org/fr/innova-

tion/remise-du-rapport-examens-ocde-des-politiques-d-innovation-de-la-france.htm

3. étude auprès de Dauphine Junior Conseil (junior-entreprise de l'Université de Paris Dauphine) sur la pratique du coaching en France. Réa lisée au printemps 2010, cette enqueбte est basée sur les réponses de 268 coachs (sur 600 questionnaires envoyés), dont 113 sont adhérents de la SFCoach.

6. http://www.strategie.gouv.fr/propos-de-france-strategie

Part des entreprises coopérant pour l'innovation, % des entreprises innovantes, 2010-2012,L'INNOVATION EN FRANCE.

LEADER'S ROLE IN ORGANIZATIONAL CHANGES AND THE INNOVATIVE POLICY IN FRENCH ENTERPRISES

Nino Tskhovrebashvili
PhD Student , St. Andrew the First Called Georgian University Of the Patriarchate of Georgia

RESUME

France is a country that constantly tries to improve its results in different fields of science. According to the international organizations, in the field of innovative changes France has been ranked 11th in Europe and reached 16th place among the world leaders. The special significance is given to adaptive leadership of organization. The adaptive leadership is a practical leadership framework that helps individuals and organizations adapt and thrive in challenging environments. It is being able, both individually and collectively, to take on the gradual but meaningful process of change. While organizational changes are often associated with the conflict situations, regulation of which is the leader's prerogative, according to Keane the old ideas of captivity are difficult to get.

Key words : Organizational Change; Adaptive leadership; Inovation; Coach; Formation; Organizational culture.

უკრაინის კრიზისის გავლენა რუსეთ-ევროკავშირის სავაჭრო ურთიერთობებზე

მიმოზა ტიელიძე , სალომე ღაჭავა
თსუ სტუდენტები

რეზიუმე

თანამედროვე ეტაპზე სულ უფრო აქტუალური ხდება გეო-ეკონომიკური ინსტრუმენტების როლი, მათი სპეციფიკა და ხასიათი. მათ შორის აღსანიშნავია ეკონომიკური სანქციები, როგორც საგარეოპოლიტიკური მიზნების მიღწევის არასამხედრო საშუალება, რაც განსაკუთრებით საყურადღებო გახდა საერთაშორისო სისტემის ორი უდიდესი აქტორის-ევროკავშირისა და რუსეთის ფედერაციის ურთიერთობებში. უპირველესად იმის გამო, რომ რუსეთსა და ევროკავშირს შორის, ერთი მხრივ, ძლიერი ეკონომიკური და რესურსული კავშირი არსებობს, მეორე მხრივ კი ამ ორი სუბიექტის საგარეოპოლიტიკურ ხედვებს შორის რადიკალური სხვაობა იწვევს სერიოზულ გარდაქმნებს მათი ურთიერთობების დინამიკაში. ნაშრომის მიზანია რუსეთ-ევროკავშირის სავაჭრო ურთიერთობების ცვლილების ანალიზი უკრაინის კრიზისის შედეგად. მასში გადმოცემულია თვითონ უკრაინის კრიზისის არსი, ამ კრიზისის შედეგად რუსეთისთვის დაწესებული ეკონომიკური სანქციების მნიშვნელობა და გაანალიზებულია მისი გავლენა რუსეთისა და ევროკავშირის სავაჭრო ურთიერთობებზე, ეს კი ნაჩვენებია რუსეთ-ევროკავშირს შორის ექსპორტ-იმპორტის მაჩვენებლების შედარებით კრიზისამდე და კრიზისის შემდეგ.

საკითხის აქტუალობა. აღნიშნული თემა განსაკუთრებით აქტუალურია რამდენიმე მიზეზის გამო. უპირველესად ხაზგასასმელია, რომ რუსეთი ჯერაც გეოპოლიტიკური ხედვით მოქმედებს საერთაშორისო ასპარეზზე და ტერიტორიული ინტერესები მისთვის კვლავაც უპირატესია (რისთვისაც ხშირად არამართლზომიერ ქმედებებს მიმართავს), ამიტომ დასავლეთის მხრიდან არა სამხედრო, არამედ ეკონომიკური ბერკეტების გა-

მოყენება რუსეთზე გავლენის მოსახდენად, უდავოდ იპყრობს განსაკუთრებულ ყურადღებას და საჭიროებს მათი ურთიერთობების გაანალიზებას პოსტფაქტუმ. ასევე, ის ფაქტიც, რომ აღნიშნულ სახელმწიფოს გეო-ეკონომიკური ომი აქვს გაჩაღებული საქართველოს წინააღმდეგაც, ვფიქრობთ, ჩვენთვის კიდევ უფრო საინტერესოს ხდის დასავლეთის მხრიდან რუსეთზე განხორციელებულ ანალოგიურ ქმედებას. შესაბამისად, ყოველი ახალი კვლევა მნიშვნელოვანია, რათა შევაფასოთ ის შედეგები და ცვლილებები ევროკავშირ-რუსეთს შორის ურთიერთობებში, რაც მოჰყვა ეკონომიკური სანქციების დაწესებას.

კვლევის მეთოდოლოგია.ნაშრომის მოსამზადებლად, ძირითადად, გამოყენებულ იქნა თვისებრივი მეთოდოლოგია, კერძოდ კონტენტ-ანალიზი და უკრაინის ქეისის შესწავლა. ამასთანავე, გამოყენებულია როგორც მეორადი წყაროების ანალიზი, მაგალითად, ინტერნეტ სივრცეში არსებული ინგლისურენოვანი სტატიები და ნარკვევები, ასევე სტატისტიკური მონაცემები და ევროკავშირის ოფიციალურ ვებსაიტებზე არსებული ინფორმაცია რუსეთ-ევროკავშირს შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების შესახებ.

მოსალოდნელი შედეგები.ჩვენი მთავარი საკვლევი კითხვიდან გამომდინარე, თუ რა გავლენა მოახდინა უკრაინის კრიზისმა რუსეთსა და ევროკავშირს შორის არსებულ ეკონომიკურ ურთიერთობებზე, ამ ნაშრომით შევეცდებით წარმოვაჩინოთ, რომ ეს უკანასკნელი გაუარესდა; დასკვნა კი გავაკეთეთ ორი ძირითადი ფაქტორის გაანალიზებით:

- რუსეთ-ევროკავშირს შორის ექსპორტ-იმპორტის ცვლილება 2014 წლამდე და
- რუსეთ-ევროკავშირს შორის ექსპორტ-იმპორტის ცვლილება 2014 წლის შემდეგ დღემდე.

რამდენადაც უკვე გამოკვლეულია არაერთი ექსპერტის მიერ უკრაინის კრიზისით გამოწვეული ეკონომიკური სანქციების გავლენა რუსეთის ეკონომიკურ მდგომარეობაზე, მიგვაჩნია რომ გამოკვლეულ უნდა იქნას აღნიშნული სანქციების ანუ გეო-ეკონომიკური ინსტრუმენტების ამ ფორმის ეფექტურო-

ბის საკითხი ისეთი დიდი გეოპოლიტიკური წონის მქონე ქვეყნებთან მიმართებით, როგორიცაა რუსეთი.

საკვანძო სიტყვები: გეო-ეკონომიკა, ეკონომიკური სანქციები, უკრაინის კრიზისი.

ძირითადი ნაწილი

რუსეთსა და ევროკავშირს შორის სავაჭრო ურთიერთობების გასაანალიზებლად საჭიროდ მივიჩნევთ კვლევის ფარგლებში დავაკვირდეთ რუსეთის ეკონომიკურ ცვლილებებს ევროკავშირის ეკონომიკური სანქციების შედეგად. შესაბამისად, ჯერ წარმოვადგენთ ეკონომიკური სანქციების ეტაპებს და რაუნდებს და მათ კავშირს რუსეთის ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებებთან, რაც გავაანალიზეთ 4 ინდიკატორის: **მშპ**-ის, **პირდაპირი უცხოური ინვესტიციების**, **ვალუტის კურსისა** და **აქციების ფასების** საშუალებით.

მოცემული ინდიკატორების ცვლილებებს დავაკვირდით 2010-2013 წლებში (რადგან ამ პერიოდში რუსეთის ეკონომიკამ 2009 წლის კრიზისის შემდგომ ზრდა დაიწყო და სტაბილურად მზარდი იყო) და 2014-2016 წლებში (მას შემდეგ, რაც დაწესდა ევროკავშირის ეკონომიკური სანქციები). ამ პერიოდების შედარებით გავაანალიზებთ ევროკავშირის ეკონომიკური სანქციების გავლენას რუსეთის ეკონომიკაზე. ამასთან, აღვნიშნავთ იმასაც, რომ სანქციების გარდა რუსეთის ეკონომიკაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა ასევე ნავთობის ფასების კლებაც, რაც ანალიზის დროს გათვალისწინებული იქნება.

რუსეთ-ევროკავშირის ეკონომიკური ურთიერთობების ისტორია.რუსეთზე ეკონომიკური სანქციების გავლენის საჩვენებლად საჭიროა, ვნახოთ, თუ როგორ და საიდან დაიწყო უკრაინის კრიზისი, პირველ რიგში კი თვალი გადავავლოთ რუსეთისა და ევროკავშირის ეკონომიკური ურთიერთობების ისტორიას. ეკონომიკური ურთიერთობები იწყება „პარტნიორობის და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებით“ (PCA) (Europa.eu, 2016)[1],

1 **http://eeas.europa.eu/archives/delegations/russia/eu_russia/political_relations/legal_framework/index_en.htm**

რომელიც რუსეთსა და ევროკავშირს შორის გაფორმდა 1994 წელს. ხელშეკრულებამ გააუქმა რაოდენობრივი შეზღუდვები სხვადასხვა საქონლისთვის. 1995 წლის ევროკავშირის გაფართოებამ გაამარტივა ურთიერთობები ამ ორ პარტნიორს შორის და შეიქმნა ახალი ეკონომიკური დახმარების ჩარჩო. 1999 წელს კი ინიცირებული „ჩრდილოეთის სივრცული პოლიტიკა“ განახლდა და დაიხვეწა 2006 წელს ჰელსინკის სამიტზე. მონაწილე სახელმწიფოებს წარმოადგენდნენ: რუსეთი, ევროკავშირი, ნორვეგია და ისლანდია. 2003 წელს რუსეთ-ევროკავშირის პეტერბურგის სამიტზე მხარეები შეთანხმდნენ ოთხი სახის საერთო სივრცეზე, მათგან ერთ-ერთი იყო საერთო ეკონომიკური სივრცე. (Europa.eu, 2014).[1] უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირისა და რუსეთის ეკონომიკურ თანამშრომლობაში ენერგო რესურსები ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტია. ყველასათვის ცნობილია, რომ რუსეთი მსოფლიოში ბუნებრივი აირის უმსხვილესი მწარმოებელია და საუდის არაბეთთან ერთად, ნავთობის უმსხვილესი ექსპორტიორი. რუსეთი ფლობს მსოფლიოს ბუნებრივი აირების რესურსების 20%-ს და ნავთობის რეზერვების 5%-ს. აგრეთვე, ორმხრივი ურთიერთდამოკიდებულება გაზარდა 2004 წელს ევროკავშირის 10 წევრით გაფართოებამ. 2012 წლის 22 აგვისტოს, ევროკავშირის აქტიური მხარდაჭერით, რუსეთი შევიდა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში (WTO), ახალ ფაზაში გადასულმა ურთიერთობამ უზრუნველყო სტაბილური, პროგნოზირებადი და დაბალანსებული სავაჭრო ურთიერთობა, განსაკუთრებით, ბალტიურ მხარესთან. „ყირიმის კრიზისის“ დაწყებამდე მდგომარეობა შემდეგნაირი იყო: „ევროკავშირისთვის“ რუსეთის ფედერაცია რიგით მესამე დიდი სავაჭრო პარტნიორი იყო, ხოლო რუსეთისთვის „ევროკავშირი“ პირველი ინვესტორი, შესაბამისად სუბსიდიების ძირითადი ნაწილი მისი ქვეყნებიდან მოდიოდა. უმნიშვნელოვანესი ადგილი ეკავა ენერგეტიკულ უსაფრთხოებას, გამომდინარე იქიდან, რომ „ევროკავშირი“ იმპორტირებული ბუნებრივი აირის 34%-ს სწორედ რუსეთის ფედერაციისგან იღებს. თუმცა ბოლო დროს ევროპა

1 http://ec.europa.eu/trade/policy/countries-and-regions/countries/russia/

რუსეთისგან ენერგოდამოუკიდებლობის მოპოვებას ყველა მეთოდით ცდილობს. ამ მხრივ ხაზგასასმელია ევროპული სახელმწიფოების ზრუნვა ფიქალის გაზის მოპოვებაზე, რომელიც ამერიკელთა დახმარებით ხორციელდება. ამ მიმართულებით ევროპაში, დაახლოებით, 40-მდე ნავთობმომპოვებელი კომპანია მუშაობს. ეს კი, როგორც ანალიტიკოსები აცხადებენ, მომავალში ევროპის რუსულ გაზზე დამოკიდებულებას მნიშვნელოვნად შეამცირებს.

რუსეთსა და ევროკავშირს შორის ურთიერთობები დაიძაბა 2013 წლის ნოემბრიდან, როდესაც რუსეთის ზეწოლის შედეგად, უკრაინის პრეზიდენტმა ვიქტორ იანუკოვიჩმა უარი განაცხადა ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ხელმოწერაზე. ამას მოჰყვა მასობრივი საპროტესტო გამოსვლები მთელი უკრაინის მასშტაბით. „ევრომაიდნის“ სახელით ცნობილმა საპროტესტო მოძრაობამ მალევე მიიღო სერიოზული მასშტაბები (დაღუპულთა და დაშავებულთა დიდი რაოდენობის გამორამდენიმე ასეული). ამის შემდეგ რუსეთმა აშკარად დაიწყო დესტაბილიზაციის მხარდაჭერა ქვეყანაში, ხოლო პრეზიდენტ იანუკოვიჩის გადადგომის შემდეგ კი 2014 წლის მარტში ჩაატარა რეფერენდუმი ყირიმის ნახ. კუნძულის მომავალ სტატუსთან დაკავშირებით, რის შედეგადაც გამოკითხულთა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა რუსეთის შემადგენლობაში შესვლას (ნახევარკუნძულის უმრავლესობას რუსულად მოსაუბრე უმრავლესობა წარმოადგენს), თუმცა საერთაშორისო საზოგადოებამ არ ცნო ლეგიტიმურად რეფერენდუმის შედეგები, რუსეთი ყირიმის ანექსიაში დაადანაშაულა და მის მიერ საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევის გამო სანქციები დაუწესა. (BBC, 2014). [1]

ეკონომიკური სანქციები: რაუნდები და შედეგები.ეკონომიკური სანქციები : ეს არის საგარეო პოლიტიკის წარმოების ერთ-ერთი საშუალება, გეო-ეკონომიკური ინსტრუმენტი, რომელიც მიზნად ისახავს საერთაშორისო ურთიერთობების აქტორის/აქტორების მიერ ერთი აქტორის/აქტორების დასჯას მათ

1 **http://www.bbc.com/news/world-middle-east-26248275**

ხელთ არსებული ეკონომიკური შესაძლებლობების მეშვეობით. სანქციების მიზანია, აიძულოს სამიზნე სახელწიფო, შეცვალოს თავისი პოლიტიკა და დაემორჩილოს საერთაშორისო ორგანიზაციების ანდა სანქციების გამტარებელ აქტორთა მოთხოვნებს (NPLG, 2008). [1] ევროკავშირის მიერ დაწესებული სანქციების დანიშნულებას წარმოადგენდა რუსეთის პოლიტიკის შეცვლა უკრაინასთან მიმართებით. სანქციები ოთხ ეტაპად განხორციელდა. ეკონომიკური სანქციების **პირველი რაუნდი** დაიწყო 2014 წლის 17 მარტს მარტს-რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიის შემდეგ. თავდაპირველად ის მოიცავდა სამგზავრო აკრძალვებს და 30-მდე რუსი და ყირიმელი მაღალჩინოსნის ანგარიშების გაყინვებს, ასევე, დასავლურმა ბანკებმა შეუწყვიტეს რუსულ ბანკებს კრედიტების მიცემა, რამაც პირველი დარტყმა მიაყენა რუსულ ბიზნესს, თუმცა, ექსპერტთა მოსაზრებით, სანქციების პირველ ეტაპს არ მიუყენებია სერიოზული ზიანი რუსეთის ეკონომიკისა და პოლიტიკისთვის. (Forbes, 2014). როგორც ჩანს, „პირველი ტალღა“ არაეფექტური გამოდგა, რადგან ევროკავშირს დასჭირდა მომდევნო სანქციების დაწესებაც.

II რაუნდი : გამოწვეულ იქნა რუსეთის მიერ დაპირისპირების ახალი კერების გახსნით აღმოსავლეთ უკრაინის ქალაქებში, განსაკუთრებით დონბასში (დონეცკის აუზში). რუსეთის არმიის მხარდაჭერით წაქეზებულმა ტერორისტებმა მოინდომეს დონბასის უკრაინისგან გამოყოფა, რის შედეგადაც გაჩაღდა ომი პრორუს სეპარატისტებსა და უკრაინის არმიას შორის. დასავლეთმა რუსეთის შეკავების მიზნით, გააააქტიურა სანქციების მეორე რაუნდი, რომლის ფარგლებშიც ევროკავშირმა გააფართოვა როგორც პერსონალური სანქციები რუსი მაღალჩინოსნების მიმართ, ასევე დაბლოკა 17 რუსული კომპანიის ბიზნეს ტრანზაქციები თავიანთ ტერიტორიაზე. სავაჭრო თვალსაზრისით, რუსეთის შემოსავალმა 326 მილიარდი დოლარიდან 285 დოლარამდე დაიკლო (Forbes, 2014). [2]

სანქციების **მესამე ეტაპის** დაწესების მიზეზი კი გახდა მალა-

1 http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=3976

2 http://forbes.ge/news/423/dasavleTis-sanqciebis-gavlena-ruseTze

იზიური ბოინგის MH17–ის ჩამოვარდნა სამხრეთ–აღმოსავლეთ უკრაინაში ივნისში. რუსეთი დადანაშაულდა იარაღის მომარაგებაში იმ ამბოხებულებისთვის, რომლებმაც ჩამოაგდეს თვითმფრინავი. მესამე რაუნდის მიხედვით, ევროკავშირმა სანქციები გააფართოვა რუსეთის მოქალაქეებსა და კომპანიებზე. მათ შორის, მთავრობის მფლობელობაში არსებული ბანკების უმეტეს ნაწილზე. ასევე, ემბარგო დააწესა რუსეთთან ენერგო და სამხედრო ტექნოლოგიებით ვაჭრობაზე (Eur-lex Europa, 2014[1]). ამის საპასუხოდ კი, რუსეთმა აღნიშნულ ქვეყნების საკვებს ემბარგო დაუწესა 2016 წლის ივლისამდე. მიუხედავად იმისა, რომ სანქციებს მყისიერი შედეგი არ მოჰყოლია მან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა რუსეთის ეკონომიკურ დაღმასვლაზე. 2014 წლის სექტემბრიდან რუბლმა დოლართან მიმართებაში მნიშვნელოვნად დაიწყო გაუფასურება და დეკემბერში უკვე 1 რუბლი 0.01167 ევრო ღირდა. ბუნებრივია, ზემოთ აღნიშნულმა ფაქტორებმა არასტაბილური გახადა რუსული ბაზარი და მეტიც, ხშირ შემთხვევაში, წამგებიანი ინვესტორთათვის. 2014 წლის დეკემბერში, ქვეყნიდან გასული ინვესტიციების რაოდენობა აღემატებოდა შემოსულს და შეადგენდა -1443 მილიონ დოლარს, ანუ მოხდა კაპიტალის გადინება (RAD, 2015). [2]

IV რაუნდი:მიუხედავად სამრაუნდიანი სანქციებისა, რუსეთმა კვლავ განაგრძო სეპარატისტების მხარდაჭერა და გაზარდა უკრაინის ტერიტორიაზე განლაგებული რუსული ჯარებისა და ტექნიკის ოდენობა. 12 სექტემბერს ევროკავშირმა და აშშ-მა აამოქმედეს მეოთხე რაუნდის სანქციები. ახალ სანქციებში მოჰყვნენ ისეთი დიდი კომპანიები, როგორიცაა: "როსნეფტი", "გაზპრომ ნეფტი", "ტრანსნეფტი", "კალაშნიკოვი" და სხვა (Russia-direct, 2014). [3] კომპანიებს აეკრძალათ დასავლეთის ბაზრებიდან კაპიტალის მოზიდვა და შეეზღუდათ ტექნოლო-

1 http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=uriserv%3AOJ.L_.2014.221.01.0001.01.ENG;

2 Hanson, Philip. 2015. What is happening to the rubble? Russian Analytical Digest 3 (March): 2-6.

3 http://www.russia-direct.org/things-you-need-know-about-western-sanctions-against-russia#explanation-4

გიებზე წვდომა. ამასთან, ევროპულ კომპანიებს აეკრძალათ რუსეთში ნავთობის საბადოების დაზვერვასა და დამუშავებაში მონაწილეობა.

ევროპულ კომპანიებს აეკრძალათ რუსეთში ნავთობის საბადოების დაზვერვა და მათ დამუშავებაში მონაწილეობის მიღება. ლონდონის საფონდო ბირჟაზე აქციების ფასებმა 27%-ით დაიწია, მოხდა ეროვნული შემოსავლის ინდექსის 18%-იანი ვარდნა. 2014 წლის პირველ 6 თვეში რუსეთის კერძო სექტორიდან 74,6 მლრდ. დოლარით მეტი კაპიტალი გაედინა ვიდრე შევიდა. ამის გამო, რუსეთის ფედერაციის საერთაშორისო რეზერვები 56 მლრდ. დოლარით შემცირდა და 419 მლრდ. დოლარზე დაფიქსირდა (CNBC World, 2015). [1]

რაც შეეხება, უშუალოდ, რუსეთის საგარეო პოლიტიკური კურსის ცვლილებას და სანქციების გავლენას, რუსეთის ეკონომიკას ევროპული სანქციები ძალიან შესამჩნევად შეეხო, დაიწყო რუბლის გაუფასურება. კრიზისში აღმოჩნდა უმსხვილესი კორპორაციები. უფრო მეტად გაიზარდა უმუშევრობის მაჩვენებელი. რუსეთის ფედერაციამ მაინც არ შეწყვიტა ხისტი პოლიტიკის გატარება ყირიმის მიმართ, ნავთობსა და ბუნებრივ აირზე ფასების კონტრაქტორის მუდმივი ზრდით მოახერხა ფედერალური ბიუჯეტის შენარჩუნება და კრიზისის მოგვარებას არა ევროპასთან დიალოგით, არამედ სანქციების დაძლევით შეუდგა. განაგრძო კარგად აპრობირებული პოლიტიკა და შეეცადა ორმხრივი კავშირ-ურთიერთობების გაძლიერებას ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებთან (გერმანია, დანია...), ასევე, დაიწყო ჩინეთთან აქტიური მოლაპარაკებები და ბაზრის დივერსიფიკაციისკენ მიმართული ღონისძიებები უფრო გააძლიერა. განაგრძო ძველი საგარეო პოლიტიკა, თუმცა უფრო ძლიერად. უარი არ უთქვამს „ევრაზიულ“ კავშირზე და გაზ-მომარაგების ალტერნატიულ ხაზების მშენებლობაზე (სამხრეთის და ჩრდილოეთის ხაზი).

2009 წლის კრიზისის შემდეგ, 2010-2013 წლებში რუსეთის

1 https://www.cnbc.com/2015/08/11/russias-economy-is-in-a-pit-according-to-economists.html

ეკონომიკა ძალებს იკრებდა და მნიშვნელოვნად უმჯობესდებოდა, ამ პერიოდში ადგილი ჰქონდა ეკონომიკის ზრდას. სანქციების დაწესების შემდეგ კი, 2014 წლიდან რუსეთის ეკონომიკამ გაუარესება დაიწყო, ეს გაუარესება განსაკუთრებით შესამჩნევია სანქციების ბოლო ორ ეტაპზე. რუსეთის მშპ დაახლოებით 1-2%-ით შემცირდა. მკვეთრად იკლო უცხოურმა ინვესტიციებმაც, რადგან ქვეყანაში შეიქმნა არასტაბილური ეკონომიკური გარემო, ასევე, სანქციებს თან ახლდა ევროს მიმართ რუბლის გაუფასურებაც, რაც შეეხება აქციების ფასებს, ევროკავშირის მიერ რუსეთის მსხვილ კომპანიებზე დაწესებულმა სანქციებმა მკვეთრად შეამცირა მათი აქციების ფასები, რუსეთის საფონდო ბირჟის ინდექსი დაახლოებით 18%-ით გაუარესდა. სანქციების პარალელურად, რუსეთის ეკონომიკაზე დიდ გავლენას ახდენდა ნავთობის ფასების კლებაც, თუმცა, ფასების კლების მიუხედავად, რუსეთმა ნავთობის ექსპორტი გაზარდა. სანქციებმა, განსაკუთრებით კი, სანქციების მესამე და მეოთხე რაუნდებმა, რომლებმაც რუსეთის ეკონომიკის სხვადასხვა სექტორი მოიცვეს, გააუარესა და ნავთობის ფასების ცვლილებასთან ერთად, მნიშვნელოვანი პრობლემები შეუქმნა რუსეთის ეკონომიკას, რაც აისახა კიდეც ინდიკატორებზე (BBC, 2014). [1]

რუსეთმა 2014 წელს სანქციების შედეგად $26.7 მილიარდი, ხოლო 2015 წელს $80 მილიარდი დოლარი დაკარგა (tradeingeconomics, 2016). [2]

ექსპორტ-იმპორტის ცვლილება რუსეთ-ევროკავშირს შორის 2014 წლამდე და 2014 წლის შემდეგ.2014 წლამდე რუსეთ-ევროკავშირს შორის ეკონომიკური ურთიერთობები მზარდი ტემპებით ხასიათდებოდა (როგორც თავში აღვნიშნეთ რუსეთი ევროკავშირის უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორია). 2005 წლიდან ევროკავშირი ზრდიდა იმპორტს რუსეთში. განსაკუთრებით მაღალ ნიშნულს ამ უკანასკნელმა მიაღწია 2010-2013 წლებში. (თუმცა 2016 წლის 4 ნოემბრის მონაცემებით, ექსპორტის მაჩვენებელი არ შეცვლილა, შესაბამისად ბალანსი მივი-

1 http://www.bbc.com/news/world-europe-26672800

2 https://tradingeconomics.com/russia/gdp

ღეთ უარყოფითი). (Europa.eu. 2016). [1]

2013 წლიდან აღინიშნება იმპორტის სერიოზული კლება (უკრაინის კრიზისმა განსაკუთრებით იქონია ზეგავლენა ამაზე). 2013 წელთან შედარებით 2015 წელს 210 000 ევროდან 140 000 ევრომდე დაეცა იმპორტირებული პროდუქციის მოცულობა (სავაჭრო ნაკადები და ბალანსი (EU-Russia) 2005-2015 წწ.).

ექსპორტ-იმპორტი იზრდება (ჩავარდნაა მხოლოდ 2009 წელს), ხოლო მკვეთრ შემცირებას ადგილი აქვს 2013 წლიდან, ექსპორტისა და იმპორტის შემცირების შესაბამისად, ვაჭრობის საბოლოო მაჩვენებელიც დადაბლდა. 338 566 მლნ ევროდან (2012) ჩამოვიდა 2015 წელს 209 787 მილიონ ევრომდე. იმპორტის 67,9 პროცენტი (2/3+) არის ბუნებრივი აირი. ხოლო ევროკავშირს რუსეთში გააქვს მანქანები.

რუსეთის ნომერ პირველი სავაჭრო პარტნიორი, როგორც იმპორტის, ასევე ექსპორტის მხრივ- არის ევროკავშირი 2015 წლის მონაცემებით. (Europa, eu, 2014).[2] ამის მიუხედავად, ექსპორტი 2012 წლიდან შემცირდა 50 პროცენტით. იმპორტი კი 44 პროცენტით.

ევროკავშირის სავაჭრო პარტნიორი.ევროკავშირისთვის რუსეთი, საბოლოო ჯამში, წარმოადგენს მხოლოდ მეოთხე სავაჭრო პარტნიორს 2015 წლის მონაცემებით. (მესამეა იმპორტის მხრივ, მას უსწრებს აშშ და ჩინეთი, ხოლო ექსპორტის მხრივ მეხუთეა) (Europa.eu. 2016). [3]

დასკვნა

უკრაინის კრიზისმა რუსეთისა და ევროკავშირის ურთიერთობებში მნიშვნელოვანი გარდატეხა შეიტანა და ევროკავშირის სანქციებმა რუსეთის ეკონომიკაში მიმდინარე ნეგატიურ პროცესებში საკუთარი გავლენა იქონია. აღნიშნული სანქციების ანალიზით კი შეგვიძლია ვთქვათ, რომ როცა საქმე ეხება რესურსული თვალსაზრისით ისეთ ძლიერ სახელმწიფოს, რო-

1 http://trade.ec.europa.eu/doclib/docs/2006/september/tradoc_113440.pdf
2 http://ec.europa.eu/trade/policy/countries-and-regions/countries/russia/
3 http://trade.ec.europa.eu/doclib/docs/2006/september/tradoc_113440.pdf

გორიც რუსეთია, რომელსაც აქვს მრავალმხრივი ეკონომიკური კავშირები, რთულია მსგავსი სახის სანქციებით უარი ათქმევინო საერთაშორისო ასპარეზზე ისეთ მოქმედებებზე, რომელსაც ის ატარებდა. არსებული რეალობაა, რომ სანქციებმა იმოქმედა რუსეთზე, მაგრამ არა იმდენად, რომ მას შეეცვალა ის პოლიტიკა, რომელსაც უკრაინის წინააღმდეგ ახორციელებდა. ნიშანდობლივია, რომ როდესაც სანქციებზე და მის გავლენაზე ვსაუბრობთ, აუცილებელია გავითვალისწინოთ სანქციებისა და „სანქცირებული“ ქვეყნის სიდიდე და წონა საერთაშორისო ასპარეზზე. აღსანიშნავია, რომ რუსეთის მსგავს ქვეყანაში იმ ზომის სანქციები, რომელიც გატარდა არ აღმოჩნდა საკმარისი შეესუსტებინა მისი მიდრეკილება ჰეგემონობისკენ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Europa. Eu. 2014. The Partnership and Cooperation Agreement. http://eeas.europa.eu/archives/delegations/russia/eu_russia/political_relations/legal_framework/index_en.htm

2. (13) Europa.eu. 2014. Russia. http://ec.europa.eu/trade/policy/countries-and-regions/countries/russia/ ბოლო ნახვა, 25 იანვარი, 2018.

3. BBC, 2014. Ukraine crisis: Timeline http://www.bbc.com/news/world-middle-east-26248275 ბოლო ნახვა, 30 იანვარი, 2018.

4. NPLG. 2008. “ეკონომიკური სანქციები“, http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=3976. ბოლო ნახვა, 25 იანვარი, 2018.

5. FORBES. 2014. ”დასავლეთის სანქციების გავლენა რუსეთზე“, http://forbes.ge/news/423/dasavleTis-sanqciebis-gavlena-ruseTze ; ბოლო ნახვა, 24 იანვარი, 2018.

6. EUR-LEX, EUROPA. 2014. “Council Implementing Regulation(EU) No 810/2014”. http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=uriserv%3AOJ.L_.2014.221.01.0001.01.ENG ; ბოლო ნახვა, 25 იანვარი, 2018.

7. Hanson, Philip. 2015. What is happening to the rubble?

Russian Analytical Digest 3 (March): 2-6.

8. Khlebnikov, Alexey. 2014. Everything you need to know about Western sanctions against Russia. Russia Direct 21(October). http://www.russia-direct.org/things-you-need-know-about-western-sanctions-against-russia#explanation-4 ; ბოლო ნახვა, 27 იანვარი, 2018.

9. Russia's economy is in a pit", August 11th 2015, http://www.cnbc.com/2015/08/11/russias-economy-is-in-a-pit-according-to-economists.html . ბოლო ნახვა, იანვარი, 2018.

10. BBC. 2014. "Ukraine crisis: Russia and sanctions", BBC online. http://www.bbc.com/news/world-europe-26672800 ; ბოლო ნახვა 28 იანვარი, 2018.

11. TRADINGECONOMICS. „Russia GDP", TRADINGECONOMICS online.. http://www.tradingeconomics.com/russia/gdp ; ბოლო ნახვა, 25 იანვარი, 2018.

12. (14) Europa.eu. trade with Russia. 2016. http://trade.ec.europa.eu/doclib/docs/2006/september/tradoc_113440.pdf. ბოლო ნახვა, 27 იანვარი, 2018.

THE IMPACT OF THE UKRAINIAN CRISIS ON RUSSIA-EU TRADE RELATIONS

Mimoza Tielidze, Salome Ghachava
TSU Bachelor students

RESUME

The article aims to analyze the trade relations between the EU and Russian Federation based on the "Ukrainian Crisis". There is also analyzed how and why the Ukrainian Crisis started. We are discussing the meaning of the economic sanctions imposed to the Russian Federation caused by the crisis and the effects of the sanctions on the trade relations between those two important actors in the world, which is shown by comparison of the export-import indicators between the Russia – EU before and after the crisis (be-

fore 2014, after 2014). So, our research question during the study is: what influence did the Ukrainian Crisis make on the trade relations between the EU and Russia? We claim that the crisis had a negative effect on the relations related to the fact, that the import and export between them were decreased.

The mentioned topic is actual because of several reasons: Firstly, we must state that the Russian Federation still acts with geopolitical views, international relations and territorial interests are main for this country. Because of that, not using the military power but the economic leverage from the west to make an influence on Russia is very important. Moreover, the fact that this country has broken out the geo-economic war toward Georgia highlights its importance.

Key words: Geo-Economics; Economic sanctions; Ukrainian Crisis.

რუსეთ-უკრაინის ურთიერთობები „ევრომაიდნის“ შემდეგ

ნანა ღარიბაშვილი,
შალვა თურქაძე
თრუ ბაკალავრიატის სტუდენტები

რეზიუმე

საბჭოთა კავშირის დაშლისა და უკრაინის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ამ უკანასკნელის ურთიერთობამ რუსეთთან ახალი ფორმა მიიღო. მიუხედავად ამ ორ სახელმწიფოს შორის არსებული მჭიდრო ისტორიული კავშირისა, მათი საგარეო პოლიტიკური ინტერესები დროთა განმავლობაში წინააღმდეგობაში მოვიდა. ამის ნათელი მაგალითია 2013-2014 წლებში „ევრომაიდანზე“ განვითარებული მოვლენები, რამაც, ფაქტობრივად, გარდამტეხი მნიშვნელობა იქონია რუსეთ-უკრაინას შორის ურთიერთობების შემდგომ განვითარებაზე.

საკვანძო სიტყვები: რუსეთი, უკრაინა, „ევრომაიდანი“, ყირიმის ანექსია, დონბასის ომი, საგარეო პოლიტიკა, პოლიტიკური ურთიერთობები, ეკონომიკური ურთიერთობები, ენერგეტიკული კავშირები.

1.რუსეთ-უკრაინის პოლიტიკური ურთიერთობები

1.1 „ევრომაიდანი“

2013 წლის ნოემბერში უკრაინის პრორუსულმა ხელისუფლებამ, პრეზიდენტ ვიქტორ იანუკოვიჩის ხელმძღვანელობით, უარი თქვა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერაზე. ამ გადაწყვეტილებას მოჰყვა მრავალათასიანი საპროტესტო გამოსვლები უკრაინის დედაქალაქში, რომლებმაც „ევრომაიდნის“ სახელწოდება მიიღო (აშშ-ს ელჩმა უკრაინაში, ჯეფრი პაიატსმა, კი ქვეყანაში უფრო სამართლიანი და დემოკრატიული საზოგადოების შექმნის აღნიშნულ მცდელობას „ღირსების რევოლუცია“ უწოდა). მოვლენებმა კულმინაციას 2014 წლის თებერვალში მიაღწია, როდესაც უკრაინის მთავრობამ პროტე-

სტანტების წინააღმდეგ სნაიპერები გამოიყენა, რაც, საბოლოო ჯამში, ასზე მეტი ადამიანის მსხვერპლით დასრულდა. პასუხად, უკრაინაში მასობრივად დაიწყო დაუმორჩილებლობის პროცესი. ამას დაერთო ისიც, რომ ფაქტობრივად დაიშალა მმართველი რეგიონების პარტიის საპარლამენტო ფრაქცია. პრეზიდენტი იანუკოვიჩი იძულებული გახდა წასულიყო შეთანხმებაზე, რომლითაც 21 თებერვალს ახალი მთავრობა შეიქმნა და 25 მაისისთვის დაინიშნა ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები. პრაქტიკულად, მთელი ხელისუფლება ყოფილი ოპოზიციის ხელში გადავიდა და შეიქმნა ახალი კოალიცია. თავდაპირველად, თებერვლის მოვლენებისას რუსეთი პასიური დამკვირვებლის როლით იყო შემოფარგლული და მხოლოდ სიტყვიერ პროტესტს გამოთქვამდა უკრაინაში „ფაშისტური ელემენტების“ ხელისუფლებაში მოსვლის გამო. თუმცაღა, ვითარება შეიცვალა 24 თებერვლიდან, როდესაც რუსეთმა დაიწყო თავისი იმპერიული გეგმების ხორცშესხმა უკრაინაზე კონტროლის მოპოვების მცდელობით.

1.2 .ყირიმის ანექსია

თანამედროვე რუსეთის საგარეო პოლიტიკის ფარგლებში, კრემლს აუცილებლად მიაჩნია რაიმე ფორმით კონტროლი უკრაინის ბედზე. მისი მცდელობა, მთელი უკრაინა სატელიტად ექცია, წარუმატებელი აღმოჩნდა: 2013-2014 წლების ზამთრის რევოლუციამ უკრაინაში ცხადი გახადა, რომ უკრაინული საზოგადოება არ დაუშვებს ქვეყნის ჩავარდნას რუსული კონტროლის ქვეშ. შედეგად, რუსეთმა წამოიწყო ოპერაცია უკრაინის დანაწევრებისთვის, რაც დაიწყო ყირიმის ოკუპაციით და გაგრძელდა სამხრეთ და აღმოსავლეთ უკრაინაში დესტაბილიზაციის მცდელობით.

2014 წლის 24 თებერვალს ყირიმში დაიწყო პრორუსული ძალების აქციები. რეალურად კი, რუსულმა სამხედრო შენაერთებმა, რომლებიც განთავსებული იყვნენ ყირიმში, სულ რაღაც რამდენიმე დღეში ფაქტობრივი კონტროლი დაამყარეს ყირიმის ავტონომიურ რესპუბლიკასა და ქალაქ სევასტოპოლზე. 1 მარტს რუსეთის დუმამ უფლება მისცა რუსეთის პრეზიდენტს, საჭიროების შემთხვევაში, შეეყვანა „სამშვიდობო ძალე-

ბი» უკრაინის ტერიტორიაზე. ამავე დროს, ყირიმში შექმნილმა ახალმა მთავრობამ, რომელსაც სათავეში ყირიმში მოქმედი პარტია „რუსული ერთობის“ ლიდერი, სერგეი აქსიონოვი ჩაუდგა, გამოაცხადა რეფერენდუმი ყირიმის სტატუსის შესახებ, რაც უკრაინის ხელისუფლების წინააღმდეგობის მიუხედავად 16 მარტს გაიმართა (ყირიმის მოსახლეობის 97%-მა მხარი დაუჭირა რუსეთთან შეერთებას).

ბუნებრივია, რუსეთის მიერ ყირიმის ჯერ ოკუპაციამ, ხოლო შემდეგ ანექსიამ (2014 წლის 18 მარტს ხელშეკრულებით გაფორმდა ზემოხსენებულის რუსეთის შემადგენლობაში ფედერალური სუბიექტის სტატუსით შესვლა), მსოფლიოში სერიოზული ვნებათაღელვა გამოიწვია. თუმცაღა, რუსეთის ხელისუფლება და პირადად პრეზიდენტი პუტინი ყირიმში განვითარებულ მოვლენებში რუსეთის როლს ახასიათებს, როგორც კიევიდან აღმოსავლეთით გავრცელებული უკანონობით შეშფოთებული ეთნიკური რუსების დაცვას (ყირიმის მოსახლეობის 65,3% რუსია), ხოლო ძირითადი ყურადღება გადააქვს საკითხის ისტორიულ ასპექტზე და ყირიმის რუსეთთან შეერთებას ისტორიული სამართლიანობის აღდგენად აფასებს (ყირიმი დიდი ხნის განმავლობაში რუსეთის შემადგენლობაში შედიოდა; 1954 წელს ნიკიტა ხრუშჩოვმა იგი უკრაინას გადასცა).

1.3. ომი აღმოსავლეთ უკრაინაში

ყირიმში განვითარებული მოვლენების პარალელურად, შეიარაღებულმა დაპირისპირებამ თავი იჩინა უკრაინის აღმოსავლეთშიც. 2014 წლის აპრილში რუსეთის მომხრე შეიარაღებულმა აქტივისტებმა დონეცკისა და ლუგანსკის ოლქებში ადმინისტრაციული შენობების დაკავება დაიწყეს. საპასუხოდ, უკრაინის ხელისუფლებამ წამოიწყო კონტრტერორისტული ოპერაცია, რაც მალე სრულმაშტაბიან კონფლიქტად გადაიქცა თვითგამოცხადებულ დონეცკისა და ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკებსა (2014 წლის 11 მაისს, სეპარატისტებმა დონეცკისა და ლუგანსკის ოლქებში ჩატარებული რეფერენდუმის შედეგად, გამოაცხადეს ამ უკანასკნელთა დამოუკიდებლობა „სახალხო რესპუბლიკების“ სახელწოდებით) და უკრაინის ხე-

ლისუფლებას შორის. აღსანიშნავია, რომ დონბასის ომი კვლავ გრძელდება და პერიოდულად ხდება ვითარების ესკალაცია.

2015 წლის 10 თებერვალს, რუსეთის სამხედრო ინტერვენციის საპასუხოდ, უკრაინის რადამ დაარეგისტრირა რეზოლუციის პროექტი რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობების დროებით შეწყვეტის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ვერ მოხდა აღნიშნულის განხორციელება, 2016 წლისათვის უკრაინის საგარეოს საქმეთა სამინისტროს საგანგებო დესპანმა, დმიტრო კულებამ, განახცადა, რომ რუსეთთან უკრაინის დიპლომატიური ურთიერთობები თითქმის ნულამდე შემცირდა. 2017 წლისათვის კი, უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრმა, კლიმკინმა, ორ ქვეყანას შორის ურთიერთობები შეაფასა, როგორც ჩარჩოებრივი, რომელიც მხოლოდ მოქალაქეებზე ზრუნვით შემოიფარგლება.

2. რუსეთ-უკრაინის ეკონომიკური ურთიერთობები

რუსეთ-უკრაინას შორის ათწლეულების მანძილზე არსებული ახლო პოლიტიკური ურთიერთობების გამო, ორი ქვეყანა საკმაოდ მჭიდროდ აღმოჩნდა დაკავშირებული ეკონომიკური თვალსაზრისითაც. შედეგად, მათ შორის პოლიტიკური ურთიერთობების გამწვავებას მოჰყვა სერიოზული ცვლილებები ეკონომიკის თითქმის ყველა სექტორში.

2.1. სავაჭრო ურთიერთობები

2014 წლის ყირიმის ანექსიისა და დონბასში განვითარებული მოვლენების შემდეგ, რუსეთ-უკრაინის სავაჭრო ურთიერთობები თითქმის 2-ჯერ შემცირდა, რაც განაპირობა ორივე ქვეყნის მიერ ერთმანეთისთვის დაწესებულმა სელექციურმა სავაჭრო ემბარგოებმა სხვადასხვა სახის საქონელზე. 2016 წლისათვის, უკრაინის მიერ რუსეთიდან იმპორტირებულმა საქონელმა შეადგენდა $5,6 მლრდ. მაშინ, როდესაც 2013 წლისთვის აღნიშნული მაჩვენებელი იყო $24,5 მლრდ. ექსპორტის თვალსაზრისით, რუსეთი კვლავ მნიშვნელოვან არეალად რჩება უკრაინისათვის - ამ უკანასკნელის მიერ ექსპორტირებული საქონლის 9.9% ($3.5 მლრდ.) სწორედ მის მეზობელ ქვეყანაზე მოდის. რაც შეეხება რუსეთს,

2017 წლის მონაცემებით, უკრაინა მისი მე-14 ყველაზე მსხვილი საექსპორტო ქვეყანაა (რუსეთის მთლიანი ექსპორტის 2.2 % - $6.3 მლრდ.),ხოლო 2016 წელს ამ უკანასკნელიდან რუსეთის მიერ იმპორტირებული საქონლის ღირებულებამ $3.9 მლრდ შეადგინა.

2.2. ენერგეტიკული ურთიერთობები

წლების განმავლობაში რუსეთის მიერ უკრაინის ბუნებრივი აირით ძალზე დაბალ ფასად მომარაგებამ განაპირობა ამ უკანასკნელის მიერ თავისი დამოკიდებულების გაზრდა რუსეთიდან შემომავალ გაზსა და ნავთობზე. 2014 წლისათვის „გაზპრომმა“ შეწყვიტა უკრაინისთვის ბუნებრივი აირის შეღავათიან ფასებში მიწოდება, რის გამოც ქვეყნის ვალი კომპანიისადმი აპრილიდან ივნისამდე გაიზარდა $1.7 მლრდ-დან $4.5მლრდ-მდე. გაზის ფასთან დაკავშირებული დავის გამო, უკრაინის მთავრობამ დაიწყო ახალი ენერგო პარტნიორის ძებნა და ბუნებრივი აირის იმპორტი ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებიდან (პოლლონეთი, უნგრეთი და სლოვაკეთი). 2015 წლის ნოემბერს გაზპრომმა შეწყვიტა უკრაინის ბუნებრივი აირით მომარაგება, რის პასუხადაც, 2016 წლის დასაწყისში, უკრაინამ მთლიანად შეწყვიტა გაზის იმპორტი მისი აღმოსავლელი მეზობლისაგან.

2.3. ინვესტიციები და ფულადი გადარიცხვები

მიუხედავად, რუსეთ-უკრაინას შორის არსებული დაძაბული პოლიტიკური ვითარებისა, 2016 წელს რუსულმა ბიზნესმა უკრაინის ეკონომიკაში დააბანდა $1.67 მლრდ, რამაც ქვეყნის მთლიანი უცხოური პირდაპირი ინვესტიციების 38% შეადგინა. ამ სფეროში რუსეთის ასეთი დომინირება ახალი ტრენდია. 2016 წელს უკრაინის ეროვნულმა ბანკმა რუსულ ბანკებს უკრაინული ფილიალების რეკაპიტალიზაციის ნება დართო, რითიც რუსული კაპიტალის დიდი ნაწილის დაბანდება, ძირითადად, მოხდა უკრაინაში მოქმედ 8 რუსულ ბანკში, რომლებიც უკრაინის საბანკო სექტორის 8.8%-ს შეადგენს.

2016 წლის შემოდგომას, უკრაინამ აკრძალა რუსული გადარიცხვის/გადასარიცხი კომპანიების მოქმედება თავისი ხელსაყრელი ბაზრიდან. ამის საპასუხოდ, რუსეთის პარლამენტმა

მიიღო კანონი, რომლის თანახმადაც გამკაცრდა რუსეთიდან თანხის გადარიცხვა იმ ქვეყნებში, რომლებშიც მოქმედებს გარკვეული შეზღუდვები რუსულ საგადასახადო სისტემასთან დაკავშირებით. შედეგად, რუსეთიდან უკრაინაში გადარიცხული კერძო თანხის რაოდენობა 2013 წელთან შედარებით ($20,78 მლრდ.) 2016 წლისთვის ორჯერ შემცირდა ($10 მლრდ.)

3. რუსეთ-უკრაინის კულტურულ-სოციალური ურთიერთობები

3.1. ეკლესია

2014 წლის მოვლენების შემდეგ, რუსეთის ეკლესია სერიოზული გამოწვევების წინაშე დადგა. თავდაპირველად რუსეთის პატრიარქის, კირილ I-ის განხცადებები უკრაინაში განვითარებულ კონფლიქტთან დაკავშირებით ზომიერი ხასიათის იყო და მხარეებს მშვიდობისაკენ მოუწოდებდა. უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის კიევის საპატრიარქოს თანახმად, კი რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის ინტერესები მთლიანად თანხვედრაშია კრემლის პოლიტიკასთან. აღნიშნული ნეიტრალური პოლიტიკა კრემლის ღია მხარდაჭერით შეიცვალა 2015 წლიდან, რაც უკრაინის სუვერენიტეტის პირდაპირი გამოწვევაა და ცალსახად მიანიშნებს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია კრემლისა და რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიისათვის უკრაინის კონტროლი. ზემოხსენებულის შემდეგ, 2014 წლიდან დღემდე უკრაინაში იზრდება იმ ადამიანთა რიცხვი, ვინც მიიჩნევს, რომ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია რუსეთის მთავრობის ინტერესების გამტარებელია. მსგავსი განწყობების გაძლიერებამ კი ავტოკეფალიის მომხრეების რაოდენობის ზრდასა და შეუწყო ხელი. დღეისათვის, იმ ადამიანთა რიცხვი, ვინც თავს მიიჩნევს კიევის საპატრიარქოს მრევლად გაიზარდა 10 მილიონამდე,რაც ქვეყნის მთლიანი მოსახლეობის 25 %-ს შეადგენს.

3.2. ინფორმაციული ომი

ორ ქვეყანას შორის არსებულმა დაძაბულმა ურთერთობებმა ასახვა ჰპოვეს აგრეთვე მედიაში. ე.წ. ჰიბრიდული ომის დროს

რუსეთი აქტიურად იყენებდა საზოგადოებრივი აზრის ჩამოსაყალიბებლად მედია საშუალებებს. რუსულენოვანმა ტელე-რადიო პროგრამებმა, რომლებიც კონფლიქტამდე, ფაქტობრივად, დომინირებდნენ უკრაინაში, შეძლო მოსახლეობის აზრის ფორმირება და წარმართვა რუსეთის მხარის სასარგებლოდ, უმეტესწილად ცრუ ინფორმაციის საფუძველზე. გარდა ამისა, რუსეთი აქტიურად იყენებს უკრაინის წინააღმდეგ მიმართული პროპაგანდის ფარგლებში, ისეთ საშუალებებს როგორიცაა სოციალური ქსელები, კომპიუტერული ვირუსები, სატელეფონო ჩანაწერები, კიბერშეტევები და სხვა. ამის საპასუხოდ, უკრაინამ 2017 წლის პირველ მეოთხედში დაუწესა სერიოზული სანქციები როგორც პრორუსულ მედია საშუალებებს (NTV, RT, Ria Novosti.), ისე რუსული წარმოშობის მქონე კიბერუსაფრთხოების კომპანიებს (Kaspersky Lab, Doctor Web, Aeroflot). აგრეთვე, აკრძალა უამრავი რუსული ვებგვერდისა თუ სოციალური ქსელის გამოყენება.

დასკვნა

ევრომაინდის შემდეგ რუსეთ-უკრაინას შორის განვითარებული მოვლენები ცხადყოფს მათი ურთიერთობების კომპლექსურობას. ევროკავშირთან უკრაინის დაახლოების მცდელობამ გამოიწვია ორ ქვეყანას შორის პოლიტიკური ურთიერთობების უკიდურესი დაძაბვა, რაც აისახა როგორც ყირიმის ოკუპაციაში, ისე მიმდინარე დონბასის ომშიც. მიუხედავად დიპლომატიური ურთიერთობების მინიმუმამდე დაყვანისა, უკრაინა-რუსეთის ეკონომიკური კავშირები მართალია მცირდება, თუმცაღა კვლავ მნიშვნელოვან ფაქტორად რჩება, უკრაინის ეკონომიკის რუსეთზე ხანგრძლივი ისტორიული დამოკიდებულების გამო. ამის პარალელურად ღრმავდება უკრაინის ეკონომიკური ურთიერთობები დასავლეთით მდებარე მეზობლებთან. აგრეთვე, იცვლება მოსახლეობის დამოკიდებულება რუსეთის პოლიტიკის მიმართ, რაც ნათელს ხდის, რომ უკრაინის მოსახლეობა ზურგს აქცევს მის აღმოსავლეთით მდებარე რუსეთს, რომელიც, თავის მხრივ, ყველანაირი გზით ცდილობს იმპერიული პოლიტიკის სისრულეში მოყვანას და გავლენის სფეროების აღდგენას, რაც უკრაინის გარეშე წარმოუდგენელია.

ლიტერატურა:

1. Gwendolyn Sasse, "Revisiting the 2014 Annexation of Crimea," *Carnegieeurope.eu,* March 15, 2017,

2. http://carnegieeurope.eu/2017/03/15/revisiting-2014-annexation-of-crimea-pub-68423 , ბოლო ნახვა 8 თებერვალი, 2018.

3. Gavrylyuk, Oleksandr. "Russia's Conflict Against Ukraine and the West: The Religious Dimension," *Jamestown,* March 17, 2016, https://jamestown.org/program/russias-conflict-against-ukraine-and-the-west-the-religious-dimension/, ბოლო ნახვა 8 თებერვალი, 2018.

4. Oliphant, Roland."Ukraine Bans Russian Social Networks in Sweeping Expansion of Sanctions," *The Telegraph,* Telegraph Media Group, May 16, 2017, http://www.telegraph.co.uk/news/2017/05/16/ukraine-bans-russian-social-networks-sweeping-expansion-sanctions/, ბოლო ნახვა 8 თებერვალი, 2018.

5. Samofalova, Olga, and Vzgliad. "Russia Bans Money Transfers to Ukraine via U.S. Cash Transfer Systems," *Russia Beyond,* March 24, 2017, https://www.rbth.com/politics_and_society/2017/03/24/russia-bans-money-transfers-to-ukraine-via-us-cash-transfer-systems_726991, ბოლო ნახვა 8 თებერვალი, 2018.

6. Stratfor. "Russia Parts Ways With a Longtime Trade Partner." *Stratfor Worldview,* Stratfor, April 19, 2017, https://worldview.stratfor.com/article/russia-parts-ways-longtime-trade-partner, ბოლო ნახვა 8 თებერვალი, 2018.

REFERENCES:

1. Gwendolyn Sasse, "Revisiting the 2014 Annexation of Crimea," *Carnegieeurope.eu,* March 15, 2017, http://carnegieeurope.eu/2017/03/15/revisiting-2014-annexation-of-crimea-pub-68423, accessed February 8, 2018.

2. Gavrylyuk, Oleksandr. "Russia's Conflict Against Ukraine and the West: The Religious Dimension," *Jamestown,* March 17, 2016, https://jamestown.org/program/russias-conflict-against-ukraine-and-the-west-the-religious-dimension/, accessed February 8, 2018.

3. Oliphant, Roland."Ukraine Bans Russian Social Networks in Sweeping Expansion of Sanctions," *The Telegraph,* Telegraph

Media Group, May 16, 2017, http://www.telegraph.co.uk/news/2017/05/16/ukraine-bans-russian-social-networks-sweeping-expansion-sanctions/, accessed February 8, 2018.

4. Samofalova, Olga, and Vzgliad. "Russia Bans Money Transfers to Ukraine via U.S. Cash Transfer Systems," *Russia Beyond,* March 24, 2017, https://www.rbth.com/politics_and_society/2017/03/24/russia-bans-money-transfers-to-ukraine-via-us-cash-transfer-systems_726991, accessed February 8, 2018.

5. Stratfor. "Russia Parts Ways With a Longtime Trade Partner." *Stratfor Worldview,* Stratfor, April 19, 2017, https://worldview.stratfor.com/article/russia-parts-ways-longtime-trade-partner, accessed February 8, 2018.

RUSSIA-UKRAINE RELATIONS AFTER THE "EUROMAIDAN"

Nana Garibashvili, Shalva Turkadze
TSU Bachelor Students

RESUME

The Ukrainian Soviet Socialist Republic, also known as the Soviet Ukraine, was one of the constituent republics of the Soviet Union from its inception in 1922. But after the dissolution of the Soviet Union on 26 December, 1991 it gained independence and as a result, the new relationship with Russia was shaped. Despite the historical ties between the two states, their foreign policy interests have reached the stalemate. The tension between these countries was revealed during the "EuroMaidan" events in 2013-2014, which actually became a turning point for the further development of relations between Russia and Ukraine.

Key words: Russia; Ukraine; "Euromaidan"; Annexation of Crimea; War in Donbass; Foreign policy; Political relationship; Economic relationship; Energy, ties.

სამეცნიერო სტატიის
წარმოდგენის და გამოქვეყნების წესი:

ჟურნალში გამოქვეყნებული სტატია უნდა მოიცავდეს მეცნიერული კვლევის **ახალ** შედეგებს ეკონომიკის შემდეგ თეორიულ და გამოყენებით სფეროებში:

ეკონომიკური რეფორმა; ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები; ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია; საბაზრო ეკონომიკის სამართლებრივი უზრუნველყოფა; ფინანსები, ბანკები, ბირჟები; რეგიონული ეკონომიკა; დარგობრივი ეკონომიკა; ბიზნესის, მარკეტინგის, მენეჯმენტის აქტუალური საკითხები; მსოფლიო ეკონომიკა; რეცენზიები ბოლო პერიოდში გამოქვეყნებულ მონოგრაფიებსა და სახელმძღანელოებზე.

მიღებულ სტატიებს იხილავს რედკოლეგია და დადებითი რეცენზიის შემთხვევაში აქვეყნებს, ასევე განათავსებს ინტერნეტში – ელექტრონულ ჟურნალში.

სტატიები მიიღება ქართულ, რუსულ, ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ და ესპანურ ენებზე, ქვეყნდება ორიგინალის ენაზე.

სტატიის გაფორმების წესი

სტატიის მინიმალური მოცულობა 5 გვერდი A4 ფორმატის;

რეზიუმე ქართულ, რუსულ და/ან **ინგლისურ** (აუცილებლად) ენებზე (**100-250** სიტყვა);

საკვანძო სიტყვები ქართულ და ინგლისურ ენებზე;

სტატიის დასახელება ქართულ და ინგლისურ ენებზე;

ავტორის (ავტორთა) სახელი, გვარი, აკად. ხარისხი ქართულ და ინგლისურ ენაზე, ელექტრონული მისამართი და ტელეფონის ნომერი;

სტატიის **შესავალი, ძირითადი ტექსტი** და **დასკვნითი** ნაწილი;

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა ქართულ და ინგლისურ ენებზე;

ქართული ტექსტისთვის გამოიყენეთ ქართულ შრიფტი Acadnusx; ხოლო ინგლისური და რუსული ტექსტების შრიფტი – Times New Roman; შრიფტის ზომა 12, ინტერვალი 1,5, ყველა კიდიდან დაშორება იყოს 2 სმ.

ჟურნალი“ეკონომიკა“
გამოდის 1918 წლიდან.

გამოცემა გამოდიოდა შემდეგი სახელწოდებებით:
საქართველოს ეკონომისტი (1918 N1- N6),
ეკონომისტი (1925-1926),
საქართველოს ეკონომისტი (1926-1931),
საქართველოს სოციალისტური მეურნეობა (1931-1941),
საქართველოს ეკონომისტი (1958-1967),
საქართველოს სახალხო მეურნეობა (1967 N4 დან-1973),
ეკონომისტი (1974-1990),
ეკონომიკა (1991 წლიდან -).

სხვა სათაურით

საქართველოს ეკონომისტი.
საქართველოს სოციალისტური მეურნეობა.
საქართველოს სახალხო მეურნეობა.
ეკონომისტი.
ეკონომიკა.
Экономист Грузии.

ISSN: 0206-2828.
განახლებული ISSN 2587-4713

UDC: 338(922)(05)

შპს ჟურნალი „ეკონომიკა“
მისამართი: თბილისი – 0171, მ. კოსტავას ქ. 63.
ტელ: 599 56-90-78.
economics.bpengi.com
E-mail: economica_2008@yahoo.com
E-mail: economica_1918@yahoo.com

ООО журнал «ЭКОНОМИКА»
Адрес Тбилиси - 0171, ул. М. Костава 63
Тел. 599 56-90-78
economics.bpengi.com
E-mail: economica_2008@yahoo.com
E-mail: economica_1918@yahoo.com

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბიზნესტექნოლოგიების, საინჟინრო ეკონომიკის,
მედიატექნოლოგიებისა და
სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტები.
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გადაეცა ასაწყობად 10.01.2018 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 25.01.2018 წ.
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 15.